აგათა კრისტი

ჯვარით სავსე ჯიბე

ინგლისურიდან თარგმნა
პაატა ჩხეიძემ

Scanned by CamScanner

ეძღვნება ბრიუს ინგრემს, რომელმაც მოიწონა
და გამოსცა ჩემი პირველი მოთხრობები

თავი პირველი

ამჯერად ჩაი მის სომერსს უნდა მოემზადებინა. იგი კომპანიის ყველაზე ახალბედა და მოუხერხებელი მბეჭდავი იყო. ახალგაზრდა ნამდვილად არ ეთქმოდა, ცხვარივით თვინიერ სახეზე შიში აღბეჭდოდა. მის სომერსმა ჩაის აუდუღარი წყალი დაასხა. როგორც წესი, რატომღაც ვერასდროს ხვდებოდა, ჩაიდანი დუღდა თუ არა, რაც ძალზე თრგუნავდა, თუმცა საწუხარი ცხოვრებაში სხვაც ბევრი რამ ჰქონდა.

მან ჩაი დაასხა, ლამბაქებზე ტკბილი ნამცხვრის ორ-ორი დარბილებული პატარა ნაჭერი დაანყო და ფინჯნებთან ერთად თანამშრომლებს ჩამოურიგა.

მის გრიფიტმა, ჭალარათმიანმა, ჯარისკაცივით განვრთნილმა, გამოცდილმა მბეჭდავმა, რომელიც აგერ უკვე თექვსმეტი წლის განმავლობაში მუშაობდა „კონსოლიდეიითიდ ინვესტმენტ ტრასტში", მკვახედ შენიშნა:

– წყალი კვლავაც აუდუღარია, სომერს!

მის სომერსს თვინიერი სახე შეეფაკლა.

– ღმერთო ჩემო, ამჯერად დარწმუნებული ვიყავი, რომ ადუღდა.

„კარგი, ერთი თვე კიდევ გავაჩეროთ აქ, – გაიფიქრა მის გრიფიტმა, – სანამ საქმეს ვერ ავუდივართ, თორემ უკვე ყელში ამოვიდა... ჩაი იქით იყოს და, რა დღეში ჩაგვაგდო ამ სულელმა იდიოტმა „ისთერნ დეველოპმენტის" წერილთან დაკავშირებით! ეჰ, ძნელია საზრიანი და კარგი მბეჭდავი ქალის პოვნა, თორემ... ამას წინათ ნამცხვრის ქილასაც კი ვერ დაახურა წესიერად თავი. გაგიჟდება კაცი..."

მის გრიფიტი გულში წარმოთქმული აღშფოთებით სავსე მონოლოგების დასრულებას იშვიათად თუ ახერხებდა. ამჯერადაც ასე მოხდა.

Scanned by CamScanner

ოთახში მის გროსვენორი შემონარნარდა მისტერ ფორტესქიუსთვის „წმიდათაწმიდა“ ჩაის დასამზადებლად. დიახ, იგი განსაკუთრებულ ჩაის მიირთმევდა ფაიფურის ჭიქით და ზედ განსაკუთრებულ ნამცხვარს აყოლებდა. უნდა ითქვას, რომ იმავე ჩაიდანსა და იმავე ონკანიდან აღებულ წყალს იყენებდნენ, ოღონდ ამ უკანასკნელს საგულდაგულოდ ადუღებდნენ – ამას თვითონ მის გროსვენორი ადევნებდა თვალს.

მის გროსვენორი ძალზე მომხიბლავი ქერათმიანი ქალი იყო. ძვირად ღირებული შავი კოსტიუმი ტანზე კოხტად ედგა, ჩამოსხმულ ფეხებს „შავ“ ბაზარზე ნაყიდი საუკეთესო ნეილონის წინდა უმშვენებდა.

მის გროსვენორი ოთახიდან ისე გავიდა, რომ მანქანაზე მბეჭდავებისთვის, რომელთაც წვრილფეხობად მიიჩნევდა, ყურადღება არც მიუქცევია – ის ხომ რიგითი თანამშრომელი კი არა, მისტერ ფორტესქიუს პირადი მდივანი გახლდათ. როგორც ბოროტი ენები ამბობდნენ, მისი მოვალეობა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლებოდა, თუმცა ეს სიმართლეს არ შეეფერებოდა, ვინაიდან მისტერ ფორტესქიუს ცოტა ხნის წინ მეორედ ექორწინა მშვენიერ და შეძლებულ ქალზე და ცოლს აშკარად ხელეწიფებოდა ის, რომ ქმარს თვალი სხვისკენ არ გაჰქცეოდა. ასე რომ, მისტერ ფორტესქიუსთვის იგი მხოლოდ მდიდრულად მონყობილი ოფისის განუყოფელი ნაწილი იყო.

მის გროსვენორი წინ გაწვდილი ლანგრით ისე მიაბიჯებდა, თითქოს მსხვერპლშეწირვის რიტუალს ასრულებდა. გაიარა მომცრო მისაღები, სადაც მხოლოდ წონიან კლიენტებს ჰქონდათ ლოდინის უფლება, საკუთარი „სენაკი“, კარზე მსუბუქად დააკაკუნა და წმინდა საძვალეში – მისტერ ფორტესქიუს კაბინეტში შევიდა.

დიდი ოთახის სარკესავით გაპრიალებულ იატაკზე აქაიქ ძვირფასი აღმოსავლური ნოხი ეფინა, კედლები ღია ფერის ხით ოსტატურად მოეპირკეთებინათ, უზარმაზარ სავარძლებზე ღია ყვითელი ტყავი გადაეკრათ, შუაგულში,

Scanned by CamScanner

ზუსტად ცენტრში მდგარ გიგანტურ მაგიდასთან მისტერ ფორტესქიუ იჯდა.

მისტერ ფორტესქიუ არცთუ შთამბეჭდავად გამოიყურებოდა ამ ოთახში, თუმცა ძალიან კი ცდილობდა. იგი საკმაოდ ზორბა, დონდლო, თავმოტვლეპილი კაცი იყო. რატომღაც აეჩემებინა და სამუშაოზე ქალაქგარეთ სეირნობისთვის უფრო შესაფერის, ტვიდის განიერ პიჯაკს ატარებდა. ახლა შუბლშეჭმუხნილი რაღაც ქაღალდებს დასცქეროდა, როდესაც მის გროსვენორი გედივით გრაციოზულად მიუახლოვდა, მაგიდაზე, იდაყვთან ლანგარი დაუდგა, ხმადაბლა, მშვიდად უთხრა: – თქვენი ჩაი, მისტერ ფორტესქიუ, – და წავიდა.

პასუხად, როგორც ამას რიტუალი მოითხოვდა, მისტერ ფორტესქიუმ მხოლოდ რაღაც ჩაიბუზღუნა.

მის გროსვენორი თავის მაგიდას მიუჯდა და მიმდინარე საქმეებს თვალი გადაავლო, შემდეგ ტელეფონით ორგან დარეკა და დაბეჭდილი წერილები გადაამოწმა, სანამ მათ მისტერ ფორტესქიუს წაუღებდა, ბოლოს კი ქალაქიდან შემოსულ ზარსაც უპასუხა.

– ვშიშობ, ახლა ეს შეუძლებელია, – თქვა მან ქედმაღლური კილოთი, – მისტერ ფორტესქიუ თათბირზეა.

მის გროსვენორმა ყურმილი დადო და საათს დახედა. თორმეტის ათი წუთი იყო.

უეცრად მისტერ ფორტესქიუს ბგერათგაუმტარი კარიდან უჩვეულო ხმაური შემოესმა – ტკივილითა თუ ტანჯვით გამონვეული ყრუ ყვირილი. იმავდროულად, მის მაგიდაზე გაბმით, დაჟინებით, თითქოს სასოწარკვეთით, ანკარუნდა ზარი. მის გროსვენორი წამით გაშეშდა, შემდეგ გაუბედავად წამოდგა. მოულოდნელობა ყოველთვის აფრთხობდა. ბოლოს მხნეობა მოიკრიბა, წელგამართული მისტერ ფორტესქიუს კაბინეტის კარს მიუახლოვდა, დააკაკუნა და შიგნით შევიდა.

ნანახმა ყველაფერი მყისვე გადაავიწყა: მაგიდასთან მჯდომი მისი დამქირავებელი სახედაღმეჭილი საშინლად იკრუნჩხებოდა.

Scanned by CamScanner

– ღმერთო ჩემო, ცუდად ხართ, მისტერ ფორტესქიუ? – იკითხა მის გროსვენორმა და მაშინვე მიხვდა, რომ იდიოტური შეკითხვა დასვა, ვინაიდან კარგად მყოფი კაცი ასე გაშმაგებით კლაკვნას არ დაიწყებდა. როდესაც მიუახლოვდა, ეჭვის ნატამალიც არ დარჩა, რომ მისტერ ფორტესქიუ ცუდად იყო, ძალიან ცუდად.

იგი გაჭირვებით, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროდა ცალკეულ სიტყვებს:

– ჩაი... დალახვროს ეშმაკმა... რა ჩაყარეთ... ჩაიში... დამეხმარეთ... ექიმი...

მის გროსვენორი ოთახიდან ტყვიასავით გავარდა. ახლა იგი არაფრით ჰგავდა ქედმაღლურად მოსაუბრე ქერათმიან მდივანს – ერთი ძალზე შეშინებული და თავგზააბნეული ქალი იყო.

მან მანქანაზე მბეჭდავთა ოთახში შეირბინა და შესძახა:

– მისტერ ფორტესქიუს შეტევა აქვს... კვდება... ექიმი გვჭირდება... საშინლად გამოიყურება... დარწმუნებული ვარ, რომ კვდება.

წამში უამრავი რჩევა გაისმა.

მის ბელმა, ახალგაზრდა მბეჭდავმა, განაცხადა:

– თუ ეს ეპილეფსიაა, პირში საცობი უნდა ჩავუდოთ. საცობი არავის გაქვთ?

საცობი არავის აღმოაჩნდა.

– მის ასაკში, – თქვა მის სომერსმა, – ეს შესაძლოა, ინსულტი იყოს.

– ექიმს უნდა დავუძახოთ – დაუყოვნებლივ, – განაცხადა მის გრიფიტმა.

ჩვეული გერგილიანობის გამოჩენა მას ამჯერად ძალიან გაუძნელდა, ვინაიდან სამსახურში ყოფნის თექვსმეტი წლის განმავლობაში ოფისში ექიმის გამოძახება არასდროს დასჭირვებია. საკუთარი მკურნალი ექიმი აქედან შორს, სტრითემჰილში იყო. ახლომახლო ვისთვის მიემართათ?

ეს არავინ იცოდა. მის ბელმა ხელი სატელეფონო ცნობარს სტაცა და ექიმების ძებნა „ე“ ასოზე დაიწყო. მაგრამ

Scanned by CamScanner

ცნობარი ანბანის მიხედვით შეედგინათ და ექიმები, ტაქსის გაჩერებების მსგავსად, ერთ ქვეთავში არ გაეერთიანებინათ. ვილაცამ – საავადმყოფოში დავრეკოთო, მაგრამ რომელში დაერეკათ? მის სომერსმა დაიჟინა, თუ ამ რაიონის საავადმყოფო არ იქნა, აზრი არ ექნებაო. სამედიცინო მომსახურებას სახელმწიფო აფინანსებდა და სხვა რაიონში არავინ ნავიდოდა.

ერთმა თანამშრომელმა 999-ზე დარეკვა შესთავაზა, მაგრამ მის გრიფიტმა ეს აზრი დაუფიქრებლად უარყო და ხელები გაასავსავა: ასე ხომ პოლიციასთან ექნებოდათ საქმე. ამას ვერ დაუშვებდა. იმ ქვეყნის მოქალაქეების კვალობაზე, სადაც ყველას ჰქონდა სამედიცინო მომსახურების უფლება, რამდენიმე საღად მოაზროვნე ქალმა სნორი პროცედურების კუთხით სრული უმეცრება გამოავლინა. მის ბელმა ცნობარი „ს" ასოზე გადაშალა და სასწრაფო დახმარების ძებნას შეუდგა.

– მას აუცილებლად ეყოლება საკუთარი ექიმი, – თქვა მის გრიფიტმა, – შეუძლებელია, არ ჰყავდეს.

ვილაც კერძო მისამართების ნიგნს ეცა. მის გრიფიტმა კურიერს დაუძახა და უბრძანა, სადმე ექიმი მოეძებნა და დაუყოვნებლივ მოეყვანა. ამასობაში კერძო პირთა ცნობარში მან სერ ედვინ სენდმენის ტელეფონის ნომერს მიაგნო, რომელიც ჰარლისტრიტზე ცხოვრობდა. მის გროსვენორი სავარძელში მოწყვეტით ჩაეშვა და მოთქმით წარმოთქვა, ისე, რომ საკუთარი კილოსთვის ყურადღება აღარ მიუქცევია:

– როგორც ყოველთვის, ჩაი მოვუმზადე... არა, მართლა... მასში ცუდი არაფერი იქნებოდა...

– არაფერი იქნებოდა? – მის გრიფიტს თითი ტელეფონის დისკში გაუშეშდა, – ამას რატომ ამბობთ?

– მან მითხრა... მისტერ ფორტესქიუმ... რომ ეს ჩაის ბრალი იყო.

მის გრიფიტი შეყოყმანდა: ექიმისთვის დაერეკა თუ 999-ზე? ახალგაზრდა და ენერგიულმა მის ბელმა განაცხადა:

Scanned by CamScanner

– მას მდოგვიანი წყალი სჭირდება – ახლავე. ვინმეს მდოგვი ხომ არა აქვს?

მდოგვი არავის აღმოაჩნდა.

მალე შენობის შესასვლელთან ერთდროულად სასწრაფო დახმარების ორი მანქანა გაჩერდა, ლიფტში კი ერთმანეთს სერ ედვინ სენდმენი და ბენტალგრინის კლინიკის დოქტორი აიზექსი შეხვდნენ. ტელეფონმა და კურიერმა დავალება პირნათლად შეასრულეს.

თავი მეორე

ინსპექტორი ნილი მისტერ ფორტესქიუს სამუშაო კაბინეტში სიკომოროსგან დამზადებულ უზარმაზარ მაგიდას მისჯდომოდა. მისი ერთი ხელქვეითი ბლოკნოტით ხელში კართან მოკალათებულიყო.

ინსპექტორ ნილს საზრიანი, სამხედრო ყაიდის მოსამსახურის გამომეტყველება ჰქონდა, ოდნავ ხვეული თმა საკმაოდ ვიწრო შუბლის ზემოთ გადაევარცხნა. როდესაც ამბობდა, ასეთია წესიო, მიმართვის ადრესატი ხშირად უკმაყოფილოდ გაიფიქრებდა ხოლმე: რა წესი აგიჩემებია, როგორც ჩანს, მეტი არაფერი შეგიძლიაო! მაგრამ ეს სიმართლეს არ შეესაბამებოდა. ინსპექტორ ნილის პროზაული გარეგნობის მიღმა შემოქმედი იმალებოდა, გამოძიების უცნაურ მეთოდებს ფლობდა. მაგალითად, ფანტასტიკურ ვერსიას წამოაყენებდა და მას დასაკითხ ობიექტს არგებდა.

მან სწრაფად და უშეცდომოდ დაადგინა, რომ მომხდარის შესახებ მოკლე და ამომწურავ სურათს მის გრიფიტი დაუხატავდა. ქალმა მართლაც უზადოდ ჩამოაყალიბა დილის მოვლენები, რომლებმაც აქ პოლიციელთა ყოფნა გამოიწვია. ინსპექტორმა ნილმა გუნებაში ოთხი უაღრესად მნიშვნელოვანი მიზეზი ჩამოთვალა, თუ რის გამო შეეძლო ჩაეყარა მანქანაზე მბეჭდავთა უფროსს, ერთგულ ქალს თავისი დამქირავებლის ჩაიში დილით საწამლავი, და ოთხივე უარყო, როგორც ნაკლებად შესაძლებელი.

Scanned by CamScanner

ჯერ ერთი, მის გრიფიტი იმ ადამიანს არ ჰგავდა, ვინც სხვის მოწამვლას გაბედავდა; მეორე – თავის უფროსზე შეყვარებული არ იყო; მესამე – ფსიქიკური გაუწონასწორობლობის არაფერი ეტყობოდა; მეოთხე – იმ ქალთა ტიპს არ მიეკუთვნებოდა, გულში წყენას რომ ჩაიდებენ ხოლმე. ამგვარად, მას მხოლოდ სარწმუნო ინფორმაციის მისაღებად თუ გამოიყენებდა.

ინსპექტორმა ნილმა ტელეფონს გახედა – ნებისმიერ წამს ელოდა ზარს სენტ-ჯუდსის საავადმყოფოდან.

ცხადია, ვერც იმას გამორიცხავდა, რომ მისტერ ფორტესქიუს სიკვდილი ბუნებრივ მიზეზს გამოეწვია, მაგრამ დოქტორი აიზექსი ბენტალგრინის კლინიკიდან სხვა აზრისკენ იხრებოდა, ისევე, როგორც სერ ედვინ სენდმენი ჰარლისტრიტიდან.

ინსპექტორმა ნილმა მაგიდის მარცხენა მხარეს ზარის ღილაკს მოჰკრა თვალი, ხელი დააჭირა და მისტერ ფორტესქიუს პირად მდივანს შემოსვლა სთხოვა.

მის გროსვენორს მოესწრო და ჩვეული ფორმა დაებრუნებინა, ოღონდ მხოლოდ ნაწილობრივ. გედის გრაციოზულობისა არაფერი ეტყობოდა. შესვლისთანავე აგრესიულად განაცხადა:

– ეს მე არ ჩამიდენია!

– მართლა? – სასხვათაშორისოდ ჩაიბურტყუნა ინსპექტორმა ნილმა და ქალს იმ სკამზე მიუთითა, რომელზეც იგი ჩვეულებრივ ჯდებოდა ხოლმე და ბლოკნოტში მისტერ ფორტესქიუს მითითებებს იწერდა. მის გროსვენორი უხალისოდ დაჯდა და შეშფოთებულმა შეხედა ინსპექტორ ნილს, რომელმაც თავის ფანტაზიას გასაქანი მისცა: ცდუნება? შანტაჟი? ქერათმიანი ქალი ნაფიც მსაჯულთა წინაშე? ეს და სხვა აზრები გამომძიებელს სიმშვიდით აღავსებდა და მოსულელო გამომეტყველებას აძლევდა.

– ჩაიში ცუდი არაფერი იყო, – თქვა მის გროსვენორმა, – და ვერც იქნებოდა.

– გასაგებია, – მიუგო ინსპექტორმა ნილმა, – თუ შეიძლება, თქვენი ვინაობა და მისამართი მითხარით.

Scanned by CamScanner

– გროსვენორი. აირინ გროსვენორი.

– როგორ იწერება?

– ოჰ, როგორც მოედანი[1].

– მისამართი?

– მასველჰილი, რაშმურროუდის 14.

ინსპექტორმა ნილმა თავი კმაყოფილებით დააქნია.

„ცდუნება გამოირიცხა, – გაიფიქრა მან, – სიყვარულობანაც. რესპექტაბელურ სახლში მშობლებთან ერთად ცხოვრობს. არც შანტაჟია“.

ნაგვის ურნაში საინტერესო ვერსიების მორიგი ულუფა ჩაეშვა.

– მაშასადამე, ჩაი თქვენ მოამზადეთ? – თავაზიანად იკითხა ინსპექტორმა.

– დიახ, ასე გამოვიდა. იმის თქმა მსურს, რომ ეს ჩემი მოვალეობაა.

ინსპექტორმა ნილმა აუჩქარებლად შეიტყო ქალისგან მისტერ ფორტესქიუს დილის ჩაის სმის რიტუალი. ჭიქა, ლამბაქი და ფერის დასაყენებელი ჭურჭელი უკვე გადაეგზავნათ შესაბამის დაწესებულებაში ანალიზის ჩასატარებლად. ინსპექტორმა ნილმა დაადგინა, რომ ჩამოთვლილ ნივთებს, აირინ გროსვენორის გარდა, არავინ შეხებია. ონკანიდანაც მას ჩაესხა წყალი იმ ჩაიდანში, რომლითაც ყველა თანამშრომელი სარგებლობდა.

– თვითონ ჩაი?

– მისტერ ფორტესქიუ საკუთარ, განსაკუთრებულ ჩინურ ჩაის სვამდა. ის ჩემს თაროზეა, ამ კარის იქით მდებარე ოთახში.

ინსპექტორმა ნილმა თავი დააქნია, შაქრის შესახებ იკითხა და გაარკვია, რომ მისტერ ფორტესქიუ ყოველთვის უშაქრო ჩაის მიირთმევდა.

ამ დროს ტელეფონმა დარეკა. ინსპექტორმა ყურმილი აიღო და გამომეტყველება ოდნავ შეეცვალა.

---

[1] *გროსვენორი – მოედანი ლონდონის ცენტრში, სადაც რამდენიმე ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობაა განთავსებული.*

Scanned by CamScanner

– სენტ-ჯუდსია? – იკითხა მან და მის გროსვენორს ანიშნა, რომ თავისუფალი იყო.

– ჯერჯერობით დავასრულეთ, მის გროსვენორ. გმადლობთ.

ქალი აჩქარებით გავიდა კაბინეტიდან. ინსპექტორი ნილი ყურადღებით უსმენდა სენტ-ჯუდსის საავადმყოფოდან სადენებით წამოსულ წრიპინა და უემოციო ხმას, თან მის წინ მოთავსებული ფურცლის კუთხეში ფანქრით რაღაც იდუმალ ნიშნებს ხატავდა.

– ხუთი წუთის წინ გარდაიცვალა? – ჩაეკითხა იგი, მაშინვე მაჯის საათზე დაიხედა და ჩაიწერა: თორმეტი და ორმოცდასამი.

უემოციო ხმამ შეატყობინა, რომ ინსპექტორ ნილთან საუბარი თვით დოქტორ ბერნსდორფს სურდა.

– კარგი, გამოუშვით, – თქვა მან და თავისი უცერემონიობით საკმაოდ შეაცბუნა უცნობი თანამოსაუბრე, რომელიც ექიმის სახელს მონინებით წარმოთქვამდა.

შორიდან ტკაცატკუცი, სიგნალისა და გაუგებარი ლაპარაკის ხმა გაისმა. ინსპექტორი ნილი მოთმინებით ელოდებოდა.

შემდეგ, მოულოდნელად, ვიღაცის ბანმა კინაღამ დააყრუა, ყურმილიც კი მოაცილა ყურს.

– გამარჯობა, ნილ, ბებერო სვავო. კვლავაც გვამებს დასტრიალებ თავს?

ინსპექტორმა ნილმა და პროფესორმა ბერნსდორფმა სენტ-ჯუდსიდან ერთმანეთი დაახლოებით ერთი წლის წინ გაიცნეს მოწამვლის საქმესთან დაკავშირებით და მას შემდეგ მეგობრობდნენ.

– როგორც ვხვდები, ის კაცი მოკვდა, არა?

– დიახ. ჩვენთან დაგვიანებით მოიყვანეს. ველარაფერი მოვუხერხეთ.

– სიკვდილის მიზეზი?

– ეს, ცხადია, გვამის გაკვეთის შემდეგ გვეცოდინება. საინტერესო შემთხვევაა, ძალიან საინტერესო. მიხარია კიდეც, რომ ამ საქმეს შევესწარი.

Scanned by CamScanner

ინსპექტორმა ნილმა ბერნსდორფის მდიდრულ ხმაში პროფესიული აზარტი და დაინტერესება შეამჩნია, რამაც ლოგიკური დასკვნა გააკეთებინა.

– მაშ, შენ ფიქრობ, რომ ეს ბუნებრივი სიკვდილი არ ყოფილა, – ცივად ჩაილაპარაკა მან.

– რომელი ბუნებრივი, დალახვროს ეშმაკმა, – გულიანად წარმოთქვა დოქტორმა ბერნსდორფმა, – ცხადია, ამას არაოფიციალურად გეუბნები, – დაამატა დაგვიანებული სიფრთხილით.

– რასაკვირველია. რასაკვირველია. ყველაფერი გასაგებია. მოწამლეს?

– ეჭვი არ მეპარება. მეტიც, – ცხადია, კვლავაც არაოფიციალურად, – მზად ვარ დავიფიცო, რომ საწამლავის სახეობაც ვიცი.

– მართლა?

– ტოქსინი, ჩემო კარგო, ტოქსინი.

– ტოქსინი? პირველად მესმის.

– ეგ არც მიკვირს. უჩვეულო საწამლავია. ჭკუიდან შეშლის კაცს! ვერაფრით მივხვდებოდი, მაგრამ სამი-ოთხი კვირის წინ მსგავსი შემთხვევა მქონდა. ბავშვებმა თოჯინებით ჩაის სმის წვეულება გაითამაშეს. ურთხლის ხიდან ნაყოფი მოწყვიტეს და ჩაიში ჩაყარეს.

– აქაც იგივეა? ურთხლის ხის ნაყოფი?

– ნაყოფი ან ფოთლები. საშინლად მომწამვლელია. ტოქსინი, ცხადია, ალკალოიდია[1]. თუ სწორად მახსოვს, მაშინ განზრახ არ გამოუყენებიათ. ძალზე საინტერესო და უჩვეულო შემთხვევაა. უნდა გითხრა, რომ ყელში ამომივიდა სარეველებით მკვლელობა. ტოქსინი კი ნამდვილი სიამოვნებაა. არა, შესაძლოა, ვცდები კიდეც, ამიტომ ჯერ ნურაფერს იტყვი, ღვთის გულისთვის, მაგრამ არა მგონია, მეშლებოდეს. ასეთი სიახლე შენც დაგაინტერესებს.

---

[1] *ალკალოიდი – მომწამვლელი ან ნარკოტიკული თვისებების მქონე, ძირითადად, მცენარეული წარმოშობის ორგანული ნივთიერება.*

Scanned by CamScanner

– ყველა დროს ატარებს და მხიარულობს, არა? მსხვერპლის გამოკლებით.

– დიახ, დიახ, საბრალოს არ გაუმართლა, – საკმაოდ უზრუნველად თქვა დოქტორმა ბერნსდორფმა, – ბედი არ ჰქონია.

– სიკვდილის წინ ხომ არ უთქვამს რამე?

– შენი ერთი კაცი მასთან იჯდა და ყველაფერს იწერდა. დაწვრილებით ის გეტყვის. ჩაის ახსენებდა... თითქოს სამსახურში ჩაიში რაღაც ჩაუყარეს... მაგრამ ეს, ცხადია, ბოდვაა და მეტი არაფერი.

– რატომაა ბოდვა? – მკვახედ ჰკითხა ინსპექტორმა ნილმა, რომლის ფანტაზიასაც უკვე მოესწრო ახალი სურათის დახატვა: მომხიბლავი მის გროსვენორი ფერის დასაყენებელ ჩაიდანში ურთხლის ნაყოფს ყრის. თუმცა მან ნამსვე უარყო ეს ვერსია.

– იმიტომ, რომ ეს საწამლავი ასე სწრაფად ვერ იმოქმედებდა. მსხვერპლს მოწამვლის ნიშნები მაშინვე გამოაჩნდა, არა?

– მოწმეები ასე ამბობენ.

– მყისიერი მოქმედების საწამლავი არ არსებობს, რასაკვირველია, ციანიდისა და სუფთა ნიკოტინის გამოკლებით...

– აქ კი ციანიდი და ნიკოტინი არაფერ შუაშია, არა?

– ასეთ შემთხვევაში, ის ჯერ კიდევ სასწრაფო დახმარების მისვლამდე გაჭიმავდა ფეხებს, ჩემო კარგო. არა, ორივე გამორიცხულია. სტრიქნინზე ვიეჭვებდი, მაგრამ მას კრუნჩხვა არ ახასიათებს. ბევრი რომ არ გავაგრძელო, მზად ვარ, ჩემი რეპუტაცია სასწორზე შევაგდო და განვაცხადო, ცხადია, არაოფიციალურად, რომ ეს ტოქსინი იყო.

– რამდენი ხნის შემდეგ იწყებს მოქმედებას?

– გააჩნია. ერთი, ორი ან სამი საათის შემდეგაც კი. განსვენებული, როგორც ჩანს, ჭამის მოყვარული იყო. თუ გვარიანად ისაუზმა, ეს საწამლავის მოქმედებას შეაყოვნებდა.

Scanned by CamScanner

– საუზმე, – ჩაფიქრებული ხმით წარმოთქვა ინსპექტორმა ნილმა, – ესეც სრულიად შესაძლებელია.

– ბორჯიას[1] მიერ გამოგზავნილი საუზმე, – მხიარულად გაიცინა დოქტორმა ბერნსდორფმა, – აბა, მეგობარო, ილბლიან ნადირობას გისურვებ.

– გმადლობ, ექიმო. თუ შეიძლება, ჩემს სერჟანტს დამალაპარაკე.

კვლავ გაისმა ტკაცატკუცი, შორეული სიგნალები და გაუგებარი სიტყვები. შემდეგ ყურმილი თითქოს ნაწყვეტ-ნაწყვეტმა სუნთქვამ შეავსო – ყოველთვის ასე ხდებოდა, როდესაც სერჟანტი ჰეი რამის თქმას აპირებდა.

– სერ, – წარმოთქვა მან შეშფოთებული ხმით, – სერ.

– ნილი ვარ. განსვენებულს სიკვდილის წინ მნიშვნელოვანი არაფერი უთქვამს?

– თქვა, რომ ყველაფერი ჩაის ბრალი იყო, რომელიც საკუთარ კაბინეტში დალია. მაგრამ ექიმი ამბობს, რომ...

– ეს უკვე ვიცი. მეტი არაფერი?

– არა, სერ. თუმცა რაღაც უცნაურად მომეჩვენა. მას კოსტიუმი ეცვა... ჯიბეები გავუსინჯე. ყველაფერი დავათვალიერე: ცხვირსახოცი, გასაღები, მონეტები, საფულე... და აი, ეს... ძალზე უცნაურია... პიჯაკის მარჯვენა ჯიბეში ბურღული აღმოვაჩინე.

– ბურღული?

– დიახ, სერ.

– რას ნიშნავს „ბურღული“? სწრაფი კვების პროდუქტს გულისხმობ? „ფერმერის საუზმეს“ ან მისთანებს? თუ სიმინდის ან ქერის მარცვლებს?

– მართალს ბრძანებთ, სერ. მარცვლებს. ჭვავისას მივამსგავსე. საკმაოდ ბევრი ეყარა.

– გასაგებია... ჰო-ო, მართლა უცნაურია... იქნებ ნიმუშად ჰქონდა რაღაც გარიგებასთან დაკავშირებით.

---

[1] *ბორჯია – ესპანური წარმოშობის იტალიელ დიდგვაროვანთა ოჯახი, რომლის წარმომადგენლებიც ხშირად იყენებდნენ სანამლავს თავიანთ პოლიტიკურ თუ პირად მტრებთან ბრძოლაში.*

Scanned by CamScanner

– ალბათ, სერ... მაგრამ საჭიროდ მივიჩნიე, რომ მაინც მეთქვა.

– სწორად მოიქეცით, ჰეი.

ინსპექტორმა ნილმა ყურმილი დადო. ერთხანს გაუნძრევლად იჯდა და წინ იყურებოდა. წესრიგს მიჩვეული მისი გონება გამოძიების ერთი ფაზიდან მეორეზე გადაერთო. თუ აქამდე მხოლოდ ეჭვობდა, რომ საქმე მონამვლასთან ჰქონდა, ახლა ამაში ეჭვი აღარ ეპარებოდა. პროფესორი ბერნსდორფი, ცხადია, არაოფიციალურად ლაპარაკობდა, მაგრამ შეცდომას გამორიცხავდა. დიახ, რექს ფორტესქიუ მონამლეს და საწამლავი სიმპტომების გამოვლენამდე ორი-სამი საათით ადრე მისცეს. მაშასადამე, მის თანამშრომლებს ამასთან, როგორც ჩანს, საერთო არაფერი ჰქონდათ.

ნილი წამოდგა და მისაღებში გავიდა. ქალები მუშაობას განაგრძობდნენ, თუმცა საბეჭდი მანქანები შენელებულად კაკუნებდნენ.

– მის გრიფიტ? შეიძლება, კიდევ დაგელაპარაკოთ?

– რა თქმა უნდა, მისტერ ნილ. წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, გოგონები ლანჩზე რომ წავიდნენ. კარგა ხანია, შესვენების დრო გავიდა. თუ გირჩევნიათ, რომ აქ დარჩნენ, მაშინ მათთვის საჭმელს მოვატანინებ.

– არა, არა, წავიდნენ. მაგრამ აუცილებლად დაბრუნდნენ.

– რასაკვირველია.

მის გრიფიტი ნილს კაბინეტში გაჰყვა, დაჯდა და მისთვის დამახასიათებელი საქმიანი გამომეტყველება მიიღო.

ინსპექტორმა ნილმა შესავლის გარეშე დაიწყო:

– ახლახან სენტ-ჯუდსის საავადმყოფოდან დამირეკეს. მისტერ ფორტესქიუ თორმეტ საათსა და ორმოცდასამ წუთზე გარდაიცვალა.

მის გრიფიტს წარბიც არ შეუხრია, მხოლოდ თავი დააქნია.

– ვხვდებოდი, რომ ძალიან ცუდად იყო, – თქვა მან.

ნილმა დააფიქსირა, რომ ქალი სულაც არ ჩანდა შეწუხებული.

– გარდაცვლილის სახლისა და ოჯახის შესახებ ხომ ვერ მომიყვებოდით?

Scanned by CamScanner

– რასაკვირველია. უკვე ვცადე მისის ფორტესქიუსთან დაკავშირება, მაგრამ, როგორც ჩანს, გოლფის სათამაშოდ წავიდა. სადილამდე შინ არ იქნება. არც ისაა ცნობილი, რომელ მოედანზე იმყოფება, – თქვა მის გრიფიტმა და განმარტებისთვის დაამატა: – ისინი ბეიდონჰითში ცხოვრობენ, მათ გვერდით გოლფის სათამაშო სამი საუცხოო მოედანია.

ინსპექტორმა ნილმა თავი დაუქნია. ბეიდონჰითში შეძლებული ხალხი ცხოვრობდა. ეს ადგილი ლონდონიდან ოცი მილის დაშორებით მდებარეობდა. იქამდე კომფორტული მატარებლითაც შეიძლებოდა მისვლა და ავტომობილითაც, თუნდაც დილისა და საღამოს პიკის საათებში.

– თუ შეიძლება, ზუსტი მისამართი და ტელეფონის ნომერი მითხარით.

– ბეიდონჰითი 3400. მათ საცხოვრებელს „ურთხლის ქოხი“ ჰქვია.

– რა? – უნებურად წამოსცდა ინსპექტორ ნილს, – „ურთხლის ქოხი“ თქვით?

– დიახ.

მის გრიფიტს თვალებში ცნობისმოყვარეობა გაუკრთა, მაგრამ ინსპექტორმა ნილმა თავი ხელში აიყვანა.

– ახლა კი ოჯახის შესახებ მიამბეთ.

– მისის ფორტესქიუ მისი მეორე ცოლია. ქმარზე გაცილებით ახალგაზრდაა. ორი წლის წინ იქორწინეს. პირველი მისის ფორტესქიუ ადრე გარდაიცვალა. ამ ქორწინებიდან გოგონა და ორი ვაჟი დარჩათ. ქალიშვილი მის სახლში ცხოვრობს, ისევე, როგორც უფროსი ვაჟიშვილი, რომელიც, იმავდროულად, ფირმის თანამფლობელიცაა. სამწუხაროდ, ამჟამად აქ არ არის, ჩრდილოეთ ინგლისში იმყოფება რაღაც საქმეზე. ხვალ უნდა დაბრუნდეს.

– როდის გაემგზავრა?

– გუშინწინ.

– მასთან დაკავშირება ხომ არ გიცდიათ?

– ვცადე. როგორც კი მისტერ ფორტესქიუ საავადმყოფოში წაიყვანეს, მანჩესტერში, სასტუმრო „მიდლენდ-

Scanned by CamScanner

ში" დავრეკე. მეგონა, იქ იქნებოდა, მაგრამ დღეს დილით ამოწერილა. შეფილდსა და ლესტერში აპირებდა ჩასვლას, თუმცა ეს დაუზუსტებელი ინფორმაციაა. სამაგიეროდ, ამ ქალაქებში მდებარე იმ ფირმების ჩამოთვლა შემიძლია, რომლებსაც შესაძლოა, სწვეოდა.

„საქმიანი ქალია, – გაიფიქრა ინსპექტორმა, – მკვლელობა რომ განეზრახა, იმასაც, ალბათ, საქმიანად, ეფექტიანად განახორციელებდა". მან ეს ფიქრები თავიდან ამოიგდო და კვლავ ფორტესქიუთა ოჯახს მიუბრუნდა.

– თქვენ მეორე ვაჟიც ახსენეთ. მასზე რა იცით?

– მას და მამამისს ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება ჰქონდათ. საზღვარგარეთ ცხოვრობს.

– ორივე ვაჟიშვილი ცოლიანია?

– დიახ. მისტერ პერსივალი სამი წლის წინ დაქორწინდა. მეუღლესთან ერთად „ურთხლის ქოხის" ცალკე ფრთაში ცხოვრობს, თუმცა მალე საკუთარ სახლში აპირებენ გადასვლას იქვე, ბეიდონჰითში.

– დილით ვერც მისის პერსივალ ფორტესქიუსთან მოახერხეთ დაკავშირება?

– იგი ერთი დღით ლონდონიდან გაემგზავრა. მისტერ ლანსელოტი კი, – განაგრძო მის გრიფიტმა, – ერთი წელიც არაა, რაც დაქორწინდა. ლორდ ფრედერიკ ენსტისის ქვრივზე, რომლის ფოტოსურათიც, ვფიქრობ, ნანახი გექნებათ. „თეთლერში" – ცხენების გვერდით, და სტიპლჩეიზთან[1] დაკავშირებითაც.

მის გრიფიტს სუნთქვა ოდნავ აუჩქარდა და ლოყები შეეფაკლა. ნილი, რომელიც ყოველთვის მშვენივრად გრძნობდა თანამოსაუბრის განწყობილებას, მიხვდა, რომ ამ ქორწინებას ქალის სულში ყველაზე სნობური და რომანტიკული სიმები შეერხია. მის გრიფიტის თვალში არისტოკრატი მუდამ არისტოკრატად რჩებოდა, თითქოს არც იცო-

---

[1] *სტიპლჩეიზი – რბენა ან დოღი გრძელ დისტანციაზე დაბრკოლებათა გადალახვით.*

Scanned by CamScanner

და, რომ სპორტულ წრეებში ლორდ ფრედერიკ ენსტისი ცუდი რეპუტაციით სარგებლობდა. ფრედი ენსტისმა შუბლში ტყვია იკრა, როდესაც სტიუარდებმა მომეტებული ინტერესი გამოამჟღავნეს მისი ერთ-ერთი ცხენის მიმართ. ნილს ენსტისის მეუღლის შესახებაც გაახსენდა ზოგიერთი რამ, კერძოდ ის, რომ ირლანდიელი პერის ქალიშვილი და ბრიტანეთისთვის ბრძოლაში დაღუპული სამხედრო მფრინავის ცოლი იყო.

ახლა კი, როგორც ჩანს, ქალმა გადაწყვიტა, თავისი ბედი ფორტესქიუს ოჯახის გზააბნეულ ცხვართან დაეკავშირებინა, რომელსაც, მის გრიფიტის მკაცრი განცხადებით, მამასთან უთანხმოება მოუვიდა, რაც, ალბათ, ახალგაზრდა ლანსელოტ ფორტესქიუს კარიერაში მომხდარ სამარცხვინო ინციდენტს გულისხმობდა.

ლანსელოტ ფორტესქიუ! რა სახელია! მეორე ვაჟს რა ჰქვია... პერსივალი? ნეტავ პირველი მისის ფორტესქიუ როგორ გამოიყურებოდა? უცნაური ქრისტიანული სახელების დარქმევა ჰყვარებია...

მან ტელეფონი მიიჩოჩა, სატელეფონო სადგურში დარეკა და სთხოვა, რომ ბეიდონჰით 3400-თან დაეკავშირებინათ.

მალე მამაკაცის ხმამ წარმოთქვა:

– ბეიდონჰით 3400 გისმენთ.

– მისის ან მის ფორტესქიუსთან მსურს საუბარი.

– მაპატიეთ, მაგრამ შინ არ არიან. არც ერთი მათგანი.

ინსპექტორი ნილი მაშინვე მიხვდა, რომ ნასვამ კაცს ელაპარაკებოდა.

– თქვენ მსახურთუფროსი ხართ?

– დიახ.

– მისტერ ფორტესქიუ ავად გახდა. ძალზე სერიოზული ავადმყოფობაა.

– ვიცი. აქ უკვე დარეკეს. მაგრამ მე არაფერი შემიძლია. მისტერ ვალი ჩრდილოეთში გაემგზავრა, მისის ფორტესქიუ გოლფს თამაშობს. მისის ვალი ამჟამად ლონდონშია

Scanned by CamScanner

და შინ მხოლოდ საღამოს იქნება. არც მის ელეინია – თავის სკაუტებთანაა.

– ვისთან შემიძლია საუბარი მისტერ ფორტესქიუს ავადმყოფობასთან დაკავშირებით? ნუთუ სახლში არავინაა? ეს უაღრესად მნიშვნელოვანია.

– ე-ე... არ ვიცი, – დაეჭვებით ჩაიბურტყუნა მსახურთუფროსმა, – მის რემსბოთომია, თუმცა ის ტელეფონთან არასდროს მიდის. კიდევ მის დოუვია, ასე ვთქვათ, ეკონომი.

– თუ შეიძლება, ტელეფონთან სთხოვეთ.

– წავალ, მოვძებნი.

ყურმილში მიმავალი ნაბიჯების ხმა გაისმა. ერთი-ორი წუთის შემდეგ ინსპექტორ ნილს ქალმა უპასუხა:

– მის დოუვი გისმენთ.

დაბალი ხმა იყო, კარგად დაყენებული, მკაფიო დიქციით. ინსპექტორი ნილი მაშინვე კეთილად განეწყო მის დოუვის მიმართ.

– ძალიან ვწუხვარ, მის დოუვ, რომ ეს ამბავი უნდა გამცნოთ. ცოტა ხნის წინ სენტ-ჯუდსის საავადმყოფოში მისტერ ფორტესქიუ გარდაიცვალა. სამსახურში ყოფნისას უეცრად ცუდად გახდა. მინდა, სასწრაფოდ დავუკავშირდე მის ნათესავებს...

– რა თქმა უნდა... მე არაფერი ვიცოდი, – ქალი გაჩუმდა. მისი ხმა თანაბრად ჟღერდა, თუმცა, ეტყობოდა, რომ შეძრწუნებული იყო. ცოტა ხნის შემდეგ კი განაგრძო: – რა უბედურებაა. მისტერ პერსივალ ფორტესქიუს უნდა დაელაპარაკოთ. ყველა აუცილებელ განკარგულებას ის გასცემს. შეგიძლიათ, მანჩესტერის სასტუმრო „მიდლენდში“ ან ლესტერის სასტუმრო „გრანდში“ დაუკავშირდეთ. ანდა ლესტერის ფირმაში, სახელწოდებით „Sirer end bonds ov lester“. მათი ტელეფონის ნომრები არა მაქვს, მაგრამ ვიცი, რომ მათთან დარეკვას აპირებდა. მათ ეცოდინებათ მისი ადგილსამყოფელი. მისის ფორტესქიუ სადილისთვის აუცილებლად დაბრუნდება, შესაძლებელია, ჩაისაც[1] მო-

[1] *ინგლისელები ჩაის, ტრადიციულად, საღამოს 5 საათზე მიირთმევენ, სადილს კი – 7-8 საათისთვის.*

Scanned by CamScanner

უსწროს. ეს მისთვის საშინელი დარტყმა იქნება. ყველაფერი მოულოდნელად მოხდა? დილით, სახლიდან გასვლისას, მისტერ ფორტესქიუ თავს კარგად გრძნობდა.

– წასვლის წინ ნახეთ?

– დიახ. რა დაემართა? გული?

– ადრე გული აწუხებდა?

– არა... არა... არა მგონია... გავიფიქრე, რახან ასე მოულოდნელად... – იგი გაჩუმდა, – საავადმყოფოდან რეკავთ? ექიმი ხართ?

– არა, მის დოუვ, ექიმი არ ვარ. ქალაქიდან გესაუბრებით, მისტერ ფორტესქიუს კაბინეტიდან. დეტექტივ-ინსპექტორი გახლავართ სისხლისსამართლებრივი სამძებროს დეპარტამენტიდან და ახლა თქვენკენ მოვემართები.

– დეტექტივ-ინსპექტორი? იმას გულისხმობთ, რომ... ამით რისი თქმა გსურთ?

– იგი უეცრად გარდაიცვალა, მის დოუვ. უეცარი სიკვდილის შემთხვევაში კი ჩვენ გვიძახებენ, განსაკუთრებით მაშინ, თუ გარდაცვლილი ექიმს იშვიათად მიმართავდა, ისევე, როგორც მისტერ ფორტესქიუ, თუ არ ვცდები.

ინსპექტორმა ნილმა მხოლოდ ოდნავ მიანიშნა, რომ ეს საკითხი აინტერესებდა, მაგრამ ახალგაზრდა ქალმა მაშინვე უპასუხა:

-- დიახ, ვიცი. პერსივალმა მას ორჯერ დაუნიშნა ექიმთან შეხვედრა, მაგრამ მისტერ ფორტესქიუ არ წავიდა. საერთოდ, იგი არავის უსმენდა, თუმცა ყველანი ძალიან წუხდნენ...

იგი გაჩუმდა, შემდეგ კი კვლავაც თავდაჯერებული კილოთი ალაპარაკდა:

– თუ მისის ფორტესქიუ თქვენს მოსვლამდე დაბრუნდა, რა გადავცე?

„კარგად გაუწვრთნიათ", – გაიფიქრა ინსპექტორმა ნილმა, ხმამაღლა კი თქვა:

– გადაეცით, რომ უეცარი გარდაცვალების გამო მცირე გამოძიებას ვატარებთ. უბრალო ფორმალობაა.

მან ყურმილი დადო.

Scanned by CamScanner

თავი მესამე

ნილმა ტელეფონი განზე გასნია და მის გრიფიტს მკაცრად შეხედა.

– როგორც ჩანს, მისტერ ფორტესქიუს ჯანმრთელობის მდგომარეობა ოჯახის წევრებს ბოლო დროს ძალიან აწუხებდათ, – თქვა მან, – ექიმთან მიყვანა სურდათ. ჩემთვის ეს არ გითქვამთ.

– ამაზე აღარ დავფიქრებულვარ, – მიუგო მის გრიფიტმა და დაამატა: – ავადმყოფად არ აღვიქვამდი...

– ავადმყოფად არ აღიქვამდით... აბა, რად აღიქვამდით?

– როგორ გითხრათ, ოდნავ უცნაური მეჩვენებოდა. საკუთარ თავს არ ჰგავდა. რაღაც ემართებოდა.

– რა აწუხებდა?

– არა, არა. ის კი არა, ჩვენ ვწუხდით.

ინსპექტორი ნილი მოთმინებით ელოდებოდა.

– ეს რთული ასახსნელია, – მის გრიფიტი დაფიქრდა, – ჭირვეულობდა. ზოგჯერ პატარა ბავშვს ემსგავსებოდა. ერთი-ორჯერ, რომ არ დაგიმალოთ, გვარიანად ნასვამიც კი მომეჩვენა... ტრაბახობდა, რაღაც ზღაპრებს იგონებდა, რომლებსაც არასდროს ვიჯერებდი. ამდენი წელია აქ ვმუშაობ და თავის საქმეებზე სიტყვა არასდროს დაუძრავს, ყოველ შემთხვევაში, ზედმეტს არაფერს ამბობდა ხოლმე. ბოლო დროს საკმაოდ შეიცვალა, ექსპანსიური, კატეგორიული მოქმედება დასჩემდა, ფულის ფანტვაც დაიწყო. საკუთარ თავს აღარ ჰგავდა. მაგალითად, როდესაც ჩვენს კურიერს ბებია მოუკვდა, მისტერ ფორტესქიუმ გამოიძახა, ხუთი გირვანქა მისცა და უბრძანა, მეორე ფავორიტზე დაედო, თვითონ კი სიცილისგან ლამის ჩაბჟირდა. ერთი სიტყვით, ისეთი აღარ იყო, როგორიც ყოველთვის. აი, სულ ეს არის, რისი თქმაც შემიძლია.

– იქნებ რამე ჩაიფიქრა?

– კონკრეტულად ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ თითქოს რაღაც სასიამოვნოს... ამაღელვებელს მოელოდა.

Scanned by CamScanner

– ვთქვათ, მსხვილი გარიგების იმედი ჰქონდა?

მის გრიფიტმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

– დიახ... დიახ... უფრო მეტისაც, ვიდრე მეგონა. ყოველდღიური საქმეები გულთან ახლოს არ მიჰქონდა. ერთთავად აღელვებული ჩანდა. ამასთან, საქმიანი ვიზიტით საკმაოდ უცნაური ხალხი აკითხავდა. ადრე ისინი არასდროს მინახავს. ამის გამო მისტერ პერსივალი ძალიან წუხდა.

– მართლა?

– დიახ. მისტერ პერსივალს მამამისი ყოველთვის ენდობოდა, მისი იმედი ჰქონდა. ბოლო დროს კი...

– ბოლო დროს ურთიერთობა გაუფუჭდათ.

– დიახ, ბევრი რამ, რასაც მისტერ ფორტესქიუ აკეთებდა, მისტერ პერსივალს არაგონივრულად მიაჩნდა. მისტერ პერსივალი ძალზე ფრთხილი და კეთილგონიერი ადამიანია. უეცრად მამამისმა მისი აზრის გათვალისწინება შეწყვიტა, რამაც მისტერ პერსივალი ფრიად გაანაწყენა.

– ხომ არ უჩხუბიათ კიდეც? – ნიადაგი მოსინჯა ინსპექტორმა ნილმა.

– ჩხუბის რა მოგახსენოთ, მაგრამ... ვაცნობიერებდი, რომ ადამიანი აშკარად შეიცვალა... ყვირილს დაეჩვია.

– მაშასადამე, ყვირილს დაეჩვია? რას იძახდა?

– ერთხელ მანქანაზე მბეჭდავი ქალების ოთახში შევიდა...

– და ყველამ გაიგონეთ?

– დიახ.

– პერსივალს ცუდად მიმართავდა? შეურაცხყოფდა? ლანძღავდა? რომელი გაკეთებული საქმე არ მოუწონა?

– პირიქით, მისტერ პერსივალს არაფერი გაუკეთებია. მამამისმა მას საცოდავი, არაფრის მაქნისი პატარა კლერკი უწოდა, რომელსაც პერსპექტივა არ ჰქონდა, გაქანება აკლდა, დიდი საქმის კეთება არ შეეძლო. ასე თქვა: „ისევ ლანსს უნდა დავუძახო. ის ათ შენნაირს უდრის... წარმატებითაც იქორწინა. ლანსს ნებისყოფა აქვს, თუმცა ერთხელ კანონის წინააღმდეგ წასვლაც გარისკა...“ ოჰ, ღმერთო ჩემო, მგონი, ზედმეტი წამომცდა!

Scanned by CamScanner

მისის გრიფიტი მიხვდა, რომ შეტოპა, როგორც ეს ბევრ სხვასაც ემართებოდა, ვინც გამოცდილი ინსპექტორ ნილის ხელში ხვდებოდა, გონს მოეგო და საშინლად შეცბა.

– ნუ ღელავთ, – დაამშვიდა ინსპექტორმა ნილმა, – წარსული წარსულში დარჩა.

– დიახ, ეს ძველი ამბავია. მაშინ მისტერ ლანსი ახალგაზრდა და პატივმოყვარე იყო და საკუთარ საქციელს ანგარიშს ყოველთვის არ უნევდა.

ინსპექტორ ნილს მსგავსი თვალსაზრისი არაერთხელ მოესმინა და მას არ ეთანხმებოდა. მიუხედავად ამისა, წარსულს თავი მიანება და აწმყოზე გადაერთო.

– ახლა კი ცოტა მეტი მიამბეთ აქაური თანამშრომლების შესახებ.

მის გრიფიტს საკუთარი წინდაუხედაობის სწრაფად დავიწყება სურდა, ამიტომ ქადაგად დავარდა და ინსპექტორ ნილს უამრავი ინფორმაცია მიაწოდა. ინსპექტორმა მადლობა გადაუხადა და სთხოვა, რომ ახლა კვლავ მის გროსვენორი მოეწვია.

დეტექტივ-კონსტებლმა უეითმა ფანქარი წამახა და შურით შეავლო თვალი მდიდრულ კაბინეტს, უზარმაზარ სავარძლებს, გიგანტურ მაგიდასა და რბილ განათებას.

– სახელებიც როგორი დიდებული შეურჩევიათ, – თქვა მან, – გროსვენორი ჰერცოგინიას მაგონებს, არც ფორტესქიუა ნაკლები.

ინსპექტორ ნილს გაეღიმა.

– მამამისი ფორტესქიუ არ ყოფილა. მისი ნამდვილი გვარი ფონტესკუა, ცენტრალური ევროპის რომელიღაც ქვეყნიდანაა. როგორც ჩანს, ჟღერადობით ფორტესქიუ ამჯობინა.

კონსტებლმა უეითმა უფროს ოფიცერს აღფრთოვანებით შეხედა.

– მაშასადამე, მის შესახებ ყველაფერი იცით?

– უბრალოდ, აქ წამოსვლამდე ცნობები შევკრიბე.

– ნასამართლევიც ხომ არ არის?

Scanned by CamScanner

– ოჰ, არა. მისტერ ფორტესქიუ საკმაოდ ჭკვიანი კაცი იყო. „შავ" ბაზართან კავშირი ჰქონდა, რამდენიმე, რბილად რომ ვთქვათ, საეჭვო საქმეც გააიმასქნა, მაგრამ კანონი არ დაურღვევია.

– გასაგებია, – თქვა უეითმა, – მაგრამ კარგი ადამიანი მაინც არ ეთქმის.

– მე უფრო მარჯვეს ვუწოდებდი, – განაცხადა ნილმა, – თუმცა მის წინააღმდეგ არაფერი გვაქვს. საგადასახადო სამმართველო დიდხანს ნადირობდა მასზე, მაგრამ ის მათთვის ძალზე ჭკვიანი აღმოჩნდა. შეიძლება ითქვას, რომ განსვენებული მისტერ ფორტესქიუ ნამდვილი ფინანსური გენიოსი იყო.

– ალბათ, მტრებიც ეყოლებოდა, არა? – კონსტებლ უეითის ხმაში იმედი გაკრთა.

– დიახ, ეჭვგარეშეა. მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ იგი შინ მოწამლეს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი პირი უჩანს. უნდა გითხრათ, უეით, რომ რაღაც გამოიკვეთა. ძველებური, ძალზე ნაცნობი სურათი. აქეთ კარგი შვილი – პერსივალი, იქით ცუდი შვილი – ლანსი, ქალების გულთამპყრობელი. აგრეთვე ქმარზე გაცილებით ახალგაზრდა ცოლი, რომელიც გაურკვევლად პასუხობს, თუ რომელ მოედანზე აპირებს გოლფის თამაშს. დიახ, ეს ყველაფერი ძალზე ნაცნობია. მხოლოდ ერთი რამ არ ესადაგება ამ ყველაფერს.

– რა? – იკითხა კონსტებლმა უეითმა, მაგრამ ამ დროს კარი გაიღო და ზღურბლზე მის გროსვენორი გამოჩნდა, რომელსაც ძველი თავშეკავებულობა დაჰბრუნებოდა. იგი შემოვიდა და მედიდურად წარმოთქვა:

– ჩემი ნახვა გსურდათ?

– რამდენიმე შეკითხვის დასმა მინდოდა თქვენი დამქირავებლის, უფრო ზუსტად, ყოფილი დამქირავებლის შესახებ.

– საბრალო, – გაუბედავად ჩაილაპარაკა მის გროსვენორმა.

– მაინტერესებს, მასში ბოლო დროს რამე ცვლილება ხომ არ შეგიმჩნევიათ?

Scanned by CamScanner

– დიახ, რა თქმა უნდა, შევამჩნიე.

– მაინც რა?

– რთული სათქმელია... ზოგჯერ რაღაც სისულელის თქმას იწყებდა. მისი ნათქვამის ნახევარსაც არ ვიჯერებდი. უცებ აფეთქდება ხოლმე, განსაკუთრებით მისტერ პერსივალთან ურთიერთობისას. ცხადია, ჩემთან არა, ვინაიდან არასდროს ვეკამათები, „კარგი, მისტერ ფორტესქიუ", – ვეუბნები ყოველ უცნაურ გამოხდომაზე, უფრო სწორად, ვეთანხმებოდი.

– ნუთუ მას არასდროს უცდია... ასე ვთქვათ... თქვენთან არშიყი?

– არა, მსგავსი რამ მართლა არ მომხდარა, – საკმაოდ სევდიანად წარმოთქვა მის გროსვენორმა.

– კიდევ ერთი შეკითხვა, მის გროსვენორ. მისტერ ფორტესქიუს ჯიბით მარცვლეულის ტარება ხომ არ ახასიათებდა?

ამ შეკითხვამ მის გროსვენორი აშკარად გააოცა.

– მარცვლეულის? ჯიბით? მტრედების გამოსაკვებად ან რაღაც მსგავსი მიზნით?

– შესაძლოა, ამ მიზნითაც.

– არა, დარწმუნებული ვარ, ამას არასდროს გააკეთებდა. მისტერ ფორტესქიუ? მტრედების გამოსაკვებად? არა, რა თქმა უნდა.

– იქნებ, რაღაც მიზეზით აღმოაჩნდა დღეს ჯიბეში ქერის თუ ჭვავის მარცვლები? ვთქვათ, როგორც პროდუქციის ნიმუში. შესაძლოა, გარიგება დადო მარცვლეულთან დაკავშირებით?

– არა, დღეს მენავთობეები უნდა მოვიდნენ ფირმა „აზიური ნავთობიდან" და „ატიკუს ბილდინგის" პრეზიდენტი... მეტი არავინ.

– რა გაეწყობა, – ნილმა ხელები გაშალა და მის გროსვენორს მიანიშნა, რომ საუბარი დასრულდა და წასვლა შეეძლო.

– რა საუცხოო ფეხები აქვს, – ამოიოხრა კონსტებლმა უეითმა, – და უმაღლესი კლასის ნეილონის წინდები...

Scanned by CamScanner

– მისი ფეხები ვერაფერში დამეხმარა, – თქვა ინსპექტორმა ნილმა, – რაც ვიცოდი, ისევ ის ვიცი. კვლავაც ვერ მივმხვდარვარ, რას უნდა ნიშნავდეს ჭვავით სავსე ჯიბე.

თავი მეოთხე

მერი დოუვი კიბეზე ჩადიოდა. უეცრად შეჩერდა და დიდი ფანჯრიდან გარეთ გაიხედა. გაჩერებული ავტომანქანიდან ორი მამაკაცი გადმოვიდა. უფრო მაღალი ნამით სახლისკენ ზურგით შეტრიალდა და არემარეს თვალი მოავლო. მერი დოუვი ჩაფიქრებული სახით მისჩერებოდა მათ. ეს ინსპექტორი ნილი უნდა ყოფილიყო თავის თანაშემწესთან ერთად.

ფანჯარას მოსცილდა და საკუთარი თავი კიბის მოსახვევთან კედელზე ჩამოკიდებულ მასიურ სარკეში თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა. იქიდან სუსტი, ხაზგასმით მონესრიგებული ქალი შემოსცქეროდა, მონაცრისფრო-ჩალისფერ კაბაზე თოვლივით ქათქათა საყელო და მანჟეტები ეკეთა. მუქი თმა შუაზე გაეყო ორ მბზინავ ტალღად და ერთიან კვანძად კეფისკენ გადაეჭიმა... ტუჩებზე ღია ვარდისფერი პომადა წაესვა.

მერი დოუვი საკუთარი გარეგნობით კმაყოფილი დარჩა. ქვევით გაემართა. სახეზე მსუბუქი ღიმილი დასთამაშებდა.

ამასობაში ინსპექტორი ნილი სახლს ათვალიერებდა და თავისთვის ფიქრობდა:

„კარგი ქოხი კი არის! ურთხლის ქოხი! ოჰ, როგორი პირფერები არიან ეს მდიდრები!“ ამ სახლს იგი, ინსპექტორი ნილი, სასახლეს უფრო უწოდებდა. მშვენივრად იცოდა, ქოხი რა იყო. თვითონ სწორედ ქოხში გაიზარდა! ჰართინგტონპარკის ჭიშკართან, ნეოკლასიციზმის სტილის უშველებელი, ოცდაცხრასაძინებლიანი სახლის სიახლოვეს, რომელიც მოგვიანებით ნაციონალური ფონდის[1] ხელში

[1] *ნაციონალური ფონდი – ისტორიულ ძეგლთა და ღირსშესანიშნაობათა დაცვის ორგანიზაცია, რომელიც, ძირითადად, ნებაყოფლობითი შემოწირულობებით ფინანსდება.*

Scanned by CamScanner

გადავიდა. პატარა ქოხი გარედან მიმზიდველადაც კი გამოიყურებოდა, თუმცა შიგნით ნესტიანი, მოუხერხებელი და ნახევრად ცარიელი იყო და სანიტარიის ელემენტარულ ნორმებსაც ვერ აკმაყოფილებდა. საბედნიეროდ, ინსპექტორ ნილის მშობლებს ამგვარი ვითარება სრულიად ბუნებრივად და სამართლიანადაც კი მიაჩნდათ. ქირას არ იხდიდნენ, თანაც მხოლოდ ჭიშკრის გაღება-დახურვა ევალებოდათ საჭიროების შემთხვევაში. ახლომახლო მრავალ კურდღელს დაედო ბინა, ზოგჯერ კი მათ ქვაბში ხოხობიც აღმოჩნდებოდა ხოლმე. მისის ნილს არასდროს ჰქონია ელექტროუთო, სამზარეულოს ელექტროქურა, საშრობი კარადა, ონკანიდან წამოსული ცივი და ცხელი წყალი და შუქიც კი, რომელიც ჩამრთველზე თითის მიჭერით ინთებოდა. ზამთარში ნილების ოჯახი ნავთის ლამპას იყენებდა, ზაფხულში კი, დაბნელდებოდა თუ არა, დასაძინებლად წვებოდა. ჯანმრთელი, ბედნიერი, ცივილიზაციას უსაშველოდ ჩამორჩენილი ადამიანები იყვნენ.

ასე რომ, როდესაც ინსპექტორ ნილს სიტყვა „ქოხი" მოესმა, მასში ბავშვობის მოგონებებმა გაიღვიძა. მაგრამ ეს სახლი, რომელსაც პრეტენზიულად „ურთხლის ქოხს" ეძახდნენ, იმ სასახლეს ჰგავდა, მდიდრები რომ აშენებენ, შემდეგ კი ამბობენ, სოფელში ჩვენი პატარა კუთხე გვაქვსო. თუმცა ინსპექტორ ნილის აზრით, ეს არც სოფელი იყო. უზარმაზარი, მყარი, ნითელი აგურით აგებული შენობა სიმაღლის ნაცვლად, სიგრძეში გაეჭიმათ. ურიცხვი ფრონტონი მოჩანდა, ფანჯრებში პატარ-პატარა, ტყვიის ზოლებით გადაბმული შუშის ნატეხები ჩაესვათ. ხელოვნური ბაღები გაეშენებინათ, ვარდები გაემრავლებინათ, ფანჩატურები აეგოთ და მომცრო ზომის აუზები გაეკეთებინათ. ულამრავი, კოხტად შეკრეჭილი ურთხლის ხე ცოცხალ ღობეს ქმნიდა და სრულად ამართლებდა სახლის სახელწოდებას.

ვინმეს ტოქსინისთვის ნედლეული რომ დასჭირვებოდა, საკმარისზე მეტ ურთხელს აღმოაჩენდა. მარჯვნივ, ვარდების ყვავილნარის მიღმა, ნამდვილი ბუნება შემონა-

Scanned by CamScanner

ხულიყო – ისეთი უზარმაზარი ურთხელი იზრდებოდა, როგორსაც ეკლესიის ეზოში შეხვდებით, ტოტებით ბოძკინტებს ეყრდნობოდა – ტყის სამეფოს მოსე გეგონებოდათ. „ეს ხე, – გაიფიქრა ინსპექტორმა ნილმა, – ალბათ, ჯერ კიდევ მანამდე იდგა, სანამ წითელაგურებიანი სახლები მომრავლდებოდა. მხოლოდ ჩემი ბავშვობისას გაჩნდა გოლფის სათამაშო მოედნები, პოპულარული არქიტექტორები მდიდარ კლიენტებს აქეთ-იქით დაატარებდნენ და ამა თუ იმ ნაკვეთის უპირატესობას უმტკიცებდნენ. მაგრამ ვინაიდან სწორედ აქ გაიდგა ფესვები ამ ანტიკვარიატმა, ხელი აღარ ახლეს, პეიზაჟის ნაწილად აქციეს და ახალ საცხოვრებელს მისი სახელიც უწოდეს – „ურთხლის ქოხი“. იქნებ სწორედ ამ ხის ნაყოფი“...

ინსპექტორმა ნილმა უსარგებლო ფიქრები თავიდან მოიცილა. ჯობდა, საქმისთვის მოეკიდა ხელი. იგი ზარის ღილაკს დააწვა.

კარი დაუყოვნებლივ გააღეს. საშუალო ასაკის მამაკაცი სწორედ ისე გამოიყურებოდა, როგორც ინსპექტორ ნილს წარმოედგინა, როდესაც მას ტელეფონით ესაუბრებოდა – პარაზიტი, გაიძვერა და ხელმრუდი.

ინსპექტორმა ნილმა მას საკუთარი თავიც წარუდგინა და თავისი თანაშემწეც. კმაყოფილება იგრძნო, როდესაც მსახურთუფროსის თვალებში შეშფოთების ნაპერწკალი შეამჩნია. ნილს ამისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიუნიჭებია. შესაძლოა, მხოლოდ უნებლიე რეაქცია იყო და რექს ფორტესქიუს სიკვდილთან საერთო არაფერი ჰქონდა.

– მისის ფორტესქიუ ჯერ არ დაბრუნებულა?

– არა, სერ.

– მისტერ პერსივალ ფორტესქიუ? მის ფორტესქიუ?

– არა, სერ.

– მაშინ, თუ შეიძლება, მის დოუვს გავესაუბრები.

კაცმა თავი ოდნავ უკან მიაბრუნა.

– მის დოუვი კიბეზე ეშვება.

Scanned by CamScanner

ინსპექტორმა ნილმა ყურადღებით შეათვალიერა მის დოუვი, სანამ იგი მშვიდად ჩამოდიოდა კიბეზე. ამჯერად გონებაში წარმოდგენილი სახე სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. ქვეცნობიერად სიტყვა „ეკონომი" მის წარმოსახვაში ზორბა ტანის, მბრძანებლური შესახედაობის, შავებში გამოწყობილ ქალს ნიშნავდა, რომელსაც სიარულის დროს კაბაზე ჩამოკიდებული გასაღებების ასხმულა უჩხრიალებდა.

ინსპექტორი ნილი აშკარად არ ელოდა პატარა, ტანადი ფიგურის დანახვას. მის დოუვს ნაზი, მტრედისფერი კაბა ეცვა, თეთრი საყელო და მანჟეტები ეკეთა, აკურატულად შუაზე გაყოფილი თმა ტალღებად დაეწყო, სახეზე მონა ლიზას[1] ღიმილი დასთამაშებდა. მიუხედავად ამისა, იყო მასში რაღაც არარეალური, თითქოს ეს ახალგაზრდა ქალი, ჯერ ოცდაათი წლისაც რომ არ იქნებოდა, ვიღაცის როლს თამაშობდა. არა, ეკონომის არა – მერი დოუვის როლს. აშკარად ცდილობდა, საკუთარი გვარის შესაფერისი ყოფილიყო[2].

იგი მშვიდად მიესალმა სტუმარს:

– ინსპექტორო ნილ?

– დიახ. ეს კი სერჟანტი ჰეია. ტელეფონით უკვე გითხარით, რომ მისტერ ფორტესქიუ სენტ-ჯუდსის საავადმყოფოში თორმეტ საათსა და ორმოცდასამ წუთზე გარდაიცვალა. როგორც ჩანს, დღეს დილით, საუზმობისას, რაღაც შეჭამა, რამაც მისი სიკვდილი გამოიწვია. ამიტომ მინდა, რომ სერჟანტ ჰეის სამზარეულოში შეუძღვეთ, რათა კერძების ჩამონათვალი დაადგინოს.

უცებ მათი მზერა ერთმანეთს შეხვდა. ქალი წამით დაფიქრდა და თავი დააქნია.

– კარგი, – თქვა მან და მსახურთუფროსს მიუბრუნდა, რომელიც ერთ ადგილას მოუსვენრად ტოკავდა, – კრამპ, თუ შეიძლება, სერჟანტს გაჰყევით და ყველაფერი უჩვენეთ, რაც დასჭირდება.

---

[1] *მონა ლიზა – იტალიელი მხატვრის, ლეონარდო და ვინჩის ცნობილი ნახატი.*

[2] *დოუვი – მტრედი (ინგლ.).*

Scanned by CamScanner

კრამპი და ჰეი წავიდნენ. მერი დოუვმა ინსპექტორი ნილი სახლში შეიპატიჟა, ერთ-ერთი კარი შეაღო და შიგნით პირველი შევიდა. ეს მოსაწევი ოთახი აღმოჩნდა, საკმაოდ უსახური – პანელებით მოპირკეთებული, მდიდრულად დრაპირებული, დიდი ტყავგადაკრული სავარძლებით, კედლებზე ჩამოკიდებული სპორტულ თემებზე შექმნილი გრავიურებით.

– დაბრძანდით, გეთაყვა.

ინსპექტორი დაჯდა, მერი დოუვი მის პირდაპირ მოკალათდა. „სახით შუქისკენ, – მაშინვე გაიფიქრა ნილმა, – უჩვეულო არჩევანია ქალისთვის, მით უმეტეს, თუ მას რამე აქვს დასამალი. თუმცა, ვინ იცის, იქნებ მის დოუვს დასამალი არაფერი აქვს".

– რა ცუდია, – თქვა მის დოუვმა, – რომ ოჯახის წევრები შინ არ არიან. მისის ფორტესქიუს წუთი წუთზე ველოდებით. მისის ვალსაც. მისტერ პერსივალ ფორტესქიუს რამდენიმე დეპეშა გავუგზავნე სხვადასხვა ადგილას.

– გმადლობთ, მის დოუვ.

– ამბობთ, რომ მისტერ ფორტესქიუს სიკვდილი იმან გამოიწვია, რაც მან საუზმობისას მიირთვა. საკვებით მოწამვლას გულისხმობთ?

– შესაძლოა, – მიუგო ინსპექტორმა და ქალს ყურადღებით შეხედა.

– არა მგონია, – თქვა მის დოუვმა მშვიდად, – დღეს დილით საუზმეზე იყო ბეკონი, ერბოკვერცხი, ყავა, შებრაწული პური და მარმელადი. ბუფეტში ნუხანდელი დაჭრილი ცივი ლორიც იდო, თუმცა მის გამო არავის დაუჩივლია. არც თევზი ყოფილა, არც ძეხვი – მსგავსი არაფერი.

– როგორც ვხედავ, ზუსტად იცით, რაც სუფრაზე ეწყო.

– ბუნებრივია. მენიუს მე ვუკვეთ. გუშინ, სადილად...

– არ არის საჭირო, – შეაწყვეტინა ინსპექტორმა, – ნუხანდელი სადილი არაფერ შუაშია.

– მეგონა, რომ საკვებით მოწამვლა თავს ერთი დღის დაგვიანებით იჩენს...

Scanned by CamScanner

– ჩვენს შემთხვევაში ასე არაა... მითხარით, თუ შეიძლება, კონკრეტულად რა ჭამა და რა დალია მისტერ ფორტესქიუმ დღეს დილით სახლიდან გასვლამდე?

– დილის რვა საათზე მას ოთახში ჩაი მიართვეს. საუზმე ათის თხუთმეტ წუთზე დაიწყო. როგორც გითხარით, მისტერ ფორტესქიუმ ერბოკვერცხი, ბეკონი, ყავა, შებრაწული პური და მარმელადი მიირთვა.

– რამე ფაფა?

– მას ფაფა არ უყვარს.

– ყავისთვის ნატეხ შაქარს იყენებთ თუ ფხვნილს?

– ნატეხს, მაგრამ მისტერ ფორტესქიუს შაქარი არ უხმარია.

– დილით რამე წამალს, სასაქმებელს ან მატონიზებელს ხომ არ იღებდა ხოლმე? ან საჭმლის მონელების გასაუმჯობესებელს?

– არა, მსგავსს არაფერს სვამდა.

– მასთან ერთად ისაუზმეთ?

– არა, მაგიდასთან მხოლოდ ოჯახის წევრები სხედან.

– ამჯერად ვინ იჯდა?

– მისის ფორტესქიუ, მის ფორტესქიუ, მისის ვალ ფორტესქიუ. ცხადია, მისტერ ფორტესქიუ არ ყოფილა.

– მისის და მის ფორტესქიუმაც იგივე მიირთვეს?

– მისის ფორტესქიუმ ყავა და ერთი ჭიქა ფორთოხლის წვენი დალია და შებრაწული პური შეჭამა – მეტი არაფერი. მისის ვალსა და მის ფორტესქიუს ყოველთვის მაძღრისად დანაყრება უყვართ. ერბოკვერცხისა და ლორის გარდა ზოგჯერ ფაფასაც მიირთმევენ. მისის ვალი ყავის ნაცვლად ჩაის გეახლებათ.

ინსპექტორი ნილი წამით ჩაფიქრდა. ყოველ შემთხვევაში, წრე ვიწროვდებოდა. გარდაცვლილთან ერთად მხოლოდ და მხოლოდ სამი ადამიანი საუზმობდა – მისი ცოლი, ქალიშვილი და რძალი. მის ყავაში ტოქსინის ჩამატება ნებისმიერ მათგანს შეეძლო. ტოქსინი, ყავის მსგავსად, მწარე ნივთიერებაა და ადვილი შესაძლებელია, მისტერ

Scanned by CamScanner

ფორტესქიუს ვერაფერი შეემჩნია. მართალია, მან დილით ჩაიც დალია, მაგრამ, ბერნსდორფის თქმით, ჩაიში გემოს ცვლილება ადვილი შესამჩნევია. თუმცა, მეორე მხრივ, ახალგაღვიძებული ორგანიზმი ყველაფერს კარგად ვერ აღიქვამს... მან თავი ასწია და მის დოუვის დაკვირვებული მზერა შეამჩნია.

– თქვენი შეკითხვები მატონიზებელი საშუალებებისა და ნამლების შესახებ საკმაოდ უცნაურად მომეჩვენა, ინსპექტორო, – თქვა ქალმა, – ეს ნიშნავს, რომ ან ნამალი იყო ძველი, ან მასში რაღაც დაამატეს. მაგრამ არც ერთია საკვებით მონამვლა და არც მეორე.

ნილმა მას დაჟინებით შეხედა.

– მე არ მითქვამს, რომ მისტერ ფორტესქიუს სიკვდილის მიზეზი საკვებით მონამვლა გახდა, უბრალოდ, მონამვლა.

– მონამვლა... – ხმადაბლა ჩაილაპარაკა ქალმა, არ გაოცებულა, არც შემკრთალა, მხოლოდ ინტერესი გაუკრთა თვალებში. ასე მაშინ ხდება, როდესაც ადამიანი რაღაც ახლის გააზრებას ცდილობს.

– მონამვლას არასდროს შევსწრებივარ, – თქვა მის დოუვმა მცირედი ჩაფიქრების შემდეგ.

– სასიამოვნო არაფერია, – ცივად მიუგო ნილმა.

– ალბათ, მართალი ხართ...

იგი კვლავ ჩაფიქრდა, ბოლოს თავი ასწია და მოულოდნელად ინსპექტორს გაულიმა.

– ეს მე არ გამიკეთებია, – თქვა მან, – ეჭვი არ მეპარება, სხვებიც ამავეს გეტყვიან!

– ვის შეეძლო ამის გაკეთება, მის დოუვ?

ქალმა მხრები აიჩეჩა.

– გულწრფელად რომ გითხრათ, იგი ოდიოზური ფიგურა იყო. ამის ჩადენა ნებისმიერ პიროვნებას შეეძლო.

– მაგრამ მხოლოდ ოდიოზურობის გამო ადამიანს არავინ კლავს. ამისთვის უფრო სერიოზული მოტივია საჭირო.

– დიახ, გეთანხმებით.

Scanned by CamScanner

ქალი ფიქრებში წავიდა.

– იქნებ ამ სახლის შესახებ მიამბოთ რამე?

მის დოუვმა ინსპექტორს შეხედა. ქალის ცივმა და დამცინავმა გამოხედვამ კაცი ოდნავ შეაკრთო კიდეც.

– ვიმედოვნებ, ეს ოფიციალური დაკითხვა არ არის? ცხადია, არა, თორემ აქ თქვენი სერჟანტიც იქნებოდა, ის კი ახლა მოსამსახურეს ტანჯავს. მზად ვარ, რაღაც გიამბოთ, ოღონდ სასამართლოში ამის გამეორებას არ ვისურვებდი. არაოფიციალურად – კი, ბატონო. არა ოქმისთვის, როგორც ამბობენ.

– რასაკვირველია, მის დოუვ. ალბათ, უკვე შეამჩნიეთ, რომ მოწმეების გარეშე გესაუბრებით.

ქალი სავარძლის საზურგეს მიეყრდნო, კოხტა ფეხი ოდნავ შეატოკა და თვალები მოჭუტა.

– ნება მომეცით, იმით დავიწყო, რომ ჩემი დამქირავებლების სიყვარულით არ ვდნები. მათთვის იმიტომ ვმუშაობ, რომ კარგად მიხდიან. ეს ჩემი პირობაა.

– ცოტა გავოცდი, როდესაც ამ თანამდებობაზე გიხილეთ. თქვენი გონებისა და განათლების პატრონი...

– ოფისში უნდა ვიყო გამომწყვდეული? სამინისტროში ქაღალდები უნდა ვარჩიო? ეს იდეალური კომბინაციაა, ძვირფასო ინსპექტორო ნილ. ადამიანები მზად არიან, ნებისმიერი თანხა გადაიხადონ – ნებისმიერი – სახლის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული ყველა საზრუნავის თავიდან ასაცილებლად. მოსამსახურე პერსონალის პოვნა და დაქირავება მომქანცველი და მომაბეზრებელი სამუშაოა. სააგენტოებთან მიმოწერა, გაზეთებში განცხადების გამოქვეყნება, ადამიანებთან გასაუბრება, შეხვედრების დანიშვნა, მეურნეობის უპრობლემოდ გაძღოლა – ეს ყველაფერი კონკრეტულ უნარ-ჩვევას მოითხოვს, რომელსაც შეძლებული ხალხი, როგორც წესი, არ ფლობს.

– და თუ თქვენ მიერ შერჩეული პერსონალი გაგექცათ? მსმენია, რომ ასეც ხდება ხოლმე.

მერის გაეღიმა.

Scanned by CamScanner

– საჭიროების შემთხვევაში, საწოლებსაც მივხედავ, ოთახებში მტვერსაც ავიღებ, საჭმელსაც მოვამზადებ და სუფრასაც გავაწყობ, ისე, რომ ვერავინ ვერაფერს შეამჩნევს. ცხადია, ამის აფიშირებას არ ვახდენ. ამან შესაძლოა, არასასურველი აზრი გააჩინოს ვინმეს თავში. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ნებისმიერი ხვრელის ამოვსება შემიძლია. თუმცა ასეთი რამ არც ხდება. მე მხოლოდ მდიდრებისთვის ვმუშაობ, რომლებიც საკუთარი კომფორტისთვის დიდ თანხას არ იშურებენ. შესაბამისად, მეც გვარიან თანხას ვუხდი მოსამსახურეებს და მათ შორის საუკეთესოებს ვირჩევ.

– მაგალითად, ისეთს, როგორიც თქვენი მსახურთუფროსია?

ქალმა ინსპექტორს გაოცებული და შემფასებლური მზერა მიაპყრო.

– მეუღლეთა წყვილი ყოველთვის პრობლემაა. ამ კაცს მხოლოდ მისის კრამპის გამო არ ვუშვებ – მისნაირი კარგი მზარეული ცხოვრებაში არასდროს შემხვედრია. ნამდვილი განძია და მის შესანარჩუნებლად კომპრომისზე წასვლა მიწევს. ჩვენი მისტერ ფორტესქიუ ჭამის მოყვარულია... იყო, უფრო სწორად. ამ სახლში ჭამა ყველას უყვარს, ფული კი იმდენი აქვთ, სად წაიღონ, არ იციან. ასე რომ, მისის კრამპი ყველაფერს ყიდულობს, რაც საჭიროა: კარაქს, კვერცხს, ნაღებს. რაც შეეხება მის ქმარს, თავის საქმეს, ასე თუ ისე, აკეთებს. ვერცხლეული ყოველთვის გაკრიალებულია, სუფრასაც სხვებზე ნაკლებად არ ემსახურება. მარნის გასაღები ჩემთანაა. ვისკისა და ჯინს ვაკონტროლებ, განმენდილ-გაუთოებულ ტანსაცმელსაც თვითონ ვამოწმებ.

ინსპექტორმა ნილმა წარბები აზიდა.

– მომხიბლავი მის ქრიჩთონი[1].

– ვფიქრობ, ადამიანი ყველაფერში უნდა ერკვეოდეს, მაშინ არაფრის გაკეთება არ მოუწევს. მაგრამ თქვენ ამ ოჯახის შესახებ აზრის გამოთქმა მთხოვეთ.

---

[1] *მის ქრიჩთონი – შოტლანდიელი მწერლის, ჯეიმზ მეთიუ ბარის პიესის „მომხიბვლელი ქრიჩთონის" მიხედვით.*

Scanned by CamScanner

– დიახ, თუ არ შეწუხდებით.

– ყველანი საკმაოდ ოდიოზური პიროვნებები არიან. განსვენებული მისტერ ფორტესქიუ თაღლითების რიცხვს მიეკუთვნებოდა, თუმცა ყოველთვის წინდახედულობასა და სიფრთხილეს იჩენდა. უყვარდა ტრაბახი, რომ მარჯვედ მოაკვარახჭინა რომელიღაც საქმე. დახვეწილი მანერებით არ გამოირჩეოდა, უხეში და ძალაუფლების მოყვარული, შარიანი კაცი იყო. მისის ფორტესქიუ, ადელი, მისი მეორე ცოლი, მასზე ოცდაათი წლით ახალგაზრდა იქნება. კაცმა მას ბრაიტონში მიაგნო, სადაც მემანიკიურედ მუშაობდა და შეძლებულ საქმროს ეძებდა. კარგი შესახედაობით გამოირჩევა. გემრიელი და სექსუალური ლუკმაა. ალბათ, ხვდებით, რასაც ვგულისხმობ.

ინსპექტორი ნილი ერთგვარ შოკში აღმოჩნდა, თუმცა არაფერი შეიმჩნია. გრძნობდა, რომ მერი დოუვის მსგავს ქალიშვილს ასეთი საუბარი არ ეკადრებოდა.

ის კი შეუვალი სახით განაგრძობდა:

– ადელი მას ფულის გამო მისთხოვდა, ამას წყალი არ გაუვა. როდესაც ეს მოხდა, პერსივალი და ელეინი სიბრაზისგან ადგილს ვერ პოულობდნენ. დიდად ახლაც არ სწყალობენ მას, მაგრამ ქალი ძალზე ჭკვიანურად იქცევა – ამას არ იმჩნევს, ან არ სურს შემჩნევა. მშვენივრად იცის, რომ მოხუცი ნებისმიერ ხუშტურს შეუსრულებს. ოჰ, ღმერთო ჩემო, კვლავაც აწმყოში ვლაპარაკობ. ვერაფრით მივეჩვიე, რომ ცოცხალი აღარაა...

– ვაჟიშვილზე რას იტყვით?

– ძვირფას პერსივალზე? ანუ ვალზე, როგორც ცოლი უწოდებს. პერსივალი დაშაქრულენიანი პირფერია. მეტისმეტად თავდაჭერილი, ეშმაკი და მზაკვარია. მამის ძალიან ეშინია და სიტყვას არ შეუბრუნებს, თუმცა საკუთარ ინტერესებს ყოველთვის იცავს. მამისგან განსხვავებით, ხელმომჭირნეა, ეკონომია მისი გატაცებაა. ამიტომაც ვერ შეარჩია თავისთვის სახლი. რა ენაღვლება? აქ ბინაც აქვს და ფულიც არ ეხარჯება.

Scanned by CamScanner

– მისი ცოლი?

– ჯენიფერი, ერთი შეხედვით, უწყინარი და მოსულელოა. არა მგონია, სინამდვილეში ასე იყოს... გათხოვებამდე მედდად მუშაობდა საავადმყოფოში – მაშინ იქ პერსივალი ინვა ფილტვების ანთებით, რომელსაც თავგამოდებით უვლიდა და საქმე რომანტიკულ დასასრულამდე მიიყვანა. მოხუცს მისმა დაოჯახებამ იმედი გაუცრუა. იგი სნობი იყო და სურდა, რომ პერსივალს „კარგი ქორწინებისთვის" გამოეკრა ხელი. საბრალო მის ვალი კი ეზიზღებოდა, ზოგჯერ შეურაცხყოფასაც აყენებდა. ასე რომ, ვფიქრობ, არც ქალს უყვარს მამამთილი, უფრო სწორად, არ უყვარდა. ჯენიფერს ორი ჰობი აქვს – კინო და მაღაზიებში სიარული. მისი მთავარი სადარდებელი კი ისაა, რომ ქმარი ცოტა ფულს აძლევს.

– ქალიშვილი?

– ელეინი? ძალიან ვწუხვარ მის გამო. ცუდი ადამიანი ნამდვილად არ არის. მთელი ცხოვრება სკოლის მოსწავლედ დარჩა, ველარ გაიზარდა. თამაშების ორგანიზება ეხერხება, სიამოვნებით ურთიერთობს სკაუტ გოგონებთან. ამას წინათ რომანი ჰქონდა ახალგაზრდა მასწავლებელთან, ერთ-ერთ გაბრაზებულთან[1], მაგრამ მამამისმა დაადგინა, რომ მას კომუნისტური იდეები აწუხებდა და ამ რომანტიკულ თავგადასავალს ბოლო მოუღო.

– ქალიშვილი არ შეეწინააღმდეგა?

– როგორ არა. სამაგიეროდ, კაცმა დაიხია უკან. როგორც ჩანს, მასაც ფულისკენ ეჭირა თვალი. სამწუხაროდ, ელეინი მიმზიდველობით არ გამოირჩევა.

– მეორე ვაჟი?

– მას არასდროს შევხვედრივარ. ამბობენ, ძალიან ლამაზიაო, მაგრამ ეტყობა, რომ გამოუსწორებელი არამზადაა. წარსულში ჩეკის გაყალბებასთან დაკავშირებით ცუდ

---

[1] *„გაბრაზებულები" – ინგლისელთა ახალგაზრდა თაობა, რომელმაც II მსოფლიო ომის შემდეგ საზოგადოების ბურჟუაზიული წყობისა და მისი მორალის წინააღმდეგ გაილაშქრა.*

Scanned by CamScanner

ამბავში გაეხვია. ამჟამად აღმოსავლეთ აფრიკაში ცხოვრობს.

– მამას საბოლოოდ დაშორდა?

– დიახ. მისტერ ფორტესქიუ მას მემკვიდრეობის გარეშე ვერ დატოვებს, ვინაიდან ფირმის უმცროს პარტნიორად გაამწესა, თუმცა წლებია, მასთან ურთიერთობა გაწყვიტა და მხოლოდ ასე თუ ახსენებს: „ეგ არამზადა აღარ მიხსენოთ. ის ჩემი შვილი არაა". და მაინც...

– დიახ, მის დოუვ?

– და მაინც, – ნელა წარმოთქვა მერიმ, – არ გამიკვირდება, თუ გაირკვევა, რომ მისტერ ფორტესქიუ მის აქ ჩამოყვანას აპირებდა.

– ასე რატომ ფიქრობთ?

– იმიტომ, რომ დაახლოებით ერთი თვის წინ მოხუცმა ფორტესქიუმ პერსივალს ერთი ამბავი დააწია, – როგორც აღმოჩნდა, მისგან ფარულად რაღაცას საქმიანობდა, ზუსტად არ ვიცი, რას, – თვითონ კი ლამის გაცოფდა. პერსივალი შეირისხა, მას ოქროსფერთმიან ბიჭუნად აღარ მიიჩნევდნენ. ბოლო დროს იგი ძალიან შეიცვალა.

– მისტერ ფორტესქიუ შეიცვალა?

– არა, პერსივალი ვიგულისხმე. საშინლად დამფრთხალი და შეშინებული ჩანდა.

– ახლა კი მსახურებზე ვისაუბროთ. კრამპების შესახებ უკვე მიამბეთ. კიდევ ვინ მუშაობს სახლში?

– მოახლე გლედის მარტინი, უფრო სწორად, ოფიციანტი – ჩვენს დროში ამ მიმართვას ამჯობინებენ. იგი ქვედა სართულზე ოთახებს ალაგებს, სუფრას აწყობს, ნახმარი ჭურჭელი მიაქვს და კრამპს ჭამის დროს მაგიდის მომსახურებაში ეხმარება. საკმაოდ წესიერი ქალიშვილია, ოღონდ ძალიან სულელია. ცხვირში ლაპარაკი ახასიათებს.

ნილმა თავი დააქნია.

– ელენ კერტისი დამლაგებელია. ხანში შესული ქალია, მუდამ გაღიზიანებული და გულმოსულია, მაგრამ დიდი ხანია მუშაობს და უმაღლესი კლასის შინამოსამსახურეა.

Scanned by CamScanner

მათ გარდა, დამხმარეებიც არიან, რომელთაც საჭიროების მიხედვით ვიძახებთ.

– სახლში სხვა არავინ ცხოვრობს?

– მოხუცი მის რემსბოთომი.

– ის ვინ არის?

– მისტერ ფორტესქიუს პირველი ცოლის და. ცოლი თავის მეუღლეზე ოდნავ უფროსი იყო, ეს კი გაცილებით ასაკოვანია – სამოცდაათს გვარიანად გადაცილებული იქნება. მეორე სართულზე თავისი ოთახი აქვს, საჭმელსაც თვითონ იმზადებს და საკუთარ თავსაც უვლის, მოსამსახურე მხოლოდ ოთახს ულაგებს. საკმაოდ ექსცენტრიკული პიროვნებაა. სიძე არასდროს ჰყვარებია. აქ დის სიცოცხლეში გადმოვიდა და მისი გარდაცვალების შემდეგაც დარჩა. მისტერ ფორტესქიუ მას არასდროს აწუხებდა. თუმცა, უნდა გითხრათ, რომ დეიდა ეფის გამორჩეული ხასიათი აქვს.

– სულ ეს არის?

– დიახ, სულ ესაა.

– ამგვარად, თქვენამდეც მოვაღწიეთ, მის დოუვ.

– დეტალები გაინტერესებთ? ობოლი ვარ. სენტ-ალფრედის კოლეჯში მდივნის კურსი გავიარე. მბეჭდავ-სტენოგრაფისტად ხან ერთგან ვმუშაობდი, ხან – მეორეგან. ბოლოს მივხვდი, რომ ეს საჩემო საქმე არ იყო და ამჟამინდელ პროფესიაზე გადავერთე. სამ ოჯახში ვიმუშავე. წელიწად-ნახევრის შემდეგ ერთ ადგილას ყოფნა მბეზრდება და სხვაგან გადავდივარ. „ურთხლის ქოხში“ დაახლოებით ერთი წლის წინ მოვედი. მანქანაზე ჩემი უწინდელი დამქირავებლების გვარებსა და მისამართებს ამოვბეჭდავ და რეკომენდაციების ასლებთან ერთად თქვენს სერჟანტს გადავცემ... ჰეი ჰქვია, არა? ეს საკმარისი იქნება?

– დიახ, მის დოუვ, – ნილი წამით გაჩუმდა, წარმოიდგინა, როგორ უყრიდა მის დოუვი მისტერ ფორტესქიუს საწამლავს საუზმეში. იგი უფრო შორსაც წავიდა და დაინახა, როგორ მეთოდურად აგროვებდა ქალი ურთხლის ნაყოფს პატარა კალათაში. მან ამოიხვნეშა და აწმყოს, მოცემულ

Scanned by CamScanner

მომენტს დაუბრუნდა, – ახლა კი იმ ქალიშვილთან... ე-ე... გლედისთან მინდა გასაუბრება, შემდეგ დამლაგებელთან, ელენთან, – იგი წამოდგა და დაამატა: – ჰო, მართლა, მის დოუვ, ხომ არ იცით, რატომ დაატარებდა მისტერ ფორტესქიუ მარცვლეულს ჯიბით?

– მარცვლეულს? – ქალი ინსპექტორს, ერთი შეხედვით, გულწრფელად გაოცებული მიაშტერდა.

– დიახ, მარცვლეულს. ამასთან დაკავშირებით რამე ვარაუდის გამოთქმა ხომ არ შეგიძლიათ?

– არა, თავში არაფერი მომდის.

– მისი ტანსაცმლის მიხედვა ვის ევალებოდა?

– კრამპს.

– გასაგებია. მისტერ და მისის ფორტესქიუები ერთი საძინებლით სარგებლობდნენ?

– დიახ. გარდა ამისა, ორივეს საკუთარი საგარდერობო და სააბაზანო ჰქონდა... – მერიმ მაჯის საათზე დაიხედა, – ვფიქრობ, ქალბატონი ძალიან მალე უნდა დაბრუნდეს.

ინსპექტორი უკვე ფეხზე იდგა.

– იცით, რა, მის დოუვ? – თქვა მან თავაზიანი კილოთი, – თუ ახლომახლო გოლფის სათამაშო სამი მოედანია, ძალიან უცნაურია, მიკვირს კიდეც, რომ მისის ფორტესქიუს ჯერაც ვერ მიაგნეს.

– იქნებ გოლფს არც თამაშობს, რას იტყვით, ინსპექტორო? მაშინ ეს უცნაურად აღარ მოგეჩვენებათ, ასე არაა?

მერიმ ეს ფრაზა საკმაოდ ცივად წარმოთქვა. ინსპექტორმა მკვახედ მიუგო:

– გარკვევით მითხრეს, რომ იგი გოლფს თამაშობს.

– მან გოლფის სათამაშო ყვანჯები აიღო და დაიბარა, რომ მოედანზე მიდიოდა, მანქანაში ჩაჯდა და წავიდა.

ინსპექტორი ქალს თვალს არ აშორებდა და სათქვამის გააზრებას ცდილობდა.

– ის მაინც თუ იცით, ჩვეულებრივ, ვის ეთამაშება ხოლმე?

– სავარაუდოდ, მისტერ ვივიან დიუბუას.

– გასაგებია, – მოკლედ მოჭრა ნილმა.

Scanned by CamScanner

– გლედისს გამოგიგზავნით. ძალიან შეშინებული კი იქნება.

მერი წამით კართან შეჩერდა და განაცხადა:

– გირჩევთ, ჩემს სიტყვებს მეტისმეტი ყურადღება არ მიაქციოთ. საკმაოდ ბოროტი არსება ვარ.

იგი გავიდა. ინსპექტორმა ნილმა ჩაფიქრებული სახით გახედა მიხურულ კარს. გაბოროტებით ლაპარაკობდა თუ უბოროტოდ, ქალის ნაამბობი ყურადღებას იმსახურებდა. თუ რექს ფორტესქიუ მოწამლეს, – ამაში ინსპექტორს ეჭვი თითქმის აღარ ეპარებოდა, – ვითარება „ურთხლის ქოხში" ძალზე პერსპექტიული ჩანდა. მოტივები თითქოს სქელ ფენად ეწყო ზედაპირზე.

თავი მეხუთე

ოთახში უხალისოდ შემოსული ქალიშვილი შეუხედავი იყო. შეშინებული ჩანდა, საკმაოდ მოუწესრიგებელი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, თუმცა არც სიმაღლე აკლდა და კარგად შეკერილი, შინდისფერი უნიფორმაც ეცვა.

მან მავედრებელი თვალებით შეხედა ინსპექტორს და უყოყმანოდ განაცხადა:

– მე არაფერი ჩამიდენია. არაფერი დამიშავებია. არც არაფერი ვიცი.

– კარგი, კარგი, – გულთბილად მიუგო ნილმა, რომელსაც ხმა ოდნავ შეეცვალა და ახლა მასში მეტი მხიარულება და ნაკლები ოფიციალობა ჟღერდა. უნდოდა, რომ ამ დამფრთხალ ბაჭიას თავი კომფორტულად ეგრძნო, – დაბრძანდით, დღევანდელი საუზმის შესახებ მინდა რამდენიმე შეკითხვის დასმა.

– მე არაფერი ჩამიდენია.

– საუზმე ხომ თქვენ მიიტანეთ სუფრაზე?

– დიახ, მე მივიტანე.

Scanned by CamScanner

ქალიშვილმა ესეც უხალისოდ ალიარა. დამნაშავესავით იყურებოდა, მის თვალებში მიში იკითხებოდა, მაგრამ ინსპექტორმა ნილმა იცოდა, რომ მონმეებს ზოგჯერ ეს ახასიათებდათ. იგი მკვირცხლად განაგრძობდა შეკითხვების დასმას, რათა გოგონასთვის მეტი თავისუფლება მიენიჭებინა.

– პირველი ვინ ჩამოვიდა ქვევით? მას ვინ მოჰყვა?

– სასაუზმოდ ჯერ ელეინ ფორტესქიუ გამოჩნდა. სწორედ ამ დროს კრამპს ყავადანი შემოჰქონდა. შემდეგ მისის ფორტესქიუ ჩამობრძანდა, მას მისის ვალი მოჰყვა, ბოლოს კი მისტერ ფორტესქიუ შემოვიდა. საკუთარ თავს ყველა თვითონ ემსახურებოდა. ჩაი, ყავა და ცხელი კერძები ბუფეტში ეწყო.

ინსპექტორმა ახალი და მნიშვნელოვანი ვერაფერი შეიტყო. ყველანი სწორედ იმას ჭამდნენ და სვამდნენ, რაც მერი დოუვმა ჩამოთვალა. მისტერ და მისის ფორტესქიუ და მის ელეინი ყავას მიირთმევდნენ, მისის ვალი კი – ჩაის. ყველა ყოველთვის ასე იქცეოდა.

ნილმა გლედისს მის შესახებ დაუსვა რამდენიმე შეკითხვა, რამაც ქალიშვილი უდავოდ გამოაცოცხლა. აღმოჩნდა, რომ თავდაპირველად კერძო სახლებში მუშაობდა, შემდეგ სხვადასხვა კაფეში მოსინჯა ძალა, ბოლოს კი კვლავ კერძო სახლებს დაუბრუნდა და სექტემბერში, ანუ ორი თვის წინ, „ურთხლის ქოხში" მოეწყო.

– მოგწონთ აქ? – ჰკითხა ინსპექტორმა.

– რატომაც არა, ნორმალურია, – მიუგო ქალიშვილმა და დაამატა: – მადლობა ღმერთს, სარბენი ცოტაა, თუმცა თავისუფალი დრო არცთუ ბევრია.

– ახლა მისტერ ფორტესქიუს ტანსაცმლის, მისი კოსტიუმების შესახებ მიამბეთ. ვის ევალებოდა მისთვის თვალყურის დევნება? გაწმენდა და ასე შემდეგ?

გლედისმა ოდნავ ნაწყენი გამომეტყველება მიიღო.

– წესით, ეს მისტერ კრამპს უნდა გაეკეთებინა. ის კი ცდილობდა, რომ ჩემთვის გადმოებარებინა.

– ვინ წმენდდა და აუთოებდა იმ კოსტიუმს, რომელიც დღეს მისტერ ფორტესქიუს ეცვა?

Scanned by CamScanner

– არ მახსოვს, რა ეცვა, მას ხომ ის ძალიან ბევრი აქვს.

– მისი კოსტიუმების ჯიბეებში მარცვლეული არასდროს გინახავთ?

– მარცვლეული? – გაკვირვება ვერ დამალა ქალიშვილმა.

– ჭვავის მარცვლები, თუ უფრო ზუსტად გნებავთ.

– ჭვავი? ანუ პური? აი, შავი რომ არის და საშინელი გემო რომ აქვს, არა?

– პურს ჭვავისგან ამზადებენ. ჭვავი – მარცვლებია. მათ მისტერ ფორტესქიუს პიჯაკის ჯიბეში მიაგნეს.

– პიჯაკის ჯიბეში?

– დიახ. ხომ არ იცით, იქ როგორ აღმოჩნდა?

– არ ვიცი, სიმართლეს გეუბნებით. თვალიც არ მომიკრავს.

ინსპექტორმა ნილმა მას ველარაფერი დააცდენინა. წამით ეჭვიც კი შეეპარა: ვაითუ რაღაცას მალავს, იცის, მაგრამ თქმა არ სურსო. ქალიშვილი აშკარად შეცბუნებული ჩანდა, თითქოს ფეხის დადებას ელოდებოდა, მაგრამ საბოლოოდ ინსპექტორმა გადაწყვიტა, რომ ეს ბუნებრივი შიში იყო პოლიციის მიმართ.

როდესაც ქალიშვილს წასვლის ნება მისცა, ამ უკანასკნელმა ჰკითხა:

– ეს სიმართლეა? ის მოკვდა?

– დიახ, მოკვდა.

– ასე მოულოდნელად? როდესაც ოფისიდან დარეკეს, თქვეს, რომ შეტევა აქვსო.

– დიახ... შეტევა ჰქონდა.

– ერთ ჩემს ნაცნობსაც ჰქონდა ხოლმე შეტევა, – თქვა გლედისმა, – ნებისმიერ წუთს შეიძლებოდა, რომ დამართოდა. მახსოვს, საშინლად მეშინოდა.

ამ მოგონებამ ქალიშვილს წამით მოდუნების შესაძლებლობა მისცა და ეჭვი გაუფანტა.

ინსპექტორი ნილი სამზარეულოში შევიდა.

იქ მას საკმაოდ მტრულად დახვდნენ. ზორბა, წითელსახიანმა, ცომის საგორავით შეიარაღებულმა ქალმა მისკენ მრისხანე სახით გადადგა ნაბიჯი.

Scanned by CamScanner

– აჰა, კვლავ პოლიცია, – თქვა მან, – მოდიან აქ და რას არ მეუბნებიან! უნდა გითხრათ, რომ მსგავსი არაფერი მომხდარა. რასაც აქედან სასადილო ოთახში ვაგზავნი, ისეა მომზადებული, როგორც საჭიროა. არა, მოდიან და მეუბნებიან, თითქოს ბატონი მე მოვწამლე. სასამართლოში გიჩივლებთ, პოლიცია ხართ თუ ვინც ხართ. ამ სახლში ცუდი საჭმელი მაგიდაზე არასდროს მიუტანიათ.

მხოლოდ რაღაც დროის შემდეგ შეძლო ინსპექტორმა ნილმა განრისხებული შემოქმედის დაშოშმინება. საკუჭნაოდან მოღიმარმა სერჟანტმა ჰეიმ გამოიხედა და ინსპექტორი ნილი მიხვდა, რომ მასაც მიეღო მისის კრამპის მრისხანების საკუთარი წილი.

ეს სცენა ტელეფონის ზარმა შენყვიტა. ნილი ჰოლში გავიდა და დაინახა, რომ ყურმილი მის დოუვს აეღო და ბლოკნოტში რაღაცას იწერდა. მან თავი მოაბრუნა და მხარს ზემოდან წარმოთქვა:

– დეპეშაა.

ბოლოს ყურმილი დაკიდა და ინსპექტორს ჩანაწერი გაუწოდა.

პარიზიდან გამოგზავნილი დეპეშა იუწყებოდა:

„ფორტესქიუ „ურთხლის ქოხი" ბეიდონჰით სარის საგრაფო. სამწუხაროდ, შენმა წერილმა დააგვიანა. ვიქნები ხვალ ჩაისთვის. სადილად შემწვარ ხბოს ხორცს ველოდები. ლანსი".

ინსპექტორმა ნილმა წარბები ასწია.

– მაშასადამე, უძღები შვილი შინ გამოიძახეს, – თქვა მან.

თავი მეექვსე

სწორედ მაშინ, როდესაც რექს ფორტესქიუ ცხოვრებაში უკანასკნელად სვამდა ფინჯან ჩაის, ლანს ფორტესქიუ და მისი ცოლი ელისეს მინდვრებზე ხეებქვეშ ისხდნენ და აქეთ-იქით მიმავალ ხალხს აკვირდებოდნენ.

Scanned by CamScanner

– ადვილი სათქმელია „აღწერე იგი“, პატ. ამ საქმისთვის არ ვვარგივარ. რისი გაგება გსურს? კარგი, დავუშვათ, მამა ძველი გაიძვერაა. ეს შენ სულით ხორცამდე არ შეგძრავს, ხომ ასეა? წესით, ამან არ უნდა გაგაკვირვოს.

– ეჰ, რა თქმა უნდა, – მიუგო პატმა, – როგორც შენ ამბობ, აკლიმატიზაცია უკვე გავიარე.

ქალი შეეცადა, რომ დამწუხრებული ხმა არ ჰქონოდა. „იქნებ ამ სამყაროში ყველა გაიძვერაა, – გაიფიქრა მან, – თუ მხოლოდ მე მხვდება ყოველთვის ასეთი ხალხი?“

ამ მაღალსა და გრძელფეხება ქალიშვილს ლამაზი არ ეთქმოდა, თუმცა მოჭარბებული სიცოცხლის ენერგია და გულკეთილობა უდავოდ მომხიბვლელობას მატებდა. მშვენიერი მიხრა-მოხრა ჰქონდა, საუცხოო წაბლისფერი თმა საყვარლად უბზინავდა. ნაპატივებ, კეთილშობილური სისხლის ფაშატს ჰგავდა, რაშიც თავისი წვლილი, შესაძლოა, ცხენებთან ხანგრძლივმა ურთიერთობამაც შეიტანა.

დოღის სამყაროში არსებული თაღლითობის შესახებ ბევრი სმენოდა. ახლა კი, როგორც ჩანს, ფინანსების სამყაროში არსებულ თაღლითობასთან მოუწევდა შეხვედრა, მიუხედავად იმისა, რომ მისი მამამთილი, რომელსაც პირადად ჯერ არ იცნობდა, ზნეობისა და მორალის ბურჯი იყო, კანონის კუთხით მაინც. ეს ადამიანები, რომლებიც ტრაბახობდნენ, რომ მარჯვედ „გააიმასქნეს საქმე“, ერთ რამეში ერთმანეთს ჰგავდნენ: იურიდიულად, კანონის ფარგლებს გარეთ არასდროს ხვდებოდნენ. ქალს მაინც ეჩვენებოდა, რომ მისი საყვარელი ლანსი, რომელმაც წარსულში ამ ზღვარს ერთხელ გადააბიჯა, იღბლიანი გაიძვერების უმეტესობაზე გაცილებით მეტი პატიოსნებით გამოირჩეოდა.

– იმას არ ვგულისხმობ, – განაგრძო ლანსმა, – რომ თაღლითია ან რამე ამგვარი. მაგრამ კარგად იცის, როგორ მოხსნას დიდი თანხა.

– ზოგჯერ მეჩვენება, – თქვა პატმა, – რომ მძულს ეს ხალხი – ისინი, ვინც იციან, როგორ მოხსნან დიდი თანხა. შენ ის გიყვარს, – დაამატა მან მტკიცებით ფორმაში.

Scanned by CamScanner

ლანსი წამით მის სიტყვებზე დაფიქრდა, შემდეგ კი ოდნავ გაოცებულმა მიუგო:

– იცი, ძვირფასო, მგონი, მართალი ხარ.

პატს გაეცინა. კაცმა თავი მისკენ მიაბრუნა და შეხედა. თვალები ოდნავ მოჭუტა. როგორი მომხიბლავი ქალი იყო! უყვარდა იგი. მისი გულისთვის ყველაფერზე წავიდოდა.

– უნდა გითხრა, რომ, გარკვეულწილად, მეშინია კიდეც დაბრუნების, – თქვა მან, – ქალაქური ცხოვრების. შინ ხუთ საათსა და თვრამეტ წუთზე უნდა დაბრუნდე. ეს საჩემო ცხოვრება არაა. ცხოვრებაში, ალბათ, დგება დრო, როდესაც ღუზა უნდა ჩაუშვა. და თუ ჩემ გვერდით იდგები, ეს პროცესი გაცილებით მეტ სიამოვნებას მომანიჭებს. რადგან მოხუცმა შერიგება გადაწყვიტა, ამის არგამოყენება სწორი არ იქნება. ძალიან გამიკვირდა მისგან წერილის მიღება... პერსივალს რეპუტაცია შეუბღალავს. ის გამგონე ბიჭია. უნდა გამოგიტყდე, რომ პერსივალი ეშმაკი იყო. დიახ, ყოველთვის ეშმაკი იყო.

– არა მგონია, – თქვა პატრისია ფორტესქიუმ, – რომ შენი ძმა, პერსივალი, მომეწონოს.

– არ მინდა, მის წინააღმდეგ განგაწყო. მე და პერსი ზოგჯერ ერთმანეთს ვერ ვეწყობოდით. ეს იყო და ეს. მე ჩემს ჯიბის ფულს ვფლანგავდი, ის კი აგროვებდა; მე საეჭვო რეპუტაციის ადამიანებთან ვმეგობრობდი, ის კი, როგორც ამბობენ, „საჭირო ხალხთან". სხვადასხვა პოლუსზე ვიდექით. მე ის ყოველთვის დოყლაპია მეგონა, მას კი... იცი, ზოგჯერ მეჩვენება, რომ მას, უბრალოდ, ვძულდი. არც კი ვიცი, რატომ...

– ვფიქრობ, ვიცი, რატომაც.

– მართლა, ძვირფასო? როგორი ჭკვიანი მყავხარ. უნდა გითხრა, რომ არასდროს მასვენებდა ერთი აზრი... ფანტასტიკური აზრი, მაგრამ... გეტყვი. ვიფიქრე, პერსივალმა ხომ არ მოაწყო-მეთქი ჩეკთან დაკავშირებული ამბავი, როდესაც მოხუცმა სახლიდან გამაგდო და ლამის გაცოფდა, ფირმაში წილი რატომ მივეციო. ასე ხომ მემკვიდრეო-

Scanned by CamScanner

ბის გარეშე ველარ დამტოვებდა. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ჩეკი არ გამიყალბებია. ეს, ცხადია, არავინ დაიჯერა, მით უმეტეს, რომ მანამდე სალაროდან მთელი ფული ავიღე და დოლში ერთ ცხენზე დავდე. ასი პროცენტით დარწმუნებული ვიყავი, რომ მოვიგებდი, თანაც, თუ სიმართლე გინდა, ის ჩემი ფული იყო. ჩეკი კი არ გამიყალბებია. არ ვიცი, რატომ მომივიდა თავში ეს აზრი – თითქოს ყველაფერი პერსივალმა მოაწყო. მაგრამ ბოლოს მაინც მომივიდა.

– მას რა სარგებელი უნდა მიეღო? ჩეკი ხომ შენს სახელზე იყო გამოწერილი.

– ვიცი. თითქოს მას ამ საქმესთან საერთო არაფერი ჰქონდა, არა?

პატმა თავი მკვეთრად ასწია.

– იმის თქმა გსურს, რომ კვანტი გამოგკრა, რათა ფირმიდან გაეგდეთ?

– ამაზეც მიფიქრია. საზიზღარი საქმეა. დაივიწყე. საინტერესოა, რას იტყვის პერსი, როცა დაინახავს, რომ უძღები შვილი დაბრუნდა. ალბათ, თვალებს გადმოქაჩავს და ხურტკმელივით გაუხდება.

– იცის, რომ ბრუნდები?

– არ გამიკვირდება, თუ ყურიც არ მოუკრავს. მოხუცს თავისებური იუმორი ახასიათებს.

– შენმა ძმამ რით განარისხა მამა?

– ეგ მეც მაინტერესებს. ფაქტია, რომ რაღაცით გააცოფა. ამას მამის წერილით მივხვდი.

– პირველი წერილი როდის მიიღე?

– ალბათ, ოთხი... არა, ხუთი თვის წინ. ბუნდოვნად მწერდა, მაგრამ ერთ რამეს აშკარად მივხვდი: მშვიდობის დამყარებას მთავაზობდა. „შენმა უფროსმა ძმამ მრავალმხრივ გამოავლინა უსუსურობა“. „ახალგაზრდობაში თავქარიანი იყავი, დროა ღუზა ჩაუშვა“. „გპირდები, რომ ფინანსურად მოგებული დარჩები“. „ძალიან გამიხარდება შენი და შენი ცოლის ნახვა“. იცი, ძვირფასო, ამ საქმეში ჩვენმა ქორწი-

Scanned by CamScanner

ნებამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. მამას მოეწონა, რომ იმ ქალზე დავქორწინდი, რომელიც სოციალურ კიბეზე ჩემზე მაღლა იდგა.

პატს გაეცინა.

– რა თქვი? არისტოკრატ ნაძირალებს გულისხმობ?

– მართალი ხარ, – ღიმილით მიუგო ლანსმა, – მაგრამ საზოგადოების ნაძირალები, არისტოკრატებისგან განსხვავებით, რეგისტრირებულნი არ არიან. ცოტაც მოითმინე და პერსივალის ცოლს ნახავ. იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ამბობენ: „მომაწოდეთ, გეთაყვა, კონსერვი" და საფოსტო მარკაზე საუბრობენ.

ამჯერად პატს აღარ გაუცინია. იგი ქმრის ოჯახის იმ ქალებზე დაფიქრდა, რომლებთანაც ურთიერთობა მოუწევდა. ლანსი კი საკითხის ამ მხარეს ყურადღებას არ აქცევდა.

– შენი და? – იკითხა მან.

– ელეინი? ოჰ, მასზე ნუ წუხხარ. მშვენიერი გოგონა იყო, როდესაც სახლიდან წავედი. გულწრფელობა არ აკლდა, თუმცა, ამ ასაკიდან უკვე გამოვიდოდა. ყველა საკითხს სერიოზულად უდგება.

ნაკლებად დამაიმედებელი დახასიათების მოსმენის შემდეგ პატმა იკითხა:

– მას არასდროს მოუწერია... მას შემდეგ, რაც წამოხვედი?

– მე ხომ მისამართი არ დამიტოვებია. თუმცა მაინც არ მომწერდა. ჩვენ არცთუ მეგობრული ოჯახი ვართ.

– მივხვდი.

ლანსმა ცერად გახედა ქალს.

– რამ გაგიფუჭა ხასიათი? ჩემმა ოჯახმა? მაგაზე ნუ დარდობ. ერთ ჭერქვეშ მაინც არ ვიცხოვრებთ. სადმე მყუდრო სახლს ვიყიდით. ცხენები, ძაღლები და მისთანები გვეყოლება.

– მაგრამ ხუთ საათსა და თვრამეტ წუთზე მაინც სახლში იქნები, არა?

– ჰო. ყოველდღე ქალაქში და უკან, შესაფერისად გამოწკეპილი. ნუ ნაღვლობ, ჩემო კარგო, ლონდონის გარშე-

Scanned by CamScanner

მოც მრავლადაა სასიამოვნო ადგილი. ამ ბოლო დროს ჩემში ფინანსისტმა გაიღვიძა. არ დაგავიწყდეს, რომ ეს სისხლში მაქვს – ორივე მხრიდან.

– დედა ხომ თითქმის არ გახსოვს?

– ის ყოველთვის საოცრად მოხუცი მეგონა. თუმცა, იყო კიდეც მოხუცი. როდესაც ელეინი დაიბადა, ორმოცდაათის გახდა. ჟღარუნა ნივთების ჩამოკიდება უყვარდა, გამუდმებით დივანზე იწვა და რაინდებისა და მათი სატრფოების შესახებ მიკითხავდა, რაც ჩემში საოცარ მოწყენილობას იწვევდა. ტენისონის „მეფის იდილიები". ვფიქრობ, მიყვარდა დედა. რაღაცნაირი იყო... უფერული... ამას ახლა ვხვდები, როცა უკან ვიხედები.

– როგორც ჩანს, განსაკუთრებით არავინ გყვარებია, – უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა პატმა. ლანსმა ხელზე ხელი მოპკიდა და მოუჭირა.

– მე შენ მიყვარხარ.

თავი მეშვიდე

ინსპექტორ ნილს ხელში ისევ დეპეშის ბლანკი ეჭირა, როდესაც გაიგონა, რომ სახლს მანქანა მოუახლოვდა, უდარდელად დაამუხრუჭა და გაჩერდა.

– ეს, ალბათ, მისის ფორტესქიუა, – ჩაილაპარაკა მერი დოუვმა.

ინსპექტორი ნილი კარისკენ გაემართა. თვალი მოჰკრა, როგორ გაუჩინარდა ოთახიდან მერი დოუვი. როგორც ჩანს, მომავალ სცენაში მონაწილეობის მიღებას არ აპირებდა. „საოცარი ტაქტი და წინდახედულობაა, – გაიფიქრა ინსპექტორმა ნილმა, – არანაირი ცნობისმოყვარეობა. ქალების უმეტესობა ფეხს არ მოიცვლიდა".

მან დაინახა, რომ ჰოლის სიღრმიდან მსახურთუფროსი კრამპი მოდიოდა. მაშასადამე, მასაც გაეგონა მოახლოებული მანქანის ხმა.

Scanned by CamScanner

ეს ორადგილიანი სპორტული „როლს ბენტლი" იყო. იქიდან ორნი გადმოვიდნენ და სახლისკენ გამოემართნენ. როდესაც შესასვლელს მიუახლოვდნენ, კარიც გაიღო. გაოცებული ადელ ფორტესქიუ ინსპექტორ ნილს მიაჩერდა.

ინსპექტორმა წამსვე გააცნობიერა, რომ მის წინ ძალიან ლამაზი ქალი იდგა. იმასაც მიხვდა, რას ნიშნავდა მერი დოუვის სიტყვები „გემრიელი სექსუალური ლუკმა". ტანადობით ქერათმიან მის გროსვენორს ჰგავდა, მაგრამ თუ ეს უკანასკნელი გარეგნულად მომხიბლავი და შინაგანად რესპექტაბელური იყო, ადელ ფორტესქიუ ყოველმხრივ საოცრად მიმზიდველი გახლდათ. იგი მამაკაცებს თითქოს მიკიბ-მოკიბვის გარეშე ეუბნებოდა: „აი, თქვენ წინაშე ვარ – ნამდვილი ქალი". მის ყოველ სიტყვაში, მოძრაობასა და ამოსუნთქვაშიც კი სექსუალურობა იგრძნობოდა. იმავდროულად, გამჭრიახი თვალებიდან მზაკვრულად, შემფასებლურად იყურებოდა. „აშკარაა, – გაიფიქრა ინსპექტორმა, – რომ ადელ ფორტესქიუს მამაკაცები მოსწონს, მათზე მეტად კი ფულს ეტრფის".

მან მზერა ქალის უკან მდგარ მამაკაცზე გადაიტანა, რომელსაც გოლფის სათამაშო ყვანჯები მოჰქონდა. მშვენივრად იცნობდა ამ ტიპის ადამიანებს. ისინი მდიდარი და ხანში შესული ქმრების ახალგაზრდა ცოლებს დასტრიალებდნენ თავს. მისტერ ვივიან დიუბუა, თუკი ეს მართლა ის იყო, საკმაოდ ხელოვნური მამაკაცური საწყისით გამოირჩეოდა, რაც სინამდვილეში ბევრს არაფერს ნიშნავდა. იმ მამაკაცთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებსაც ქალების „ესმოდათ".

– მისის ფორტესქიუ?

– დიახ, – ქალმა ფართოდ გაახილა ცისფერი თვალები, – მაგრამ მე თქვენ არ...

– ინსპექტორი ნილი გახლავართ. ვშიშობ, ცუდი ამბავი მოგიტანეთ.

– რა მოხდა? ძარცვა... ან რამე ამგვარი?

– არა, მსგავსი არაფერია. საქმე თქვენს მეუღლეს ეხება. ამ დილით იგი ძალზე ცუდად გახდა.

Scanned by CamScanner

– რექსი? ავადაა?

– დილის თორმეტის ნახევრის შემდეგ თქვენთან დაკავშირებას ვცდილობდით.

– სად არის? აქ? თუ საავადმყოფოში?

– იგი სენტ-ჯუდსის საავადმყოფოში გადაიყვანეს. უაღრესად ცუდი ამბისთვის უნდა შეემზადოთ.

– იმის თქმა ხომ არ გსურთ... არა, ის... მოკვდა?

ქალი შექანდა და ინსპექტორს ხელში ჩააფრინდა. ინსპექტორმა მისის ფორტესქიუ ჰოლში შეიყვანა, თუმცა ეს სახემოღუშულმა გააკეთა, რადგან წამით მოეჩვენა, რომ სცენაზე იდგა და როლს ასრულებდა. იქვე დახმარებისთვის შემზადებული კრამპი წრიალებდა.

– ახლა მას ბრენდი არ აწყენდა, – ჩაილაპარაკა მან.

– მართალი ხართ, კრამპ, კარგი იქნებოდა, – ბოხი ხმით წარმოთქვა მისტერ დიუბუამ, შემდეგ კი ხელი გაიშვირა და ინსპექტორს გზა უჩვენა, – აქეთ.

ნილმა მარცხნივ მდებარე ოთახის კარი შეაღო და ყველანი შიგნით შევიდნენ: ინსპექტორი, ადელ ფორტესქიუ, ვივიან დიუბუა და კრამპი გრაფინითა და ორი ჭიქით.

ადელ ფორტესქიუ რბილ სავარძელში ჩაეშვა, თვალებზე ხელი აიფარა, ინსპექტორის მიერ განვდილი ჭიქიდან ცოტაოდენი მოსვა და მაშინვე თავიდან მოიცილა.

– არ მინდა, – თქვა მან, – უკვე კარგად ვარ. მითხარით, რა დაემართა? გულმა დაარტყა, არა? საბრალო რექსი.

– არა, მისის ფორტესქიუ, გულს არ დაურტყამს.

– თქვენ, თუ არ ვცდები, ბრძანეთ, რომ ინსპექტორი ხართ? – იკითხა მისტერ დიუბუამ.

ნილი მისკენ შეტრიალდა.

– დიახ, ასეა, – თავაზიანად მიუგო მან, – ინსპექტორი ნილი სისხლისსამართლებრივი სამძებროს დეპარტამენტიდან.

ინსპექტორმა მამაკაცის მუქ თვალებში მოჭარბებული განგაშის ნიშნები ამოიკითხა. მისტერ დიუბუას სისხლისსამართლებრივი სამძებროს დეპარტამენტის ინსპექტორის დანახვა აშკარად არ მოეწონა.

Scanned by CamScanner

– რა მოხდა? რაღაც ისე არ არის? – იკითხა მან და უნებლიეთ ოდნავ კარისკენ გაიწია. ნილს ეს მოძრაობა არ გამორჩენია.

– ვშიშობ, გამოძიების ჩატარება მოგვიწევს, – მიმართა მისის ფორტესქიუს.

– გამოძიების? იმას გულისხმობთ, რომ... ამით რისი თქმა გსურთ?

– ვიცი, რომ ეს ყველაფერი თქვენთვის ძნელი ასატანია, – თქვა ინსპექტორმა მშვიდად, – მაგრამ სასურველია, სასწრაფოდ გავარკვიოთ, რა ჭამა და დალია მისტერ ფორტესქიუმ დღეს დილით, სამსახურში წასვლამდე.

– ეჭვი გაქვთ, რომ მოწამლულია?

– დიახ, ასეთი პირი უჩანს.

– შეუძლებელია. ოჰ, თქვენ საკვებით მოწამვლას გულისხმობთ, – ბოლო სიტყვები ქალმა ნახევარი ოქტავით დაბლა აიღო.

– მადამ, თქვენ რა გეგონათ? – ჰკითხა ინსპექტორმა გულგრილი სახით და კვლავაც მშვიდად.

მისის ფორტესქიუმ პასუხი არ დაახანა და აჩქარებით წარმოთქვა:

– მაგრამ ჩვენ, ყველანი, კარგად ვიყავით – ყველანი.

– ამას ოჯახის ყველა წევრის სახელით აცხადებთ?

– ყველა წევრის სახელით? რა თქმა უნდა... არა... ასე ვერ ვიტყვი.

დიუბუამ საათზე დემონსტრაციულად დაიხედა და თქვა:

– უნდა წავიდე, ადელ. ძალიან ვწუხვარ. კარგად იქნები, არა? ვგულისხმობ, რომ მოახლეებიც აქ არიან, პატარა დოუვიც და ყველანი...

– ოჰ, არა, ვივიან, არ წახვიდე.

ეს სულის ყვირილს უფრო ჰგავდა, მაგრამ მან მისტერ დიუბუაზე არასასურველად იმოქმედა და მისი უკან დახევა დააჩქარა.

– საშინლად ვწუხვარ, ჩემო კარგო, მაგრამ მნიშვნელოვანი შეხვედრა მაქვს. რომ იცოდეთ, ინსპექტორო, „დორმიჰაუსში" ვცხოვრობ და თუ დაგჭირდეთ... შემთხვევით...

Scanned by CamScanner

ინსპექტორმა ნილმა თავი დაუქნია. მისტერ დიუბუას დაკავება აზრადაც არ გაუვლია, თუმცა მისი ნაჩქარევად წასვლა კი ჩაინიშნა. ახალგაზრდა კაცი ცდილობდა, უსიამოვნო შემთხვევისგან თავი, შეძლებისდაგვარად, შორს დაეჭირა.

– რამხელა შოკია – ბრუნდები შინ და იქ პოლიცია გხვდება, – თქვა ადელ ფორტესქიუმ ვითარების განმუხტვის მიზნით.

– დარწმუნებული ვარ, რომ ასეა. მაგრამ საქმე ისაა, რომ სწრაფად უნდა გვემოქმედა კვების პროდუქტების, ყავის, ჩაისა და მისთანების ნიმუშების ასაღებად.

– ჩაისა და ყავის? ისინი ხომ მომწამვლელი არაა? იმ საშინელი ბეკონის ბრალი იქნება. ზოგჯერ ისეთია, კაცი პირს ვერ დააკარებს.

– ყველაფერს დავადგენთ, მისის ფორტესქიუ. ნუ ღელავთ. ვერ წარმოიდგენთ, როგორ შემთხვევებს გადავაწყდებით ხოლმე. მახსოვს, ერთხელ ფუტკარათი[1] მოწამვლის საქმეს ვიძიებდი. როგორც გაირკვა, საკაზმად, პირშუშხას ნაცვლად, მისი ფოთლები გამოუყენებიათ.

– თქვენი აზრით, შესაძლოა, აქაც მსგავსი რამ მომხდარიყო?

– დანამდვილებით აუტოფსიის[2] შემდეგ გვეცოდინება, მისის ფორტესქიუ.

– აუტო... აჰა, გასაგებია.

ქალს გააჟრჟოლა. ინსპექტორმა კი განაგრძო:

– სახლის გარშემო ბევრი ურთხლის ხეა, მადამ. ვფიქრობ, ამ მცენარის ნაყოფი და ფოთლები ძნელად თუ აერეოდათ სხვა რამეში, არ მეთანხმებით?

იგი ყურადღებით აკვირდებოდა ქალს, რომელიც მას მიშტერებოდა.

– ურთხლის ნაყოფი? განა ისინი მომწამვლელია?

ინსპექტორს ადელ ფორტესქიუს ფართოდ გახელილი

---

[1] *ფუტკარა – მრავალნლოვანი ბალახოვანი სამკურნალო მცენარე.*
[2] *აუტოფსია – გვამის გაკვეთა.*

Scanned by CamScanner

თვალები და უმანკო გამოხედვა, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებულად მოეჩვენა.

– ისეც მომხდარა, რომ ბავშვებს ეს ნაყოფი უჭამიათ, რაც ტრაგიკულად დასრულებულა.

ადელმა ხელები საფეთქლებზე მიიჭირა.

– ამაზე ლაპარაკი აღარ შემიძლია. უნდა წავიდე და წამოვწვე. აქ ველარ დავრჩები. მისტერ პერსივალ ფორტესქიუ ყველაფერს მოაგვარებს. მე კი არ შემიძლია... არ შემიძლია... უსამართლობაა, ამდენ შეკითხვას რომ მისვამთ.

– ვცდილობთ, შეძლებისდაგვარად, სწრაფად დავუკავშირდეთ მისტერ პერსივალ ფორტესქიუს. მაგრამ, სამწუხაროდ, ის ჩრდილოეთ ინგლისშია.

– ოჰ, ეს აღარ მახსოვდა.

– კიდევ ერთი შეკითხვა, მისის ფორტესქიუ. თქვენი მეუღლის ჯიბეში მარცვლეული აღმოაჩინეს. ამ ფაქტს რამე ახსნას ხომ ვერ მოუძებნიდით?

აშკარად გაოცებულმა ქალმა თავი გადააქნია.

– იქნებ ვინმე გაეხუმრა?

– ამაში სასაცილოს ვერაფერს ვხედავ.

სახუმაროს ვერც ინსპექტორი ნილი ხედავდა.

– ჯერჯერობით მეტს აღარ შეგაწუხებთ, მისის ფორტესქიუ, – თქვა მან, – რომელიმე მოახლე ხომ არ გამოგიგზავნოთ? ან მის დოუვი?

– რა თქვით? – იკითხა ქალმა დაბნეულად. ინსპექტორს აინტერესებდა, რაზე ფიქრობდა იგი.

მისის ფორტესქიუმ ხელჩანთიდან ცხვირსახოცი ამოიღო.

– რა საშინელებაა, – ათრთოლებული ხმით ჩაილაპარაკა მან, – მხოლოდ ახლა ვაცნობიერებ, რაც მოხდა. აქამდე თითქოს სიზმარში ვიყავი. საბრალო რექსი. ჩემი ძვირფასი საბრალო რექსი.

იგი აქვითინდა – თითქმის დამაჯერებლად.

რამდენიმე წამის განმავლობაში ინსპექტორი ნილი ქალს თანაგრძნობით შესცქეროდა.

Scanned by CamScanner

– ვიცი, რომ ეს ამბავი მოულოდნელად დაგატყდათ თავს, – თქვა მან, – ახლავე ვინმეს გამოგიგზავნით.

იგი კარისკენ გაემართა, გამოაღო და გავიდა. უეცრად შეჩერდა და უკან მიიხედა.

ადელ ფორტესქიუს ცხვირსახოცი კვლავაც თვალებთან ეჭირა. ბოლოები ჩამოშვებოდა, მაგრამ პირს არ უფარავდა. ქალს ტუჩებზე მსუბუქი ღიმილი დასთამაშებდა.

თავი მერვე

I

– რაც შევძელი, ყველაფერი შევაგროვე, სერ, – განაცხადა სერჟანტმა ჰეიმ, – მარმელადი, ცოტაოდენი ლორი. ყავის, ჩაისა და შაქრის ნიმუშები – თუ რამეში გამოგვადგება. ანადუღარი სითხეებიდან აღარაფერი დარჩენილა, სულ გადაუღვრიათ. აქ ერთი ნიუანსია. საუზმის შემდეგ მორჩენილი ყავა თერთმეტი საათისთვის ერთ-ერთ მოახლეს დაულევია. ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვანია.

– დიახ, მნიშვნელოვანია. მაშასადამე, თუ ყავა მოწამლეს, მხოლოდ რექს ფორტესქიუს ფინჯანში ჩაუყრიათ რაღაც.

– ერთ-ერთ იქ მყოფთაგანს. სწორედაც რომ. მე ძალიან ფრთხილად გავიკითხე ურთხლის შესახებ – ვინმეს სახლში მისი ნაყოფისთვის ან ფოთლებისთვის თვალი ხომ არ მოგიკრავთ-მეთქი? არაფერი იციან. ვერც ჯიბეში აღმოჩენილ მარცვლეულზე მითხრეს რამე. ძალიან გაუკვირდათ, ეს რომ მოისმინეს. მეც ვერაფრით ამიხსნია. მისტერ ფორტესქიუ იმ ადამიანებს არ ჰგავდა, ყოველგვარ სისაძაგლეს რომ ჭამენ, ოღონდ კი უმი იყოს. ჩემი დის ქმარია ასეთი. უმი სტაფილო, უმი ბარდა, უმი თალგამი უყვარს. მაგრამ უმ მარცვლეულს ისიც კი არ აკარებს პირს. წარმომიდგენია, რა დაემართება მუცელს მათი გაჯირჯვების შემდეგ.

ამ დროს ტელეფონმა დარეკა, ინსპექტორმა სერჟანტ

Scanned by CamScanner

ჰეის ანიშნა და ისიც ყურმილს ეცა. პოლიციის მთავარი სამმართველოდან რეკავდნენ – მისტერ პერსივალ ფორტესქიუსთან დაკავშირება მოეხერხებინათ და იგი დაუყოვნებლივ ლონდონში ბრუნდებოდა.

ის იყო, ინსპექტორმა ყურმილი დადო, რომ სახლთან მანქანა გაჩერდა. კარი კრამპმა გაუღო. ზღურბლზე ფუთებით დახუნძლული ქალი იდგა. კრამპმა ბარგი ჩამოართვა.

– გმადლობთ, კრამპ. თუ შეიძლება, მძღოლს ფული გადაუხადეთ. მე ჩაის დავლევ. მისის ფორტესქიუ და მის ელეინი შინ არიან?

მსახურთუფროსი შეყოყმანდა და ქალს მხარს ზემოდან გახედა.

– ცუდი ამბავი გვაქვს, მადამ, – გაბედა ბოლოს, – ბატონის შესახებ.

– მისტერ ფორტესქიუს გულისხმობთ?

ნილმა ნაბიჯი წინ გადადგა.

– სერ, ეს მისის პერსივალია, – თქვა კრამპმა.

– რა არის? რა მოხდა? უბედური შემთხვევა?

ინსპექტორმა ახალმოსულს თვალი შეავლო. მისის პერსივალ ფორტესქიუ ჩასუქებული ქალი იყო, პირს გამუდმებით უკმაყოფილოდ ღრეცდა, ოცდაათიოდე წლის იქნებოდა, შეკითხვებს ცხოველი ინტერესით სვამდა. „როგორც ჩანს, მოსაწყენი ცხოვრება აქვს", – გაიფიქრა ინსპექტორმა.

– სამწუხაროდ, უნდა შეგატყობინოთ, რომ დღეს დილით მძიმე მდგომარეობაში მყოფი მისტერ ფორტესქიუ სენტ-ჯუდსის საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მალევე გარდაიცვალა.

– გარდაიცვალა? იმის თქმა გსურთ, რომ მოკვდა? – სიახლე აშკარად იმაზე სენსაციური აღმოჩნდა, ვიდრე ელოდა, – ღმერთო ჩემო, რა სიურპრიზია. ჩემი ქმარი აქ არ იმყოფება. აუცილებლად დაუკავშირდით მას. ამჟამად ქვეყნის ჩრდილოეთშია. ზუსტი მისამართი მის ოფისში ეცოდინებათ. ყველაფერს ის მიხედავს. დაკვირვებული ვარ, ასეთი რამ ყოველთვის შეუფერებელ დროს ხდება.

Scanned by CamScanner

ქალი წამით გაჩუმდა – სიახლის გააზრებას ცდილობდა.

– ვფიქრობ, ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, – თქვა მან, – თუ სად დაკრძალავენ. ალბათ, აქ. იქნებ ლონდონში?

– ისე იქნება, როგორც ოჯახი გადაწყვეტს.

– დიახ, რასაკვირველია, მე მხოლოდ ვიკითხე.

მისის პერსივალ ფორტესქიუმ პირველად შეხედა ყურადღებით კაცს, რომელსაც ესაუბრებოდა.

– თქვენ ოფისიდან ხართ? – იკითხა მან, – ექიმს არ ჰგავხართ.

– პოლიციიდან ვარ. მისტერ ფორტესქიუ ისე მოულოდნელად გარდაიცვალა...

– მიმანიშნებთ, რომ ის მოკლეს?

ამ სიტყვამ პირველად გაიჟღერა. ნილმა დაკვირვებით შეათვალიერა მისის პერსივალი, რომელსაც სახეზე მოუთმენლობა და წუხილი აღჰბეჭდოდა.

– ასე რატომ ფიქრობთ, მადამ?

– ადამიანებს ზოგჯერ კლავენ. თქვენ თქვით, მოულოდნელადო. თანაც პოლიციიდან ხართ. მას არ გასაუბრებიხართ? რა გითხრათ?

– ვერ გავიგე, ვის გულისხმობთ?

– ადელს, რა თქმა უნდა. ვალს რამდენჯერ ვუთხარი, მამაშენმა ჭკუა დაკარგა, ცოლად ასეთი ახალგაზრდა ქალი რომ მოიყვანა-მეთქი. ნათქვამია, ყველაზე დიდი სულელი მოხუცი სულელიაო. იმ უნამუსოს გამო თავი დაკარგა. აი, შედეგიც... ყველანი ხათაბალაში გავეხვიეთ. აქეთ ჟურნალისტები არ მოგვასვენებენ, იქით გაზეთები აჭრელდება ფოტოსურათებით...

იგი გაჩუმდა, თითქოს მომავალში ჩაიხედა და მკაფიოდ წარმოიდგინა მყვირალა და მკვეთრი სურათები. „არცთუ ყველაზე უარესი პერსპექტივაა“, – გაიფიქრა ინსპექტორმა ნილმა. ქალი კვლავ მისკენ შეტრიალდა.

– ეს რა იყო? დარიშხანი?

– სიკვდილის მიზეზი ჯერ არ დაუდგენიათ, – თავშეკა-

Scanned by CamScanner

ვებით წარმოთქვა ინსპექტორმა ნილმა მის დასაცხრომად, – ჯერ აუტოფსია ჩატარდება, შემდეგ – მოკვლევა.

– მაგრამ თქვენ უკვე ყველაფერი იცით, არა? სხვაგვარად, აქ არ მოხვიდოდით.

უეცრად აღმოჩნდა, რომ მას მოსულელო კი არა, საკმაოდ გამჭრიახი მზერა ჰქონდა.

– ალბათ, მოახლესაც დაჰკითხავდით იმის გასაგებად, თუ რა ჭამა და დალია მისტერ ფორტესქიუმ, არა? წუხელ სადილად და დღეს საუზმეზე. ცხადია, სასმლითაც დაინტერესდებოდით.

ინსპექტორი ლამის გრძნობდა, რა გაშმაგებით უტრიალებდა ქალს თავში ათასგვარი ვერსია.

– სრულიად შესაძლებელია, – ფრთხილად თქვა მან, – რომ მისტერ ფორტესქიუს უეცარი ავადმყოფობის მიზეზი საუზმეზე მირთმეული რომელიმე კერძი გახდა.

– საუზმეზე? – გაიკვირვა ქალმა, – მაგრამ ეს ხომ ძალზე რთული იქნებოდა. ვერ წარმომიდგენია, როგორ...

იგი გაჩუმდა და თავი გადააქნია.

– ვერ წარმომიდგენია, როგორ მოახერხებდა იგი ამას საუზმობისას... ალბათ, ყავაში ჩაუყარა რამე, როდესაც მე და ელეინი სხვა მხარეს ვიყურებოდით.

ამ დროს მის გვერდით წყნარი ხმა გაისმა:

– თქვენი ჩაი ბიბლიოთეკაშია, მისის ვალ.

მისის ვალი შეკრთა.

– ოჰ, გმადლობთ, მის დოუვ. დიახ, ფინჯანი ჩაი ნამდვილად არ მაწყენდა, თორემ აზროვნებაც კი მიჭირს. თქვენც ხომ არ ინებებთ ჩაის, ინსპექტორო?

– ჯერჯერობით არა, გმადლობთ.

მსუქანი ფიგურა შეყოყმანდა და ოთახიდან აუჩქარებლად გავიდა.

როდესაც კარი მიიხურა, მერი დოუვმა ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

– მან, ალბათ, არც კი იცის, რა არის ცილისწამება.

ინსპექტორმა ნილმა დუმილი ამჯობინა. მერი დოუვმა განაგრძო:

Scanned by CamScanner

– რამეში ხომ ვერ დაგეხმარებით, ინსპექტორო?

– სად შეიძლება ელენის, დამლაგებლის ნახვა?

– გაგაცილებთ. იგი ახლახან ზევით ავიდა.

II

ელენი პირქუში, მაგრამ უშიშარი ქალი აღმოჩნდა. მან ინსპექტორს შეხედა და მოღუშულ, დანაოჭებულ სახეზე გამარჯვებულის გამომეტყველება აღებეჭდა.

– საშინელებაა, სერ. რას ვიფიქრებდი, რომ სახლში, რომელშიც ვცხოვრობ, ასეთი რამ მოხდებოდა. მეორე მხრივ, ეს დიდად არ გამკვირვებია. კარგა ხანია, მინდოდა მათთვის მეთქვა, რომ წასვლა მსურდა. არ მომწონს მათი საუბარი, გაუთავებელი სმა, მისვლა-მოსვლა და სატრფიალო ოინები. მისის კრამპს არაფერს ვერჩი, კრამპსა და იმ გოგონას კი, გლედისს, ნორმალური მომსახურების არაფერი გაეგებათ. მაგრამ ყველაზე მეტად სატრფიალო ოინები არ მომწონს.

– რომელი ოინები?

– თუ ჯერ არაფერი გაგიგიათ, მალე შეიტყობთ. მთელი სახლი მათზე ლაპარაკობს. თურმე ხან სად დადიან და ხან სად. თვალთმაქცობენ, თითქოს გოლფისა და ჩოგბურთის თამაშით იქცევენ თავს... მე კი ისეთი რამ ვნახე... საკუთარი თვალით... ამ სახლში. ბიბლიოთეკის კარი ღია იყო, ისინი კი ერთმანეთს კოცნიდნენ და ეალერსებოდნენ.

ეს შინაბერა მართლა სასიკვდილო შხამს ანთხევდა. ნილი მიხვდა, ვის გულისხმობდა ქალი, მაგრამ მაინც ჰკითხა:

– ვის ვგულისხმობ? დიასახლისს... და იმ კაცს. სულ დაკარგეს სირცხვილის შეგრძნება. მე რომ მკითხოთ, მისტერ ფორტესქიუმ რაღაც იყნოსა და ვიღაც დაიქირავა მათ სათვალთვალოდ. ეჭვი არ მეპარება, ყველაფერი განქორწინებით დამთავრდებოდა, მაგრამ აი, რით დასრულდა.

– იმის თქმა გსურთ, რომ...

– აი, სერ, თქვენ სულ კითხულობთ, თუ რა ჭამა მისტერ

Scanned by CamScanner

ფორტესქიუმ, რა დალია, ვინ რა მიუტანა. მე კი გეტყვით, რომ ეს იმ წყვილის ნამოქმედარია. კაცმა სადღაც სანამლავი იშოვა, ქალმა კი ქმარს შეაპარა. უეჭველია, სწორედ ასე იქნებოდა.

– სახლში ან მის სიახლოვეს ოდესმე ურთხლის ნაყოფისთვის ხომ არ მოგიკრავთ თვალი?

პატარა თვალები ცნობისმოყვარეობით აკიაფდა.

– ურთხლის? ეს ხომ მომწამვლელი სისაძაგლეა. ჯერ კიდევ ბავშვობაში მასწავლიდა დედა, ამ ნაყოფს ხელი არ ახლოო. მაშ, სწორედ ეს გამოიყენეს, სერ?

– ჯერ არ ვიცით, რით მოწამლეს.

– მის ხელში ურთხლის ნაყოფი არასდროს დამინახავს, – ელენის ხმაში იმედგაცრუებამ გაიჟღერა, – არა, ვერ ვიტყვი, რომ ოდესმე თვალი მაინც მომიკრავს.

ნილმა ქალს მისტერ ფორტესქიუს ჯიბეში აღმოჩენილი მარცვლეულის შესახებ ჰკითხა, მაგრამ აქაც ხელმოცარული დარჩა.

– არა, სერ, არაფერი ვიცი.

ინსპექტორმა შეკითხვების დასმა განაგრძო, თუმცა სახეირო ვერაფერი შეიტყო. ბოლოს დაინტერესდა, შეიძლებოდა თუ არა მის რემსბოთომის ნახვა.

ელენს ამაში ეჭვი ეპარებოდა.

– ვკითხავ, მაგრამ ყველას არ იღებს. უნდა გითხრათ, რომ ასაკოვანი ქალია და ბევრი უცნაურობა ახასიათებს.

მაგრამ ინსპექტორმა დაიჟინა და ელენი დაუფარავი უკმაყოფილებით გაუძღვა მას ჯერ დერეფანში, შემდეგ კი პატარა კიბით – ზევით, და ერთ-ერთ ოთახამდე მიიყვანა, რომელიც ადრე, ნილის აზრით, ალბათ ბავშვების საცხოვრებლად ჩაეფიქრებინათ.

დერეფნის გავლისას ფანჯარაში გაიხედა და სერჟანტი ჰეი დაინახა. იგი ურთხლის ხის გვერდით იდგა და, როგორც ჩანს, მებაღეს ესაუბრებოდა.

ელენმა კარზე დააკაკუნა, პასუხი რომ მოისმინა, შეაღო და თქვა:

Scanned by CamScanner

– მის, ჯენტლმენი მობრძანდა პოლიციიდან, თქვენთან საუბარი სურს.

მოხუცებულმა ქალბატონმა, სავარაუდოდ, თანხმობა განაცხადა, ვინაიდან ელენი განზე გადგა და ჟესტით შესთავაზა ინსპექტორს შესვლა.

ოთახი ავეჯით საოცრად გადატვირთული აღმოჩნდა. ინსპექტორს ნამით მოეჩვენა, რომ არათუ მეფე ედუარდის, დედოფალ ვიქტორიას ეპოქაში მოხვდა. გაზქურასთან მჭიდროდ მიდგმულ მაგიდასთან ხანში შესული ქალი იჯდა და პასიანსს შლიდა. მუქი შინდისფერი კაბა ეცვა, თხელი ჭაღარა თმა ლოყებზე სადად გადაესლიქა.

მოხუცმა, ისე, რომ არც თავი აუწევია და არც საქმიანობა შეუწყვეტია, მოუთმენლად ჩაილაპარაკა:

– აბა, შემოდით, შემოდით. დაბრძანდით, თუ გნებავთ.

დაჯდომა არც ისე ადვილი აღმოჩნდა – ყველგან რელიგიური ხასიათის ბროშურები და წიგნები ეწყო. როდესაც ინსპექტორმა ისინი ოდნავ ჩააჩოჩა დივნისკენ, მის რემსბოთომმა მკვახედ ჰკითხა:

– მისიონერული საქმიანობა თუ გაინტერესებთ?

– ვშიშობ, არცთუ ძალიან, მადამ.

– ცუდია. უნდა გაინტერესებდეთ. ჭეშმარიტი ქრისტიანული სული მხოლოდ იქ თუ შემორჩა. შავ აფრიკაში. გასულ კვირას ახალგაზრდა მღვდელი მეწვია. თქვენს შლაპასავით შავი იყო, თუმცა ნამდვილი ქრისტიანი.

ინსპექტორი ნილი ოდნავ დაიბნა, ვინაიდან არ იცოდა, რა ეთქვა.

მოხუცმა კი უფრო მეტად აუბნია თავგზა, როდესაც განაცხადა:

– რადიო არ მაქვს.

– რა ბრძანეთ?

– მეგონა, რომ, შესაძლოა, რადიოს ლიცენზიის თაობაზე მეწვიეთ, ან რომელიმე სულელური ბლანკის შესავსებად. აბა, ახალგაზრდავ, რატომ მობრძანდით?

– სამწუხაროდ, უნდა გაუწყოთ, მის რემსბოთომ, რომ

Scanned by CamScanner

თქვენი სიძე, მისტერ ფორტესქიუ ამ დილით მოულოდნელად ავად გახდა და გარდაიცვალა.

მის რემსბოთომს სახეზე ერთი ნაკვთიც არ შესტოკებია. იგი კვლავაც პასიანსის გაშლას განაგრძობდა, მხოლოდ სასხვათაშორისოდ ჩაილაპარაკა:

– ღმერთმა, როგორც იქნა, დასაჯა ეს ქედმაღალი და ამაყი ცოდვილი. ყველაფერი აქეთ მიდიოდა.

– ვიმედოვნებ, ამ სიახლემ გული არ გატკინათ, არა?

პასუხის გამოცნობა ძნელი არ იყო, მაგრამ ინსპექტორს საკუთარი ყურით სურდა მოესმინა, რას იტყოდა ქალი.

მის რემსბოთომმა მას სათვალის ზემოდან გადმოხედა და მიუგო:

– თუ იმაზე მიმანიშნებთ, რომ დამწუხრება არ მეტყობა, მართალი ბრძანდებით. რექს ფორტესქიუ ყოველთვის ცოდვილად მიმაჩნდა და არც არასდროს მყვარებია.

– იგი ისე მოულოდნელად გარდაიცვალა...

– როგორც უღმერთოებს შეეფერებათ, – კმაყოფილებით წარმოთქვა მოხუცებულმა ლედიმ.

– მაგრამ იგი, როგორც ჩანს, მოწამლეს...

ინსპექტორი გაჩუმდა. ელოდებოდა, მოახდენდა თუ არა მისი სიტყვები რამე ეფექტს.

მსგავსი არაფერი მომხდარა. მის რემსბოთომმა მხოლოდ ჩაიბურტყუნა:

– წითელი შვიდიანი შავ რვიანზე. ახლა ბაბუის გადატანაც შეიძლება.

როდესაც მიხვდა, რომ ინსპექტორი უმიზეზოდ არ დუმდა, კარტიანი ხელი ჰაერში გააშეშა და თქვა:

– ჩემგან რის თქმას ელით? გაინტერესებთ, მე მოვწამლე თუ არა? არა, მე არ მომიწამლავს.

– თქვენი აზრით, ვის შეეძლო ამის გაკეთება?

– ძალზე უტაქტო შეკითხვაა, – მკვახედ განაცხადა ხანში შესულმა ქალბატონმა, – ამ სახლში ჩემი განსვენებული დის ორი შვილი ცხოვრობს. ვერაფრით დავიჯერებ, რომ ადამიანს, ვის ძარღვებშიც რემსბოთომების სისხლი

Scanned by CamScanner

ჩქეფს, მკვლელობის ჩადენა შეუძლია. თქვენ ხომ მკვლელობას გულისხმობთ, არა?

– მე ეს არ მითქვამს, მადამ.

– ცხადია, მკვლელობას გულისხმობთ. თავის დროზე, რექსის მოკვლა უამრავ ადამიანს სურდა. ის ხომ უპრინციპობით გამოირჩეოდა. ძველ ცოდვებს კი, როგორც ამბობენ, გრძელი ჩრდილი მოჰყვება.

– ვინმეს გულისხმობთ?

მის რემსბოთომმა კარტი ერთმანეთს შეურია და წამოდგა. იგი საკმაოდ მაღალი ქალი აღმოჩნდა.

– ვფიქრობ, წასვლა გიჯობთ, – თქვა მან მრისხანების გარეშე, თუმცა საკმაოდ ცივად. ინსპექტორი მიხვდა, რომ მათი საუბარი დასრულდა.

– თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, – განაგრძო ქალმა, – ეს, სავარაუდოდ, რომელიმე მსახურის ჩადენილია. როგორც ვიცი, მსახურთუფროსი გვარიანი არამზადაა, მოახლეს კი თავში ყველაფერი რიგზე არ უნდა ჰქონდეს. კარგად ბრძანდებოდეთ.

ინსპექტორი ნილი, მისდა გასაკვირად, დამჯერი ბავშვივით გავიდა ოთახიდან. ეს მოხუცი ლედი უდავოდ შესანიშნავი პიროვნება იყო. ძალით მას ვერავინ ვერაფერს დასცინცლავდა.

ინსპექტორი კიბით კვადრატულ ჰოლში დაეშვა და მოულოდნელად მაღალ, მუქთმიან ქალიშვილს შეეჩეხა, რომელსაც ოდნავ ნამიანი მაკინტოში[1] ეცვა და მას შეკითხვის გამომხატველი სახით მისჩერებოდა.

– ახლახან მოვედი, – თქვა მან, – და მითხრეს... მამის შესახებ... რომ გარდაიცვალა.

– სამწუხაროდ, ეს სიმართლეა.

გოგონამ ხელი წინ ისე გაიშვირა, თითქოს რამე საყრდენის მოძებნას ცდილობდა. მუხის სკივრს რომ შეეხო, მასზე ნელა, მძიმედ დაეშვა.

– ოჰ, არა, – თქვა მან, – არა...

---

[1] *მაკინტოში – წყალგაუმტარი სანვიმარი ლაბადა.*

Scanned by CamScanner

ლოყებზე ცრემლები ჩამოუგორდა.

– რა საშინელებაა, – განაგრძო სლუკუნით, – მეგონა, რომ არ მიყვარდა... ზოგჯერ ვფიქრობდი, რომ მძულდა კიდეც... მაგრამ მაშინ, შესაძლოა, ჩემთვის სულერთი იყო. ახლა კი ასე არაა.

ქალიშვილი იჯდა, წინ იყურებოდა და ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა.

ბოლოს ქვითინს მოერია და კვლავ ალაპარაკდა:

– ყველაზე დიდი საშინელება ისაა, რომ ახლა ყველაფერი მოგვარდა. იმას ვგულისხმობ, რომ მე და ჯერალდს დაქორწინება შეგვიძლია. ამიერიდან იმას გავაკეთებ, რაც მომესურვება. მაგრამ საშინელებაა, რომ ეს ამის ფასად ხდება. არ მინდა, რომ მამა მკვდარი იყოს... ოჰ, როგორ არ მინდა. მამიკო... მამიკო...

მას შემდეგ, რაც „ურთხლის ქოხს" ეწვია, ინსპექტორი ნილი პირველად შეხვდა ისეთ ადამიანს, რომელიც გულწრფელად განიცდიდა მისტერ ფორტესქიუს გარდაცვალებას.

თავი მეცხრე

– ვფიქრობ, ეს მისი ცოლის ჩადენილია, – ივარაუდა პოლიციის კომისრის თანაშემწემ, როცა ყურადღებით მოისმინა ინსპექტორ ნილის ანგარიში.

საქმის არსი მშვენივრად იყო ჩამოყალიბებული – მოკლედ, მაგრამ ყველა აუცილებელი დეტალის თანხლებით.

– დიახ, – გაიმეორა კომისრის თანაშემწემ, – ცოლის ჩადენილს ჰგავს. ნილ, თქვენ რას იტყვით, ჰა?

ინსპექტორი ნილი უფროსის აზრს დაეთანხმა. გულში კი ცინიკურად გაიფიქრა, რომ ასეთ ნაბიჯს ხშირად დგამდნენ ცოლები... ან ქმრები – ვითარების მიხედვით.

– თანაც ამის შესაძლებლობაც ჰქონდა. მაგრამ მოტივი? – კომისრის თანაშემწე შეყოყმანდა, – მოტივი თუ არსებობს?

Scanned by CamScanner

– ვფიქრობ, არსებობს, სერ. ეს მისტერ დიუბუაა.

– თქვენი აზრით, ფორტესქიუს მკვლელობაში მისი ხელიც ურევია?

– არა, სერ, ასე არ ვიტყოდი, – ინსპექტორი ნილი წამით ჩაფიქრდა, – ის ძალზე უფრთხილდება საკუთარ ტყავს. შესაძლოა, ხვდებოდა ქალის ჩანაფიქრს, მაგრამ ვერ დავიჯერებ, რომ თუნდაც წააქეზა.

– დიახ, ძალზე ფრთხილია.

– ზედმეტად ფრთხილიც კი.

– კარგი, დასკვნის გაკეთებას ნუ ვიჩქარებთ, თუმცა სამუშაო ჰიპოთეზად გამოდგება. რა შეგვიძლია ვთქვათ იმ ორ ქალზე, რომლებსაც ჩაიში საწამლავის ჩაყრა შეეძლოთ?

– ერთი მათგანი ქალიშვილია, სერ, მეორე კი რძალი. ქალიშვილს ვიღაც ახალგაზრდა კაცი ჰყავს. განსვენებულს მისი სახელის გაგონებაც არ სურდა, შვილს მასზე გათხოვებას უკრძალავდა, ის კი უმზითვოდ ქალის ცოლად მოყვანას არ აპირებდა. ამგვარად, ქალიშვილს მოტივი გაუჩნდა. რძლის შესახებ კი კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვი. ჯერჯერობით მწირი ინფორმაცია გვაქვს. მაგრამ ფორტესქიუს მოწამვლა ამ სამთაგან ნებისმიერს შეეძლო. ვერ წარმომიდგენია, სხვა როგორ მოახერხებდა ამას. დიახ, მზარეული, მოახლე და მსახურთუფროსი საუზმეს ამზადებდნენ და სუფრაზე მიჰქონდათ, მაგრამ რა იცოდნენ, რომ ტოქსინი მხოლოდ ფორტესქიუს შეხვდებოდა და მეტს არავის? თუ ეს, რა თქმა უნდა, ტოქსინი იყო.

– ეს ტოქსინი იყო, – დაადასტურა კომისრის თანაშემწემ, – ახლახან მივიღეთ აუტოფსიის წინასწარი ანგარიში.

– მაშასადამე, ეს გარკვეულია, – თქვა ინსპექტორმა ნილმა, – ახლა წინ წაწევაც შეგვიძლია.

– მსახურებზე რას იტყვით?

– მსახურთუფროსი და მოახლე აშკარად ნერვიულობენ. თუმცა ამაში უჩვეულო არაფერია, ჩვეულებრივი მოვლენაა. მზარეული გაცოფებულია, დამლაგებელი იღუშება,

Scanned by CamScanner

მაგრამ კმაყოფილი ჩანს. ყველა ბუნებრივად იქცევა, რამე განსაკუთრებული არავისთვის შემიმჩნევია.

– კიდევ ვინმე ხომ არ მოგეჩვენათ საეჭვოდ?

– არა, სერ, – თქვა ინსპექტორმა და უნებურად მერი დოუვი და მისი იდუმალი ღიმილი დაუდგა თვალწინ. ამ ღიმილში ოდნავ, მაგრამ მკაფიოდ იგრძნობოდა მტრობა.

– რადგან გაირკვა, რომ ეს ტოქსინი იყო, – განაგრძო მან, – კარგი იქნებოდა იმის დადგენა, როგორ მოიხელთეს ის ან როგორ დაამზადეს.

– სწორია. აბა, მიდი, ნილ, იმოქმედეთ. სხვათა შორის, აქ მისტერ პერსივალ ფორტესქიუა. მე უკვე გავესაუბრე ორიოდე სიტყვით. თქვენ გელოდებათ. მეორე ვაჟსაც მივაგენით. ამჟამად პარიზშია, „ბრისტოლში", დღეს ჩამოფრინდება. ვფიქრობ, აჯობებს, მას აეროპორტში დახვდეთ.

– დიახ, სერ, მეც ასე ვაპირებდი...

– პერსივალ ფორტესქიუს კი ახლავე დაელაპარაკეთ, – კომისრის თანაშემწეს ჩაეცინა, – „თავდაჭერილი პერსი" – აი, ვინ არის იგი.

მისტერ პერსივალ ფორტესქიუ ოცდაათი-ოცდათხუთმეტი წლის წარმოსადეგი, მოწესრიგებული მამაკაცი იყო ღია ფერის თმითა და წამწამებით და მეტყველების ოდნავ პედანტური მანერით.

– ალბათ, ხვდებით, ინსპექტორო ნილ, რომ ეს ჩემთვის საშინელი შოკი იყო.

– რა თქმა უნდა, მისტერ ფორტესქიუ, – მიუგო ინსპექტორმა ნილმა.

– უნდა გითხრათ, რომ გუშინწინ, გამგზავრებამდე, მამა თავს მშვენივრად გრძნობდა. საკვებით მოწამვლა, თუ რა ჰქვია კიდევ... ძალზე მოულოდნელი იყო, არა?

– დიახ, ძალზე მოულოდნელი. მაგრამ ეს საკვებით მოწამვლა არ ყოფილა, მისტერ ფორტესქიუ.

პერსივალი ყურადღებით მიაჩერდა ინსპექტორს და მოიღუშა.

– არა? აი, თურმე, რატომ... – იგი გაჩუმდა.

Scanned by CamScanner

– მამათქვენი ტოქსინით მოწამლეს, – აუხსნა ინსპექტორმა.

– ტოქსინით? ეს სახელი არასდროს მსმენია.

– მის შესახებ ცოტამ თუ იცის. ძალიან ძლიერი საწამლავია, მოქმედებას მოულოდნელად იწყებს და სწრაფად კლავს.

პერსივალი მოიღუშა.

– იმის თქმა გსურთ, ინსპექტორო, რომ მამაჩემი ვილაცამ განზრახ მოწამლა?

– დიახ, სერ, ასეთი პირი უჩანს.

– რა საშინელებაა!

– დიახ, გეთანხმებით, მისტერ ფორტესქიუ.

– ახლა კი ვხვდები, საავადმყოფოდან ასე რატომ მელაპარაკებოდნენ, – ჩაილაპარაკა პერსივალმა, – აქ მოსვლა მირჩიეს.

იგი გაჩუმდა, პაუზის შემდეგ კი იკითხა:

– დაკრძალვა?

– მოკვლევა ხვალ, გვამის გაკვეთის შემდეგ გაიმართება. ფორმალური პროცედურა იქნება.

– გასაგებია. ყოველთვის ასე ხდება ხოლმე?

– დიახ, სერ. ჩვენს დროში ასე ხდება.

– შეიძლება, გკითხოთ, უკვე ჩამოგიყალიბდათ რამე აზრი, ეჭვი იმის შესახებ, თუ ვინ... სიმართლე გითხრათ, მე... – იგი კვლავ გაჩუმდა.

– დასკვნის გაკეთება ჯერ ადრეა, მისტერ ფორტესქიუ, – ჩაიბურტყუნა ნილმა.

– დიახ, ალბათ.

– მაგრამ შეგიძლიათ, დაგვეხმაროთ, მისტერ ფორტესქიუ, თუ მამათქვენის განზრახვას გაგვაცნობთ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით. ან თუ მის ადვოკატთან დამაკავშირებთ.

– მას ბედფორდსქვეარზე მდებარე საადვოკატო ფირმა „ბილინგსლი, ჰორზტორპი და უოლტერსი“ ემსახურებოდა. მაგრამ ანდერძის ძირითადი პუნქტების ჩამოთვლა მეც შემიძლია.

Scanned by CamScanner

– თუ ასეთ თავაზიანობას გამოიჩენთ, მადლობელი დაგრჩებით, მისტერ ფორტესქიუ, თუმცა, ვშიშობ, ამას მაინც ვერსად გავექცევით.

– მამაჩემმა ორი წლის წინ იქორწინა და ახალი ანდერძი შეადგინა, – განაცხადა პერსივალმა, – რომლის მიხედვითაც, თავის ახალ მეუღლეს ასი ათასი გირვანქა დაუტოვა, ჩემს დას, ელეინს – ორმოცდაათი ათასი. დანარჩენი მე მრჩება. მე ამჟამადაც კომპანიის თანამფლობელი ვარ.

– თქვენი ძმა, ლანსელოტ ფორტესქიუ, ანდერძში ნახსენები არაა?

– არა, დიდი ხანია, ჩემმა ძმამ და მამამ ერთმანეთთან ურთიერთობა გაწყვიტეს.

ნილმა თანამოსაუბრეს თვალმოჭუტულმა შეხედა, მაგრამ პერსივალი, როგორც ჩანს, გულწრფელად ლაპარაკობდა.

– მაშასადამე, – თქვა ინსპექტორმა ნილმა, – ანდერძის მიხედვით, მემკვიდრეობა სამ პირზე ნაწილდება: მისის ფორტესქიუზე, მის ელეინ ფორტესქიუსა და თქვენზე, არა?

– ვშიშობ, ბევრი არაფერი შემხვდება, – ამოიოხრა პერსივალმა, – ალბათ, გესმით, რომ მამის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ბევრი ხარჯი მექნება. თანაც, ბოლო დროს მამა, ასე ვთქვათ, ძალზე არაგონივრულად იქცეოდა ზოგიერთი გარიგების დროს.

– მამათქვენთან პირისპირ სერიოზული საუბარი ხომ არ გქონიათ საქმის წარმოებასთან დაკავშირებით? – ეს შეკითხვა ინსპექტორმა ნილმა, შეძლებისდაგვარად, უდარდელი კილოთი დასვა.

– მე მას ჩემი აზრი გავაცანი, მაგრამ, სამწუხაროდ... – პერსივალმა მხრები აიჩეჩა.

– ოდნავ გაცხარდით, არა? – ჰკითხა ნილმა, – ბნუ, თუ ყველაფერს თავის სახელს დავარქმევთ, გვარიანად შეკამათდით, ხომ?

– ასე არ ვიტყოდი, ინსპექტორო, – მიუგო პერსივალმა და გაღიზიანებისგან სახე წამოუწითლდა.

Scanned by CamScanner

– მაშინ, როგორც ჩანს, სხვა საკითხზე გიჩხუბიათ, მისტერ ფორტესქიუ.

– ჩვენ არ გვიჩხუბია, ინსპექტორო.

– დარწმუნებული ხართ? თუმცა, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ამას წინათ ბრძანეთ, რომ თქვენი ძმა და მამა ერთმანეთთან დღემდე უბრად არიან.

– დიახ, ასეა.

– თუ ასეა, იქნებ ამიხსნათ, ეს რას ნიშნავს?

ნილმა მას მერი დოუვის მიერ ჩაწერილი სატელეფონო შეტყობინება გადასცა.

პერსივალმა წაიკითხა და გაოცებისა და სინანულის შეძახილი აღმოხდა. საგონებელში ჩავარდნილი გაშმაგებამ მოიცვა.

– ვერაფერი გამიგია, ვერაფერი. თვალებს ვერ ვუჯერებ.

– მაგრამ ეს სიმართლეს ჰგავს, მისტერ ფორტესქიუ. თქვენი ძმა დღეს პარიზიდან უნდა ჩამოფრინდეს.

– არა, ეს დაუჯერებელია, სრულიად დაუჯერებელი. მართლა ვერაფერი გამიგია.

– ამის თაობაზე მამას თქვენთვის არაფერი უთქვამს?

– კრინტი არ დაუძრავს. რამხელა მზაკვრობაა – ლანსი გამოიძახა, მე კი არაფერი მითხრა.

– ხომ არ იცით, ასე რატომ მოიქცა?

– ცხადია, არა. ეს მის ბოლოდროინდელ უსაქციელობას ჰგავს... სულელურად იქცევა! უპასუხისმგებლოდ! ამას ბოლო უნდა მოელოს... მე...

მას სიტყვა გაუწყდა და გაფითრდა.

– დამავიწყდა, – თქვა მან, – სულ გადამავიწყდა, რომ მამა გარდაიცვალა.

ინსპექტორმა ნილმა თავი თანაგრძნობით დააქნია. პერსივალ ფორტესქიუ წასასვლელად მოემზადა. მან შლაპა აიღო და თქვა:

– დამირეკეთ, თუ ჩემგან რამე დაგჭირდებათ, თუმცა... – იგი შეყოყმანდა, – ალბათ, „ურთხლის ქოხში“ გვეწვევით ხოლმე, არა?

Scanned by CamScanner

– დიახ, მისტერ ფორტესქიუ... იქ უკვე გავგზავნე ერთი კაცი.

პერსივალი შეკრთა, სახეზე ზიზღი გამოესახა.

– რა უსიამოვნო ამბავში გავეხვიეთ. რაღა მაინცდამაინც ჩვენ დაგვემართა...

მან ამოიოხრა და კარისკენ დაიძრა.

– დღის უმეტეს ნაწილს ოფისში გავატარებ. იქ ახლა უამრავი საქმე იქნება. მაგრამ საღამოს „ურთხლის ქოხში" ვიქნები.

– კარგი, სერ.

პერსივალ ფორტესქიუ წავიდა.

– „თავდაჭერილი პერსი", – ჩაილაპარაკა ნილმა.

სერჟანტმა ჰეიმ, რომელიც მთელი ამ დროის განმავლობაში კედელთან წყნარად იჯდა, თავი ასწია და თქვა:

– სერ?

როდესაც ნილისგან პასუხს ვერ ელირსა, იკითხა:

– სერ, რას ფიქრობთ ამ ყველაფრის შესახებ?

– არ ვიცი, – მიუგო ნილმა და ხმადაბლა მოახდინა ციტირება: – „ძალზე არასასიამოვნო ხალხია".

ამ სიტყვებმა სერჟანტ ჰეის გაოცება გამოიწვია.

– „ელისი საოცრებათა ქვეყანაში", – განუმარტა ნილმა, – ჰეი, ნუთუ ელისს არ იცნობთ?

– ეს კლასიკიდანაა, არა, სერ? – იკითხა ჰეიმ, – „მესამე პროგრამის"[1] მასალაა? „მესამე პროგრამას" არასდროს ვუსმენ.

თავი მეათე

I

ლანსელოტ ფორტესქიუ ხუთი წუთის გამოსული იქნებოდა „ლებურჟედან", როდესაც კონტინენტური „დეილი მეილის" ეგზემპლარი გადაშალა და კითხვა დაიწყო. უეცრად

[1] *მესამე პროგრამა – დიდი ბრიტანეთის უმსხვილესი სამაუწყებლო კორპორაციის რადიოარხი.*

Scanned by CamScanner

შეშინებულმა შეჰყვირა. გვერდით მჯდომმა პატმა თავი მისკენ მიატრიალა და კითხვის გამომხატველი მზერა მიაპყრო.

– მოხუცის შესახებ წერია, – თქვა ლანსმა, – გარდაცვლილა.

– გარდაცვლილა? მამაშენი?

– ჰო. წერენ, რომ მოულოდნელად ავად გამხდარა და სენტ-ჯუდსის საავადმყოფოში წაუყვანიათ, სადაც მალე მომკვდარა კიდეც.

– ძალიან ვწუხვარ, ძვირფასო. გულმა უმტყუნა?

– ალბათ. ასე ჩანს.

– გული ადრეც აწუხებდა?

– როგორც ვიცი, არა.

– მეგონა, რომ პირველი შეტევის შემდეგ არ კვდებოდნენ.

– საბრალო მამა, – ჩაილაპარაკა ლანსმა, – არასდროს დავფიქრებულვარ, ასე ძლიერ თუ მიყვარდა, მაგრამ ახლა, როდესაც აღარაა...

– რა თქმა უნდა, გიყვარდა.

– პატ, შენნაირი საუცხოო ხასიათი ამქვეყნად არავის აქვს. ეჰ, ვფიქრობდი, ბედმა გამილიმა-მეთქი, მაგრამ არა, კვლავ ზურგი მაქცია.

– ჰო, უცნაურია, რომ ეს სწორედ ახლა მოხდა, როდესაც შინ დაბრუნებას აპირებდი.

კაცმა მკვეთრად მიატრიალა თავი ქალისკენ.

– უცნაური? უცნაურში რას გულისხმობ, პატ?

ქალმა ოდნავ გაოცებით შეხედა მას.

– იმას, რომ ასე დაემთხვა.

– იმის თქმა გსურს, რომ რაც უნდა წამოვიწყო, ყველაფერი უკულმა მიდის?

– არა, ძვირფასო, ეს არ მიგულისხმია. უბრალოდ, ყველას აქვს უიღბლობის პერიოდი.

– ჰო, ალბათ, ასეა.

– ძალიან ვწუხვარ, – გაიმეორა პატმა.

როდესაც ლონდონის ჰითროუს აეროპორტში ჩაფრინდნენ და თვითმფრინავიდან გადმოსვლის ნებართვას ელო-

Scanned by CamScanner

დებოდნენ, სალონში ავიაკომპანიის წარმომადგენელი შემოვიდა და მკაფიო კილოთი იკითხა:

– მგზავრებს შორის მისტერ ლანსელოტ ფორტესქიუ თუ არის?

– მე ვარ, – გამოეხმაურა ლანსი.

– აქეთ მობრძანდით, მისტერ ფორტესქიუ.

ლანსი და პატი სხვა მგზავრებზე ადრე ჩავიდნენ თვითმფრინავიდან. როდესაც ბოლო რიგში მჯდომ წყვილს ჩაუარეს, გაიგონეს, როგორ გადაულაპარაკა ქმარმა ცოლს:

– ალბათ, ცნობილი კონტრაბანდისტები არიან. ნამდვილად ფაქტზე აიყვანეს.

II

– ფანტასტიკურია, – თქვა ლანსმა და მაგიდის მეორე მხარეს მოკალათებულ ინსპექტორ ნილს შეხედა, – წარმოუდგენელია.

ინსპექტორმა ნილმა თავი თანაგრძნობით დაუქნია.

– ტოქსინი... ურთხლის ნაყოფი... ეს ყველაფერი მელოდრამას მაგონებს. გავბედავ და ვიტყვი, ინსპექტორო, რომ ეს თქვენთვის, ალბათ, ჩვეულებრივი შემთხვევაა, ყოველდღიური სამუშაო. მაგრამ ჩვენი ოჯახისთვის მონამვლა რაღაც ველურობის გამოვლინება უფროა.

– მაშასადამე, ვერაფერს იტყვით, ვის შეეძლო მამათქვენის მონამვლა? – იკითხა ინსპექტორმა ნილმა.

– ღმერთო ჩემო, ცხადია, ვერა. ვფიქრობ, მან ბევრი მტერი გაიჩინა საქმიან წრეებში. ისინი სიამოვნებით წაართმევდნენ ყველაფერს, გააკოტრებდნენ და მათხოვრადაც აქცევდნენ. მაგრამ მონამვლა? თუმცა, საიდან უნდა ვიცოდე? მე ხომ მრავალი წელი გავატარე საზღვარგარეთ და არ ვიცი, შინ რა ხდებოდა.

– სწორედ ამის შესახებ მინდოდა მეკითხა, მისტერ ფორტესქიუ. თქვენმა ძმამ მიმანიშნა, რომ მამასთან დიდი ხნის განმავლობაში უბრად იყავით. იქნებ ამიხსნათ, რატომ გადაწყვიტეთ დაბრუნება?

Scanned by CamScanner

– რა თქმა უნდა, ინსპექტორო. მამაჩემმა ხმა მომანვდინა. ეს მოხდა დაახლოებით... დიახ, ექვსი თვის წინ. ჩემი დაქორწინებიდან ცოტა ხანში. წერილი მომწერა და გადამიკრა, რომ წარსულის წყენა დაგვევიწყებინა. ინგლისში დაბრუნება და ფირმაში მუშაობა შემომთავაზა. მაგრამ მის სიტყვებში ბევრი ბუნდოვანება აღმოვაჩინე და დარწმუნებული არ ვიყავი, რომ დათანხმება ღირდა. ერთი სიტყვით, ინგლისში გასულ... დიახ, გასულ აგვისტოს ჩამოვედი, დაახლოებით სამი თვის წინ. ერთმანეთს მის სახლში, „ურთხლის ქოხში" შევხვდით. უნდა ვაღიარო, რომ საკმაოდ მიმზიდველი წინადადება შემომთავაზა. მივუგე, რომ მოვიფიქრებდი და ცოლსაც მოვეთათბირებოდი. ჩემს სიტყვებს გაგებით მოეკიდა. აღმოსავლეთ აფრიკაში დავბრუნდი და პატთან ყველაფერი შევათანხმე. ბევრი რომ არ გავაგრძელო, მამის შეთავაზებაზე დათანხმება გადავწყვიტე. თუმცა ჯერ იქაური საქმეები უნდა დამესრულებინა. ამაზეც ნავედი და დავპირდი, რომ ყველაფერს გასული თვის ბოლოსთვის მოვაგვარებდი, ინგლისში ჩემი ჩამოსვლის თარიღს კი დეპეშით შევატყობინებდი.

ინსპექტორმა ნილმა ჩაახველა.

– თუ არ ვცდები, ამ ჩამოსვლით თქვენი ძმა საკმაოდ გააკვირვეთ.

მოულოდნელად ლანსს გაეღიმა, ლამაზი თვალები ეშმაკურად აუციმციმდა.

– არა მგონია, რომ პერსის ამის თაობაზე სცოდნოდა, – თქვა მან, – მაშინ იგი ნორვეგიაში ატარებდა შვებულებას. ვფიქრობ, მოხუცმა საგანგებოდ შეარჩია ეს დრო, რათა მას ჩვენი შეხვედრის შესახებ არ გაეგო. მეტსაც გეტყვით. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ მამამ ეს ყველაფერი მას შემდეგ შემომთავაზა, რაც საბრალო პერსის ეჩხუბა და მინასთან გაასწორა. სხვათა შორის, პერსის ურჩევნია, რომ ვალი დაუძახონ. ჩემი აზრით, ვალი ცდილობდა, მამა თავის ჭკუაზე ეტარებინა. მოხუცი ამას ვერ დაუშვებდა. ვერ გეტყვით, რა ვერ გაიყვეს, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მამა ძა-

Scanned by CamScanner

ლიან განრისხდა. როგორც ჩანს, გადაწყვიტა, მე გამოვეძახე და ამით საბრალო ვალისთვის ჭკუა ესწავლებინა. უნდა აღვნიშნო, რომ პერსის ცოლს არასოდეს სწყალობდა, ჩემი ქორწინება კი ესიამოვნა – ის ხომ საშინელი სნობია. ჰოდა, ასეთი სანახაობა მოაწყო, რაც მის ხასიათში ზუსტად ჯდება – ჩამომიყვანა და პერსი ფაქტის წინაშე დააყენა.

– პირველ ჯერზე რა დრო დაჰყავით „ურთხლის ქოხში"?

– ოჰ, არა უმეტეს ერთი-ორი საათისა. ღამით დარჩენა არ შემოუთავაზებია. ვფიქრობ, ეს პერსის ზურგს უკან მოწყობილ შეთქმულებას უფრო ჰგავდა. როგორც ვიცი, მოსამსახურეებს ენაზე კბილის დაჭერა უბრძანა. შევთანხმდით, რომ მოვიფიქრებდი, პატს დაველაპარაკებოდი, შემდეგ კი საკუთარ გადაწყვეტილებას ვამცნობდი, რაც გავაკეთე კიდეც. მივწერე, დაახლოებით როდის ჩამოვიდოდი, გუშინ კი პარიზიდან დეპეშაც გამოვუგზავნე.

ინსპექტორმა ნილმა თავი დააქნია.

– დეპეშა, რომელმაც თქვენი ძმა ძალიან გააკვირვა.

– წარმომიდგენია მისი მდგომარეობა. მაგრამ პერსი, საბოლოოდ, ყოველთვის მოგებული რჩება – ჩამოსვლა დავაგვიანე.

– დიახ, – ჩაფიქრებული სახით თქვა ინსპექტორმა, – ძალზე გვიან ჩამოხვედით. წინა ჯერზე, აგვისტოში, – განაგრძო მან მკვირცხლად, – ოჯახის რომელიმე სხვა წევრს თუ შეხვდით?

– ჩაის სმას ჩემი დედინაცვალიც ესწრებოდა.

– ადრე თუ იცნობდით მას?

– არა, – მოულოდნელად ლანსს გაეღიმა, – მოხუცს ყოველთვის ეხერხებოდა კარგი საქონლის შერჩევა. ქალი ხომ მასზე ოცდაათი წლით ახალგაზრდა მაინც იქნება.

– მაპატიეთ, რომ გეკითხებით, მაგრამ ხომ არ გეჩოთირათ მამის ხელმეორედ დაქორწინება? თქვენ ან პერსივალს?

ლანსმა გაოცებული სახე მიიღო.

– სულაც არა. ვფიქრობ, არც პერსის. რაც უნდა იყოს, როცა დედა გარდაგვეცვალა, ჩვენ... ათი და თორმეტი

Scanned by CamScanner

ნლის ვიყავით. ის უფრო გასაკვირია, რომ უფრო ადრე არ მოიყვანა ცოლი.

– მაგრამ გაცილებით ახალგაზრდა ქალზე დაქორწინება საკმაოდ რისკიანი საქციელია, – ჩაილაპარაკა ინსპექტორმა ნილმა.

– ეს ჩემმა ძვირფასმა ძმამ გითხრათ? მსგავსი გამოთქმები სწორედ მას ახასიათებს. ის ხომ მინიშნებების დიდოსტატია. ალბ, თქვენც ასე ფიქრობთ, ინსპექტორო? ეჭვობთ, რომ დედინაცვალმა მომინამლა მამა?

ინსპექტორ ნილს სახეზე ერთი ნაკვთიც არ შესტოკებია.

– კონკრეტულად რამის თქმა ჯერ ნაადრევია, მისტერ ფორტესქიუ, – თავაზიანად მიუგო მან, – ხომ ვერ მეტყოდით, ახლა რა გეგმა გაქვთ?

– გეგმა? – ლანსი ჩაფიქრდა, – როგორც ჩანს, გეგმის შეცვლა მომინევს. სად არის ახლა ჩემი ოჯახი? ყველა „ურთხლის ქოხშია"?

– დიახ.

– ჰოდა, სწორედ იქ წავალ, – იგი ცოლს მიუბრუნდა, – პატ, აჯობებს, სასტუმროში წახვიდე.

– არა, არა, ლანს, – სასწრაფოდ გააპროტესტა ქალმა, – შენთან ერთად წამოვალ.

– არ ღირს, ძვირფასო.

– მაგრამ მე ასე მინდა.

– გარწმუნებ, უკეთესი იქნება. „ბარნსში" წადი... ღმერთო ჩემო, რამდენი ხანია, ლონდონში არ გავჩერებულვარ... ოდესღაც მყუდრო და წყნარი სასტუმრო იყო. ვიმედოვნებ, ახლაც ასეა, არა?

– დიახ, რა თქმა უნდა, მისტერ ფორტესქიუ.

– ძალიან კარგი. პატ, თუ თავისუფალი ნომრები იქნა, იქ დაგტოვებ, მე კი „ურთხლის ქოხში" გავემგზავრები.

– ლანს, რატომ არ გინდა ჩემი წაყვანა?

მოულოდნელად ლანსს სახე გაუმკაცრდა.

– რომ არ დაგიმალო, პატ, დარწმუნებული არ ვარ, რომ იქ გულთბილ შეხვედრას მომიწყობენ. მე ხომ მამამ მიმი-

Scanned by CamScanner

პატიჟა, ის კი მოკვდა. არ ვიცი, ახლა ვინ არის იქ უფროსი. შესაძლოა – პერსი, შესაძლოა – ადელი. ერთი სიტყვით, სანამ წაგიყვანდე, მინდა გავიგო, იქ რა ვითარებაა. თანაც...

– რა – თანაც?

– არ მინდა, რომ მკვლელთან ერთად ერთ ჭერქვეშ აღმოჩნდე.

– რა სისულელეა.

– პატ, როცა საქმე შენ გეხება, – მტკიცედ განაცხადა ლანსმა, – ვერ გავრისკავ.

თავი მეთერთმეტე

I

მისტერ დიუბუა გაღიზიანებული იყო. მან ადელ ფორტესქიუს წერილი დახია, ნაკუწებად აქცია და ნაგვის ურნაში ჩაყარა. შემდეგ გაახსენდა, რომ სიფრთხილე მართებდა, ქალალდის ნაგლეჯები უკანვე ამოიღო, ასანთს გაჰკრა და ისინი ფერფლად აქცია. ბოლოს ჩაილაპარაკა:

– რატომ არიან ქალები ასეთი სულელები? სად არის კეთილგონიერება...

„თუმცა, – გაიფიქრა სახემოლუშულმა მისტერ დიუბუამ, – ქალებს ხომ ყოველთვის აკლდათ კეთილგონიერება". მართალია, თვითონ არაერთხელ უსარგებლია ამით, მაგრამ ამჯერად ამგვარმა საქციელმა ძალზე გააღიზიანა. თვითონ სიფრთხილის ყველა ზომა მიიღო. თუ მისის ფორტესქიუ დაურეკავდა, ეტყოდნენ, რომ შინ არ იყო. ეგ არის, რომ ადელ ფორტესქიუმ უკვე სამჯერ დაურეკა, ბოლოს კი წერილიც გამოუგზავნა. წერილი კი უარესი წინდაუხედაობაა. იგი ცოტა ხნით ჩაფიქრდა და ტელეფონის აპარატთან მივიდა.

– თუ შეიძლება, მისის ფორტესქიუს სთხოვეთ. დიახ, მისტერ დიუბუა.

მალე ქალის ხმა გაისმა.

Scanned by CamScanner

– ვივიან, როგორც იქნა!

– დიახ, დიახ, ადელ. მაგრამ ფრთხილად იყავი. ახლა სად ხარ?

– ბიბლიოთეკაში.

– დარწმუნებული ხარ, რომ ჰოლიდან არავინ გისმენს?

– რატომ უნდა მისმენდნენ?

– რაიცი, რა ხდება. პოლიცია ჯერაც მანდ არის?

– არა, ახლა არ არიან. ვივიან, ძვირფასო, რა საშინელებაა.

– დიახ, დიახ, შენი კარგად მესმის. გაითვალისწინე, ადელ, რომ სიფრთხილე გვმართებს.

– ვიცი, ძვირფასო.

– ტელეფონით „ძვირფასოს" ნუ მეძახი. სახიფათოა.

– ეს უკვე მეტისმეტია, ვივიან. ახლა ყველა ასე მიმართავს ერთმანეთს.

– დიახ, დიახ, მართალი ხარ. მომისმინე. აღარც დამირეკო და აღარც მომწერო.

– რას ამბობ, ვივიან...

– სანამ ყველაფერი არ ჩაწყნარდება, გასაგებია? სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ.

– ჰო, კარგი, – ქალის ხმაში წყენამ გაიჟღერა.

– და კიდევ, ადელ. ჩემი წერილები. შენ ისინი დაწვი, არა?

ადელ ფორტესქიუ წამით შეყოყმანდა, სანამ უპასუხებდა:

– რასაკვირველია. ხომ გითხარი, დავწვავ-მეთქი.

– მაშინ ყველაფერი რიგზეა. კარგი, ყურმილს ვკიდებ. აღარ დამირეკო და არც მომწერო. მოვა დრო და თვითონ შეგეხმიანები.

მან ყურმილი დაკიდა და ჩაფიქრებულმა ნიკაპი მოისრისა. ქალის წამიერი ყოყმანი არ მოეწონა. დაწვა მისი წერილები თუ არა? ყველა ქალი ერთნაირია. დაგპირდებიან, დავწვავთო, თვითონ კი სამახსოვროდ იტოვებენ.

„წერილები... – გაიფიქრა მისტერ დიუბუამ, – ქალებს უყვართ წერილების მიღება". ცდილობდა, სიფრთხილე გამოეჩინა. მაგრამ ზოგჯერ ისეც ხდება, რომ, როგორც უნდა ეცადო... ადელ ფორტესქიუს რამდენიმე წერილი მაინც

Scanned by CamScanner

გაუგზავნა. რა მისწერა? ჩვეულებრივი აბდაუბდა. სახე მოეღუშა. ისეთი სიტყვა ან ფრაზა ხომ არ წამოსცდა, პოლიციას სხვანაირი ახსნა რომ მოეძებნა? ედიტ ტომპსონის საქმე გაახსენდა. არა, თითქოს მის წერილებში მაკომპრომეტირებელი არაფერი იყო, მაგრამ ასპროცენტიანი დარწმუნებით ვერ იტყოდა. სულ უფრო და უფრო შფოთავდა. დავუშვათ, ადელს მისი წერილები ჯერ არ დაუწვავს, ახლა ხომ მაინც უნდა მოისაზროს მათი განადგურება? თუ ისინი უკვე პოლიციის ხელშია? საინტერესოა, სად ინახავს მათ იგი. ალბათ, ზევით, თავის სასტუმრო ოთახში. იმ ულაზათო, ვითომდა ლუდოვიკო XIV-ის დროინდელ პატარა სანერ მაგიდაში. ერთხელ რაღაც უხსენა საიდუმლო უჯრის შესახებ. საიდუმლო უჯრა! ადრე თუ გვიან, პოლიციაც მიაგნებს. მაგრამ ახლა სახლში პოლიციელები არ არიან. ადელმა ასე თქვა. დილიდან ყოფილან, შემდეგ კი წასულან.

ისინი, როგორც ჩანს, იმაზე ფიქრობდნენ, თუ როგორ მოხვდა სანამლავი საჭმელში. ოთახებს ჯერ არ გაჩხრეკდნენ. ამისთვის ორდერი ან მეპატრონის ნებართვა მაინც დასჭირდებოდათ. თუ დროს არ დაკარგავდა...

გონებაში მკაფიოდ წარმოიდგინა სახლი. მალე დაბინდდებოდა კიდეც. ჩაის გამოიტანდნენ – ან ბიბლიოთეკაში, ან სასტუმრო ოთახში. ყველანი ქვევით შეიკრიბებოდნენ, მსახურები მათთვის განკუთვნილ ოთახში მოიყრიდნენ თავს. ზევით არავინ იქნებოდა. ბალის გავლით ურთხლის ღობეს გაუყვებოდა – ვერავინ შეამჩნევდა. შემდეგ ტერასის მხრიდან გვერდით კარს შეაღებდა – მას მხოლოდ დაწოლის წინ კეტავდნენ. მომენტს შეარჩევდა და მაღლა აიპარებოდა.

ვივიან დიუბუა ჩაფიქრდა – როგორ მოქცეულიყო? თუ პოლიცია ფორტესქიუს სიკვდილს გულის შეტევას ან რამე ამგვარს დააბრალებდა, რაც სრულიად ბუნებრივი მიზეზი ჩანდა, ასაღელვებელი არაფერი ექნებოდა. ისე კი... „სიფრთხილეს თავი არ სტკივა", – ცხვირში ჩაიდუდღუნა მისტერ დიუბუამ.

Scanned by CamScanner

II

მერი დოუვი ნელა ეშვებოდა განიერ კიბეზე. სართულებს შორის წამით იმ ფანჯარასთან შეჩერდა, საიდანაც წინადღეს ინსპექტორ ნილს მოჰკრა თვალი. ურთხლის ცოცხალი ღობის მიღმა მამაკაცის ფიგურა გაკრთა. ეს, ალბათ, ლანსელოტ ფორტესქიუ იქნება, უძღები შვილი. როგორც ჩანს, მანქანა ჭიშკართან დატოვა და ბაღი ფეხით გადმოჭრა – ძველი დრო გაიხსენა, თუმცა ამჯერად ოჯახი, სავარაუდოდ, მტრულად დახვდებოდა. მერი დოუვი თანაგრძნობით განიმსჭვალა ლანსის მიმართ. ჰოლში ოდნავ გაღიმებული ჩავიდა. იქ გლედისი შეხვდა, მოახლე, რომელიც მოულოდნელობისგან შეხტა კიდეც.

– გავიგონე, რომ ტელეფონმა დარეკა. ვინ იყო? – იკითხა მერიმ.

– ოჰ, ნომერი შეეშალათ. სამრეცხაოში რეკავდნენ, – გლედისი ისე ქოშინებდა, როგორც სირბილის შემდეგ, – მანამდე კი მისტერ დიუბუამ დარეკა. დიასახლისთან დალაპარაკება სურდა.

– გასაგებია.

მერიმ ჰოლი გადაჭრა, თავი მოაბრუნა და იკითხა:

– მგონი, ჩაის დალევის დროა, არა? ჯერ არ გაგიტანიათ?

– ნუთუ უკვე ხუთის ნახევარია, მის? – კითხვა შეუბრუნა გლედისმა.

– ოცი აკლია. ახლავე მიართვით.

მერი დოუვი ბიბლიოთეკაში შევიდა. იქ, დივანზე, ადელი იჯდა, ცეცხლს მისჩერებოდა და თითებით პატარა, მაქმანიან ცხვირსახოცს აწვალებდა.

– სად არის ჩაი? – იკითხა მან ჭირვეული ხმით.

– ახლავე მოიტანენ, – მიუგო მერი დოუვმა.

ბუხრიდან ცხაურზე ხის პატარა ნაჭერი გადმოვარდა. მერი დოუვი დაიხარა და მაშით უკან დააბრუნა, თან ორი ღერი შეშა და ცოტაოდენი ნახშირიც დაამატა.

როდესაც გლედისი სამზარეულოში შევიდა, სახეაწითლებულმა მისის კრამპმა, რომელიც მაგიდაზე დიდ ჯამ-

Scanned by CamScanner

ში ცომს ზელდა, შემოსულს ბრაზიანი მზერა მიაპყრო და უთხრა:

– ბიბლიოთეკის ზარი განუწყვეტლად რეკავს. დროა, რომ ჩაი გაიტანო, ჩემო კარგო.

– ახლავე, ახლავე, მისის კრამპ.

– ოჰ, რა დღეს დავაყრი კრამპს ამალამ, – ჩაილაპარაკა მისის კრამპმა, – ისე შევაჯანჯღარებ, რომ...

გლედისი ბუფეტში შევიდა. სენდვიჩები არ გაემზადებინა. მათ გაკეთებას არც აპირებდა. ისედაც ბევრი საქმელი იყო: ორი ღვეზელი, ნამცხვარი, ფუნთუშები, თაფლი. ფერმიდან მოტანილი ახალი კარაქი. პომიდვრის დაჭრითა და ფუა-გრას[1] სენდვიჩების მზადებით თავი რატომ შეენუხებინა? განრისხებული მისის კრამპი კი ადგილს ვერ პოულობდა, ალბათ, იმიტომ, რომ მისტერ კრამპი სადღაც ნასულიყო. „ვითომ რატომ არ უნდა გაესეირნა, თუ დასვენების დღე ჰქონდა. სნორადაც მოიქცა, თუ ნაივდა", – გაიფიქრა გლედისმა.

– ჩაიდანი დულს, კისერს იტეხს, – გამოსძახა სამზარეულოდან მისის კრამპმა, – ბოლოს და ბოლოს, მოამზადებ ამ ჩაის თუ არა?

– ახლავე.

მან თვალზომით ჩაყარა ჩაი ფერის დასაყენებელ მოზრდილ ჭურჭელში, ორივე ჩაიდანი ვერცხლის დიდ ლანგარზე მოათავსა, მთელი სახლის გაელით ბიბლიოთეკაში შეიტანა, დივნის გვერდით მდგარ მაგიდაზე დადგა და მაშინვე მეორე, ტკბილეულით სავსე ლანგრის მოსატანად ნავიდა. ჰოლის გავლისას კინალამ ხელიდან გაუვარდა, ეინაიდან მოულოდნელად ძველებური კედლის საათი ახმაურდა, რომელიც ყოველ თხუთმეტ წუთში ერთხელ ასე იქცეოდა.

ამასობაში ადელ ფორტესქიუმ კიდევ უფრო ჭირვეული ხმით ჰკითხა მერი დოუეს:

– სად გაქრა ყველა ამ შუადღისას?

---

[1] ფუა-გრა („ცხიმიანი ღვიძლი") – ბატის ან იხვის ღვიძლისგან დამზადებული დელიკატესი

Scanned by CamScanner

– არ ვიცი, მისის ფორტესქიუ. მის ფორტესქიუ ახლახან დაბრუნდა, მისის პერსივალი კი, თუ არ ვცდები, წერილებს წერს თავის ოთახში.

– წერილები, წერილები, – კვლავ ჭირვეული კილოთი წარმოთქვა ადელმა, – მხოლოდ წერილების წერა იცის. თავისი კლასის ტიპური წარმომადგენელია. ვინმეს სიკვდილი ან უბედურება მისთვის ნამდვილი ზეიმია. საზიზღრობაა. დიახ, საზიზღრობაა და მეტი არაფერი.

– ვეტყვი, რომ ჩაი მზადაა, – ტაქტიანად ჩაილაპარაკა მერიმ.

იგი გასასვლელისკენ გაემართა, მაგრამ კართან მისული განზე გადგა – ოთახში ელეინ ფორტესქიუ შემოვიდა.

– რა სიცივეა, – თქვა მან, მოიბუზა, ბუხრის ახლოს მდგარ სავარძელში ჩაეშვა და ხელების სრესას შეუდგა.

მერი ერთხანს ჰოლში იდგა. ერთ-ერთ სერვანტზე ღვეზლებიან ლანგარს მოჰკრა თვალი. შუქი აანთო, ვინაიდან საკმაოდ ბნელოდა. მოეჩვენა, რომ ზევით მდებარე დერეფანში ჯენიფერ ფორტესქიუმ გაიარა, მაგრამ კიბეზე არავინ დაშვებულა, ამიტომ მერი თვითონ ავიდა ზედა სართულზე და დერეფანს გაუყვა.

პერსივალ ფორტესქიუ და მისი ცოლი სახლის ერთ ფრთაში მდებარე იზოლირებულ ოთახებში ცხოვრობდნენ. მერიმ მათი სასტუმრო ოთახის კარზე დააკაკუნა. მისის პერსივალს მიაჩნდა, რომ შესვლამდე კარზე აუცილებლად უნდა დაეკაკუნებინათ, რაც კრამპში მის მიმართ ყოველთვის ზიზღს იწვევდა.

– შემოდით, – გაისმა ქალის მკვირცხლი ხმა.

მერიმ კარი შეაღო და ჩაილაპარაკა:

– ჩაი ახლავე იქნება, მისის პერსივალ.

მას ძალიან გაუკვირდა საგარეოდ გამოწყობილი ჯენიფერ ფორტესქიუს დანახვა. ეს უკანასკნელი სწორედ ახლა იხდიდა აქლემისბენწვიან გრძელ პალტოს.

– არ ვიცოდი, გარეთ თუ ბრძანდებოდით, – თქვა მერიმ.

მისის პერსივალი ჯერაც აჩქარებით სუნთქავდა.

Scanned by CamScanner

– ბალში გავიარე, მეტი არაფერი. სუფთა ჰაერის ჩასუნთქვა მომინდა. მაგრამ გარეთ ძალიან ცივა. სიამოვნებით ჩავალ ქვევით და ბუხართან დავჯდები. მგონი, ცენტრალური გათბობა ისე არ მუშაობს, როგორც საჭიროა. ვინმემ მებაღეებს უთხრას, რომ მიხედონ, მის დოუვ.

– ვეტყვი, – დაჰპირდა მერი.

ჯენიფერ ფორტესქიუმ პალტო სკამზე მიაგდო და ოთახიდან გასულ მერის გაჰყვა. კიბეზე იგი მსახურზე ადრე დაეშვა, რომელიც განზე გადგა, რათა მისთვის ეს უპირატესობა არ ნაერთმია. ჰოლში მის დოუვი კიდევ ერთხელ გაოცდა, როდესაც შეამჩნია, რომ ტკბილეულით სავსე ლანგარი კვლავაც ძველ ადგილას იდო. ის იყო, ბუფეტისკენ გაემართა გლედისის დასაძახებლად, რომ ბიბლიოთეკის კარში ადელ ფორტესქიუ გამოჩნდა და გაღიზიანებულმა იკითხა:

– ველირსებით თუ არა ჩაისთან რამე მისაყოლებელს?

მერიმ ლანგარს ხელი სტაცა და ბიბლიოთეკაში შეიტანა, შემდეგ კი თეფშები და ტკბილეულჩანყობილი ლარნაკები ბუხრის ნინ მდგარ დაბალ მაგიდებზე გაანაწილა. ცარიელი ლანგრით ჰოლში გასულს მოესმა, რომ ვიღაცამ კარზე ზარი დარეკა. მერიმ ლანგარი დადო და იქით გაემართა. თუ ის დიდი ხნის წინ წასული უძღები შვილი იყო, საინტერესო იქნებოდა მისი დანახვა. „როგორ განსხვავდება დანარჩენი ფორტესქიუებისგან", – გაიფიქრა მან, როდესაც კარი გააღო და უცნობს გამხდარ, შავგვრემან, ოდნავ გაღიმებულ სახეში შეხედა.

– მისტერ ლანსელოტ ფორტესქიუ? – იკითხა მის დოუვმა.

– გახლავართ.

მერიმ მის უკან გაიხედა.

– თქვენი ბარგი?

– ტაქსი უკვე გავუშვი. სულ ეს არის, რაც მაქვს.

მან საშუალო ზომის ელვაშესაკრავიანი ჩანთა ასწია. გაოცება რომ დაემალა, მერიმ თქვა:

Scanned by CamScanner

– აჰა, მაშასადამე, ტაქსით მობრძანდით. მე კი მეგონა, რომ ფეხით გავლას მოისურვებდით. თქვენი მეუღლე?

ლანსმა შუბლი ოდნავ შეიჭმუხნა და მიუგო:

– ჩემი ცოლი არ ჩამოვა. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც.

– გასაგებია. მობრძანდით, მისტერ ფორტესქიუ, მობრძანდით, ყველანი ბიბლიოთეკაში არიან და ჩაის მიირთმევენ.

ქალმა იგი ბიბლიოთეკის კარამდე მიაცილა და დატოვა, თავისთვის კი გაიფიქრა, რომ ლანსელოტ ფორტესქიუ ძალზე მიმზიდველი კაცი იყო. წამსვე თავში მეორე აზრმაც გაუელვა: ასე, ალბათ, ძალიან ბევრი ქალი ფიქრობდა.

III

– ლანს!

ელეინმა ძმასთან მიირბინა, მოეხვია და სკოლის მოსწავლესავით კისერზე ჩამოეკიდა, რამაც ლანსი საკმაოდ გააოცა.

– გამარჯობა. ჰო, ეს მე ვარ.

მან ქალიშვილის მკლავებისგან თავი ძალდაუტანებლად დაიხსნა და იკითხა:

– ეს ჯენიფერია?

ჯენიფერ ფორტესქიუ მოსულს ხარბი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა.

– ვშიშობ, ვალი ქალაქში შეყოვნდა, – თქვა მან, – მოგეხსენებათ, რამდენი საქმე აქვს. შეკვეთა, შეთანხმება, მოლაპარაკება, მითითებების მიცემა – ყველაფრის გაკეთება მას უწევს, ვერც კი წარმოიდგენთ, რა დღეში ვართ.

– დიახ, ალბათ, ძალიან გიმძიმთ, – სერიოზული სახით მიუგო ლანსმა.

იგი დივანზე მჯდომი ქალისკენ შეტრიალდა, რომელსაც მარცხენა ხელში თაფლწასმული ფუნთუშა ეჭირა და ახალმოსულს მშვიდად აკვირდებოდა.

– ადელს, ცხადია, არ იცნობთ, არა? – შესძახა ჯენიფერმა.

Scanned by CamScanner

– ოჰ, თქვენ ნარმოიდგინეთ, ვიცნობ, – ჩაილაპარაკა ლანსმა, ქალს ზემოდან დახედა და ხელზე შეეხო. ადელმა თვალები დააფახულა, ფუნთუშა დადო და თმა შეისწორა. ეს ნმინდა ქალური ჟესტი იყო, რაც ოთახში ნარმოსადეგი მამაკაცის შემოსვლას გამოეწვია. მან დაბალი, ნაზი ხმით ნარმოთქვა:

– აქ დაჯექით, ლანს, დივანზე, ჩემ გვერდით, – ადელმა კაცს ჩაი დაუსხა და განაგრძო: – მოხარული ვარ, რომ მოხვედით. სახლში კიდევ ერთი მამაკაცი ნამდვილად გვჭირდება.

– მზად ვარ, გემსახუროთ, თუკი რამე შემიძლია, – თქვა ლანსმა.

– უკვე გეცოდინებათ... თუმცა შესაძლოა, არც იცით... აქ პოლიცია იყო. ისინი ფიქრობენ... ისინი ფიქრობენ, რომ... – მან სათქმელი ალარ დაასრულა და გრძნობით შესძახა: – ოჰ, რა საშინელებაა! რა საშინელება!

– მე ყველაფერი ვიცი, – მკაცრად, მაგრამ თანაგრძნობით მიუგო ლანსმა, – ისინი, ფაქტობრივად, ლონდონის აეროპორტში დამხვდნენ.

– პოლიციელები დაგხვდნენ?

– დიახ.

– მერედა, რა გითხრეს?

– რა მითხრეს და, – ლანსის ხმაში საყვედურმა გაიელვა, – ყველაფერი მიამბეს, რაც მოხდა.

– იგი მოინამლა, – თქვა ადელმა, – ისინი ასე ფიქრობენ და ამბობენ კიდეც. ოლონდ არა საკვებით. ეილაცამ ის განზრახ მონამლა. მჯერა, მართლა მჯერა, რომ, მათი აზრით, ეს ერთ-ერთმა ჩვენგანმა ჩაიდინა.

მოულოდნელად ლანსმა ქალს გაულიმა.

– ეს მათი თავის ტკივილია, – უთხრა ქალს გასამხნევებლად, – თქვენ ნუ ინერვიულებთ. რა საუცხოო ჩაია! კარგა ხანია, ნამდვილი ინგლისური ჩაისთვის გემო არ გამისინჯავს.

მალე მისი განწყობა სხვებსაც გადაედო. უეცრად ადელმა იკითხა:

Scanned by CamScanner

– მაგრამ თქვენი მეუღლე... ცოლი ხომ გყავთ, ლანს?

– დიახ, მყავს. ის ახლა ლონდონშია.

– მაგრამ... ხომ არ აჯობებს, რომ ისიც ჩვენთან ერთად იყოს?

– ვნახოთ, დრო ბევრი გვაქვს, – მიუგო ლანსმა, – პატი... ოჰ, პატი იქაც მშვენივრად გრძნობს თავს, სადაც არის.

– შენ ხომ არ ფიქრობ... – ჩაერთო უცებ ელეინი, – შენ ხომ არ მიგაჩნია, რომ...

– ეს შოკოლადის ტორტი საუცხოოდ გამოიყურება, – სწრაფად ჩაილაპარაკა ლანსმა, – აუცილებლად უნდა გავსინჯო.

მან ცოტა მოიჭრა და იკითხა:

– დეიდა ეფი ცოცხალია?

– დიახ, ლანს, ცოცხალია. ჩვენთან არ ჩამოდის, ჩვენთან ერთად არ ჭამს, არც გვეკონტაქტება, მაგრამ კარგად არის. ძალიან უცნაური გახდა.

– ის ყოველთვის უცნაური იყო, – თქვა ლანსმა, – ჩაის რომ დავასრულებთ, ავალ და ვინახულებ.

– მის ასაკში, – ჩაიბურტყუნა ჯენიფერ ფორტესქიუმ, – კარგი იქნება, თუ რომელიმე დაწესებულებაში გადავა, სადაც შესაფერისად მოუვლიან.

– ღმერთო, დაეხმარე მოხუცებულ ქალთა იმ დაწესებულებას, რომელიც დეიდა ეფის შეიფარებს, – ხუმრობით განაცხადა ლანსმა და დაამატა: – ვინ იყო ის მორიდებული არსება, კარი რომ გამიღო?

– განა კრამპმა, მსახურთუფროსმა არ გაგიღოთ? – გაუკვირდა ადელს, – აჰ, სულ დამავიწყდა. ის ხომ დღეს ისვენებს. გლედისის შესახებ კი ვერ იტყვი, რომ იგი...

– ცისფერი თვალები, – შეუდგა აღწერას ლანსი, – შუაზე გაყოფილი თმა, რბილი ხმა, გვარიანი ჩუმჩუმელა. აღარ მოვყვები, რა იმალება ხოლმე ამ ყველაფრის უკან.

– მერი დოუვი იქნებოდა, – თქვა ჯენიფერმა.

– ის ჩვენთან ეკონომის ფუნქციას ასრულებს, – დაამატა ელეინმა.

Scanned by CamScanner

– ამჟამადაც?

– სახლის საქმეებს მშვენივრად უძღვება, – თქვა ადელმა.

– კარგი ის არის, – განაგრძო ჯენიფერმა, – რომ თავისი ადგილი იცის და საკუთარ თავს ზედმეტის უფლებას არასდროს აძლევს. ალბათ, ხვდებით, რასაც ვგულისხმობ.

– ჭკვიანი მერი დოუვი, – თქვა ლანსმა და შოკოლადის ტორტს კიდევ ერთი ნაჭერი ჩამოაჭრა.

თავი მეთორმეტე

I

– მაშასადამე, კვლავ გამოჩნდი ყალბ მონეტასავით, – თქვა მის რემსბოთომმა.

ლანსმა გაიღიმა.

– სწორედ ისეა, როგორც ამბობ, დეიდა ეფი.

– ჰმ! – უკმაყოფილოდ ჩაიფრუტუნა მის რემსბოთომმა, – კარგი დრო კი შეგირჩევია ამისთვის. გუშინ მამაშენი მოკლეს, სახლში პოლიცია დაძრწის და ყველგან ცხვირს ჰყოფს, ნაგვის ურნებსაც კი ამოწმებენ. ფანჯრიდან მოვკარი მათ თვალი, – იგი გაჩუმდა, კვლავ ჩაიფრუტუნა და იკითხა: – ცოლიც ჩამოიყვანე?

– არა, პატი ლონდონში დავტოვე.

– ჭკვიანურად მოქცეულხარ. შენს ადგილას არც მე წამოვიყვანდი. წინასწარ არასდროს იცი, ვის რა შეიძლება შეემთხვეს.

– მას? პატს?

– ნებისმიერს, – მიუგო მის რემსბოთომმა.

ლანს ფორტესქიუმ ჩაფიქრებით შეხედა მოხუცს.

– რამე იდეა ხომ არ გაქვს ამ ყველაფერთან დაკავშირებით? – იკითხა მან.

მის რემსბოთომმა პირდაპირ პასუხს თავი აარიდა.

– გუშინ ჩემთან ინსპექტორი მოვიდა შეკითხვების დასასმელად. ცხადია, ბევრი ვერაფერი შეიტყო. არც ისეთი

Scanned by CamScanner

სულელია, როგორც გამოიყურება. პირიქით, სულაც არ არის სულელი, – უეცრად მოხუცს აღშფოთება დაეტყო: – რას იტყოდა ბაბუაშენი, ჩვენს სახლში პოლიციის მოსვლის შესახებ რომ შეეტყო – საფლავში ამოტრიალდებოდა ის საბრალო. მთელი ცხოვრება „პლიმუთის საძმოს"[1] წევრი იყო. რა ამბავი დამაწია, როდესაც გაიგო, რომ საღამოობით ანგლიკანურ ეკლესიაში დავდიოდი! დარწმუნებული ვარ, მკვლელობასთან შედარებით, ის სრულიად უცოდველ საქციელად ჩამეთვლება.

ამგვარ მონოლოგებს ლანსი, როგორც წესი, ღიმილით ხვდებოდა, მაგრამ ამჯერად მის მოგრძო, შავგვრემან სახეზე სერიოზულობის მეტი არაფერი იკითხებოდა.

– დეიდა, – თქვა მან, – მე ხომ დიდი ხანია, აქ არ ვყოფილვარ. ბევრი რამ არ ვიცი. იქნებ ამიხსნა, რა ხდება?

მის რემსბოთომმა თვალები ცისკენ აღაპყრო.

– უკეთურობა და ბინიერება, – გადაჭრით განაცხადა მან.

– დიახ, დიახ, დეიდა ეფი, შენგან სხვა სიტყვებს არც ველოდი. მაგრამ რატომ ფიქრობენ პოლიციელები, რომ მამა აქ, ამ სახლში მოკლეს?

– მრუშობა სხვაა, მკვლელობა კი სულ სხვა, – თქვა მის რემსბოთომმა, – როგორ არ მინდა, რომ მასზე მივიტანო ეჭვი, ძალიან არ მინდა.

ლანსი გაფაციცდა.

– ადელზე? – იკითხა მან.

– პირზე ბოქლომი მადევს, – თქვა მის რემსბოთომმა.

– კარგი რა, დეიდა, – სცადა ლანსმა მოხუცის დაყოლიება, – ფრთიან ფრაზას ჰგავს, მაგრამ ამ შემთხვევას სრულიად არ შეეფერება. ადელს ბოიფრენდი ჰყავდა, არა? ადელმა და იმ კაცმა მამას დილის ჩაი ლენცოფით დაუტკბეს. ასეთი ვითარებაა, არა?

– არა მგონია, ეს სახუმარო თემა იყოს.

---

[1] *„პლიმუთის საძმო" – 1830 წელს ქალაქ პლიმუთში შექმნილი სექტა, რომელიც სამღვდელოებას არ აღიარებდა.*

Scanned by CamScanner

– იქნებ არც ვხუმრობ.

– ერთ რამეს გეტყვი, – მოულოდნელად გამოცოცხლდა მის რემსბოთომი, – იმ გოგომ რაღაც იცის, ამაში დარწმუნებული ვარ.

– რომელმა გოგომ? – გაუკვირდა ლანსს.

– იმან, ცხვირს რომ აქსუტუნებს, – მიუგო მის რემსბოთომმა, – იმან, ჩემთვის ჩაი რომ უნდა მოეტანა, მაგრამ არ მომიტანა. როგორც მითხრეს, დაუკითხავად გაშპასადღაც. სულაც არ გამიკვირდება, თუ პოლიციაში გაიქცა. კარი ვინ გაგილო?

– ვილაც მერი დოუვმა. ასე მგონია. ვითომ წყნარი და თვინიერია, მაგრამ სინამდვილეში... შენი აზრით, ის გავარდა პოლიციაში?

– ის პოლიციაში არ გაიქცევა, – განაცხადა მის რემსბოთომმა, – არა, მე იმ პატარა სულელ მოახლეს ვგულისხმობ. მთელი დღე მოუსვენრადაა, აქეთ-იქით კურდღელივით დახტის. რა დაგემართა, სინდისმა ხომ არ შეგაწუხა-მეთქი, ვკითხე. არა, მე არაფერი ჩამიდენია... ასეთ ცოდვას როგორ დავიდებო, მიპასუხა. ვიმედოვნებ, რომ არ დაიდებ, მაგრამ ხომ ვხედავ, რა დღეში ხარ-მეთქი. სლუკუნი დაიწყო – ცუდს არავის ვუსურვებ, ყველაფერი შეცდომის გამო მოხდაო. მაშინ ვუთხარი: თუ ასეა, სიმართლე თქვი და ეშმაკს შეარცხვენ-მეთქი. სწორედ ასე ვუთხარი. თან დავაყოლე: ახლა პოლიციაში წადი და ყველაფერი მოუყევი, რაც იცი, რადგან სიმართლის დამალვა, თუნდაც მწარე სიმართლე იყოს, კარგს არაფერს მოიტანს-მეთქი. აქ მიკიბულ-მოკიბულზე გადავიდა: პოლიციაში როგორ წავიდე, ისინი ხომ არ დამიჯერებენ, ან რა ვუთხრა საერთოდ. ბოლოს კი ხელები გაასავსავა: არაფერი ვიციო.

– შენი აზრით, – შეყოყმანდა ლანსი, – ასე იმიტომ ხომ არ მოიქცა, რომ საკუთარი მნიშვნელობისთვის ხაზი გაესვა?

– არა, არა. ვფიქრობ, შეშინებული იყო. შესაძლოა, ამ შემთხვევასთან დაკავშირებით რაღაც დაინახა ან მოის-

Scanned by CamScanner

მინა. იქნებ მართლა რაღაც მნიშვნელოვანი, იქნებ სულაც სისულელე.

– ხომ შეიძლება, მამაჩემის ჯავრი სჭირდა და... – ლანსმა აღარ დაასრულა.

მის რემსბოთომმა თავი მტკიცედ გადააქნია და თქვა:

– მისნაირები მამაშენისთვის არც არსებობდნენ. ამ საბრალოს ცხოვრებაში ერთი კაციც არ მიაქცევს ყურადღებას. თუმცა გავბედავ და ვიტყვი, რომ მისი სულისთვის შესაძლოა, ასე ჯობდეს კიდეც.

ლანსს გლედისის სული არ აინტერესებდა.

– მაშასადამე, გგონია, რომ პოლიციაში გაიქცა? – იკითხა მან.

– სრულიად შესაძლებელია. დავუშვათ, სახლში მათთან საუბრის შეეშინდა – ვაითუ, ვინმემ ჩემს ნათქვამს ყური მოჰკრასო.

– შენი აზრით, დაინახა, როგორ ჩაყარა ვილაცამ საჭმელში საწამლავი?

დეიდა ეფიმ დისშვილს სწრაფი მზერა შეავლო.

– რატომაც არა? სრულიად შესაძლებელია, – თქვა მან.

– ჰო, მეც ასე ვფიქრობ, – დაეთანხმა ლანსი და ბოდიშის კილოთი დაამატა: – ეს ყველაფერი ვერაფრით გადავხარშე. ნამდვილი დეტექტივია.

– პერსივალის ცოლი საავადმყოფოში მომვლელად მუშაობდა, – თქვა მის რემსბოთომმა.

ეს რეპლიკა ლანსს იმდენად უადგილოდ მოეჩვენა, რომ თვალები დაჭყიტა.

– საავადმყოფოში მომუშავე მომვლელები წამლებში კარგად ერკვევიან, – აუხსნა მის რემსბოთომმა. ლანსს სახეზე ეჭვი გამოესახა.

– იმ საწამლავს... ტოქსინს... მედიცინაში თუ იყენებენ?

– როგორც ვიცი, ტოქსინი ურთხლის ნაყოფიდან მიიღება. ზოგჯერ ამ ნაყოფს ბავშვები ჭამენ, – განაგრძო მის რემსბოთომმა, – და საშინლად ავადდებიან. ჩემს ბავშვობაშიც მოხდა ამგვარი შემთხვევა. მახსოვს, თავზარდაცე-

Scanned by CamScanner

მული ვიყავი. აღარასოდეს დამვიწყებია. ასეთი მოგონებები ზოგჯერ სასარგებლოც კია.

ლანსმა თავი მკვეთრად ასწია და მოხუცს შეხედა.

– ერთია ბუნებრივი ლტოლვა – ვფიქრობ, ეს ცხოვრებაში არ დამკლებია. მაგრამ ბოროტებასა და უკეთურობას ვერ ვიტან. ბოროტება და უკეთურობა უნდა ამოიძირკვოს.

II

– ისე წავიდა, სიტყვა არ მითხრა, – თქვა მისის კრამპმა და გაწითლებული, მრისხანე სახე ცომს მოსწყვიტა, რომელსაც დაფაზე აბრტყელებდა, – ისე გაძვრა, კრინტი არავისთან დაუძრავს. ეშმაკი, ნამდვილი ეშმაკი! შეეშინდა – რომ ვუთხრა, არ გამიშვებსო. არც გავუშვებდი, რომ მცოდნოდა! წარმოგიდგენიათ?! ოჯახის უფროსი მოკვდა, შინ მისტერ ლანსი ბრუნდება, რომელიც ამდენი წელია, აქ არ ყოფილა. კრამპს ვუთხარი კიდეც: „გამოსასვლელი დღეა თუ არა, არ მაინტერესებს, მე ჩემი მოვალეობა ვიცი. არ შეიძლება, ასეთ დღეს მაგიდაზე მხოლოდ ცივი ვახშამი იყოს, როგორც ეს ხუთშაბათობით ხდება. არა, ამ საღამოს სუფრას არაფერი უნდა აკლდეს, როგორც წესი და რიგია. ჯენტლმენმა ცოლად არისტოკრატი მოიყვანა, მასთან ერთად საზღვარგარეთიდან ჩამოდის, თავს ვერ შევირცხვენთ“. ხომ მიცნობთ, მის, სამუშაოს ყოველთვის პასუხისმგებლობით ვეკიდები.

მერი დოუვმა – სწორედ მასთან იოხებდა გულს მზარეული – თავი ოდნავ დააქნია.

– კრამპმა კი რა მითხრა? – კვლავ ცხარედ განაგრძო მისის კრამპმა, – დღეს გამოსასვლელი დღე მაქვს და უნდა წავიდეო. აი, რა მითხრა. არისტოკრატია თუ არა, სულ არ მადარდებსო. აი, როგორ უდგება საქმეს. ქუდი დაიხურა და წავიდა. მაშინვე გლედისი გავაფრთხილე – დღეს შენს კისერზე გადაივლის ყველაფერი-მეთქი. რა თქმა უნდა, მისის კრამპ, რა თქმა უნდა, მიპასუხა, მაგრამ მივტრიალდი თუ არა, მისი ბუნდღაც აღარ იყო. არადა, დღეს გამოსასვლელი დღე არა აქვს. პარასკევს ისვენებს. არ ვიცი, როგორ

Scanned by CamScanner

გავწვდებით ყველაფერს! მადლობა ღმერთს, მისტერ ლანსმა ცოლი არ წამოიყვანა.

– გავწვდებით, მისის კრამპ, – მერის ხმა დამამშვიდებლადაც ჟღერდა და მბრძანებლურადაც, – ოღონდ მენიუ უნდა გავამარტივოთ, – მან სადილის თავისი ვარიანტი ჩამოაყალიბა. მისის კრამპმა, თანხმობის ნიშნად, თავი უხალისოდ დაუქნია, – ამ ყველაფერს სუფრაზე სწრაფად მივიტან, – დაამატა მერიმ.

– იმის თქმა გსურთ, მის, რომ მაგიდას თვითონ მოემსახურებით? – დაეჭვებით იკითხა მისის კრამპმა.

– თუ იმ დროისთვის გლედისი არ მოვა, კი.

– ცხადია, არ მოვა, – განაცხადა მისის კრამპმა. – აქეთიქით იხეტიალებს და მაღაზიებში ფულს გაფლანგავს. მას, სხვათა შორის, მის, ვიღაც ახალგაზრდა კაცი ჰყავს, თუმცა, რომ შეხედავ, ამას ვერაფრით იფიქრებ. ალბერტი ჰქვია. გაზაფხულზე დაქორწინებას აპირებენ – თვითონ მითხრა. მაგრამ ამ ცხვირმოუხოცავმა გოგოებმა ოჯახური ცხოვრების ინჩიბინჩი არ იციან. რომ იცოდეს, რა არ გადამიტანია კრამპის ხელში, – მან ამოიოხრა, შემდეგ კი ჩვეული ხმით დაამატა:

– ჩაისთან დაკავშირებით როგორ მოვიქცეთ, მის? ვინ აალაგებს და გარეცხავს ყველაფერს?

– მე, – მიუგო მერიმ, – ახლავე წავალ და მივხედავ.

ბიბლიოთეკაში შუქი არ ენთო, თუმცა ადელ ფორტესქიუ კვლავაც დივანზე იჯდა ჩაისთვის განკუთვნილი ლანგრის გვერდით.

– ავანთო შუქი, მისის ფორტესქიუ? – იკითხა მერიმ. ადელმა არაფერი უპასუხა.

მერიმ ჩამრთველი გადაატრიალა, ფანჯარასთან მივიდა და ფარდა გასწია. მხოლოდ შემდეგ შემობრუნდა და დივნის ბალიშებზე გადავარდნილი ქალის სახეს მოჰკრა თვალი, მის გვერდით კი – დაუმთავრებელ, თაფლწასმულ ფუნთუშასა და ბოლომდე დაუცლელ ჩაის ჭიქას. ჩანდა, რომ სიკვდილი ადელ ფორტესქიუს სწრაფად და მოულოდნელად სწვეოდა.

Scanned by CamScanner

III

– აბა? – მოუთმენლად იკითხა ინსპექტორმა ნილმა.

ექიმმა სწრაფად ჩაილაპარაკა:

– ციანიდი – სავარაუდოდ, კალიუმციანიდი – ჩაიში.

– ციანიდი, – ჩაიბურტყუნა ნილმა.

ექიმმა მას ცნობისმოყვარეობით შეხედა.

– ვხედავ, ცუდ ხასიათზე ხართ. ალბათ, მიზეზიც გაქვთ, არა?

– ჩვენ იგი მკვლელი გვეგონა, – მიუგო ინსპექტორმა.

– ის კი მსხვერპლი აღმოჩნდა. ჰმ, მაშასადამე, კვლავ მოგიწევთ ტვინის ჭყლეტა, ხომ?

ნილმა თავი დააქნია. სახე მოღუშოდა, დანა პირს არ უხსნიდა.

მონამლეს! თანაც ზედ მის ცხვირწინ. ტოქსინი რექს ფორტესქიუს ყავაში დილით, ციანიდი ადელ ფორტესქიუს ჩაიში. კვლავაც ინტიმური, ოჯახური საქმე. ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანდა.

ადელ ფორტესქიუ, ჯენიფერ ფორტესქიუ, ელეინ ფორტესქიუ და ახლად ჩამოსული ლანს ფორტესქიუ ბიბლიოთეკაში ჩაის ერთად სვამდნენ. ლანსი ზევით ავიდა მის რემსბოთომთან, ჯენიფერი თავის ოთახში გავიდა წერილების დასაწერად, ბიბლიოთეკა ბოლოს ელეინმა დატოვა. მისი თქმით, ადელი სრულიად ჯანმრთელად გამოიყურებოდა და ბოლო ფინჯან ჩაის ისხამდა.

ბოლო ფინჯანი ჩაი! დიახ, ის მისთვის მართლა უკანასკნელი აღმოჩნდა.

ამის შემდეგ ოცი წუთი გავიდა, სანამ მერი დოუვი ოთახში შევიდოდა და გვამს დაინახავდა.

ამ ოცი წუთის განმავლობაში...

ინსპექტორმა ნილმა გუნებაში შეიკურთხა და სამზარეულოსკენ გაემართა. მისის კრამპს მაგიდასთან მდგარ სკამზე აეხორხლა თავისი უშველებელი სხეული. მისი საომარი განწყობილება უკვალოდ გამქრალიყო. ნილის გამოჩენაზე არც კი შერხეულა.

Scanned by CamScanner

– სად არის ის გოგონა? ჯერაც არ დაბრუნებულა?

– გლედისი? არა. ვფიქრობ, თერთმეტ საათამდე არც დაბრუნდება.

– თქვენ თქვით, რომ ჩაი მან მოამზადა და გაიტანა კიდეც.

– სერ, ღმერთია მოწმე, მე არც შევხებივარ. მეტსაც გეტყვით – დანამდვილებით ვიცი, რომ გლედისს ცუდი არაფერი გაუკეთებია, იგი ასეთი არაა. უწყინარი გოგოა, სერ. შესაძლოა, ცოტათი წაისულელებს, მაგრამ ბოროტმოქმედი ნამდვილად არ არის.

არც ნილს მიაჩნდა გლედისი ბოროტმოქმედად. არც კი გაუფიქრებია, რომ გლედისმა ჩაყარა საწამლავი. თანაც ფერის დასაყენებელ ჩაიდანში ციანიდის კვალს ვერ მიაგნეს.

– მაგრამ რატომ გაიქცა ასე მოულოდნელად? თქვენ ხომ ამბობთ, რომ დღეს გამოსასვლელი დღე არ ჰქონდა.

– მართალია, სერ, გამოსასვლელი დღე ხვალ აქვს.

– კრამპი...

მოულოდნელად მისის კრამპს კვლავ დაუბრუნდა საომარი განწყობილება, ხმაში მრისხანება შეერია.

– აი, კრამპს კი თავი დაანებეთ. კრამპს ამ საქმესთან საერთო არაფერი აქვს. ის სამ საათზე წავიდა. ახლა უკვე თამამად ვიტყვი: მადლობა ღმერთს, რომ წავიდა. იგი ისევე არ იყო აქ, როგორც მისტერ პერსივალი.

პერსივალ ფორტესქიუ ახლახან დაბრუნებულიყო ლონდონიდან და განცვიფრებას ვერ მალავდა მეორე ტრაგედიის გამო.

– კრამპის დადანაშაულება არც მიფიქრია, – რბილად თქვა ნილმა, – მხოლოდ იმის დაზუსტება მინდოდა, იცოდა თუ არა რამე გლედისის გეგმების შესახებ.

– თავისი საუკეთესო, ნეილონის წინდა ჩაიცვა, – განაცხადა მისის კრამპმა, – ასე ტყუილუბრალოდ არ მოიქცეოდა. მე არაფერი გამომეპარება. არც სენდვიჩები მოუმზადებია ჩაისთვის. დიახ, თავიდანვე გადაუწყვეტია წასვლა. ნახეთ, რა დღეს დავაწევ, როცა დაბრუნდება.

Scanned by CamScanner

როცა დაბრუნდება...

ნილი მოუსვენრობამ შეიპყრო. მისგან თავის დასაღწევად ზევით ავიდა, ადელ ფორტესქიუს საძინებელში. თქმა არ უნდოდა, მდიდრული ოთახი იყო. ყველგან ვარდისფერი ფარჩა ეკიდა. კედელთან დიდი, მოოქრული საწოლი იდგა. ერთი კარით სარკეებით მოფენილ სააბაზანოში მოხვდებოდით, სადაც მოვარდისფრო-ლილისფერი აბაზანა მოჩანდა. სააბაზანოს იქით, მეორე კარით რექს ფორტესქიუს საგარდერობო ოთახში აღმოჩნდებოდით. ნილი ადელის საძინებელში დაბრუნდა, იქიდან კი მის სასტუმრო ოთახში გავიდა, რომელიც ამპირის სტილის ავეჯით მოეწყოთ. იატაკზე ვარდისფერი, ხაოიანი ხალიჩა ეგო. ნილმა ოთახი ზერელედ მოათვალიერა, ვინაიდან წინადღეს დაწვრილებით შეესწავლა. მაშინ მისი ყურდღება პატარა, ელეგანტურმა მაგიდამ მიიპყრო.

ამჯერად თვალში სულ სხვა რამ მოხვდა. ვარდისფერი, ხაოიანი ხალიჩის შუაში გამაგრებული ტალახის ერთი ციცქნა გუნდა ეგდო.

ნილი მიუახლოვდა მას, დაიხარა და აიღო. მცირე სინოტივე იგრძნო.

მიიხედ-მოიხედა – ფეხის ანაბეჭდი არსად ჩანდა, მხოლოდ ნოტიო მიწის ეს ერთი პატარა ფრაგმენტი.

IV

ინსპექტორი ნილი გლედის მარტინის საძინებელს ათვალიერებდა. უკვე თერთმეტი საათი იყო. კრამპი ნახევარი საათის წინ დაბრუნდა, გლედისი კი ჯერაც არ ჩანდა – თითქოს მიწამ უყო პირიო. მან მიიხედ-მოიხედა. როგორი კარგი მოახლეც უნდა ყოფილიყო გლედისი, ჩანდა, რომ ბუნებრივი ინსტინქტები ფეთხუმობისკენ უბიძგებდა. „ლოგინს იშვიათად ასწორებს, – გაიფიქრა ინსპექტორმა, – ფანჯარასაც იშვიათად აღებს". თუმცა გლედისის ჩვევები ახლა ნაკლებად აინტერესებდა. იგი ყურადღებით შეუდგა ნივთების შესწავლას.

Scanned by CamScanner

ტანსაცმელი, ძირითადად, იაფფასიანი და უბრალო ჰქონდა. არაფერი იყო კარგი ხარისხის და გამძლე. ხანში შესული ელენისგან, რომელსაც დახმარება სთხოვა, ღირებული ვერაფერი შეიტყო. მან არ იცოდა, როგორ სამოსს ატარებდა ან არ ატარებდა იგი. ისიც კი ვერ თქვა, თუ რომელი ტანსაცმელი არ იდო ადგილზე. ინსპექტორმა ჩასაცმელ-დასახურავს თავი მიანება და კამოდისკენ გადაინაცვლა, სადაც გლედისი მისთვის ძვირფას საგნებს ინახავდა: საფოსტო ბარათებს, ამონაჭრებს გაზეთებიდან, ქსოვის ნიმუშებს, რჩევებს სახის მოვლის შესახებ, ტანსაცმლის მოდელების თარგებსა და ფოტოსურათებს.

ინსპექტორმა ნილმა ეს ყველაფერი აკურატულად დაახარისხა რამდენიმე კატეგორიად. საფოსტო ბარათებს სხვადასხვა ხედი ჰქონდა – როგორც ჩანს, იმ ადგილების, სადაც გლედისი დასასვენებლად მიემგზავრებოდა ხოლმე. სამ ბარათს ვილაც ბერტი აწერდა ხელს, ალბათ, მისის კრამპის მიერ ნახსენები ახალგაზრდა კაცი. პირველ ბარათზე არცთუ მტკიცე ხელით ეწერა: „გისურვებ ყოველივე საუკეთესოს. ძალიან მენატრები. მუდამ შენი ბერტი". ინსპექტორმა მეორეს გადაავლო თვალი: „აქ ბევრი ლამაზი გოგოა, მაგრამ შენ ვერავინ შეგედრება. მალე შევხვდებით. ჩვენი შეთანხმება არ დაგავიწყდეს. ხანგრძლივი და ბედნიერი ცხოვრება გველის". მესამე მოკლედ იუწყებოდა: „არ დაგავიწყდეს. შენი მჯერა. სიყვარულით, ბ.". შემდეგ ნილი გაზეთების ამონაჭრებზე გადაერთო და სამ ჯგუფად დააწყო. რჩევები სახის მოვლისა და ტანსაცმლის კერვის შესახებ, სტატიები იმ კინოვარსკვლავებზე, რომელთა შემოქმედებაც მას, როგორც ჩანს, აღაფრთოვანებდა. თურმე მეცნიერების ბოლო სასწაულებიც აინტერესებდა – მფრინავი თეფშები, საიდუმლო იარაღი, რუსების მიერ გამოყენებული სიმართლის სათქმელი აბები, ამერიკელი ექიმების მიერ გამოგონებული ვითომდა ფანტასტიკური წამლები. „ერთი სიტყვით, – გაიფიქრა ნილმა, – მეოცე საუკუნის მთელი აჯაფსანდალი". მაგრამ ამ ოთახში გოგონას გაუ-

Scanned by CamScanner

ჩინარებასთან დაკავშირებულ გასაღებს ვერ მიაგნო. გლედისს დღიური არ ჰქონდა – ინსპექტორს ასეთი საჩუქრის შესახებ არც გაუფიქრებია. თუმცა გულის კუნჭულში პატარა ნაპერწკალი, შესაძლოა, უბჟუტავდა კიდეც. არანაირი დაუმთავრებელი წერილი ან იმის მტკიცებულება, თითქოს რექს ფორტესქიუს სიკვდილის შესახებ რამე იცოდა. თუ გლედისმა რამე დაინახა ან მოისმინა, ეს არაფრით დასტურდებოდა. მხოლოდ მკითხაობა თუ შეიძლებოდა იმის თაობაზე, რატომ იდო ჰოლში ამდენ ხანს მეორე ლანგარი და რატომ გაუჩინარდა გლედისი ასე მოულოდნელად.

ნილმა ამოიოხრა, ოთახიდან გავიდა და კარი გაიჯახუნა.

უკვე პატარა ხრახნულა კიბეზე ჩადიოდა, როდესაც სირბილით მომავალი კაცის ფეხების ბრაგაბრუგი მოესმა.

ქვემოდან აქოშინებული სერჟანტი ჰეი შეჰყურებდა შენუხებული სახით.

– სერ, – აღელვებით წარმოთქვა მან, – სერ! მივაგენით მას.

– ვის მიაგენით?

– დამლაგებელმა, სერ... ელენმა... მას გაახსენდა, რომ ეზოში თოკებზე გასაშრობად ჩამოკიდებული თეთრეული დარჩა – კუთხეში, თუკი უკანა კარიდან გახვალთ. ჰოდა, ფარნით ხელში მის შემოსატანად გავიდა. გავიდა და ფეხი გვამს ნამოჰკრა... ქალიშვილის გვამს. იგი ვიღაცას დაუხრჩვია – ყელზე წინდა შემოუხვევია და... ვფიქრობ, რამდენიმე საათის მკვდარი უნდა იყოს. თანაც, სერ, ბოროტად უხუმრიათ კიდეც – სარეცხის სამაგრი მისთვის ცხვირზე მოუჭერიათ...

თავი მეცამეტე

ხანში შესულმა ქალმა, რომელიც მატარებლით მგზავრობდა, სამი დილის გაზეთი იყიდა. თითოეულ მათგანში, წაკითხულსა და გვერდზე გადადებულში, ერთი და იგივე სათაური მოგჭრიდათ თვალს. თუ ადრე ამ ამბავს ბოლოს

Scanned by CamScanner

წინა გვერდებზე ეკავა მოკრძალებული ადგილი, ახლა პირველ გვერდზე გაჯგიმულიყო. „სამმაგი მკვლელობა „ურთხლის ქოხში" – იუწყებოდნენ გაზეთები.

ხანდაზმული ქალბატონი წელგამართული და ტუჩებმოკუმული იჯდა. მისი მოთეთრო-მოვარდისფრო, დანაოჭებული სახე წუხილსა და უკმაყოფილებას გამოხატავდა. ფანჯარაში იყურებოდა. ეს მის მარპლი გახლდათ. იგი სენტ-მერიმიდიდან დილის მატარებლით გამოემგზავრა, ერთი გადაჯდომის შემდეგ ლონდონში ჩავიდა, წრიული მატარებლით მეორე სადგურზე გადაინაცვლა და ბეიდონ-ჰითისკენ აიღო გეზი.

იქ ტაქსი დაიქირავა და მძღოლს „ურთხლის ქოხში" მიყვანა სთხოვა. მოთეთრო-მოვარდისფრო სახის მქონე მის მარპლი ისეთი მომხიბლავი, გულუბრყვილო და სათნო მოხუცი ჩანდა, რომ ადვილად შეაღწია სახლში, რომელიც ალყაშემორტყმულ სიმაგრეს ჰგავდა. წარმოუდგენელი ფაქტია – პოლიციელებმა, ჟურნალისტებსა და ფოტოგრაფებს ახლოს რომ არ უშვებდნენ, მის მარპლი დაუბრკოლებლად გაატარეს, ვინაიდან თვალის ერთი შევლებითაც აშკარად ჩანდა, რომ იგი ოჯახის ხანში შესული ნათესავი უნდა ყოფილიყო. სხვა აზრი თავში არავის მოსვლია.

მის მარპლმა ტაქსისტს მგზავრობის საფასური გადაუხადა, მიღებული ხურდა ფული გულდაგულ გადათვალა, სახლის შესასვლელთან მივიდა და ზარის ღილაკს თითი დააჭირა. კარი კრამპმა გაუღო. მის მარპლმა მას გამოცდილი მზერა მიაპყრო. „გაქნილია, – გაიფიქრა ქალმა, – თანაც საშინლად დამფრთხალი".

კრამპის წინ მაღალი, ხანში შესული, ძველმოდურ, ტვიდის კოსტიუმში გამონყობილი ქალი იდგა, ყელზე ორი შარფი შემოეხვია, თავს ფრთაგაჩრილი ფეტრის შლაპა უმშვენებდა, ხელში მოზრდილი ხელჩანთა ეჭირა, ფეხებთან მრავლისმნახველი ხარისხიანი ჩემოდანი მოეთავსებინა. კაცმა მასში ერთი შეხედვით ამოიცნო ღირსეული ლედი და უაღრესად თავაზიანად და მოწიწებით მიმართა:

– რით შემიძლია გემსახუროთ, მადამ?

Scanned by CamScanner

– შემიძლია თუ არა დიასახლისის ნახვა? – ჰკითხა მის მარპლმა.

კრამპი განზე გადგა და სტუმარი სახლში შეუშვა, შემდეგ ჩემოდანი აიღო და ჰოლში ფრთხილად შეიტანა.

– მომიტევეთ, მადამ, – თქვა მან ყოყმანით, – მაგრამ არ ვიცი, როგორ...

მის მარპლმა დახმარება აღარ დაახანა.

– იმ საბრალო გოგონაზე დასალაპარაკებლად მოვედი, – მიუგო მან, – რომელიც აქ მოკლეს – გლედის მარტინზე.

– გასაგებია, მადამ. თუ ასეა... – იგი გაჩუმდა, რადგან ამ დროს ბიბლიოთეკის კარიდან ახალგაზრდა, მაღალი ქალი გამოვიდა, – ეს მისის ლანს ფორტესქიუა, მადამ, – თქვა კრამპმა.

პატი მათ მიუახლოვდა და ქალებმა ერთმანეთს შეხედეს. მის მარპლი ოდნავ შეცბუნდა – ნამდვილად არ მოელოდა, თუ ამ სახლში პატრიცია ფორტესქიუს მსგავს ადამიანს შეხვდებოდა. გარემო სწორედ ასე წარმოედგინა, მაგრამ პატი ამ გარემოს რატომღაც არ უხდებოდა.

– გლედისთან დაკავშირებით, მადამ, – თავაზიანად აუხსნა კრამპმა.

– აქეთ ხომ არ წამობრძანდებით? – გაუბედავად მიიპატიჟა სტუმარი პატმა, – მარტონი ვიქნებით, – იგი მის მარპლს ბიბლიოთეკაში შეუძღვა, – კონკრეტული პიროვნების ნახვა გსურთ? – იკითხა მან, – ვშიშობ, მე ვერაფრით დაგეხმარებით. უნდა გითხრათ, რომ მეუღლესთან ერთად რამდენიმე დღის წინ ჩამოვედი აფრიკიდან. აქაურ საქმეებზე ბევრი არაფერი ვიცით. თუ გნებავთ, ჩემს მულს ან მაზლის ცოლს დავუძახებ.

მის მარპლმა ქალიშვილს შეხედა და მაშინვე მოეწონა. მოეწონა მისი უბრალოება და სერიოზულობა. თვითონაც არ იცოდა, რატომ, მაგრამ იგი შეეცოდა კიდეც. ინტუიციამ უკარნახა, რომ აქ, ამ მდიდრულ, ძვირფასი ავეჯით განყობილ გარემოში, პატი თავს არაკომფორტულად გრძნობდა. მისთვის უფრო შესაფერისი გაცრეცილჩითგადაკრული

Scanned by CamScanner

ავეჯი, ცხენები და ძაღლები იქნებოდა. მის მარპლი არაერთხელ შეხვედროდა პატის მსგავს გოგონებს პონების გამოფენასა თუ ძაღლებისთვის განკუთვნილ მოედნებზე სენტ-მერიმიდის გარშემო და მათ კარგად იცნობდა. ამიტომაც განეწყო სიმპათიით ამ ქალიშვილის მიმართ, რომელიც აქ არცთუ ბედნიერი ჩანდა.

– ჩემი აქ მოსვლის მიზეზს მარტივად აგიხსნით, – თქვა მის მარპლმა და გულდაგულ შეუდგა ხელთათმანის გაძრობასა და თითების გათავისუფლებას, – გაზეთებიდან შევიტყვე, რომ გლედის მარტინი მოკლეს. მას ძალიან კარგად ვიცნობდი. ჩემი სოფლიდან იყო. შეიძლება ითქვას, რომ კერძო სახლებში მოახლედ მუშაობის პრაქტიკა ჩემთან გაიარა. როგორც კი ამ საშინელი ტრაგედიის შესახებ გავიგე, ვიგრძენი... დიახ, ვიგრძენი, რომ უნდა მოვსულიყავი და მენახა, რამე სარგებლობის მოტანა ხომ არ შემეძლო.

– დიახ, – მიუგო პატმა, – გასაგებია, კარგად მესმის თქვენი.

იგი სიმართლეს ამბობდა. მის მარპლის საქციელი ბუნებრივად, გარდაუვალადაც კი ეჩვენებოდა.

– ვფიქრობ, ძალიან კარგია, რომ მობრძანდით, – განაგრძო პატმა, – გარდაცვლილის შესახებ ბევრი არავინ იცის. ნათესავებსა და მისთანებს ვგულისხმობ.

– არა, – თქვა მის მარპლმა, – ნათესავები, ცხადია, არ ჰყავდა. ის ჩემთან სენტფეიტსის ობოლთა თავშესაფრიდან მოვიდა. იქ არცთუ ცუდი ვითარებაა, მაგრამ ფული არ ჰყოფნით. გოგონებისთვის ყველაფერს ვაკეთებთ, რაც შეგვიძლია. ვცდილობთ, კარგად ვავარჯიშოთ და გამოვწვრთნათ მომავალი სამუშაოსთვის. გლედისი ჩვიდმეტი წლის იყო, როდესაც ავიყვანე. ვასწავლე სუფრის გაწყობა, მომსახურება, ვერცხლეულის გაწმენდა და ასე შემდეგ. ჩემთან, ბუნებრივია, ცოტა ხანს დარჩა. ისინი ერთ ადგილას დიდხანს არასდროს რჩებიან ხოლმე. ცოტაოდენი ისწავლა და დამემშვიდობა – კაფეში დაიწყო მუშაობა. ყველა გოგონა რატომღაც კაფესკენ მიისწრაფვის. ჰგონიათ, რომ

Scanned by CamScanner

იქ უფრო თავისუფლად და მხიარულად იქნებიან. არ ვიცი, შესაძლოა, ასეც არის.

– მე ის არც კი მინახავს, – თქვა პატმა, – ლამაზი იყო?

– ოჰ, არა, – მიუგო მის მარპლმა, – სულაც არა. აქეთ ადენოიდები, იქით მუწუკები, გვარიანად ნაისულელებდა კიდეც. ჩემი აზრით, – ჩაფიქრებული სახით განაგრძო მის მარპლმა, – არა მგონია, ოდესმე მეგობრები ჰყოლოდა. საბრალო გოგონას მამაკაცები ძალიან მოსწონდა, მაგრამ ისინი მას ყურადღებას არ აქცევდნენ. სხვა ქალიშვილები კი დასცინოდნენ და მასხრად იგდებდნენ.

– რა სისასტიკეა, – ჩაილაპარაკა პატმა.

– დიახ, ჩემო კარგო, – თქვა მის მარპლმა, – სამწუხაროდ, ცხოვრება სასტიკი რამაა. არც კი იცი, როგორ დაეხმარო გლედისის მსგავს ადამიანებს. მათი საყვარელი გასართობი კინოში სიარულია. თავში ათასგვარ სისულელეს იტენიან და შეუძლებელზე ოცნებობენ. შესაძლოა, ეს, ერთგვარად, ბედნიერებაც კია, მაგრამ ამას აუცილებლად იმედგაცრუება მოჰყვება ხოლმე. ვფიქრობ, გლედისსაც ასე გაუცრუვდა იმედი კაფეში. მის ცხოვრებაში არაფერი ხდებოდა ოდნავ მაინც მნიშვნელოვანი, თანაც მთელი დღე აქეთ-იქით სირბილით იღლებოდა. იქნებ ამიტომაც დაუბრუნდა კერძო სახლში მოახლეობას. ხომ არ იცით, აქ რამდენი ხნის განმავლობაში მუშაობდა?

პატმა თავი გადააქნია.

– ვფიქრობ, ცოტა ხანი. ერთი-ორი თვე, – იგი გაჩუმდა, შემდეგ კი განაგრძო: – საშინელებაა, რომ ამ ამბავში გაეხვია. როგორია ასეთი სიკვდილი – არაფრის გულისთვის. ალბათ, რაღაც დაინახა, შეამჩნია ან მოისმინა.

– ყველაზე მეტად სარეცხის სამაგრი არ მომეწონა, – ჩაილაპარაკა მის მარპლმა წყნარად.

– სარეცხის სამაგრი?

– დიახ. ამის შესახებ გაზეთებში ამოვიკითხე. ეს ხომ სიმართლეა, არა? როდესაც უპოვიათ, ცხვირზე თურმე სარეცხის სამაგრი ეკეთა.

Scanned by CamScanner

პატი თავის დაქნევით დაეთანხმა. მის მარპლს მოვარდისფრო ლოყები შესამჩნევად გაუმუქდა.

– სწორედ ამან გამაბრაზა ყველაზე მეტად. ალბათ, ხვდებით, რასაც ვგულისხმობ. როგორი სასტიკი და ქედმაღლური დანაშაულია! გონებაში მაშინვე ჩამომიყალიბდა მკვლელის სახე. რა საზიზღრობაა! მსხვერპლის ასე შებილწვა... ღირსების შეურაცხყოფა... მით უმეტეს, გარდაცვლილის.

– ვფიქრობ, თქვენი კარგად მესმის, – ჩაილაპარაკა პატმა და წამოდგა, – აჯობებს, ინსპექტორ ნილს შეხვდეთ. ამ საქმეს ის იძიებს. ახლა აქ არის. ჩემი აზრით, მოგეწონებათ. ძალზე გულისხმიერი ადამიანია, – მოულოდნელად მან მხრები ისე შეატოკა, თითქოს შესცივდაო, – ეს ყველაფერი საშინელი კოშმარი მგონია. უაზრობა. სიგიჟე. ყოვლად აუხსნელი რამ.

– მე კი ასე არ ვიტყოდი, – თქვა მის მარპლმა, – არა, ასე ნამდვილად არ ვიტყოდი.

ინსპექტორ ნილს დაღლილი, განამებული სახე ჰქონდა. სამი სიკვდილი მიჯრით – და მთელი ქვეყნის რეპორტიორები ამ ადგილს მოაწყდნენ. თავდაპირველად თითქოს ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი საქმე იყო, მაგრამ მოულოდნელად ყველაფერი თავდაყირა დადგა. ადელ ფორტესქიუ, რომელსაც მთავარ ეჭვმიტანილად მოიაზრებდნენ, მეორე მსხვერპლად იქცა და საქმე უკიდურესად ჩაიხლართა. იმ საბედისწერო დღის ბოლოს კომისრის თანაშემწემ ნილს თავისთან უხმო. მამაკაცები გვიან ღამემდე საუბრობდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან შეშფოთებული იყო, ინსპექტორი ნილი გულის სიღრმეში კმაყოფილებას გრძნობდა. სქემა „ცოლი – საყვარელი" თითქოს თავიდანვე ზედაპირზე იდო და ძალიან მარტივი ჩანდა. ის მასში თავიდანვე უნდობლობას იწვევდა. და, აჰა, მისი ეჭვი გამართლდა.

– ახლა ყველაფერი სრულიად სხვაგვარად გამოიყურება, – თქვა კომისრის თანაშემწემ, რომელიც მოღუშული სახით სცემდა ბოლთას კაბინეტში, – ასე მგონია, ნილ,

Scanned by CamScanner

რომ ფსიქიკურ პათოლოგიასთან გვაქვს საქმე. ჯერ ქმარი, შემდეგ ცოლი. მაგრამ გარემოებები მიგვანიშნებს, რომ მკვლელი შინაურია, ასე ვთქვათ, ოჯახური წრიდან. ვილაც, ვინც ფორტესქიუსთან ერთად საუზმობდა და ყავაში ან საჭმელში ტოქსინი ჩაუყარა. ვილაც, ვინც ოჯახთან ერთად ჩაის სვამდა და ადელ ფორტესქიუს ფინჯანში კალიუმციანიდი მოათავსა, ვისაც ენდობიან და ვისზეც ეჭვს არავინ მიიტანს. და ეს ვილაც ოჯახის წევრია. ვინ იქნება, ნილ?

– პერსივალი შინ არ იყო, – ცივად მიუგო ნილმა, – და ეს მას კვლავაც თამაშგარე მდგომარეობაში ტოვებს. კვლავაც თამაშგარე მდგომარეობაში, – გაიმეორა მან.

კომისრის თანაშემწემ მას მკვეთრად შეხედა. მისი ყურადღება ფრაზის გამეორებამ მიიპყრო.

– რამე იდეა გაქვთ, ნილ? აბა, გამაცანით.

ინსპექტორი ნილი გულგრილი სახით იყურებოდა.

– განსაკუთრებული არაფერია, სერ. მხოლოდ იმის თქმა მსურდა, რომ მისთვის ყველაფერი ძალზე ილბლიანად ვითარდება.

– საეჭვოდ ილბლიანად, არა? – ჩაფიქრებულმა კომისრის თანაშემწემ თავი დააქნია, – თქვენი აზრით, შეეძლო, ეს როგორლაც მოეწყო? ვერ წარმომიდგენია, ეს როგორ უნდა მოეხერხებინა, ნილ. ასეთ გზას ვერ ვხედავ.

– ის ძალზე ფრთხილი ადამიანია, – დაამატა მან.

– და ძალიან ჭკვიანიც, სერ.

– ქალებზე კი ეჭვი არ მიგაქვთ. ასეა, არა? არადა, თითქოს ყველაფერი მათზე მიუთითებს. ელეინ ფორტესქიუსა და პერსივალის ცოლზე. ორივენი ესწრებოდნენ საუზმესაც და ჩაისაც. ამის გაკეთება ან ერთს შეეძლო, ან მეორეს. გარეგნულად ორივე ნორმალურს ჰგავს. მაგრამ პათოლოგია ყოველთვის როდია თვალში საცემი. იქნებ ნარსულში რამე დაავადება სჭირდათ? ეს დასადგენია.

ინსპექტორმა ნილმა არაფერი უპასუხა. იგი მერი დოუვზე ფიქრობდა. საფუძვლიანი მიზეზი არ ჰქონდა, რომ მასზე ეეჭვა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ფიქრებს იგი ჯიუ-

Scanned by CamScanner

ტად ამ მიმართულებით მიჰყავდა. იყო მასში რაღაც აუხსნელი, იდუმალი, მსუბუქი, დამცინავი ანტაგონიზმი. დიახ, განსაკუთრებით რექს ფორტესქიუს დაღუპვის შემდეგ. და ახლა? როგორც ყოველთვის, სანიმუშოდ იქცეოდა. თითქოს დამცინავად აღარ გამოიყურებოდა. მასში აღარც ანტაგონიზმი შეიმჩნეოდა. მაგრამ რამდენჯერმე განა შიშმა არ გადაურბინა სახეზე? გლედის მარტინის სიკვდილი კი მის კისერზეა. მისი მოუსვენრობა და დანაშაულის შეგრძნება მან პოლიციასთან შეხვედრით გამოწვეულ ბუნებრივ ნერვიულობას მიანერა. ამგვარი ნერვიულობა – თითქოს ადამიანი დამნაშავეა – ინსპექტორ ნილს არაერთხელ უნახავს. მაგრამ ამჯერად რაღაც საეჭვოდ მოეჩვენა. იქნებ ეს ბუნდოვანი და გაურკვეველი წვრილმანი იყო, და ამის შესახებ ლაპარაკი არ სურდა. და, აჰა, ეს საცოდავი და დამფრთხალი კურდღელი სამუდამოდ დადუმდა.

ინსპექტორი ნილი ინტერესით შეჰყურებდა „ურთხლის ქოხში" მის წინ მდგარ, სასიამოვნო სახის ნაკვთების მქონე ხანდაზმულ ქალბატონს, რომელსაც პასუხისმგებლიანობა და გერგილიანობა ეტყობოდა. მან სწრაფად განსაზღვრა, როგორი კილო შეერჩია მასთან საუბრისას და როგორ მოქცეულიყო. მის მარპლი შესაძლოა, გამოსდგომოდა კიდეც – იგი სამართლიანობითა და პატიოსნებით გამოირჩეოდა. ხანში შესული ქალების უმრავლესობის მსგავსად, თავისუფალი დრო თავზე საყრელი ჰქონდა, აგრეთვე შინაბერასთვის დამახასიათებელი ყნოსვა ყოველგვარი ჭორისა თუ მითქმა-მოთქმის მიმართ. იგი მსახურებსა და ფორტესქიუთა ოჯახის ქალებს იმდენ რამეს დასცინცლავდა, რამდენსაც ის და მისი პოლიციელები ვერასდროს შეაგროვებდნენ. ეს მითქმა-მოთქმა, ჰიპოთეზები, მოგონებები, ერთისა და იმავეს მრავალჯერ გამეორება თუ გაკეთება ზედაპირზე უტყუარ ფაქტებს ამოატივტივებდა. ამიტომ ინსპექტორი ნილი კეთილგანწყობას არ მალავდა.

– აქ მობრძანებით დიდი გულისხმიერება გამოიჩინეთ, მის მარპლ, – თქვა მან.

Scanned by CamScanner

– ვალდებული ვიყავი, ასე მოვქცეულიყავი, ინსპექტორო ნილ. ეს გოგონა ჩემს სახლში ცხოვრობდა. გარკვეულწილად პასუხისმგებლობასაც კი ვგრძნობ მასთან დაკავშირებით. ის ხომ ისეთი მოსულელო გოგო იყო...

ინსპექტორმა ნილმა აღტაცებით შეხედა მას.

– დიახ, – თქვა მან, – მართალს ბრძანებთ. მაშინვე გავიფიქრე – ეს ქალბატონი პირდაპირ საქმის არსს ჩასწვდამეთქი.

– მან არასდროს იცოდა, – განაგრძო მის მარპლმა, – როგორ მოქცეულიყო. როცა, რა თქმა უნდა, რაღაც ხდებოდა. ოჰ, ღმერთო ჩემო, რა ცუდად ვაყალიბებ ხოლმე აზრს.

ინსპექტორმა ნილმა მის მარპლი დაარწმუნა, რომ ყველაფერს მშვენივრად მიხვდა.

– მას უჭირდა იმის განსაზღვრა, რა იყო მნიშვნელოვანი და რა არა. ალბათ, ამას გულისხმობდით, ხომ?

– დიახ, ზუსტად ამას, ინსპექტორო.

– როდესაც ბრძანეთ, ცოტას ნაისულელებდაო... – ინსპექტორი ნილი შეყოყმანდა.

მის მარპლმა მაშინვე აიტაცა თემა.

– იგი ზედმეტად მიმნდობ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა. მათ, ვინც მთელ დანაზოგს ვინმე თაღლითს გადასცემდა. თუმცა, რასაკვირველია, მას დანაზოგი არ ჰქონდა – მთელ ფულს ტანსაცმელზე ხარჯავდა და ყოველთვის რამე უსარგებლო ნივთს ყიდულობდა.

– მამაკაცებთან დაკავშირებით რას იტყვით? – იკითხა ინსპექტორმა.

– ძალიან უნდოდა, რომ ახალგაზრდა კაცი ჰყოლოდა, – თქვა მის მარპლმა, – ვფიქრობ, სწორედ ამიტომაც გაემგზავრა სენტ-მერიმიდიდან. იქ დიდი კონკურენციაა მამაკაცების ნაკლებობის გამო. ერთხანს სერიოზულად დაადგა თვალი თევზის დამტარებელს. ფრედი ყოველთვის პოულობდა სასიამოვნო სიტყვას ყოველი ქალიშვილისთვის, მაგრამ სერიოზული განზრახვა, ცხადია, არ ჰქონია. საბრალო გლედისმა ეს ძალიან განიცადა. როგორც გავიგე, ბოლოს მაინც მიუგნია ვილაც ყმანვილკაცისთვის, არა?

Scanned by CamScanner

ინსპექტორმა ნილმა თავი დაუქნია.

– თუ არ ვცდები, ასეა. ჩემი აზრით, მას ალბერტ ევანსი პქვია. მათ ერთმანეთი თითქოს რომელილაც კურორტზე გაიცნეს. კაცს მისთვის არც ბეჭედი უჩუქებია და არც სხვა ნივთი, რაც რამით დაავალდებულებდა. ასე რომ, შესაძლოა, ყველაფერი მოიგონა კიდეც. თუმცა მზარეულისთვის უთქვამს, ის კაცი სამთო ინჟინერიაო.

– სამთო ინჟინერი? – გაუკვირდა მის მარპლს, – ეს კი სიმართლე არ იქნება. გავბედავ და ვიტყვი, რომ, შესაძლოა, გლედისს სწორედ ასე გაეცნო. ის ხომ ყველაფერს იჯერებდა, რასაც ეუბნებოდნენ. მასაც ხომ არ უკავშირებთ ამ საქმეს?

– არა, – თქვა ინსპექტორმა ნილმა და, უარის ნიშნად, თავი გადააქნია, – ვფიქრობ, ის არაფერ შუაშია. როგორც ვიცი, მასთანაც არასდროს ჩამოსულა, მხოლოდ ღია ბარათს უგზავნიდა ზოგჯერ, ჩვეულებრივ, რომელიმე ნავსადგურიდან. ვინ იცის, იქნებ მეოთხე მექანიკოსად მსახურობს ბალტიის ზღვაში მცურავ გემზე.

– ასეა თუ ისე, – განაცხადა მის მარპლმა, – მიხარია, რომ ეს პატარა რომანი მაინც ჰქონდა. რადგან მისი სიცოცხლე ასე ტრაგიკულად შეწყდა... – მან ტუჩები მოკუმა, – უნდა გითხრათ, ინსპექტორო, რომ საშინლად, საშინლად აღვშფოთდი, – და ისევე დაამატა, როგორც პატ ფორტესქიუსთან საუბრისას: – განსაკუთრებით სარეცხის სამაგრის გამო. ეს ხომ უკიდურესი უზნეობაა, ინსპექტორო.

ინსპექტორმა ნილმა ინტერესით შეხედა ქალს.

– თქვენი კარგად მესმის, მის მარპლ, – თქვა მან.

მის მარპლმა ისე ჩაახველა, თითქოს მოიბოდიშაო.

– მინდოდა... არ იფიქროთ, რომ ძალიან ბევრს ვილებ საკუთარ თავზე... მაგრამ მინდოდა, თქვენთვის ჩემი მოკრძალებული და, ვშიშობ, ძალზე ქალური დახმარება შემომეთავაზებინა. ის მკვლელი ნამდვილი ბოროტმოქმედია, ბოროტმოქმედება კი დაუსჯელი არ უნდა დარჩეს.

– ჩვენს დროში ასეთი მრწამსი მოდაში აღარაა, მის

Scanned by CamScanner

მარპლ, – თქვა ინსპექტორმა საკმაოდ პირქუშად, – თუმცა სრულიად გეთანხმებით.

– შემიძლია, სასტუმროში გავჩერდე სადგურის ახლოს ან სასტუმრო „გოლფში“, – თითქოს ხმამაღლა ფიქრობდა მის მარპლი, – თანაც, როგორც ვიცი, ამ სახლში ვინმე მის რემსბოთომი ცხოვრობს, რომელიც მისიონერობითაა გატაცებული.

ინსპექტორმა ნილმა მის მარპლს დაფიქრებით შეხედა.

– რა გაეწყობა, – თქვა მან, – შესაძლოა, მართალი ხართ. ვერ დავიტრაბახებ, რომ იმ ქალბატონთან ჩემმა საუბარმა წარმატებით ჩაიარა.

– ძალიან თავაზიანი ხართ, ინსპექტორო ნილ, – თქვა მის მარპლმა, – მიხარია, რომ სენსაციაზე მონადირედ არ მიგაჩნივართ.

მოულოდნელად ინსპექტორ ნილს სახე გაებადრა. თავში გაუელვა, რომ მის მარპლი არაფრით ჰგავდა განრისხებული შურისმაძიებლის საყოველთაოდ აღიარებულ ტიპს. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ვინ იყო იგი, თუ არა განრისხებული შურისმაძიებელი?

– გაზეთები, – განაგრძო მის მარპლმა, – მხოლოდ სენსაციას ეძებენ და მას ხშირად იქ პოულობენ, სადაც ის არ არის. ამიტომაც მათი ნათქვამი იშვიათად შეეფერება სიმართლეს, – მან კითხვის გამომხატველი მზერა მიაპყრო ინსპექტორ ნილს, – კარგი იქნება, მიუკერძოებელი ფაქტები რომ გვქონდეს.

– არ ვიცი, რამდენად მიუკერძოებელია, – განაცხადა ნილმა, – მაგრამ თუ ზედმეტ მრავალმნიშვნელობას მოვაცილებთ, შემდეგ სურათს მივიღებთ. მისტერ ფორტესქიუ საკუთარ კაბინეტში გარდაიცვალა ტოქსინით მოწამვლის შედეგად. ტოქსინს ურთხლის ნაყოფი და ფოთლები შეიცავს.

– ძალზე მოსახერხებელია, – ჩაურთო მის მარპლმა.

– შესაძლოა, – მიუგო ინსპექტორმა, – მაგრამ ამის დამადასტურებელი სამხილი არ გვაქვს. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, – მან ხაზგასმით წარმოთქვა სიტყვა „ჯერ-

Scanned by CamScanner

ჯერობით", ვინაიდან მიაჩნდა, რომ მის მარპლს სწორედ ამ კუთხით შეეძლო სარგებლობის მოტანა. თუკი სახლში ურთხლის ნაყოფისგან რამე ნაყენს ამზადებდნენ, იქნებ მის მარპლს მიეგნო მისი კვალისთვის. ის ხომ, ალბათ, იმ მოხუცი ქალების რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებსაც შინაური ლიქიორის, ნაყენის, სხვადასხვა ბალახეულის ჩაის მომზადება უყვართ. უნდა სცოდნოდა, როგორ ჩნდება და ქრება ყველა ეს ნაყენი.

– მისის ფორტესქიუ?

– მისის ფორტესქიუ ბიბლიოთეკაში, შინაურ გარემოში მიირთმევდა ჩაის. ოთახიდან ბოლოს ელეინ ფორტესქიუ გავიდა, მისი გერი. იგი ამტკიცებს, რომ როდესაც გადიოდა, მისის ფორტესქიუ კიდევ ისხამდა თავის ფინჯანში ჩაის. ოცი-ოცდაათი წუთის შემდეგ ბიბლიოთეკაში ლანგრით ხელში მის დოუვი, აქაური ეკონომი შევიდა. მისის ფორტესქიუ კვლავაც დივანზე იჯდა, ოღონდ უკვე გარდაცვლილი. მის გვერდით სამ მეოთხედზე დაცლილი ფინჯანი იდგა. სწორედ მასში აღმოჩნდა კალიუმციანიდი.

– რომელიც, თუ არ მეშლება, მყისიერად მოქმედებს, – თქვა მის მარპლმა.

– მართალს ბრძანებთ.

– ძლიერმოქმედი საწამლავია, – ჩაილაპარაკა მის მარპლმა, – მას ბზიკების ბუდეების გასანადგურებლად იყენებენ, მაგრამ მე ამას ყოველთვის უკიდურესად ფრთხილად ვაკეთებ.

– სიმართლეს ამბობთ, – დაეთანხმა ინსპექტორი, – ამ ნივთიერების შემცველი პაკეტი მებაღის ფარდულში ინახებოდა.

– კვლავაც ძალზე მოსახერხებელია, – შენიშნა მის მარპლმა და დაამატა: – მისის ფორტესქიუმ რამე თუ ჭამა?

– რა თქმა უნდა. ის, რაც საუცხოო ჩაისთან ერთად გამოიტანეს.

– ტორტის ნაჭერი? კარაქიანი პური? ფუნთუშები? მურაბა? თაფლი?

Scanned by CamScanner

– დიახ, მაგიდაზე იყო თაფლი, ფუნთუშები, შოკოლადის ტორტი და შვეიცარიული რულეტი, აგრეთვე ნაირგვარი კერძებით სავსე თეფშები, – მან ცნობისმოყვარეობით შეხედა ქალს, – მაგრამ კალიუმციანიდი მხოლოდ ჩაიში აღმოჩნდა, მის მარპლ.

– დიახ, დიახ, გასაგებია. მე მხოლოდ, როგორც იტყვიან ხოლმე, სრული სურათის წარმოდგენა მსურდა. ეს ხომ მნიშვნელოვანია, არა?

ინსპექტორი ნილი მის მარპლს ოდნავ გაოცებული მიაჩერდა. ქალს ვარდისფერი ლოყები და გამჭრიახი მზერა ჰქონდა.

– მესამე სიკვდილი, ინსპექტორო ნილ?

– ფაქტებთან დაკავშირებით თითქოს აქაც ყველაფერი ცხადია. იმ გოგონამ, გლედისმა, ბიბლიოთეკაში ლანგრით ჩაი შეიტანა, შემდეგ სამზარეულოდან ჰოლში საჭმლით სავსე ლანგარი გამოიტანა, მაგრამ რატომღაც იქვე დატოვა. უნდა ითქვას, რომ მთელი დღის განმავლობაში ერთგვარი დაბნეულობა ეტყობოდა. ჰოდა, აქედან მოყოლებული, იგი არავის უნახავს. მზარეულმა, მისის კრამპმა, მაშინვე დაასკვნა, რომ გოგონა, უბრალოდ, უნებართვოდ წავიდა თავის საქმეზე. მისის კრამპმა ასე, შესაძლოა, იმიტომ გაიფიქრა, რომ გლედისს თავისი საუკეთესო ნეილონის წინდა და საუკეთესო ფეხსაცმელი ეცვა. მაგრამ როგორც გაირკვა, მზარეული შემცდარა. გოგონას მოულოდნელად გაახსენდა, რომ თოკზე გასაშრობად ჩამოკიდებული თეთრეული დარჩა – ეს აშკარაა. იგი გარეთ გავარდა, ნახევარი ჩამოხსნა კიდეც, როდესაც ვიღაც უკნიდან მიეპარა, ყელზე წინდა შემოუჭირა და... ყველაფერი დასრულდა.

– ვიღაც უცხო? – იკითხა მის მარპლმა.

– შესაძლოა, – თქვა ინსპექტორმა ნილმა, – შესაძლოა, რომელიმე შინაური, ვიღაც, ვინც გოგონას მარტო დარჩენას ელოდებოდა. როდესაც პირველი მკვლელობის დროს გლედისი დავკითხეთ, იგი ღელავდა, მაგრამ ჩვენ ამას, სამწუხაროდ, ყურადღება არ მივაქციეთ.

Scanned by CamScanner

– ამას ვერც შეძლებდით! – შესძახა მის მარპლმა, – ადამიანებს ახასიათებთ შეცბუნება ან დამნაშავესავით ყურება, როცა პოლიციელთან დაკითხვაზე იმყოფებიან.

– დიახ, ეს მართლა ასეა. მაგრამ ამჯერად, მის მარპლ, სხვა შემთხვევასთან გვქონდა საქმე. ვფიქრობ, გლედისმა ვიღაცას ისეთ საქმიანობაზე წაასწრო, რომლის ახსნაც ვერ შეძლო. ეს ისედაც არ იქნებოდა მარტივად ასახსნელი, თორემ არ დაგვიმალავდა. სავარაუდოდ, თავისი ეჭვებით კვლავ იმ ადამიანთან წავიდა. ის კი მაშინვე მიხვდა, რომ გლედისი მისთვის საფრთხეს წარმოადგენდა.

– ამიტომაც იპოვეს გლედისი დამხრჩვალი, ცხვირზე მოჭერილი სარეცხის სამაგრით, – თავისთვის ჩაიბურტყუნა მის მარპლმა.

– დიახ, საზიზღარი საქციელია. საზიზღრობა, დაცინვა, ყოვლად უსარგებლო ყოყოჩობა.

მის მარპლმა თავი გადააქნია.

– არცთუ უსარგებლო. ყველაფერი სქემაში ჯდება.

ინსპექტორმა ნილმა ქალს ცნობისმოყვარეობით შეხედა.

– კარგად ვერ გავიგე, მის მარპლ. რომელ სქემას გულისხმობთ?

მის მარპლს აღელვება დაეტყო.

– ეს ხომ ძალიან ჰგავს... ყველაფერი ემთხვევა, თუ ხედავთ... ფაქტებს ხომ ვერსად გავექცევით.

– ვშიშობ, თქვენი ცუდად მესმის.

– აი, რას ვგულისხმობ... პირველი მისტერ ფორტესქიუ იყო. რექს ფორტესქიუ. იგი ქალაქში, საკუთარ კაბინეტში მოკლეს. შემდეგ მისის ფორტესქიუ, რომელიც ბიბლიოთეკაში იჯდა და ჩაის მიირთმევდა. იქვე ფუნთუშები და თაფლი იდო. ბოლოს საბრალო გლედისი ცხვირზე მოჭერილი სარეცხის სამაგრით. ყველაფერი ერთ რამეზე მიუთითებს. მომხიბლავმა მისის ლანს ფორტესქიუმ მითხრა, რომ ძალზე უცნაური ვითარებაა, რომ ერთმანეთს ვერაფერს უკავშირებს. მე არ დავეთანხმე, ვინაიდან მაშინვე ეს ლექსი გახსენდება კაცს, ხომ ასეა?

Scanned by CamScanner

ინსპექტორმა ნილმა ნელა წარმოთქვა:

– არა მგონია...

მის მარპლმა სწრაფად განაგრძო:

– ინსპექტორო, თქვენ ოცდათხუთმეტი ან ოცდათექვსმეტი წლის იქნებით. ასეა, არა? ვფიქრობ, როდესაც პატარა ბიჭი იყავით, ასეთ ლექსებს არცთუ ძალიან სწყალობდნენ. მაგრამ მათთვის, ვინც „დედა ბატის"[1] საბავშვო ლექსებზე გაიზარდა, ეს ძალზე მნიშვნელოვანია. არ მეთანხმებით? ჰოდა, ვიფიქრე... – მის მარპლი გაჩუმდა, შხნეობა მოიკრიბა და გაბედულად განაგრძო:

– ვიცი, რომ ჩემი მხრიდან საშინელი თავხედობა იქნება, ეს რომ გკითხოთ.

– რაც გნებავთ, ის მკითხეთ, მის მარპლ, არ მოგერიდოთ.

– კარგი. რახან ასეთ თავაზიანობას იჩენთ, გკითხავთ. თუმცა, როგორც გითხარით, ძალიან მერიდება, ვინაიდან მოვხუცდი და ვინ იცის, ჩემს თავში რა ხდება. გავბედავ და ვიტყვი, რომ ჩემს იდეას შესაძლოა, არც ჰქონდეს რამე მნიშვნელობა. მაგრამ მაინც გკითხავთ: შავი შაშვების პრობლემაზე არ გიმუშავიათ?

თავი მეთოთხმეტე

I

ათი წამის განმავლობაში ინსპექტორი ნილი უკიდურესად განცვიფრებული სახით შესცქეროდა მის მარპლს. როგორც ჩანს, გაიფიქრა, რომ მოხუცს თავში ყველაფერი წერიგში არ ჰქონდა.

– შავი შაშვების? – გაიმეორა მან.

მის მარპლმა თავი ენერგიულად დაუქნია.

– დიახ, – თქვა მან და ლექსის მოყოლას შეუდგა:

---

[1] *„დედა ბატი" – ძველებური საბავშვო ლექსებისა და სიმღერების ავტორის ფსევდონიმი. პირველი კრებული ლონდონში 1760 წელს გამოიცა.*

Scanned by CamScanner

„სიმღერა ექვს პენსზე,
ჭვავით სავსე ჯიბეზე,
შაშვი ოცდაოთხიოდე
ღვეზელს შიგნით ჩააყოლეს.
ღვეზელი რომ გამოცხვა,
ესმათ ჩიტთა ჟღურტული,
დამეთანხმეთ ყველანი –
კერძი არის მეფური!
მეფე თავის ხაზინაში
ფულს ითვლის და ყრის ქისაში.
დარბაზში ზის დედოფალი,
პურზე რომ წაუსვამს თაფლი.
მოახლე კი ბაღში,
სარეცხს ჰკიდებს ქარში.
უცებ ჩიტი მოფრინდა
და ნისკარტით ცხვირში სწვდა."

– ღმერთო, დიდებულო, – მხოლოდ ამის თქმა შეძლო ინსპექტორმა ნილმა.

– ყველაფერი ემთხვევა, – განაგრძობდა მის მარპლი, – მას ჯიბეში მარცვლები ეყარა, არა? რომელიღაც გაზეთში წავიკითხე. ზოგიერთში „ბურღული" ეწერა, მას კი ბევრი მნიშვნელობა აქვს. შესაძლოა, „ფერმერის საუზმე" იყოს, ან თუნდაც, სიმინდი. მაგრამ იქ ჭვავის მარცვლები იყო.

ინსპექტორმა ნილმა თავი დაუქნია.

– აი, ხომ ხედავთ, – აღფრთოვანებას ვერ მალავდა მის მარპლი, – რექს ფორტესქიუ. მაგრამ „რექს" ხომ „მეფეს" ნიშნავს, თავის ხაზინაში. ახლა მისის ფორტესქიუ – დარბაზში მჯდომი „დედოფალი, პურზე რომ წაუსვამს თაფლი". ცხადია, მკვლელს სხვა არაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ გლედისისთვის ცხვირზე სარეცხის სამაგრი მოეჭირა.

– იმის თქმა გსურთ, რომ ეს ყველაფერი შეშლილის ფანტაზიის ნაყოფია?

Scanned by CamScanner

– დასკვნის გაკეთებას არ ვიჩქარებდი, მაგრამ ძალზე უცნაური ამბავია. თქვენ კი აუცილებლად მოიძიეთ ცნობები შავ შაშვებზე. ვინაიდან შავი შაშვებიც უნდა იყოს.

ამ დროს კარი გაიღო და ზღურბლზე მდგარმა სერჟანტმა ჰეიმ აღელვებული ხმით წარმოთქვა:

– სერ!

უეცრად მან მის მარპლს მოჰკრა თვალი და გაჩუმდა.

ინსპექტორი ნილი გონს მოეგო და თქვა:

– გმადლობთ, მის მარპლ. მივხედავ ამ საქმეს. რადგან აქ გოგონას გულისთვის მობრძანდით, იქნებ მისი ოთახიც დაგეთვალიერებინათ? სერჟანტი ჰეი მიგაცილებთ.

მის მარპლი მიხვდა, რომ მისი წასვლის დრო დადგა და გასასვლელისკენ წაცუხცუხდა.

– შავი შაშვები! – ჩაიბურტყუნა ინსპექტორმა ნილმა. სერჟანტი ჰეი გაოცებით მიაჩერდა მას.

– აბა, ჰეი, რას იტყვით?

– სერ, – აღელვებით გაიმეორა სერჟანტმა ჰეიმ, – შეხედეთ.

მან ჯიბიდან საკმაოდ უსუფთაო ცხვირსახოცში გახვეული საგანი ამოიღო.

– ბუჩქებში მივაგენი, – განაცხადა მან, – მისი გადმოგდება სახლის უკანა მხარეს მდებარე ნებისმიერი ფანჯრიდან შეეძლოთ.

მან ნივთი მაგიდაზე ინსპექტორის წინ დადო. ნილი დაიხარა და მომეტებული მღელვარებით შეუდგა მის თვალიერებას. ეს მარმელადით თითქმის სავსე ქილა იყო.

ინსპექტორი მდუმარედ მისჩერებოდა მას. ყურადღებით აკვირდებოდა, მაგრამ თითქოს ვერაფერს ხვდებოდა. სინამდვილეში ეს იმას ნიშნავდა, რომ ინსპექტორის გონებაში ახალი სურათი ჩნდებოდა. მისი წარმოსახვა გამალებით მუშაობდა. აი, მარმელადით სავსე ქილა, აი, ვიღაცის ხელები აკურატულად ხდის თავსახურავს, მარმელადის თხელ ფენას ჭრის, მასში ტოქსინს ამატებს და თავის ადგილას აბრუნებს, ზედაპირს საგულდაგულოდ ასწორებს და კვლავ თავსახურავს უკეთებს.

Scanned by CamScanner

სწორედ ამ დროს იგი სერჟანტ ჰეის მიუბრუნდა და ჰკითხა:

– ნუთუ მათ მარმელადი სუფრაზე პირდაპირ ქილით, ვაზაში გადაუტანლად მიაქვთ?

– დიახ, სერ. არ გადააქვთ. ასე ჯერ კიდევ ომიანობისას იქცეოდნენ, როდესაც პროდუქტი ჭირდა. მას შემდეგ ქილით მიაქვთ ხოლმე.

– ამან, ამოცანა, რა თქმა უნდა, გაამარტივა, – ჩაილაპარაკა ინსპექტორმა ნილმა.

– მეტიც, – განაგრძო სერჟანტმა ჰეიმ, – მთელი ოჯახიდან მარმელადს საუზმეზე მხოლოდ მისტერ ფორტესქიუ ჭამდა (და მისტერ პერსივალი, როდესაც შინ იყო). დანარჩენები მხოლოდ მურაბას ან თაფლს მიირთმევდნენ.

ნილმა თავი დააქნია.

– ეს ამოცანას კიდევ უფრო ამარტივებს, არა? – თქვა მან.

მცირე პაუზის შემდეგ მის გონებაში ახალი სურათი გაჩნდა. რექს ფორტესქიუ მაგიდასთან ზის და საუზმობს. აი, ქილისკენ ხელს იწვდის, მარმელადს კოვზით იღებს და კარაქწასმულ შებრაწულ პურს უსვამს. მკვლელისთვის ეს უფრო მარტივია, ვიდრე ყავასთან ჯადოქრობა – რისკიც ნაკლებია და უფრო მშვიდადაც არის. თანაც საიმედო ხერხია. შემდეგ? კვლავ პაუზა და ახალი სურათი, ამჯერად არცთუ მკაფიო: მარმელადის ქილას სხვა ქილით ცვლიან, რომლიდანაც იმდენივეა ამოღებული. შემდეგ – ღია ფანჯარა. ვიღაცის ხელი საწამლავიან ქილას ბუჩქებში ისვრის... ოღონდ ვისი ხელი?

ადამიანი, რომელმაც ქილაში მოთავსებულ მარმელადს ტოქსინი შეურია, შესაძლოა, არც იჯდა მაგიდასთან საუზმობისას...

ინსპექტორმა საქმიანი კილოთი გასცა განკარგულება:

– ქილას ანალიზისთვის გავგზავნით. გაარკვიონ, არის თუ არა მარმელადში ტოქსინი. ნაჩქარევად ნურაფერს დავასკვნით.

– რა თქმა უნდა, სერ. სხვათა შორის, მასზე შესაძლებელია, თითის ანაბეჭდებიც აღმოჩნდეს.

Scanned by CamScanner

– ვშიშობ, იმ ადამიანისას ვერ აღმოაჩენენ, ვისიც გვჭირდება, – პირქუშად ჩაილაპარაკა ინსპექტორმა ნილმა, – სამაგიეროდ გლედისის, კრამპისა და თვითონ ფორტესქიუსი იქნება. აგრეთვე მისის კრამპის, მებაყლის დამხმარის და მრავალი სხვის! თუ მასში ვიღაცამ ტოქსინი შეურია, იგი, რასაკვირველია, იმაზეც იზრუნებდა, რომ საკუთარი ანაბეჭდები არ დაეტოვებინა. ვიმეორებ, ნაჩქარევად ნურაფერს დავასკვნით. როგორ უკვეთენ ამ სახლში მარმელადს და სად ინახავენ?

შრომისმოყვარე სერჟანტ ჰეის ყველა შეკითხვაზე ჰქონდა პასუხი.

– მარმელადი და მურაბა შეკვრებით მოაქვთ – ექვს-ექვსი ქილა ერთ ჯერზე. როდესაც ქილა ცარიელდება, ბუფეტიდან ახალს იღებენ.

– ეს იმას ნიშნავს, – თქვა ნილმა, – რომ ქილაში ტოქსინის დამატება მაგიდაზე მის გამოჩენამდე რამდენიმე დღით ადრეც შეეძლოთ. და ამის გაკეთებას ყველა მოახერხებდა, ვინც სახლში იყო ან სახლში შეღწევა შეეძლო...

სიტყვათშეთანხმება – „სახლში შეღწევამ" სერჟანტი ჰეი გააოცა. იგი თავისი უფროსის აზრების მიმართულებას ვერ მიხვდა.

მაგრამ თვითონ ნილს საკუთარი დასაბუთება სრულიად ლოგიკურად მიაჩნდა.

თუ მარმელადში სანამლავი ადრევე შეურიეს, მაშინ ეჭვმიტანილთა სიიდან ყველა იმ პირის ამოშლა შეეძლოთ, ვინც იმ საბედისწერო დილას მაგიდასთან იჯდა.

ეს ახალ და ძალზე საინტერესო შესაძლებლობებს აჩენდა.

იგი უკვე სხვადასხვა ადამიანთან საუბარზე ფიქრობდა, მაგრამ ამჯერად დაკითხვას სხვა გზით წაიყვანდა.

მხოლოდ რომელიმე ერთი ვერსიის გარშემო აღარ იტრიალებდა.

სერიოზულად შეამოწმებდა მოხუცებული ქალის ვერსიასაც საბავშვო ლექსთან დაკავშირებით, ვინაიდან ამ ლექსის ტექსტი ერთი ერთზე ემთხვეოდა „ურთხლის ქოხ-

Scanned by CamScanner

ში" დატრიალებულ ამბებს. ამასთან ოდნავ მაინც ჰფენდა შუქს იმას, რაც თავიდანვე აშფოთებდა – ჯიბეში მოთავსებულ ჭვავის მარცვლებს.

– შაშვები... შავი... მაყვალივით... – ჩაიბურტყუნა ნილმა თავისთვის. სერჟანტი ჰეი კვლავ მას მიაშტერდა.

– მაყვლის ჟელე არ ყოფილა, სერ, – თქვა მან ბოლოს, – მარმელადი იყო.

II

ინსპექტორი ნილი მერი დოუვის მოსაძებნად წავიდა. მას პირველი სართულის ერთ-ერთ საძინებელში მიაგნო. ქალი აკვირდებოდა, როგორ ცვლიდა ელენი ლოგინის თეთრეულს. მაგიდაზე სუფთა პირსახოცების შეკვრა იდო.

ინსპექტორი ნილი გაოცდა.

– ვინმე მოდის და დარჩენას აპირებს? – იკითხა მან.

მერი დოუვმა ინსპექტორს გაუღიმა. ელენისგან განსხვავებით, რომელიც მუდამ მულუშული და კოპებშეკრული დაიარებოდა, მერი სიმშვიდის განსახიერება იყო.

– სინამდვილეში, შეიძლება ითქვას, პირიქითაა, – მიუგო მან.

ნილმა მას კითხვის გამომხატველი მზერა მიაპყრო.

– სტუმრებისთვის განკუთვნილი ოთახი ჯერალდ რაიტისთვის იყო მომზადებული.

– ჯერალდ რაიტისთვის? ეს ვინღაა?

– მის ელეინ ფორტესქიუს ნაცნობი, – მერი შეეცადა, რომ ეს ფრაზა უემოციოდ წარმოეთქვა.

– აქ აპირებდა მოსვლას? როდის?

– როგორც ვიცი, იგი სასტუმრო „გოლფში" დაბინავდა მისტერ ფორტესქიუს გარდაცვალებიდან მეორე დღეს.

– მეორე დღეს?

– მის ფორტესქიუმ ასე ბრძანა, – მერი კვლავაც უემოციოდ ლაპარაკობდა, – მან მთხოვა, ოთახი გამემზადებინა. უნდოდა, რომ ჯენტლმენი ჩვენთან გაჩერებულიყო. ახლა კი... ორი ახალი ტრაგედიის შემდეგ... თქვა... უმჯობესია, სასტუმროში დარჩესო.

Scanned by CamScanner

– სასტუმრო „გოლფში".

– დიახ.

– გასაგებია, – თქვა ინსპექტორმა ნილმა.

ელენმა ზეწრებსა და პირსახოცებს ხელ დაავლო და ოთახიდან გავიდა.

ახლა მერი დოუვმა მიაპყრო ნილს კითხვის გამომხატველი მზერა.

– ჩემთან დალაპარაკება გსურდათ?

ნილმა მეგობრულად მიუგო:

– მინდა ბოლომდე გავარკვიო, როდის რა მოხდა. ოჯახის წევრების მიერ მითითებული დრო ერთმანეთისგან განსხვავდება – ეს გასაგებიცაა. თქვენ კი, მის დოუვ, ყოველთვის ზუსტად აღნუსხავდით ყოველ მოვლენას.

– ესეც გასაგები უნდა იყოს!

– დიახ... ალბათ... აუცილებლად უნდა გამოვხატო ჩემი აღფრთოვანება იმით, თუ როგორ უძღვებით ამ სახლს, მიუხედავად... ასე ვთქვათ, პანიკისა... რომელიც, წესით, ამდენ ტრაგედიას უნდა გამოეწვია, – იგი გაჩუმდა, შემდეგ კი ცნობისმოყვარეობით იკითხა: – ამას როგორ ახერხებთ?

ამ შეკითხვაში ოდნავი მზაკვრობაც იმალებოდა, ვინაიდან იგი მიხვდა, რომ თუ მერი დოუვის აღჭურვილობას სუსტი ადგილი გააჩნდა, ეს საკუთარი საქმიანობით თვითკმაყოფილება იქნებოდა. პასუხის გაცემისას ქალი მხრებშიც კი გაიშალა.

– კრამპებმა, ცხადია, დაუყოვნებლივ მოინდომეს წასვლა.

– ამას ვერ დავუშვებდით.

– ვიცი. მე მათ ისიც ვუთხარი, რომ მისტერ პერსივალ ფორტესქიუ გულუხვად დააჯილდოებდა მათ, ვინც მას მძიმე პერიოდში არ მიატოვებდა.

– ელენი?

– ელენი წასვლას არსად აპირებს.

– ელენი წასვლას არსად აპირებს, – გაიმეორა ნილმა, – მას ძლიერი ნერვები აქვს.

Scanned by CamScanner

– მას მოსწონს, როდესაც უბედურება, კატასტროფა ხდება, – თქვა მერი დოუვმა, – ისევე, როგორც მისის პერსივალს. მისთვის უბედურება მძაფრი შეგრძნებების მიღების დამატებითი შესაძლებლობაა.

– საინტერესოა... მაშასადამე, მიგაჩნიათ, რომ მისის პერსივალი ამ ტრაგედიებისგან სიამოვნებას იღებდა?

– არა... რა თქმა უნდა, არა. ეს გადაჭარბება გამოვიდოდა. ჩემი აზრით, ამ შემთხვევებმა მას შესაძლებლობა მისცა... ასე ვთქვათ, გამოაცოცხლა იგი.

– თქვენ როგორ აღიქვით ეს ტრაგედიები, მის დოუვ?

მერი დოუვმა მხრები აიჩეჩა.

– სასიამოვნო შეგრძნებების გარეშე, – ცივად განაცხადა მან.

ინსპექტორ ნილს კვლავ გაუჩნდა ამ გულცივი ახალგაზრდა ქალის დაცვის ზღუდის გარღვევის სურვილი – რათა დაედგინა, რა იმალებოდა მისი გულგრილი და რაციონალური საქმიანი გამომეტყველების მიღმა.

ამიტომ პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

– აბა, დავიწყოთ: დრო და ადგილი – უკანასკნელად გლედის მარტინი თქვენ ჩაის სმის წინ ნახეთ, ჰოლში, როდესაც ხუთს ოცი წუთი აკლდა, არა?

– დიახ, ვუთხარი, ჩაი წაეღო.

– თვითონ საიდან მოდიოდით?

– ზევიდან. რამდენიმე წუთით ადრე მომეჩვენა, რომ ტელეფონმა დარეკა.

– ყურმილი, ალბათ, გლედის მარტინმა აიღო, ხომ?

– დიახ. ვიღაცას ნომერი შეეშალა. ბეიდონჰითის სამრეცხაო უკითხავთ.

– და მას შემდეგ გლედისი აღარ გინახავთ?

– ათი წუთის შემდეგ მან ჩაი ლანგრით ბიბლიოთეკაში შეიტანა.

– ეს მას შემდეგ, რაც იქ მის ელეინ ფორტესქიუ შევიდა?

– დიახ, სამი-ოთხი წუთი იქნებოდა გასული. მე კი მაღლა ავედი, რათა მისის პერსივალისთვის მეთქვა, ჩაი მზად არის-მეთქი.

Scanned by CamScanner

– ჩვეულებრივ, ასე იქცევით ხოლმე?

– ოჰ, არა. ჩაის დასალევად მაშინ მოდიან, როცა მოესურვებათ. მაგრამ იმ დღეს მისის ფორტესქიუმ მკითხა, სად გაქრა ხალხიო. მომეჩვენა, რომ მისის პერსივალის კიბეზე ჩამოსვლის ხმა მომესმა, მაგრამ შევცდი...

ნილმა შეანყვეტინა. ეს სიახლე იყო.

– იმის თქმა გსურთ, რომ ზედა სართულიდან ვიღაცის ფეხის ხმა მოგესმათ?

– დიახ, ჩემი აზრით, ეს კიბესთან ხდებოდა. მაგრამ არავინ დაშვებულა, ამიტომ მაღლა ავედი. მისის პერსივალი თავის საძინებელში იმყოფებოდა. ახალი დაბრუნებული იყო. თურმე გარეთ სეირნობდა.

– სეირნობდა... გასაგებია. ეს იყო...

– ვფიქრობ, ხუთი საათი ხდებოდა.

– მისტერ ლანსელოტ ფორტესქიუ როდის მოვიდა?

– რამდენიმე წუთი იქნებოდა გასული ქვემოთ ჩემი ჩასვლის შემდეგ... მეგონა, რომ უფრო ადრე მოვიდა, მაგრამ...

ინსპექტორმა ნილმა კვლავ გააწყვეტინა:

– რატომ გაიფიქრეთ, რომ ადრე მოვიდა?

– მომეჩვენა, რომ თვალი მოვკარი ფანჯრიდან, როდესაც კიბეზე ჩავდიოდი.

– ბაღში?

– მამაკაცის ფიგურამ ურთხლის ღობის მიღმა გაიელვა – გავიფიქრე, რომ ის იქნებოდა.

– კიბეზე მას შემდეგ დაეშვით, რაც მისის პერსივალს ჩაიზე დაუძახეთ?

– არა, მაშინ არა, – შეუსწორა მერიმ, – მანამდე... მამაკაცს კიბეზე პირველად ჩასვლისას მოვკარი თვალი.

ინსპექტორმა ნილმა ქალს ყურადღებით შეხედა.

– დარწმუნებული ხართ, მის დოუვ?

– დიახ, აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ. სწორედ ამიტომაც გამიკვირდა, როდესაც მისტერ ლანსელოტ ფორტესქიუმ ზარი დარეკა.

ინსპექტორმა ნილმა თავი გადააქნია, ცდილობდა, აღელვება არ დასტყობოდა.

Scanned by CamScanner

– როგორც ჩანს, ვილაც სხვა შეამჩნიეთ, – თქვა მან, – მატარებელი, რომლითაც ლანსელოტ ფორტესქიუ ჩამოვიდა, თექვსმეტ საათსა და ოცდარვა წუთზე ჩამოდგა, ცხრა წუთით დააგვიანა. მაშასადამე, ბეიდონჰითის სადგურზე მისტერ ფორტესქიუ თექვსმეტ საათსა და ოცდაჩვიდმეტ წუთზე იყო. რამდენიმე წუთი ტაქსის ლოდინი მოუწევდა – ამ მატარებლით ყოველთვის ბევრი ხალხი მგზავრობს ხოლმე. სადგურიდან დაახლოებით თექვსმეტ საათსა და ორმოცდახუთ წუთზე გავიდა (ბაღში კი თქვენ ხუთი წუთით ადრე მოჰკარით თვალი ვილაცას), „ურთხლის ქოხამდე" მოსვლას ათ წუთს მაინც მოანდომებდა. ჭიშკართან მძღოლს ფული, უკეთეს შემთხვევაში, თექვსმეტ საათსა და ორმოცდათხუთმეტ წუთზე გადაუხადა. არა, ვისაც თქვენ თვალი მოჰკარით, ლანსელოტ ფორტესქიუ ვერაფრით იქნებოდა.

– დარწმუნებული ვარ, რომ ვილაც დავინახე.

– დიახ, ვილაც დაინახეთ. უკვე ბნელდებოდა. უფრო დანვრილებით ხომ ვერ აღწერდით მას?

– ოჰ, ვერა – მისი სახე არ დამინახავს, მაგრამ მაღალი და ტანადი კაცი იყო. ვინაიდან ლანსელოტ ფორტესქიუს ველოდებოდით, ვიფიქრე, რომ ის იყო.

– რა მიმართულებით მოძრაობდა ის კაცი?

– ურთხლის ღობეს მიუყვებოდა სახლის აღმოსავლეთ ფრთისკენ.

– იქ გვერდითი შესასვლელი კარია. დაკეტილი იყო?

– ყველა კარს მხოლოდ ღამით, დაწოლის წინ ვკეტავთ.

– მაშასადამე, იმ კარიდან სახლში შეუმჩნევლად შესვლა ყველას შეუძლია?

მერი დოუვი ჩაფიქრდა.

– გამოდის, რომ ასეა. დიახ, – თქვა მან და სწრაფად დაამატა: – იმის თქმა გსურთ, რომ მოგვიანებით სწორედ მისი ფეხის ხმა მომესმა მაღლიდან? რომ ის იქ იმალებოდა... ზემოთ?

– ასეთი რამ შესაძლებელია.

Scanned by CamScanner

– მაგრამ – ვინ?

– ამას მალე დავადგენთ. გმადლობთ, მის დოუვ.

ქალი უკვე შეტრიალდა და წასვლას აპირებდა, როდესაც ინსპექტორმა ნილმა მოჩვენებითი გულგრილობით ჰკითხა:

– ჰო, მართლა, შემთხვევით, შავი შაშვების შესახებ ხომ არ იცით რამე?

როგორც იქნა, ინსპექტორმა ნილმა მოახერხა და მერი დოუვი სახტად დატოვა. ქალი მკვეთრად შემოტრიალდა.

– მე... რა ბრძანეთ?

– შავი შაშვების შესახებ გკითხეთ.

– თქვენ გულისხმობთ...

– შავ შაშვებს, – გაიმეორა ინსპექტორმა ნილმა და ბრიყვული გამომეტყველება მიიღო.

– იმ სულელურ შემთხვევას გულისხმობთ, ზაფხულში რომ მოხდა? მაგრამ მას რა კავშირი აქვს... – ქალი გაჩუმდა.

– ამის შესახებ რაღაცას მოვკარი ყური, – მეგობრული კილოთი თქვა ინსპექტორმა ნილმა, – მაგრამ ვიფიქრე, რომ თქვენზე ზუსტად ვერავინ მეტყოდა.

მერი დოუვს ჩვეული სიმშვიდე და რაციონალურობა დაუბრუნდა.

– ჩემი აზრით, ეს სულელური და ბოროტი ხუმრობა იყო, – თქვა მან, – მისტერ ფორტესქიუს კაბინეტის სამუშაო მაგიდაზე ვილაცამ ოთხი მკვდარი შავი შაშვი დააგდო. ზაფხული იდგა, ფანჯრები გაღებული გვქონდა. გადაენყვიტეთ, რომ ეს მებაღის ვაჟმა ჩაიდინა, თუმცა ის ამას გადაჭრით უარყოფდა. მაგრამ ის შაშვები მართლა მებაღემ მოკლა და ისინი ხეებზე ეკიდა.

– ვილაცამ იქიდან ჩამოხსნა და მისტერ ფორტესქიუს მაგიდაზე დაუყარა?

– დიახ.

– რა შეიძლება ამის უკან იდგეს? შავი შაშვები თქვენში რამე ასოციაციას ხომ არ ინვევს?

Scanned by CamScanner

მერიმ თავი გადააქნია.

– არა, არაფერი მახსენდება.

– მისტერ ფორტესქიუმ როგორ მიიღო ეს ამბავი? გაბრაზდა?

– რა თქმა უნდა.

– მაგრამ არცთუ ძალიან, არა?

– აი, ეს კი აღარ მახსოვს.

– გასაგებია, – ჩაილაპარაკა ინსპექტორმა ნილმა.

მან საუბარი აღარ განაგრძო. მერი დოუვი კიდევ ერთხელ შეტრიალდა წასასვლელად, მაგრამ ამჯერად უხალისოდ, თითქოს იმის გაგება სურდა, რა აზრები უტრიალებდა თავში ინსპექტორს. უმადური ინსპექტორი ნილი კი ამ დროს მის მარპლზე ბრაზობდა. მან მიანიშნა, რომ შავ შაშვებთან დაკავშირებით რაღაც უნდა მომხდარიყო, და, აჰა, ისინიც გამოჩნდნენ! მართალია, არა ოცდაოთხი, მაგრამ სიმბოლიკა ხომ შენარჩუნდა.

თუმცა ეს დიდი ხნის წინ, ზაფხულში მოხდა და ინსპექტორი ნილი მას აწმყოს ვერაფრით უკავშირებდა. იგი ამ შავი შაშვის გამო გამოძიების მსვლელობის ლოგიკური გზიდან გადახვევას არ აპირებდა – გონივრული მიზეზით მოქმედი გონიერი მკვლელისთვის უნდა მიეგნო. მაგრამ ამიერიდან გიჟური შესაძლებლობების გათვალისწინებაც მოუნევდა.

თავი მეთხუთმეტე

I

– მაპატიეთ, მის ფორტესქიუ, რომ კვლავ გაწუხებთ, მაგრამ მინდა, ყველაფერი ბოლომდე გავარკვიო. როგორც ვიცით, თქვენ ბოლო, უფრო სწორად, ბოლოს წინა ადამიანი იყავით, ვინც მისის ფორტესქიუ ცოცხალი ნახა. როდესაც სასტუმრო ოთახიდან გამოხვედით, ექვსს დაახლოებით ოცდახუთი წუთი აკლდა, არა?

Scanned by CamScanner

– დაახლოებით. დაზუსტებით ვერ გეტყვით, – მიუგო ელეინმა და თამამად დაამატა: – წამდაუწუმ ხომ არ დავ-ხედავ საათს.

– დიახ, რა თქმა უნდა. რაზე საუბრობდით, როდესაც მისის ფორტესქიუსთან პირისპირ დარჩით?

– რა მნიშვნელობა აქვს?

– შესაძლოა, არანაირი, – აღარ შეეკამათა ინსპექტორი ნილი, – მაგრამ იქნებ დავადგინო, რა აზრები უტრიალებდა თავში მისის ფორტესქიუს.

– იმის თქმა გსურთ, რომ... მან ეს თვითონ ჩაიდინა?

ინსპექტორმა ნილმა ელეინის თვალებში აკიაფებული ნაპერწკლები შეამჩნია. ფორტესქიუთა ოჯახს საქმის ასეთი გადაწყვეტა უთუოდ ხელს აძლევდა. ინსპექტორ ნილს წამითაც არ დაუშვია თვითმკვლელობის შესაძლებლობა. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ადელ ფორტესქიუ ასეთ ადამიანთა რიცხვს არ მიეკუთვნებოდა. ქმარი რომც მოენამლა და მიმხვდარიყო, რომ დანაშაული გაიხსნა და სასჯელს ვერ გადაურჩებოდა, თვითმკვლელობა თავში აზრადაც არ მოუვიდოდა. პირიქით, იმ რწმენით იცხოვრებდა, რომ მკვლელობის მუხლით გასამართლების შემთხვევაშიც კი გამართლდებოდა. მაგრამ რახან ელეინ ფორტესქიუ ასეთ შესაძლებლობას არ გამორიცხავდა... საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. მან ისეთი ფრაზა წარმოთქვა, რაც სიმართლისგან არცთუ შორს იდგა:

– ყველა ვერსია უნდა განვიხილოთ, მის ფორტესქიუ. ამიტომაც მაინტერესებს, რაზე საუბრობდით.

– ეს ჩემს საქმეებს შეეხებოდა, – მცირედი ყოყმანის შემდეგ განაცხადა ელეინმა.

– თქვენს საქმეებს? – იკითხა ინსპექტორმა და გოგონას თბილად, გამამხნევებლად შეხედა.

– მე... საქმე ისაა, რომ ცოტა ხნის წინ ჩვენს მხარეში ჩემი მეგობარი ჩამოვიდა, და ადელს ვკითხე, წინააღმდეგი ხომ არ იქნებოდა, თუ მას რამდენიმე დღით სახლში დავპატიჟებდი.

Scanned by CamScanner

– აჰა. და ვინ არის ეს მეგობარი?

– მისტერ ჯერალდ რაიტი. სკოლის მასწავლებელია. ის... ის ამჟამად სასტუმრო „გოლფში“ ცხოვრობს.

– ალბათ, ახლო მეგობარია, არა?

ინსპექტორმა ნილმა ისეთი გულკეთილი სახე მიიღო, რომ წლების სიმძიმით დაბრძენებულ კაცს დაემსგავსა.

– და შესაძლოა, მალე მნიშვნელოვანი სიახლეც შევიტყოთ?

წამით მან სინდისის ქენჯნა იგრძნო, როდესაც დაინახა, როგორ უხერხულად აიქნია ხელი ქალიშვილმა და სახეც წამოენთო. თქმა არ უნდოდა, რომ იმ ჯერალდზე შეყვარებული იყო.

– ჩვენ... ჯერჯერობით, არ დავნიშნულვართ. ახლა არც არის ამის გამოცხადების დრო... თუმცა, ვფიქრობ, მართალს ამბობთ... ანუ დაქორწინებას ვაპირებთ.

– გილოცავთ, – გულწრფელად უთხრა ინსპექტორმა ნილმა, – მაშასადამე, მისტერ რაიტი სასტუმრო „გოლფში“ გაჩერდა, არა? დიდი ხანია?

– როდესაც მამა გარდაიცვალა, დეპეშა გავუგზავნე.

– და ისიც მაშინვე ჩამოვიდა. გასაგებია.

მისმა საყვარელმა სიტყვამ ამჯერად მეგობრულად და დამამშვიდებლად გაიჟღერა.

– მისის ფორტესქიუმ რა გიპასუხათ?

– მითხრა, რომ, ცხადია, იმის მოწვევა შემეძლო, ვისაც მოვისურვებდი.

– თავაზიანად გესაუბრებოდათ?

– არცთუ თავაზიანად. იმას ვგულისხმობ, რომ მითხრა...

– აბა, კიდევ რა გითხრათ?

ელეინს კვლავ წამოენთო სახე.

– რაღაც სისულელე იმის თაობაზე, რომ უკეთესი პარტიის პოვნაც შემეძლო. ეს ხომ მისი სტილია.

– დიახ, – შემრიგებლური კილოთი წარმოთქვა ინსპექტორმა ნილმა, – თუმცა ნათესავები ზოგჯერ უარესსაც ამბობენ.

Scanned by CamScanner

– მართალს ბრძანებთ. უბრალოდ, ბევრი... სათანადოდ ვერ აფასებს ჯერალდს. უნდა გითხრათ, რომ ძალზე ჭკვიანია, არაორდინარული და პროგრესული იდეების მატარებელია, რაც ხალხს არ მოსწონს.

– ამიტომაც ვერ გამონახა საერთო ენა მამათქვენთან?

ელეინი შეცბა და სახე აელეწა.

– მამა წინასწარ განეწყო უარყოფითად ჯერალდის მიმართ, უსამართლოდ ეპყრობოდა. შეურაცხყო იგი. ჯერალდი ისე განაწყენდა, რომ წავიდა და რამდენიმე კვირის განმავლობაში მისგან არაფერი ისმოდა.

„და ვერც ვერასდროს გაიგონებდი, მამაშენი რომ არ მომკვდარიყო და ამდენი ფული არ დაეტოვებინა" – გაიფიქრა ინსპექტორმა ნილმა, ხმამაღლა კი თქვა:

– მისის ფორტესქიუსთან სხვა თემაზე არ გისაუბრიათ?

– არა, არა, სხვა არაფერზე.

– თქვენ იქიდან დაახლოებით ჩვიდმეტ საათსა და ოცდახუთ წუთზე გამოხვედით, ჩვიდმეტ საათსა და ორმოცდათხუთმეტ წუთზე კი მისის ფორტესქიუ მკვდარი იპოვეს. ამ ნახევარი საათის განმავლობაში ბიბლიოთეკაში არ მიბრუნებულხართ?

– არა.

– რას აკეთებდით?

– მე... გავისეირნე.

– სასტუმრო „გოლფისკენ"?

– მე... დიახ, მაგრამ ჯერალდი იქ არ დამხვდა.

ინსპექტორმა ნილმა კვლავ წარმოთქვა, გასაგებიაო, მაგრამ ამჯერად თითქოს მიანიშნა, საუბარი დავასრულეთო. ელეინ ფორტესქიუ წამოდგა და იკითხა:

– სულ ეს არის?

– დიახ, მის ფორტესქიუ, გმადლობთ.

გოგონა კარისკენ მიდიოდა, როდესაც ნილმა სასხვათაშორისოდ ჰკითხა:

– რამე ხომ არ გსმენიათ შავი შაშვების შესახებ?

ქალიშვილი ინსპექტორს მიაჩერდა.

– შავი შაშვების შესახებ? ღვეზელს რომ ჩააყოლეს?

Scanned by CamScanner

„აჰა, მაინც ღვეზელში ყოფილა", – გაიფიქრა ინსპექტორმა ნილმა, მაგრამ მხოლოდ იკითხა:

– ეს როდის მოხდა?

– სამი თუ ოთხი თვის წინ. მამასაც დაუყარეს მაგიდაზე. საშინლად გაბრაზდა.

– საშინლად გაბრაზდა? ყველას ეკითხებოდა, არა?

– რასაკვირველია. თუმცა მაინც ვერ დავადგინეთ, იქ როგორ მოხვდა.

– კონკრეტულად რამ გააბრაზა?

– ეს ხომ საზიზღრობაა. ყველა გაბრაზდებოდა.

ნილმა მას ჩაფიქრებით შეხედა – არა, ქალიშვილი თითქოს არაფერს მალავდა.

– კიდევ ერთი შეკითხვა, მის ფორტესქიუ. ხომ არ იცით, შეადგინა თუ არა თქვენმა დედინაცვალმა ანდერძი?

ელეინმა თავი გადააქნია.

– არ ვიცი. ალბათ. ჩვეულებრივ, ასე იქცევიან, არა?

– ჩვეულებრივ, მაგრამ არა ყოველთვის. მის ფორტესქიუ, თქვენ თუ გაქვთ ანდერძი შედგენილი?

– არა... ვის რა უნდა დავუტოვო. თუმცა ახლა...

ინსპექტორმა გოგონას თვალებში ამოიკითხა, რომ მან გააცნობიერა, თუ როგორ შეიცვალა მისი მდგომარეობა.

– დიახ, მის ფორტესქიუ, – თქვა ნილმა, – ორმოცდაათი ათასი გირვანქა ცოტა არ არის. ასეთი თანხა ბევრ რამეს შეცვლის.

II

ელეინ ფორტესქიუ წავიდა, ინსპექტორი ნილი კი რამდენიმე წუთის განმავლობაში იჯდა და ჩაფიქრებული იყურებოდა წინ. საფიქრალი კი ნამდვილად არ აკლდა. მერი დოუვის სიტყვები იმის შესახებ, რომ თექვსმეტ საათსა და ოცდათხუთმეტ წუთზე ბაღში ვილაც კაცს მოჰკრა თვალი, სერიოზული განსჯის საბაბს იძლეოდა. თუ, რა თქმა უნდა, მერი დოუვი არ ცრუობდა. ინსპექტორი ნილი ბრმად არავის ენდობოდა – ეს მას არ სჩვეოდა. როგორ არ ატრიალა

Scanned by CamScanner

მისი ნათქვამი, რომელი მხრიდან არ მიუდგა მას, მაინც ვერ აღმოაჩინა მიზეზი, თუ რატომ უნდა ეცრუა ქალს. სავარაუდოდ, მერი დოუვი სიმართლეს ამბობდა, როცა თქვა, რომ ბაღში მამაკაცს მოჰკრა თვალი. ცხადია, უცნობი ლანსელოტ ფორტესქიუ ვერ იქნებოდა, თუმცა, შექმნილ ვითარებაში, მისთვის ბუნებრივი იმის დაშვება იქნებოდა, რომ სნორედ ის დაინახა. მაშასადამე, ეს ლანსელოტ ფორტესქიუ კი არა, სხვა, მისი სიმაღლისა და მსგავსი აღნაგობის ადამიანი იყო. თუ ბაღში ასეთ დროს ვიღაც მამაკაცი გადაადგილდებოდა, თანაც, როგორც ჩანს, ფარულად, და ურთხლის ღობის მიღმა იმალებოდა, ინსპექტორ ნილს ახალ ვერსიაზე ფიქრი მოუწევდა.

მერი დოუვმა მას ისიც შეატყობინა, რომ ზედა სართულიდან ფეხის ხმა მოესმა. ეს ფაქტი კი სრულად თანხვდებოდა ერთ-ერთ ნივთმტკიცებას. ადელ ფორტესქიუს ბუდუარში მან იატაკზე ტალახის პატარა გუნდა აღმოაჩინა. ინსპექტორ ნილს თვალწინ დაუდგა ის ოთახიცა და პატარა, ელეგანტური, ვითომდა ანტიკვარული, სინამდვილეში ძველებურს ოსტატურად მიმსგავსებული მაგიდა, მისთვის დამახასიათებელი საიდუმლო უჯრითურთ. მასში ვივიან დიუბუას მიერ ადელ ფორტესქიუს სახელზე გამოგზავნილი სამი წერილი იდო. პოლიციაში მუშაობის დროს ინსპექტორ ნილის ხელში უამრავ განსხვავებულ სასიყვარულო წერილს გაევლო. მგზნებარეც შეხვედრია, სულელურიც, სენტიმენტალურიც, ჭირვეულიც. აგრეთვე, ფრთხილიც. სამი ნაპოვნი წერილი ინსპექტორმა ნილმა სნორედ ამ ბოლო კატეგორიას მიაკუთვნა. სასამართლოს გაყრის პროცესი რომ განეხილა, ნაფიცი მსაჯულები, ალბათ, დაასკვნიდნენ, რომ წერილებში პლატონური გრძნობის მეტი არაფერი იყო. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში... „ვიცი, თქვენი პლატონური გრძნობა რაც არის!" – არცთუ თავაზიანად გაიფიქრა ინსპექტორმა ნილმა.

ინსპექტორმა ნილმა წერილები დაუყოვნებლივ სკოტლენდ-იარდში გადაგზავნა, ვინაიდან მაშინ მთავარი იყო,

Scanned by CamScanner

მიიჩნევდა თუ არა სახელმწიფო ბრალმდებელი, რომ ისინი ადელ ფორტესქიუს ან ადელ ფორტესქიუსა და ვივიან დიუბუას წინააღმდეგ საქმის აღძვრის საფუძველს იძლეოდა. ყველაფერი იმაზე მიუთითებდა, რომ რექს ფორტესქიუ მისმა ცოლმა მოწამლა – საკუთარი საყვარლის დახმარებით ან მის გარეშე. მართალია, წერილები ძალზე ფრთხილად დაეწერათ, მასში მაინც იკითხებოდა, რომ ვივიან დიუბუა ქალის საყვარელი იყო. მაგრამ ტექსტი, ინსპექტორ ნილის აზრით, მკვლელობის ნაქეზების მინიშნებასაც კი არ შეიცავდა. შესაძლოა, საუბრის დროს ასეც ხდებოდა, მაგრამ ვივიან დიუბუა არც ისეთი სულელი ჩანდა, რომ მსგავსი რამ ქაღალდზე გადაეტანა.

ინსპექტორი ნილი მიხვდა, რომ ვივიან დიუბუამ ადელ ფორტესქიუს მისი წერილების განადგურება სთხოვა, ქალმა კი დაარწმუნა, რომ ასეც მოიქცა.

თუმცა... ინსპექტორ ნილის თავში ახალი ჰიპოთეზა გაჩნდა. ადელ ფორტესქიუს ვივიან დიუბუაზე გათხოვება სურდა. ვივიან დიუბუას იმდენად ადელ ფორტესქიუ არ სჭირდებოდა, რამდენადაც მისი ასი ათასი გირვანქა სტერლინგი, რომელსაც ქალი ქმრის გარდაცვალების შემთხვევაში მიიღებდა. შესაძლოა, კაცმა ივარაუდა, რომ რექს ფორტესქიუს სიკვდილს ბუნებრივ მიზეზს მიაწერდნენ. ვთქვათ, გულის შეტევას ან რამე მსგავსს. რაც უნდა იყოს, რექს ფორტესქიუს ჯანმრთელობის მდგომარეობა მთელი წლის განმავლობაში ყველას აწუხებდა (სხვათა შორის, – გაიფიქრა ინსპექტორმა ნილმა, – ეს საკითხიც შესასწავლია. იგი გრძნობდა, რომ შესაძლოა, რამე საინტერესოს წასწყდომოდა.). რექს ფორტესქიუს სიკვდილის შემდეგ მოვლენები სხვა გზით განვითარდა – ექიმებმა სწრაფად დასვეს სწორი დიაგნოზი: მოწამვლა. საწამლავიც კი დაასახელეს.

დავუშვათ, ეს ადელ ფორტესქიუმ და ვივიან დიუბუამ ჩაიდინეს. რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ ისინი? ვივიან დიუბუა საშინლად დაშინდებოდა, ადელ ფორტეს-

Scanned by CamScanner

ქიუ კი თავს დაკარგავდა, უამრავ სისულელეს ჩაიდენდა და ილაპარაკებდა, დიუბუას დაურეკავდა, დაუფარავად გაესაუბრებოდა და კაცი მიხვდებოდა, რომ ქალს „ურთხლის ქოხში", შესაძლოა, ვინმემ მიაყურადა. ასეთ შემთხვევაში, რას მოიმოქმედებდა იგი?

ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ინსპექტორ ნილს ჯერ ნაადრევად მიაჩნდა. მან გადაწყვიტა, უახლოეს პერიოდში შეეკრიბა ცნობები სასტუმრო „გოლფში", კერძოდ, იყო თუ არა დიუბუა საკუთარ ნომერში საღამოს თექვსმეტი საათისა და თხუთმეტი წუთიდან თვრამეტ საათამდე. ვიდიან დიუბუას ლანს ფორტესქიუს სიმაღლე და თმის ფერი ჰქონდა. მას შეეძლო ბაღში შეღწევა, სახლის გვერდითი კარის გაღება და ზედა სართულზე შეუმჩნევლად ასვლა. შემდეგ? წერილების პოვნა სცადა და მიხვდა, რომ უკვე ნაელოთ? დაელოდა ჩაის სმის დასრულებას, მომენტი შეარჩია, ქვევით დაეშვა და ბიბლიოთეკაში შევიდა, სადაც ადელ ფორტესქიუ მარტო იჯდა?

არა, არა, იგი ძალიან შორს ნავიდა...

ნილმა მერი დოუვი და ელეინ ფორტესქიუ უკვე დაჰკითხა. ახლა უნდა მოესმინა, პერსივალ ფორტესქიუს ცოლი რას იტყოდა.

თავი მეთექვსმეტე

I

ინსპექტორმა ნილმა მისის პერსივალს მისსავე სასტუმრო ოთახში მიაგნო. იგი მაგიდასთან იჯდა და წერილს წერდა. ინსპექტორის დანახვაზე სავარძლიდან ოდნავ ნერვიულად წამოდგა.

– რამე ხომ არ... მე... იქნებ...

– დაბრძანდით, თუ შეიძლება, მისის ფორტესქიუ. თქვენთან მხოლოდ რამდენიმე შეკითხვის დასასმელად მოვედი.

– ოჰ, დიახ, დიახ, რა თქმა უნდა. რა საშინელებაა, არა? ეს რა უბედურება დაგვატყდა თავს!

Scanned by CamScanner

იგი სავარძელში ჩაეშვა. ნერვიულობა კვლავაც ეტყობოდა. ინსპექტორი მის გვერდით მდგარ პატარა, სწორსაზურგიან სკამზე დაჯდა. აქამდე ამ ქალს რიგიანად არც დაჰკვირვებოდა და ახლა ამ ხარვეზის გამოსწორება სურდა. „ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული ქალია, – გაიფიქრა ინსპექტორმა, – თანაც, არცთუ ბედნიერი. მოუსვენრობა, უკმაყოფილება და გონებრივი თვალსაწიერის შეზღუდულობა ეტყობა. თუმცა, როგორც მედდა, გამოცდილი, საქმიანი და მარჯვე იქნებოდა". მისის პერსივალ ფორტესქიუ შეძლებულ კაცს მისთხოვდა და თავისუფლებაც მოიპოვა, მაგრამ ეს თავისუფლება, როგორც ჩანს, არ აკმაყოფილებდა. იმით ერთობოდა, რომ მაღაზიებში დადიოდა და ტანსაცმელს ყიდულობდა, რომანებს კითხულობდა და ტკბილეულს მიირთმევდა. ნილს კარგად ახსოვდა ქალის მომეტებული მღელვარება რექს ფორტესქიუს სიკვდილის ღამეს, მაგრამ, მისი აზრით, ეს ნიშნის მოგება და სხვისი უბედურებით ტკბობა არ ყოფილა. უბრალოდ, მისის პერსივალ ფორტესქიუ მოწყენილობის უნაყოფო, უკიდეგანო უდაბნოში ცხოვრობდა. ინსპექტორის დაჟინებული მზერისგან ქალმა თვალები აახამხამა და ძირს დაუშვა. ჩანდა, რომ ნერვიულობდა, დანაშაულის შეგრძნება არ ასვენებდა... თუმცა, შესაძლოა, ეს მხოლოდ მას ეჩვენებოდა.

– სამწუხაროდ, – თქვა ინსპექტორმა დამამშვიდებელი კილოთი, – კვლავ და კვლავ გვიწევს შეკითხვების დასმა. ამან, ალბათ, ყველა ძალიან გადაღალა. თქვენი მშვენივრად მესმის, მაგრამ რა ვქნათ, რომ ბევრი რამ არ ემთხვევა. მაგალითად, მაინც ვერ გავარკვიე, როდის რა მოხდა. თქვენ ხომ ჩაის დასალევად გვიან გახვედით, არა? თუ არ ვცდები, მის დოუვმა მოგაკითხათ.

– დიახ. მართალია. მან ჩემს ოთახში შემოიხედა და მითხრა, ჩაი მზად არისო. არც კი ვიცოდი, ასე გვიან თუ იყო. წერილებს ვწერდი და დრო შეუმჩნევლად გავიდა.

ინსპექტორმა ნილმა სწრაფად გახედა საწერ მაგიდას.

– გასაგებია, – თქვა მან, – მე კი მეგონა, რომ სასეირნოდ იყავით გასული.

Scanned by CamScanner

– ეს მან გითხრათ? დიახ, ეს სიმართლეა. ჯერ ნერილებს ვწერდი, შემდეგ ჰაერი შემომაკლდა, თავი ამტკივდა და გავედი... სასეირნოდ. ბაღში გავიარე.

– გასაგებია. ხომ არავის შეხვედრიხართ?

– შევხვედრივარ? – ქალი ინსპექტორს მიაჩერდა, – ვის უნდა შევხვედროდი?

– უბრალოდ, მაინტერესებს, სანამ სეირნობდით, ვინმე ხომ არ დაგინახავთ? იქნებ თქვენ დაგინახათ ვინმემ?

– შორიდან მებაღეს მოვკარი თვალი. სულ ეს იყო, – ქალი ინსპექტორს ეჭვით მიაჩერდა.

– სახლში დაბრუნდით, თქვენს ოთახში ახვედით და პალტოს იხდიდით, როდესაც მის დოუვი შემოვიდა და ჩაიზე მიგიპატიჟათ. ხომ არ ვცდები?

– არა, არა. შემდეგ ქვევით ჩავედი.

– იქ ვინ დაგხვდათ?

– ადელი და ელეინი, რამდენიმე წუთში ლანსი გამოჩნდა, ჩემი მაზლი. იგი კენიიდან დაბრუნდა.

– და ყველას ჩაი მოგართვეს.

– დიახ. შემდეგ ლანსი დეიდა ეფისთან ავიდა, მე კი აქ დავბრუნდი ნერილების დასამთავრებლად. ადელთან ელეინი დარჩა.

ინსპექტორმა ქალი თავის დაქნევით გაამხნევა.

– დიახ. როგორც ჩანს, მის ფორტესქიუ მისის ფორტესქიუსთან ხუთი-ათი წუთის განმავლობაში იმყოფებოდა. ამასობაში თქვენი ქმარი ხომ არ დაბრუნებულა?

– ოჰ, არა. პერსი... ვალი შინ შვიდის ნახევრისთვის თუ შვიდისთვის დაბრუნდა. ქალაქში შეყოვნდა.

– მატარებლით ჩამოვიდა?

– დიახ. სადგურზე კი ტაქსი აიყვანა.

– მატარებლით ხშირად ბრუნდება ხოლმე?

– ხშირად არა, მხოლოდ ზოგჯერ. ალბათ ქალაქის იმ ადგილებში მოუნია გასვლამ, სადაც მანქანის გაჩერება ჭირს. ქენონსტრიტიდან მატარებლით გამომგზავრება გაცილებით ადვილია.

Scanned by CamScanner

– გასაგებია, – თქვა ინსპექტორმა ნილმა, – თქვენს მეუღლეს უკვე ვკითხე, მისის ფორტესქიუს ანდერძი ხომ არ დაუტოვებია-მეთქი. იგი ფიქრობს, რომ არა. რამე ხომ არ იცით ამის შესახებ?

მისდა გასაოცრად, ჯენიფერ ფორტესქიუმ, თანხმობის ნიშნად, თავი ენერგიულად დააქნია.

– ვიცი, – განაცხადა მან, – ადელმა ანდერძი შეადგინა. თვითონ მითხრა.

– მართლა? ეს როდის მოხდა?

– დიდი დრო არ გასულა – ერთი თვის წინ.

– ძალიან საინტერესოა, – ჩაილაპარაკა ინსპექტორმა ნილმა.

მისის პერსივალი მოუთმენლად გადაიხარა წინ. გამოცოცხლება დაეტყო. აშკარად სიამოვნებდა საკუთარი ინფორმირებულობის გამომზეურება.

– ვალმა ამის შესახებ არაფერი იცის, – განაგრძო მან, – არავინ იცის. ეს მეც შემთხვევით გავიგე. საკანცელარიო მაღაზიიდან ქუჩაში გამოვედი. უეცრად დავინახე, რომ ადელი საადვოკატო ფირმიდან გამოდიოდა. გეცოდინებათ „ანსელი და უორელი". ჰაისტრიტზე მდებარეობს.

– აჰა, – თქვა ნილმა, – ადგილობრივი ფირმაა?

– დიახ. ცხადია, ადელს გამოველაპარაკე. „აქ რა ქარმა გადმოგაგდო?" – ვკითხე მე. მან გაიცინა და მიპასუხა: „ძალიან გინდა ამის გაგება?" ქუჩას ერთად გავუყევით. უეცრად მეუბნება: „კარგი, ჯენიფერ, გეტყვი. ანდერძი შევადგინე". „ეს რამ მოგაფიქრებინა? – შევეკითხე, – არც ავად ხარ და არც არაფერი გჭირს, ხომ ასეა?" მიპასუხა, რომ ავად არ იყო და ასე საუცხოოდ თავს არასდროს გრძნობდა; რომ ანდერძი ყველამ უნდა შეადგინოს. დაამატა, ოჯახის ადვოკატთან, იმ ცხვირაბზეკილ ბილინგსლისთან, განზრახ არ წავედი, საშინელი ენატანიაა და ყველას ყველაფერს მოუყვებაო. „არა, – თქვა მან, – ჩემი ანდერძი, ჯენიფერ, ჩემი პირადი საქმეა. ჩემებურად შევადგინე და მის შესახებ არავის ეცოდინება". „რახან ასეა, მეც არავის

Scanned by CamScanner

ვეტყვი", – ვუთხარი ადელს. „უთხარი, თუ გინდა, – მითხრა ღიმილით, – შენ ხომ არ იცი, შიგ რა წერია". მე მაინც არავისთვის მითქვამს, პერსისთვისაც კი. ვფიქრობ, ქალები ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ, ხომ ასეა, ინსპექტორო ნილ?

– რა თქმა უნდა, მისის ფორტესქიუ, ძალიან გულისხმიერი ბრძანდებით, – დიპლომატიურად მიუგო ინსპექტორმა ნილმა.

– ვიცი, რომ ბუნებით ბოროტი არ ვარ, – თქვა ჯენიფერმა, – ადელის სიყვარულით არასდროს ვიწვოდი, მაგრამ მეც გამიგეთ. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ იმ ტიპის ადამიანებს მიეკუთვნებოდა, რომლებიც მიზნის მისაღწევად უკან არაფერზე დაიხევენ. ახლა კი მკვდარია, საბრალო. იქნებ უსამართლოდაც კი ვექცეოდი...

– კარგი, მისის ფორტესქიუ, დიდი მადლობა, რომ ასე დამეხმარეთ.

– სამადლობელი არაფერია. ყოველთვის მოხარული ვიქნები, თუ რამით დახმარებას შევძლებ. აქ ხომ საშინელი უბედურება დატრიალდა. სხვათა შორის, ვინ იყო ის ხანში შესული ქალბატონი, დღეს დილით რომ მობრძანდა?

– მას მის მარპლი ჰქვია. თავაზიანობა გამოიჩინა და ყველაფერი გვიამბო, რაც გლედისის შესახებ იცოდა. თურმე გლედის მარტინს ადრე მასთანაც უმუშავია.

– მართლა? რა საინტერესოა.

– კიდევ ერთი შეკითხვა, მისის პერსივალ. შავი შაშვების შესახებ ხომ არ გსმენიათ რამე?

ჯენიფერ ფორტესქიუ შესამჩნევად შეკრთა, ხელჩანთა იატაკზე დაუვარდა და მის ასაღებად დაიხარა.

– შავი შაშვების შესახებ, ინსპექტორო? შავი შაშვების? რომელი შავი შაშვების?

ინსპექტორმა ნილმა შეამჩნია, რომ ქალს სუნთქვა აუჩქარდა, ამიტომ ღიმილით უთხრა:

– უბრალო შავი შაშვების. ცოცხლების, მკვდრების ან თუნდაც სიმბოლურის.

Scanned by CamScanner

– არ ვიცი, რას გულისხმობთ, – საკმაოდ მკვახედ მიუგო ქალმა, – ვერ გავიგე, რისი თქმა გსურთ.

– მაშასადამე, შავი შაშვების შესახებ არაფერი იცით, მისის ფორტესქიუ?

– ალბათ, იმათ გულისხმობთ, – აუჩქარებლად წარმოთქვა ჯენიფერმა, – გასულ ზაფხულს ტორტში რომ აღმოჩნდნენ. სულელური ხუმრობა იყო.

– როგორც ვიცი, რამდენიმე შაშვი ბიბლიოთეკის მაგიდაზეც დააგდეს, არა?

– ვიღაცამ სულელურად იხუმრა. არ ვიცი, ამის შესახებ ვინ გიამბოთ. მისტერ ფორტესქიუ, ჩემი მამამთილი, ძალიან გაბრაზდა.

– მხოლოდ გაბრაზდა? მეტი არაფერი?

– ოჰ, ვხვდები, რასაც გულისხმობთ. დიახ, კიდევ იყო რაღაც. მან იკითხა, სახლში უცხო ხალხი ხომ არ გამოჩენილაო.

– უცხო ხალხი! – ინსპექტორმა ნილმა წარბები აზიდა.

– დიახ, სწორედ ეს აინტერესებდა, – გამომწვევად გაიმეორა მისის პერსივალმა.

– უცხო, – ჩაფიქრებით ჩაილაპარაკა ინსპექტორმა ნილმა და იკითხა:

– შეშინებული ხომ არ ჩანდა?

– შეშინებული? ვერ გავიგე, რისი თქმა გსურთ.

– იქნებ ნერვიულობდა. უცხო ხალხის გამო.

– დიახ, დიახ, ასე იყო. უკვე რამდენიმე თვე გავიდა და, ცხადია, კარგად არ მახსოვს. ვფიქრობ, სულელური ხუმრობა იყო და მეტი არაფერი. იქნებ კრამპმა გააკეთა. კრამპი ხომ გაუწონასწორებელი ადამიანია. დანამდვილებით ვიცი, რომ სვამს კიდეც. ზოგჯერ კი თავხედურად იქცევა. ისიც მიფიქრია, მისტერ ფორტესქიუს ჯავრი ხომ არ სჭირს-მეთქი. რას იტყვით, ინსპექტორო, ეს შესაძლებელია?

– ყველაფერი შესაძლებელია, – თქვა ინსპექტორმა და ოთახიდან გავიდა.

Scanned by CamScanner

II

პერსივალ ფორტესქიუ ლონდონში იყო, სამაგიეროდ, ინსპექტორმა ნილმა ბიბლიოთეკაში ლანსელოტს მიაგნო, რომელიც ცოლთან ერთად იჯდა და მას ჭადრაკს ეთამაშებოდა.

– არ მინდა, რომ შეგაწყვეტინოთ, – ბოდიშის კილოთი მიმართა ნილმა.

– არაფერია, ინსპექტორო, ჩვენ მხოლოდ დროის გაყვანას ვცდილობთ. ხომ ასეა, პატ?

პატმა თავი დაუქნია.

– ვფიქრობ, ჩემი შეკითხვა სულელურად მოგეჩვენებათ, მისტერ ფორტესქიუ, – თქვა ნილმა, – მაგრამ მითხარით, შავი შაშვების შესახებ ხომ არ გსმენიათ რამე?

– შავი შაშვების? – განცვიფრება ვერ დამალა ლანსმა, – რომელი შაშვების? ფრინველს გულისხმობთ თუ გადატანითი მნიშვნელობით მეკითხებით?

მოულოდნელად ინსპექტორმა ნილმა ფართოდ გაიღიმა. ეს განმაიარაღებელი ღიმილი იყო.

– კარგად თვითონაც არ ვიცი, მისტერ ფორტესქიუ, – თქვა მან, – უბრალოდ, ასეა ნახსენები. თუ რატომ – უცნობია.

– ღმერთო ჩემო, – შეშფოთდა უეცრად ლანსელოტი, – ძველ „შავი შაშვის მაღაროს" ხომ არ უკავშირდება?

ინსპექტორი ნილი სწრაფად ჩაეკითხა:

– „შავი შაშვის მაღარო"? ეს რა არის?

შეფიქრიანებულ ლანსს სახე მოეღუშა.

– პრობლემა ისაა, ინსპექტორო, რომ წესიერად არც კი მახსოვს. ეს მამაჩემის წარსულის ბნელი ფურცელი იყო, რაღაც საეჭვო გარიგება... ყველაფერი ნისლშია ჩაძირული. მაღარო აფრიკის დასავლეთ სანაპიროზე მდებარეობს. ერთხელ დეიდა ეფიმ ამ მაღაროსთან დაკავშირებით რაღაც ბრალდებაც კი მომახალა, ოღონდ ვერ ვიხსენებ, კონკრეტულად რა მითხრა.

– დეიდა ეფიმ? მის რემსბოთომმა?

Scanned by CamScanner

– სწორედ მან.

– შევეცდები, რამე ვათქმევინო, – თქვა ინსპექტორმა ნილმა და სევდიანად დაამატა: – სხვათა შორის, ისეთი მოხუცია, ღმერთმა დაგიფაროთ. როდესაც მის გვერდით ვარ, მისტერ ფორტესქიუ, გვარიანად ვნერვიულობ.

ლანსს გაეცინა.

– მართალს ბრძანებთ. დეიდა ეფი ჯიუტი ქალია. მაგრამ თქვენ, ინსპექტორო, მისგან ბევრ საინტერესო რამეს მოისმენთ, თუ სწორად მიუდგებით. ამის ყველა შანსი გაქვთ, ვინაიდან წარსულში ქექვას აპირებთ. საუცხოო მეხსიერებით გამოირჩევა. უყვარს მოგონებებში გადაშვება, განსაკუთრებით კი ცუდი დასასრულის მქონე ამბები, – იგი ორიოდე წამით გაჩუმდა და ჩაფიქრებული სახით განაგრძო: – კიდევ არის რაღაც. უნდა გითხრათ, რომ აქ ჩამოსვლიდან ცოტა ხანში მასთან ავედი. იმავე დღეს, ჩაის შემდეგ. იგი გლედისის შესახებ მელაპარაკა. ეს ის მოახლეა, რომელიც მოკლეს. მაშინ, ცხადია, ჯერ არაფერი ვიცოდით. დეიდა ეფი მარწმუნებდა, თითქოს გლედისმა რაღაც იცოდა, რაც პოლიციას არ შეატყობინა.

– ეგ სიმართლეს ჰგავს, – თქვა ინსპექტორმა ნილმა, – სამწუხაროდ, ის უბედური უკვე ვერავის ვერაფერს ეტყვის.

– დიახ. როგორც მივხვდი, დეიდა ეფი ცდილობდა, რომ საიდუმლოს გამხელაზე დაეყოლიებინა, მაგრამ გოგონამ არ დაუჯერა.

ინსპექტორმა ნილმა თავი დააქნია, აზრი მოიკრიბა, სერიოზული შეხვედრისთვის განეწყო და მის რემსბოთომის სიმაგრეში შევიდა. მისდა გასაოცრად, იქ მის მარპლი აღმოაჩინა. ქალები მშვიდად საუბრობდნენ მისიონერობის სარგებლობაზე.

– მე წავალ, ინსპექტორო, – თქვა მის მარპლმა და სასნრაფოდ წამოდგა.

– დარჩით, მადამ, ხელს არ შემიშლით, – უთხრა ინსპექტორმა ნილმა.

Scanned by CamScanner

– მის მარპლს ვთხოვე, რომ რამდენიმე დღე ჩვენს სახლში გაატაროს, – განაცხადა მის რემსბოთომმა, – რატომ უნდა გადაყაროს ფული იმ საშინელ სასტუმროში? „გოლფი" ხომ სპეკულანტების ბუდეა. ლოთობისა და კარტის თამაშის მეტს არაფერს აკეთებენ. დაე, ჩვენთან იცხოვროს, წესიერ ქრისტიანულ სახლში. გვერდით ცარიელი ოთახია. დოქტორი მერი პიტერსის შემდეგ – იგი მისიონერი გახლდათ – იქ არავის უცხოვრია.

– ძალზე გულკეთილი ხართ, – მიუგო მის მარპლმა, – მაგრამ უხერხულია იმ სახლში გადასვლა, სადაც გლოვობენ.

– გლოვობენ? რა სისულელეა, – განაცხადა მის რემსბოთომმა, – ნეტავ ვინ გლოვობს ამ სახლში რექსს? ან ადელს? იქნებ პოლიცია გადარდებთ? ინსპექტორო, წინააღმდეგი ხომ არ იქნებით?

– რასაკვირველია, არა.

– აი, ხომ ხედავთ, – თქვა მის რემსბოთომმა.

– რა გულკეთილი ხართ, – გაიმეორა მის მარპლმა, – თუ ასეა, სასტუმროში დავრეკავ და შეკვეთას გავაუქმებ.

იგი ოთახიდან გავიდა. მის რემსბოთომმა მკვეთრი ხმით მიმართა ინსპექტორს:

– აბა, რა გნებავთ?

– მადამ, მინდოდა მეთხოვა, რომ „შავი შაშვის მაღაროს" შესახებ მოგეყოლათ.

მოულოდნელად მის რემსბოთომი გაბმით აკაკანდა, რაც სიცილს ნიშნავდა.

– აჰა. მაინც მიაგენით, არა? მინიშნებას მიმიხვდით, ხომ? აბა, კონკრეტულად რისი გაგება გსურთ?

– ყველაფრის, რის მოყოლასაც საჭიროდ მიიჩნევთ, მადამ.

– მოსაყოლი ბევრი არაფერია. ეგ როდის მოხდა... ასე, ოცი წლის წინ, ოცდახუთიც გავიდოდა. აღმოსავლეთ აფრიკაში კონცესიას თუ რაღაც ამგვარს შეეხებოდა. ჩემი სიძე იქ ვილაც მაკენზისთან ერთად გაემგზავრა. მაღაროებს

Scanned by CamScanner

იკვლევდნენ. მალე მაკენზი ციებ-ცხელებისგან მოკვდა, რექსი კი შინ დაბრუნდა და განაცხადა, რომ კონცესიამ[1], თუ რაც ჰქვია, იმან, არ გაამართლა. მეტი არაფერი ვიცი.

– ეჭვი მაქვს, მადამ, რომ თქვენი ცოდნა მხოლოდ ამით არ ამოიწურება, – მტკიცედ მიუგო ინსპექტორმა ნილმა.

– დანარჩენი მხოლოდ ჭორია. თქვენ კი, კანონის დამცველები, ჭორებს, როგორც ვიცი, არ სწყალობთ...

– ჩვენ სასამართლოში არ ვართ, მადამ.

– სულერთია, სათქმელი არაფერი მაქვს. მაკენზის ნათესავებმა ერთი ამბავი ატეხეს. მეტი არაფერი ვიცი. ირწმუნებოდნენ, რექსმა მაკენზი გააბითურაო. მეც ასე მგონია, რომ გააბითურა. რექსი საზრიანი, მაგრამ არაკეთილსინდისიერი კაცი იყო, ოღონდ კანონს არ არღვევდა – ამაში დარწმუნებული ვარ. ასე რომ, ვერაფერი დაამტკიცეს. მისის მაკენზი, ეს გაუწონასწორებელი ქალი, ძალიან გაფიცხდა. აქ გამოგვეცხადა და დაგვემუქრა, რომ შურს იძიებდა იმისთვის, რომ რექსმა მისი ქმარი მოკლა. სულელური მელოდრამა იყო, ქარიშხალი ჭიქაში. ჩემი აზრით, თავში ყველაფერი რიგზე არ ჰქონდა – მგონი, მალე საგიჟეთშიც მოხვდა. ცოტა ხანში ორი პატარა, შეშინებული ბავშვით მოგვადგა. განგვიცხადა, როცა გაიზრდებიან, სამაგიეროს გადაგიხდიან, შურს იძიებენ, სწორედ ამ შემართებით გავზრდიო. რაღაც ამგვარს ამბობდა. სისულელე, ნამდვილი სისულელე. მეტს ვერაფერს დავამატებ. სხვათა შორის, რექსისთვის „შავი შაშვების მაღარო" ერთადერთი აფერა არ ყოფილა. თუ მის წარსულში ქექვას დაიწყებთ, ბევრ საინტერესო შემთხვევას მიაგნებთ. მაღაროს შესახებ როგორ გაიგეთ? მაკენზისკენ მიმავალი კვალი ხომ არ აღმოაჩინეთ?

– მითხარით, მადამ, იმ ოჯახს რა ბედი ეწია?

– არაფერი ვიცი, – თქვა მის რემსბოთომმა, – არა მგონია, რექსს მართლა მოეკლა მაკენზი. შესაძლოა, სიკვდი-

---

[1] *კონცესია – სახელმწიფოს მიერ უცხოეთის ფირმასთან დადებული ხელშეკრულების სახეობა.*

Scanned by CamScanner

ლის პირას მყოფი მიატოვა. ღმერთისთვის ეს ერთი და იგივეა, კანონისთვის – არა. თუ რექსმა შესცოდა, მიეზღო კიდეც. ღმერთის ნისქვილი ნელა, მაგრამ ნვრილად ფქვავს. ახლა კი წადით, ყველაფერი გიამბეთ და შეკითხვებით ნულარ შემომიჩნდებით.

– დიდი მადლობა იმისთვის, რაც მომიყევით, – უთხრა ინსპექტორმა ნილმა.

– მის მარპლი კი ჩემთან ამოვიდეს, – მიაძახა მის რემსბოთომმა, – ისიც თავქარიანია, ანგლიკანური ეკლესიის ყველა მიმდევრის მსგავსად, მაგრამ ქველმოქმედების გონივრული გზით მიმართვა მაინც შეუძლია.

ინსპექტორი ნილი ტელეფონს მიუჯდა და ჯერ საადვოკატო ფირმა „ენსელი და უორელში" დარეკა, შემდეგ – სასტუმრო „გოლფში". ბოლოს სერჟანტ ჰეის უხმო და განუცხადა, რომ ცოტა ხნით წასვლას აპირებდა.

– საადვოკატო ფირმაში უნდა მივიდე, იქიდან სასტუმრო „გოლფში" შევივლი. თუ სასწრაფო საქმე გამოჩნდება, იქ მომაგნებთ.

– დიახ, სერ.

– და რასაც მოახერხებთ, ყველაფერი გაიგეთ შავი შაშვების შესახებ, – დაამატა ნილმა მხარზემოდან.

– შავი შაშვების შესახებ, სერ? – ჩაეკითხა საბოლოოდ თავგზააბნეული სერჟანტი ჰეი.

– როგორც გითხარით... შავი მაყვალი კი არა, შავი შაშვები.

– დიახ, სერ, – თქვა განცვიფრებულმა სერჟანტმა ჰეიმ.

თავი მეჩვიდმეტე

I

ინსპექტორმა ნილმა აღმოაჩინა, რომ მისტერ ენსელი იმ ადვოკატთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებსაც სხვისი დაშინება არ ეხერხებათ, თვითონ კი ადვილად ფრთხებიან.

Scanned by CamScanner

პატარა და არცთუ ფრთაგაშლილი ფირმის თანამფლობელი საკუთარი უფლებების დაცვას არც კი ცდილობდა, პირიქით, მცდელობას არ აკლებდა, რომ პოლიციას დახმარებოდა.

განაცხადა, რომ განსვენებული მისის ადელ ფორტესქიუს ანდერძი სწორედ მან შეადგინა. ქალმა მას გარდაცვალებამდე ხუთიოდე კვირით ადრე შეუარა ოფისში. მისტერ ენსელს კლიენტის თხოვნა საკმაოდ უცნაურად მოეჩვენა, თუმცა ეს აზრი ხმამაღლა არ გამოუთქვამს. ადვოკატებს მრავალ უცნაურობასთან ჰქონდათ შეხება და, მისი აზრით, ინსპექტორი, ალბათ, შესანიშნავად ხვდებოდა, რა იყო პროფესიული ეთიკა და ასე შემდეგ. ინსპექტორმა ნილმა თავი დაუქნია იმის ნიშნად, რომ, დიახაც, ყველაფერს მშვენივრად ხვდებოდა. მას დაედგინა, რომ ადრე არც მისის ფორტესქიუს და არც ფორტესქიუთა ოჯახის სხვა წევრს მისტერ ენსელისთვის საქმის გაძღოლა არ უთხოვიათ.

– ბუნებრივია, – თქვა მისტერ ენსელმა, – რომ ქალმა ამ მიზნით მეუღლის ადვოკატთა ფირმაში მისვლა არ მოისურვა.

ამ მრავალსიტყვაობისთვის უსარგებლო ნაწილის მოცილების შემდეგ უბრალო და მარტივად გასაგები ფაქტები რჩებოდა. ადელ ფორტესქიუს მიერ შედგენილი ანდერძის თანახმად, მისი გარდაცვალების შემთხვევაში, ყველაფერი, რასაც ის ფლობდა, ვივიან დიუბუას საკუთრება ხდებოდა.

– მაგრამ, ჩემი აზრით, – თქვა მისტერ ენსელმა და ნილს კითხვის გამომხატველი მზერით შეხედა. – ქალს თითქმის არაფერი ჰქონდა დასატოვებელი.

ინსპექტორმა ნილმა თავი დაუქნია. ანდერძის შედგენის მომენტში ასეც იყო. მაგრამ შემდეგ რექს ფორტესქიუ გარდაიცვალა და ადელ ფორტესქიუს მემკვიდრეობით ასი ათასი გირვანქა ერგო. მთელი ეს თანხა (დაკრძალვის ხარჯის გამოკლებით) ახლა ვივიან ედვარდ დიუბუას ეკუთვნოდა.

Scanned by CamScanner

II

სასტუმრო „გოლფში“ მყოფი ვივიან დიუბუა ინსპექტორ ნილს ელოდებოდა და ძლიერ ნერვიულობდა. მას უკვე ჩემოდნებიც ჩაელაგებინა და წასვლას აპირებდა, როდესაც ინსპექტორმა ნილმა დაურეკა და ისე თავაზიანად სთხოვა შეყოვნება, თითქოს ბოდიშსაც კი უხდიდა მისთვის ერთგვარი უხერხულობის შექმნის გამო. თუმცა ვივიან დიუბუა მშვენივრად მიხვდა, რომ ამ თხოვნის მიღმა ფარული ბრძანება იდგა. ერთი კი სცადა შეკამათება, მაგრამ მალე ბედს შეურიგდა.

– ვიმედოვნებ, ინსპექტორო ნილ, – თქვა მან, – ხვდებით, რომ ეს გაუთვალისწინებელი დაყოვნება არაფრად მარგია. სასწრაფო საქმეები მელოდება.

– არ ვიცოდი, მისტერ დიუბუა, თუ საქმეებს აწარმოებდით, – გულთბილად მიმართა ინსპექტორმა ნილმა.

– ვშიშობ, ჩვენს დროში ამას ვერავინ გაექცევა.

– მისტერ დიუბუა, ალბათ, ძალზე განიცადეთ მისის ფორტესქიუს სიკვდილი. თქვენ ხომ ახლო მეგობრები იყავით?

– დიახ, – თქვა დიუბუამ, – შესანიშნავი ქალი იყო. ხშირად ერთად ვთამაშობდით გოლფს.

– ვფიქრობ, იგი ძალიან დაგაკლდებათ.

– მართალს ბრძანებთ, – ამოიოხრა დიუბუამ, – მთელი ეს ამბავი თითქოს საშინელი, კოშმარული სიზმარია.

– როგორც ვიცი, ადელს მისი გარდაცვალების დღეს დაურეკეთ.

– დავურეკე? ზუსტად არ მახსოვს.

– თუ არ ვცდები, ოთხი საათისთვის.

– დიახ, შესაძლოა, ასეც იყო.

– მისტერ დიუბუა, ხომ არ გახსოვთ, რაზე ლაპარაკობდით?

– ათას წვრილმანზე. მგონი, ვკითხე, თავს როგორ გრძნობდა, რამე ხომ არ გაირკვა მისი ქმრის სიკვდილთან დაკავშირებით – ჩვეულებრივი შეკითხვები დავუსვი.

Scanned by CamScanner

– გასაგებია, – თქვა ინსპექტორმა ნილმა, – შემდეგ კი, – დაამატა მან, – სასეირნოდ წახვედით, არა?

– ე-ე... დიახ... დიახ, მე... მგონი, კი. ოღონდ სასეირნოდ კი არა, გოლფის სათამაშოდ.

– ვშიშობ, ცდებით, მისტერ დიუბუა, – რბილად გაანყვეტინა ინსპექტორმა ნილმა, – გოლფი იმ დღეს არ ყოფილა... სასტუმროს შვეიცარმა დაინახა, რომ „ურთხლის ქოხის" მხარეს გაემართეთ.

მათ ერთმანეთს შეხედეს. დიუბუამ ნერვიულად აარიდა მზერა.

– ვშიშობ, ინსპექტორო, უბრალოდ, არ მახსოვს.

– იქნებ მისის ფორტესქიუს მონახულება გადაწყვიტეთ?

– არა, – გადაჭრით განაცხადა დიუბუამ, – მსგავსი რამ არ ყოფილა. მათ სახლს არც კი მივახლოებივარ.

– აბა, სად ნახვედით?

– ოჰ, მე... გზას გავუყევი, „სამ მტრედამდე" მივედი, უკან კი გოლფის სათამაშო მინდვრების გავლით დავბრუნდი.

– დარწმუნებული ხართ, რომ „ურთხლის ქოხში" არ შეგივლიათ?

– სრულიად დარწმუნებული გახლავართ, ინსპექტორო.

ინსპექტორმა თავი გადააქნია.

– უნდა გითხრათ, მისტერ დიუბუა, – თქვა მან, – რომ თქვენთვისვე იქნება უკეთესი, თუ გულწრფელობას გამოიჩენთ. არ გამოვრიცხავ, რომ იქ მისვლისკენ უწყინარმა გარემოებამ გიბიძგათ.

– გიმეორებთ – იმ დღეს მისის ფორტესქიუს არ ვწვევივარ.

ინსპექტორი წამოდგა.

– იცით რა, მისტერ დიუბუა, – თქვა მან მეგობრულად, – ჩვენ, ალბათ, წერილობით ჩვენებას ჩამოგართმევთ, როგორც წესია. შეგიძლიათ, ამ დოკუმენტის შედგენას თქვენი ადვოკატი დაასწროთ.

Scanned by CamScanner

მისტერ დიუბუამ ფერი დაკარგა, სახეზე სიმწვანემ გადაჰკრა.

– მემუქრებით, – ჩაილაპარაკა მან, – მემუქრებით.

– არა, არა, სულაც არა, – მიუგო თითქოსდა შოკირებულმა ინსპექტორმა, – ეს კატეგორიულად გვეკრძალება. პირიქით, თქვენს უფლებებს შეგახსენებთ.

– გეუბნებით, რომ ამ ამბავთან ოდნავი შეხებაც კი არ მაქვს. ოდნავიც კი.

– კმარა, მისტერ დიუბუა. იმ დღეს, დაახლოებით ოთხის ნახევარზე, „ურთხლის ქოხში" ბრძანდებოდით. ფანჯრიდან დაგინახეს.

– მხოლოდ ბაღში ვიყავი, სახლში არ შევსულვარ.

– არა? – ჩაეკითხა ინსპექტორი ნილი, – დარწმუნებული ხართ? მაშასადამე, გვერდითი კარიდან არ შესულხართ, კიბე არ აგივლიათ და მისის ფორტესქიუს სასტუმრო ოთახში არ შეგიღწევიათ? არც მის საწერ მაგიდაში გიძებნიათ რამე?

– ვფიქრობ, ისინი თქვენ გაქვთ, – პირქუშად წარმოთქვა დიუბუამ, – იმ სულელმა ადელმა წერილები შეინახა, მე კი შემომფიცა, რომ დაწვავდა. მაგრამ ისინი სულაც არ ნიშნავს იმას, რასაც თქვენ ფიქრობთ.

– მისტერ დიუბუა, ალბათ, არ უარყოფთ, რომ მისის ფორტესქიუს ახლო მეგობარი იყავით?

– ცხადია, არა. როგორ უნდა უარვყო, როდესაც ჩემი წერილები გაქვთ? მხოლოდ იმას გთხოვთ, რომ მათში ბოროტი განზრახვა არ ჩადოთ. რამ გაფიქრებინათ, რომ მან... რომ ჩვენ... რექს ფორტესქიუს თავიდან მოცილება გადავწყვიტეთ? ღმერთო ჩემო, მე ხომ ასეთი ადამიანი არ ვარ!

– იქნებ მისის ფორტესქიუ იყო ასეთი?

– სისულელეა! – შესძახა ვივიან დიუბუამ, – ისიც ხომ მოკლეს!

– ოჰ, დიახ, დიახ.

– თუ ასეა, განა ბუნებრივი არაა ვარაუდი, რომ ერთმა და იმავე პირმა ჯერ ქმარი მოკლა, შემდეგ კი ცოლი?

Scanned by CamScanner

– შესაძლებელია. სრულიად შესაძლებელია. მაგრამ არც სხვა ვერსიები უნდა გამოვრიცხოთ. მაგალითად (მხოლოდ ჰიპოთეზურად, მისტერ დიუბუა), დავუშვათ, რომ მისის ფორტესქიუმ ქმარი თავიდან მოიცილა, შემდეგ კი თვითონ გახდა საფრთხის შემცველი სხვა პირისთვის. შესაძლოა, ის სხვა პირი დანაშაულის ჩადენაში მას არ ეხმარებოდა, მაგრამ, ერთგვარად, აქეზებდა, ახალისებდა, სტიმულს აძლევდა და, ასე ვთქვათ, მკვლელობის მოტივი იყო. შესაძლოა, იმ პირს ქალი თავისთვის ძალზე საშიშად მიეჩნია.

– თქვენ არ შ-შეგიძლიათ, ჩ-ჩემ წინააღმდეგ საქმე აღძრათ, – ენის ბორძიკით წარმოთქვა დიუბუამ, – არ შეგიძლიათ.

– სხვათა შორის, – განაცხადა ინსპექტორმა ნილმა, – მთელი თავისი ფული მან თქვენ დაგიტოვათ. ყველაფერი, რაც ჰქონდა.

– მისი ფული არ მჭირდება. ერთი პენიც კი.

– არა, ცხადია, განსაკუთრებული არაფერია, – თქვა ინსპექტორმა ნილმა, – რაღაც ძვირფასეულობა, ქურქები... აი, ნაღდი ფული კი, მგონი, ძალიან ცოტაა.

დიუბუა ინსპექტორს პირდაღებული მიაჩერდა.

– მე კი ვფიქრობდი, რომ მისი ქმარი...

იგი გაჩუმდა – მიხვდა, რომ ზედმეტი წამოროშა.

– თქვენ ასე ფიქრობდით, მისტერ დიუბუა? – ჰკითხა ინსპექტორმა ნილმა და ხმა გაუმკაცრდა, – ძალიან საინტერესოა. მე კი სულ ვეკითხებოდი საკუთარ თავს – იცოდით თუ არა, რა ეწერა რექს ფორტესქიუს ანდერძში...

III

ინსპექტორმა ნილმა მეორე საუბარიც სასტუმრო „გოლფში" გამართა, ამჯერად მისტერ ჯერალდ რაიტთან. ჯერალდ რაიტი გამხდარი, ჭკვიანი და ქედმაღალი ახალგაზრდა კაცი აღმოჩნდა. ინსპექტორმა ნილმა შეამჩნია, რომ აღნაგობით იგი ვივიან დიუბუას წააგავდა.

Scanned by CamScanner

– რით შემიძლია გემსახუროთ, ინსპექტორო ნილ? – იკითხა მან.

– ვფიქრობ, ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციის მოწოდება შეგიძლიათ, მისტერ რაიტ.

– ინფორმაციის? მართლა? ეს ნაკლებად სავარაუდოდ მეჩვენება.

– საქმე ბოლო დროს „ურთხლის ქოხში" მომხდარ მოვლენებს ეხება. ალბათ, გსმენიათ მათ შესახებ.

ინსპექტორმა ნილმა ეს მსუბუქი ირონიით წარმოთქვა. მისტერ რაიტმა შემწყნარებლურად გაიღიმა.

– „გსმენიათ მათ შესახებ" – არცთუ სწორი ფორმულირებაა. ნუთუ გაზეთებს სხვა არაფერი აქვთ სათქმელი? ჩვენი პრესა სისხლმონყურებულ ვამპირს მაგონებს! ნეტავ რომელ საუკუნეში ვცხოვრობთ! ერთი მხრივ, ატომურ ბომბებს ვამზადებთ, მეორე მხრივ, ჩვენი გაზეთები აღფრთოვანებით აღნერენ საზიზღარ მკვლელობებს! მაგრამ თქვენ ბრძანეთ, რომ შეკითხვები გაქვთ ჩემთან. რომ არ დაგიმალოთ, ვერც კი ვხვდები, რისი გაგება გსურთ. „ურთხლის ქოხში" დატრიალებული ტრაგედიების შესახებ არაფერი ვიცი. როდესაც რექს ფორტესქიუ მოკლეს, კუნძულ მენზე ვიყავი.

– მაგრამ მალე აქ ჩამოხვედით, ხომ ასეა, მისტერ რაიტ? თუ არ ვცდები, დეპეშა მიიღეთ მის ელეინ ფორტესქიუსგან.

– ჩვენმა პოლიციამ ყველაფერი იცის, არა? დიახ, ელეინმა მთხოვა ჩამოსვლა. მეც ჩამოვედი, ცხადია, მაშინვე.

– როგორც გავიგე, თქვენ დაქორწინებას აპირებთ.

– მართალს ბრძანებთ, ინსპექტორო. ვიმედოვნებ, საბინაალმდეგო არაფერი გექნებათ.

– ეს მხოლოდ მის ფორტესქიუს გადასაწყვეტია. თქვენი ურთიერთობა კარგა ხნის წინ დაიწყო, დაახლოებით ექვსიშვიდი თვის წინ, ასეა?

– დიახ.

– თქვენ და მის ფორტესქიუ დაინიშნეთ, მაგრამ მისტერ ფორტესქიუმ ქორწინებაზე თანხმობა არ მოგცათ და

Scanned by CamScanner

განაცხადა, რომ თუ ელეინი მისი ნების საწინააღმდეგოდ ცოლად გამოგყვებოდათ, მას ყოველგვარი შემოსავლის მიცემას შეუწყვეტდა. როგორც ვიცი, ნიშნობა გააუქმეთ და გაუჩინარდით.

ჯერალდ რაიტმა ინსპექტორს ერთგვარი თანაგრძნობით გაულიმა.

– ძალზე ზედაპირულად და სწორხაზობრივად საუბრობთ, ინსპექტორო ნილ. შეიძლება ითქვას, რომ ჩემი პოლიტიკური შეხედულებების გამო დავისაჯე. რექს ფორტესქიუ ყველაზე ცუდი კაპიტალისტის ტიპს განასახიერებდა. ბუნებრივია, ფულის გამო საკუთარ პოლიტიკურ მრწამსს ვერ ვუღალატებდი.

– მაგრამ მზად ხართ, ცოლად მოიყვანოთ ქალი, რომელსაც, ეს-ესაა, მემკვიდრეობით ორმოცდაათი ათასი გირვანქა ერგო?

ჯერალდ რაიტს სახეზე კმაყოფილმა ღიმილმა გადაუარა.

– რა თქმა უნდა, ინსპექტორო ნილ. ეს ფული საზოგადოების საჭიროებისთვის დაიხარჯება. მაგრამ აქ ხომ ჩემს ფინანსურ მდგომარეობასა და პოლიტიკურ შეხედულებებზე მსჯელობისთვის არ მოსულხართ?

– არა, მისტერ რაიტ. ზოგიერთი ფაქტის დაზუსტება მსურს. როგორც იცით, მისის ადელ ფორტესქიუ ციანიდით მოწამლეს – პირველი ნოემბრის საღამოს. ვინაიდან იმ დღეს, შებინდებისას, „ურთხლის ქოხის“ სიახლოვეს იმყოფებოდით, ვიფიქრე, იქნებ რამე დაინახა ან გაიგონა, რაც ამ საქმეს უკავშირდება-მეთქი.

– რა გაფიქრებინებთ, რომ იმ დროს, როგორც აღნიშნეთ, „ურთხლის ქოხის“ სიახლოვეს ვიმყოფებოდი?

– იმ დღეს, მისტერ რაიტ, სასტუმროდან ხუთის თხუთმეტ წუთზე გამოხვედით და „ურთხლის ქოხისკენ“ მიმავალ გზას დაადექით. ბუნებრივია, ვივარაუდოთ, რომ სწორედ იქ მიდიოდით.

– მქონდა ასეთი აზრი, – აღარ შეეკამათა ჯერალდ რა-

Scanned by CamScanner

იტი, – მაგრამ გადავიფიქრე. უკვე შევუთანხმდი მის ფორ-ტესქიუს... ელეინს, რომ ერთმანეთს ექვს საათზე სასტუმ-როში შევხვდებოდით. მთავარი გზიდან გადავუხვიე და ექვსი საათისთვის სასტუმროში დავბრუნდი. ელეინი შეხ-ვედრაზე არ მოვიდა, რაც შექმნილ ვითარებაში ბუნებრივი საქციელი იყო.

– მისტერ რაიტ, ვინმემ თუ დაგინახათ სეირნობისას?

– გზაზე რამდენიმე მანქანამ ჩაიარა. ნაცნობი სახეები არ შემიმჩნევია, თუ ამას გულისხმობთ. შესახვევში კი მხო-ლოდ საზიდარი თუ გაივლიდა – მანქანისთვის ვიწრო და ტალახიანი გზა იყო.

– გამოდის რომ, მას შემდეგ, რაც სასტუმროდან ხუთის თხუთმეტ წუთზე გამოხვედით, საღამოს ექვს საათამდე, სანამ დაბრუნდებოდით, არავის უნახავხართ, არა? და სად იყავით, მხოლოდ თქვენი სიტყვებიდან შემიძლია ვიცოდე?

ჯერალდ რაიტი კვლავ ქედმაღლურად იღიმებოდა.

– ეს ორივე ჩვენგანისთვის სამნუხაროა, ინსპექტორო, მაგრამ სხვას ვერაფერს გეტყვით.

ინსპექტორმა ნილმა ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

– მაშასადამე, თუ ვინმე იტყვის, რომ დაახლოებით თექ-ვსმეტ საათსა და ოცდათხუთმეტ წუთზე ფანჯრიდან გა-იხედა და „ურთხლის ქოხის" ბაღში დაგინახათ... – იგი გა-ჩუმდა და რეაქციას დაელოდა.

ჯერალდ რაიტმა წარბები ასწია და თავი გადააქნია.

– იმ დროს, სავარაუდოდ, ძალიან ცუდი ხილვადობა იყო, – თქვა მან, – დანამდვილებით ამას ვერავინ გეტყოდათ.

– მისტერ ვივიან დიუბუას თუ იცნობთ, რომელიც თქვენს სასტუმროში ცხოვრობს?

– დიუბუა. დიუბუა? არა, არა მგონია. მაღალი, შავგვ-რემანი კაცი ხომ არაა, ნატის ფეხსაცმლით რომ მოსწონს სიარული?

– დიახ. იმ დღეს ისიც გავიდა საღამოს სასეირნოდ და „ურთხლის ქოხისკენ" გაემართა. შემთხვევით თვალი ხომ არ მოგიკრავთ?

Scanned by CamScanner

– არა, არა. რაც არ მინახავს, იმას ვერ ვიტყვი.

ჯერალდ რაიტს სახეზე პირველად გადაუარა შეშფოთების ტალღამ. ინსპექტორმა ნილმა ფიქრიანად ჩაილაპარაკა:

– სასეირნოდ არცთუ შესაფერისი დრო შეგირჩევიათ. უკვე ბნელდებოდა და შესახვევში, როგორც ამბობთ, ატალახებული გზა იყო. საინტერესოა, საიდან აქვს ხალხს ამდენი ენერგია?

IV

„ურთხლის ქოხში" დაბრუნებულ ინსპექტორ ნილს აშკარად კმაყოფილი სერჟანტი პეი შეეგება.

– შავი შაშვების შესახებ გავარკვიე, სერ, როგორც მთხოვეთ, – უპასუხა მან.

– მართლა?

– დიახ, სერ. ისინი ღვეზელში ყოფილა, ცივ ღვეზელში, რომელიც კვირა დღეს გასამართი ვახშმისთვის მოიტოვეს. საკუჭნაოში თუ სადღაც ინახებოდა. გაუჭრიათ, ხბოს ხორცი და შიგთავსი ამოულიათ და იცით, მათ ნაცვლად რა მოუთავსებიათ? მებალის ფარდულში ჩამოკიდებული აყროლებული შავი შაშვები. სურნელოვანი კერძი გამოვიდოდა, არა?

– „დამეთანხმეთ ყველანი, კერძი არის მეფური", – თქვა ინსპექტორმა ნილმა და წავიდა.

განცვიფრებულმა სერჟანტმა პეიმ თვალი გააყოლა.

თავი მეთვრამეტე

I

– ერთი წუთით, – თქვა მის რემსბოთომმა, – მგონი პასიანსი გამოდის.

მან გამოთავისუფლებულ ადგილას მეფე გადაიტანა თავისი ამალითურთ, წითელი შვიდიანი შავ რვიანს დაადო,

Scanned by CamScanner

ყვავის ოთხიანი, ხუთიანი და ექვსიანი რეზერვში მოათავსა, კიდევ რამდენიმე გადაადგილება განახორციელა, ბოლოს სავარძლის საზურგეს მიეყრდნო და კმაყოფილებით ამოისუნთქა.

– ესეც ასე! – შესძახა მან, – ეს საკმაოდ იშვიათად ხდება.

აშკარად ნასიამოვნები ჩანდა. თავი ასწია და ბუხართან მდგომ ქალს შეხედა.

– მაშასადამე, შენ ხარ ლანსის ცოლი, – თქვა მან.

პატმა, რომელსაც უთხრეს, რომ მის რემსბოთომს მისი ნახვა სურდა, თავი დააქნია.

– დიახ, – თქვა მან.

– ძალიან მაღალი ყოფილხარ, – შენიშნა მის რემსბოთომმა, – და ფერხორციანიც.

– ჯანმრთელობას არ ვუჩივი.

მის რემსბოთომმა კმაყოფილებით დააქნია თავი.

– პერსივალის ცოლი ფერმკრთალია, – თქვა მან, – ტკბილეულით სკდება, სპორტს არ მისდევს. დაჯექი, ჩემო კარგო, დაჯექი. ჩემი დისშვილი სად გაიცანი?

– კენიაში, ერთხანს იქ მეგობრებთან ვცხოვრობდი.

– როგორც ვიცი, გათხოვილიც იყავი.

– დიახ, ორჯერ.

მის რემსბოთომმა გემოზე ჩაიფრუტუნა.

– მაშასადამე, განქორწინებულიც ყოფილხარ.

– არა, – მიუგო პატმა ოდნავ ათრთოლებული ხმით, – ისინი ორივენი... გარდაიცვალნენ. პირველი ქმარი სამხედრო მფრინავი იყო. ომში დაიღუპა.

– მეორე? მოითმინეთ... ვილაცამ მითხრა. თავი მოიკლა, არა?

პატმა თავი დაუქნია.

– შენ გამო?

– არა, – თქვა პატმა, – ჩემ გამო არა.

– თუ არ ვცდები, ჟოკეი იყო.

– დიახ.

– იპოდრომზე არასდროს ვყოფილვარ, – განაცხადა მის

Scanned by CamScanner

რემსბოთომმა, – სანაძლეო, ბანქო და მისთანები – ეს ყველაფერი ეშმაკის მოგონილია!

პატს არაფერი უთქვამს.

– არც თეატრსა და კინოში დავდივარ, – განაგრძო მის რემსბოთომმა, – ეჰ, უზნეობამ მოიცვა ჩვენი სამყარო. ამ სახლშიც დაიდო ბინა ბოროტებამ, მაგრამ ღმერთმა საკადრისი მიუზღა ცოდვილებს.

პატმა კვლავ ვერ მოახერხა რამის თქმა. გაიფიქრა კიდეც: იქნებ დეიდა ეფის თავში ყველაფერი რიგზე არა აქვსო. მაგრამ როდესაც მოხუცმა გამჭრიახი მზერა მიაპყრო, თავი უხერხულად იგრძნო.

– ნეტავ საკმაო ინფორმაცია თუ გაქვს იმ ოჯახის შესახებ, რომელსაც საკუთარი ბედი დაუკავშირე? – იკითხა მის რემსბოთომმა.

– ალბათ, იმდენი, რამდენიც ჩემს მდგომარეობაში მყოფმა ადამიანმა უნდა იცოდეს, – მიუგო პატმა.

– ჰმ, შესაძლოა, ასეცაა. შესაძლოა, ასეცაა. აი, რას გეტყვი. ჩემი და სულელი იყო, სიძე კი – თაღლითი. პერსივალი არამზადაა, შენს ლანსს ოჯახში ცუდ ბიჭად მიიჩნევდნენ.

– ვფიქრობ, ეს ყველაფერი სისულელეა, – არ შეეპუა პატი.

– შესაძლოა, მართალიც ხარ, – მოულოდნელად განაცხადა მის რემსბოთომმა, – ხალხისთვის იარლიყების მიწებება კარგი ნამდვილად არ არის. გირჩევ, სათანადოდ შეაფასო პერსივალი. რატომღაც ამბობენ, ვინც კარგი სახელი მოიპოვა, სულელიაო. პერსივალს სულელს ვერაფრით ვუწოდებთ. ჭკვიანია, მაგრამ, იმავდროულად, პირფერობაც არ აკლია. იგი არასდროს მყვარებია. გაითვალისწინე, რომ ლანსს არ ვენდობი, არც მის საქციელს ვიწონებ. სამაგიეროდ, მიყვარს... ცოტა უგუნური და თავზე ხელაღებულია. კარგად უნდა მიხედო, ღრმად არ შეტოპოს. აუცილებლად გადაეცი, ჩემო კარგო, რომ პერსივალის დაუფასებლობა არ ეგების. უთხარი, მისი ერთი სიტყვაც არ დაიჯეროს. ამ სახლში ყველა სიცრუეზეა გადასული. მათი

Scanned by CamScanner

ხვედრი გოგირდისა და ცეცხლის წვიმაა, – დაასრულა მან კმაყოფილი სახით.

II

ინსპექტორი ნილი სკოტლენდი-არდთან ტელეფონით საუბარს ასრულებდა.

მეორე მხრიდან კომისრის თანაშემწემ თქვა:

– შევეცდებით, რომ თქვენთვის ინფორმაცია მოვიპოვოთ – ყველა კერძო სანატორიუმს დავურეკავთ. თუმცა, შესაძლოა, იგი უკვე გარდაიცვალა.

– დიახ, ადვილი შესაძლებელია. დიდი დრო გავიდა. ძველ ცოდვებს გრძელი ჩრდილი მოჰყვება. ეს მის რემსბოთომმა განაცხადა – აშკარად რაღაცაზე მინიშნება სურდა.

– ფანტასტიკური თეორიაა, – განაცხადა კომისრის თანაშემწემ.

– ეს მეც კარგად ვიცი, მაგრამ, ვფიქრობ, მასზე ასე ხელაღებით უარის თქმაც არ ივარგებს. რაღაც ძალზე საეჭვოდ ემთხვევა ყველაფერი.

– დიახ... დიახ... ჭვავის მარცვლები... შავი შაშვები... მოკლულის სახელი...

– სხვა მიმართულებებსაც ვამუშავებ, – თქვა ნილმა, – დიუბუაც ერგება ვითარებას... რაიტიც. შესაძლოა, გლედისმა რომელიმე მათგანი დაინახა გვერდით კარში, ჩაის სერვიზით სავსე ლანგარი ჰოლში დატოვა და გარეთ გავიდა, რათა გაეგო, ვინ იყო და რა უნდოდა. მკვლელმა იგი ადგილზევე დაახრჩო, შემდეგ კი გვამი სარეცხის თოკისკენ გაათრია და ცხვირზე სამაგრი გაუკეთა...

– რაღა დაგიმალოთ და, ნამდვილი სიგიჟეა! და, იმავდროულად, საზიზღრობა.

– დიახ, სერ. ყველაზე მეტად სწორედ ამან გააღიზიანა მოხუცი – მის მარპლს ვგულისხმობ. ძალზე სიმპათიური მოხუცი კია, საოცრად გამჭრიახი. იგი მათ სახლში გადავიდა, რათა ხანდაზმული მის რემსბოთომის გვერდით იყოს. დარწმუნებული ვარ, ყველაფერს შეიტყობს, რაც იქ ხდება.

Scanned by CamScanner

– ახლა რას აპირებთ, ნილ?

– ლონდონელ ადვოკატებს უნდა შევხვდე. მინდა, კარგად გავერკვე რექს ფორტესქიუს საქმეებში. მართალია, ძველი ამბავია, მაგრამ დავადგენ, რა მოხდა „შავი შაშვების მაღაროში“.

III

მისტერ ბილინგსლი კომპანია „ბილინგსლი, ჰორზტორპი&უოლტერსიდან“ ზრდილობიანი კაცი აღმოჩნდა, მაგრამ მის თავაზიან მანერებს ადამიანი შეცდომაში შეჰყავდა – ძალზე წინდახედული იყო და პროფესიულ ეთიკას განუხრელად იცავდა. ინსპექტორი ნილი მას უკვე მეორეჯერ ხვდებოდა და ამჯერად მისტერ ბილინგსლის წინდახედულობა თვალში აღარ მოხვედრია. „ურთხლის ქოხში“ მომხდარმა სამმაგმა ტრაგედიამ მისტერ ბილინგსლის პროფესიულ თავშეკავებულობაზეც იმოქმედა.

– უაღრესად უცნაური საქმეა, – თქვა მან, – განსაცვიფრებელი. ჩემი პროფესიული კარიერიდან მსგავსი არაფერი მაგონდება.

– გამოგიტყდებით, მისტერ ბილინგსლი, – უთხრა ინსპექტორმა ნილმა, – თქვენი იმედი გვაქვს.

– ძვირფასო სერ, რითაც შემეძლება, დაგეხმარებით. მოხარული ვიქნები, თუ რამე სარგებლობას მაინც მოგიტანთ.

– უპირველეს ყოვლისა, ნება მომეცით, გკითხოთ, კარგად იცნობდით თუ არა განსვენებულ მისტერ ფორტესქიუსა და მისი ფირმის საქმეებს?

– რექს ფორტესქიუს საკმაოდ კარგად ვიცნობდი. თუ არ ვცდები, თექვსმეტი წლის ნაცნობობა გვაკავშირებდა. მაგრამ ჩვენ ერთადერთი ფირმა არ ვიყავით, ვისთანაც იგი თანამშრომლობდა – მხოლოდ ერთ-ერთი.

ინსპექტორმა ნილმა თავი დააქნია – ეს უკვე იცოდა. „ბილინგსლი, ჰორზტორპი&უოლტერსს“ რექს ფორტესქიუს, ასე ვთქვათ, ყველაზე მსხვილი საქმეები მიჰყავდა.

Scanned by CamScanner

ნვრილმანი ოპერაციებისთვის იგი სხვა, ნაკლებად კეთილსინდისიერ ფირმებს ქირაობდა.

– რა გაინტერესებთ? – იკითხა მისტერ ბილინგსლიმ, – მისი ანდერძის შესახებ უკვე გიამბეთ. მთელი ქონების მემკვიდრე, კანონით გათვალისწინებული განსაზღვრული თანხის გამოკლებით, პერსივალ ფორტესქიუა.

– ამჟამად მისი ქვრივის ანდერძი უფრო მაინტერესებს. მისტერ ფორტესქიუს გარდაცვალების შემდეგ მას მემკვიდრეობით ასი ათასი გირვანქა სტერლინგი ერგო, არა?

ბილინგსლიმ თავი დააქნია.

– გვარიანი თანხაა, – თქვა მან, – საიდუმლოდ გაგიმხელთ, ინსპექტორო, რომ ფორტესქიუს ფირმა დიდი გაჭირვებით თუ შეძლებდა მის გადახდას.

– განა წარმატებული ფირმა არაა?

– გულწრფელად გეტყვით, – მიუგო მისტერ ბილინგსლიმ, – ოღონდ ჩვენ შორის დარჩეს, რომ ბოლო წლინახევრის განმავლობაში საკმაოდ გაუჭირდათ.

– ამის მიზეზიც უნდა არსებობდეს.

– არსებობს კიდეც. ჩემი აზრით, მიზეზი თვით რექს ფორტესქიუა. შარშან შეშლილივით იქცეოდა. სანდო აქციებს ყიდდა, საეჭვოს ყიდულობდა, ყველას უყვებოდა თავისი საქმიანობის შესახებ, თანაც დეტალურად. სხვის რჩევას ყურად არ იღებდა. პერსივალი, მისი ვაჟიშვილი, აქაც მოვიდა და მთხოვა, როგორმე გავლენა მომეხდინა მამამისზე. ეს, როგორც ჩანს, თვითონაც სცადა, მაგრამ უშედეგოდ. ცდა არ დამიკლია, მაგრამ ფორტესქიუს გონივრული აზრის გაგონებაც არ სურდა. ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ სხვა ადამიანად გადაიქცა.

– დათრგუნვილი ხომ არ იყო? – იკითხა ინსპექტორმა ნილმა.

– არა, არა, პირიქით. დუღდა და გადადუღდა.

ინსპექტორმა ნილმა თავი დააქნია. მის თავში გაჩენილი აზრი სულ უფრო და უფრო მყარდებოდა. ეჩვენებოდა, რომ ხვდებოდა პერსივალსა და მამამისს შორის არსებული

Scanned by CamScanner

უთანხმოების მიზეზს. ამასობაში კი მისტერ ბილინგსლი განაგრძობდა:

– აზრი არა აქვს მისი ცოლის ანდერძის შესახებ ჩემთვის კითხვის დასმას – მე ის არ შემიდგენია.

– ვიცი და ამას არც ვაპირებ, – მიუგო ნილმა, – მხოლოდ იმის გარკვევა მსურდა, გააჩნდა თუ არა ქალს რამე, რისი დატოვებაც სხვისთვის შეეძლო. გავარკვიე კიდეც. მას ასი ათასი გირვანქა სტერლინგი ჰქონდა.

მისტერ ბილინგსლიმ თავი ენერგიულად გადააქნია.

– არა, ძვირფასო სერ, არა. აი, აქ კი ცდებით.

– იმის თქმა გსურთ, რომ ქალს ეს ასი ათასი ნაწილ-ნაწილ უნდა მიეღო მთელი ცხოვრების განმავლობაში?

– არა... არა. შეეძლო, ერთიანად მიეღო. მაგრამ ანდერძში იყო ერთი პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ფორტესქიუს ცოლი მემკვიდრედ მხოლოდ ქმრის გარდაცვალებიდან ერთი თვის შემდეგ ცხადდებოდა და ასი ათასის მიღებაც მას მხოლოდ მაშინ შეეძლო. ჩვენს დროში ეს სრულიად ჩვეულებრივი პუნქტია. იგი იმიტომ გაჩნდა, რომ თვითმფრინავით ფრენა არცთუ უხიფათოა. როცა ავიაკატასტროფაში ორნი იღუპებიან, ძალიან ძნელი დასადგენია, რომელს ერგო მემკვიდრეობით მეორის საკუთრება, და მრავალი საინტერესო პრობლემა ჩნდება.

ინსპექტორმა ნილმა ადვოკატს ყურადღებით შეხედა.

– მაშასადამე, ადელ ფორტესქიუს არ ჰქონდა ფული, რომელიც ვინმეს მემკვიდრეობით გადაეცემოდა? სად წავიდა ასი ათასი გირვანქა სტერლინგი?

– ფული ფირმას დაუბრუნდა. უფრო სწორად, ანდერძით გათვალისწინებულ დარჩენილ პირს.

– ანდერძით გათვალისწინებული ეს დარჩენილი პირი კი მისტერ პერსივალ ფორტესქიუა.

– მართალს ბრძანებთ, – კვერი დაუკრა ბილინგსლიმ, – თანხა პერსივალ ფორტესქიუს ხელში გადადის. იმ მდგომარეობაში კი, რომელშიც ამჟამად ფირმაა, – დაამატა მან და პროფესიულ ეთიკას გვერდი აუარა, – ეს ფული მისთვის მისწრება იქნება!

Scanned by CamScanner

IV

– თქვენ, პოლიციელებს, ყველაფრის გაგება გსურთ, – თქვა ექიმმა, ინსპექტორ ნილის მეგობარმა.

– მიდი, ბობ, დაიწყე.

– კარგი, რახან მარტონი ვართ და ყურს არავინ გვიგდებს, თანაც, მადლობა ღმერთს, ვერ იტყვი, რომ მე გითხარი. როგორც ჩანს, აბსოლუტურად მართალი ხარ. ეს ძალიან ჰგავს მანიაკურ სინდრომს. ოჯახი ამას ეჭვობდა და ძალიან უნდოდა, რომ ის ექიმს გაესინჯა. მაგრამ მან გადაჭრით უარი განაცხადა. ეს დაავადება სწორედ ისე იჩენს თავს, როგორც შენ აღწერე: ვითარების შეფასების უუნარობა, გაღიზიანებისა და გაბრაზების მოზღვავება, ტრაბახი, განდიდების მანია – მაგალითად, ადამიანს საკუთარი თავი სახელგანთქმულ ფინანსურ გენიად მიაჩნია. თუ მას არ შეაჩერებენ, ყველაზე ძლიერ ფირმაშიც კი ქვას ქვაზე არ დატოვებს. მისი შეჩერება კი არც ისე ადვილია, მით უმეტეს, თუ თქვენი განზრახვის შესახებ იცის. დიახ... უნდა გითხრა, რომ შენს მეგობრებს გაუმართლა, რომ ის მოკვდა.

– ისინი ჩემი მეგობრები არ არიან, – ჩაილაპარაკა ნილმა და ადრე ნათქვამი ფრაზა გაიმეორა: – ყველანი ძალზე არასასიამოვნო ადამიანები არიან...

თავი მეცხრამეტე

ფორტესქიუთა ოჯახი სრული შემადგენლობით „ურთხლის ქოხის“ სასტუმრო ოთახში შეიკრიბა. სიტყვას ბუხარზე მიყრდნობილი პერსივალ ფორტესქიუ წარმოთქვამდა.

– ეს ყველაფერი ძალიან კარგია, – განაგრძო მან, – მაგრამ ვითარება მაინც არადამაკმაყოფილებელია. პოლიციელები მიდი-მოდიან, არაფერს გვეუბნებიან. თითქოს რაღაცას ეძებენ. საქმე კი არ იძვრის. ვერაფერს ვაკეთებთ, ვერც მომავლის გეგმებს ვაწყობთ.

Scanned by CamScanner

– ისინი არაფრად გვაგდებენ, – განაცხადა ჯენიფერმა, – სულელურ მდგომარეობაში ვართ.

– სახლიდან გაუსვლელობის ბრძანება კვლავაც მოქმედებს, – თქვა პერსივალმა, – მიუხედავად ამისა, ჩვენს სამომავლო გეგმებზე მაინც უნდა ვიმსჯელოთ. რას იტყვი, ელეინ? შენ ხომ გათხოვებას აპირებ... რა ჰქვია... ჯერალდ რაიტზე. ასეა? როდის ქორწინდებით?

– რაც შეიძლება მალე, – მიუგო ელეინმა.

პერსივალი მოიღუშა.

– ანუ ექვსი თვის შემდეგ?

– არა, უფრო ადრე. ნახევარი წელი რატომ უნდა ვიცადოთ?

– ზრდილობის წესების დასაცავად, – თქვა პერსივალმა.

– სისულელეა, – მიუგო ელეინმა, – ერთი თვე. ამაზე მეტხანს არ მოვიცდით.

– რა გაეწყობა, ეს თქვენი გადასაწყვეტია, – ჩაილაპარაკა პერსივალმა, – დაქორწინების შემდეგ რის გაკეთებას აპირებთ? თუ ჯერ არ მოგიფიქრებიათ?

– სკოლის გახსნა გვინდა.

პერსივალმა თავი გადააქნია.

– ჩვენს დროში ეს სარისკოა. ნორმალური მომსახურე პერსონალის პოვნაც ჭირს და კარგი მასწავლებლებისაც. იდეა, ცხადია, მშვენივრად ჟღერს, ელეინ, მაგრამ შენს ადგილას, კარგად დავფიქრდებოდი.

– ჩვენ უკვე დავფიქრდით. ჯერალდის აზრით, ქვეყნის მომავალი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ განათლებას მიიღებენ ბავშვები.

– ზეგ მისტერ ბილინგსლის უნდა შევხვდე, – განაცხადა პერსივალმა, – ფინანსურ საკითხებზე ვიმსჯელებთ. მას მიაჩნია, რომ ფული, რომელიც მამამ დაგვიტოვა, ბანკში უნდა ჩაიდოს ხანგრძლივი ვადით, მიმნდობი მესაკუთრეები კი შენ და შენი შვილები იქნებით. ჩვენს დროში ეს ყველაზე საიმედო გზაა.

– არა, – მიუგო ელეინმა, – ფული ახლავე დაგვჭირდება

Scanned by CamScanner

სკოლის გასახსნელად. უკვე შევარჩიეთ შესაფერისი სახლი, რომელსაც ამჟამად აქირავებენ. კორნუოლში. მინაც კარგია და სახლიც. მას რამდენიმე ფრთას მივაშენებთ.

– იმის თქმა გსურს... რომ საქმიდან მთელი ფულის ნაღებას აპირებ? ელეინ, არა მგონია, ეს გონივრული ნაბიჯი იყოს.

– მე კი მგონია, რომ ნაღება უფრო გონივრულია, ვიდრე დატოვება, – თქვა ელეინმა, – ფირმაში საქმეები ცუდად მიდის. თვითონ ამბობდი, ვალ, სანამ მამა ცოცხალი იყო, ამაზე ცუდი რა უნდა მოხდესო.

– ზოგჯერ ასეც ამბობენ ხოლმე, – ორჭოფულად თქვა პერსივალმა, – მაგრამ შეიგნე, ელეინ, რომ მთლიანი კაპიტალის აღება და შენობისა და სკოლისთვის საჭირო აღჭურვილობის შესაძენად დახარჯვა სიგიჟეა და მეტი არაფერი. რა მოხდება, თუ საქმე არ გამოვა? ერთი პენიც კი აღარ დაგრჩება.

– გამოვა, – დაიჟინა ელეინმა.

– მე შენს მხარეს ვარ, – გამამხნევებლად წარმოთქვა სავარძელში გაშხლართულმა ლანსმა, – გარისკე, ელეინ. ჩემი აზრით, ეს ძალზე უცნაური სკოლა იქნება, მაგრამ შენ ხომ სწორედ ასეთი გინდა – შენ და ჯერალდს. ფული რომც დაკარგო, კმაყოფილების გრძნობა მაინც დაგრჩება – საკუთარ თავს ეტყვი, ისე მოვიქეცი, როგორც მინდოდაო.

– შენგან სხვას რას უნდა ელოდოს კაცი, ლანს, – გესლიანად უთხრა პერსივალმა ძმას.

– ვიცი, ვიცი, – მიუგო ლანსმა, – მფლანგველი ვარ და უძღები შვილი. მაგრამ პერსი, ძამიკო, მიმაჩნია, რომ ცხოვრებამ მე უფრო მეტი სიხარული მომანიჭა, ვიდრე შენ.

– გააჩნია, სიხარულს რას ეძახი, – ცივად მოიგერია პერსივალმა, – სხვათა შორის, ლანს, სწორედ რომ დროა, შენს გეგმებზე ვილაპარაკოთ. ალბათ, კენიაში გაემგზავრები... ან კანადაში. ევერესტზე ასვლას ხომ არ აპირებ? თუ უფრო განსაცვიფრებელი რამ გაქვს მოფიქრებული?

– არ ვიცი, ასე რატომ ფიქრობ, – თქვა ლანსმა.

Scanned by CamScanner

– იმიტომ, რომ ინგლისში ოჯახური ცხოვრება არასდროს გიზიდავდა, ხომ ასეა?

– ასაკის მატებასთან ერთად ადამიანებიც იცვლებიან, – განაცხადა ლანსმა, – ზოგი მშვიდდება, ზოგს ხეტიალი ჰბეზრდება. იცი, პერსი, ძამიკო, ერთი სული მაქვს, საქმიანი კაცივით ცხოვრებას როდის დავიწყებ.

– იმის თქმა ხომ არ გსურს, რომ...

– სწორედაც რომ, ჩემო კარგო. ფირმის მართვა მინდა – შენთან ერთად, – ლანსს სახე გაებადრა, – შენ, ცხადია, უფროსი პარტნიორი იქნები და მოგების ლომის წილი შეგხვდება, მე კი უმცროსი პარტნიორის მდგომარეობით დავკმაყოფილდები. ხომ ვფლობ რაღაც აქციებს, რაც მართვის პროცეში მონაწილეობის უფლებას მაძლევს?

– ჰო... რა თქმა უნდა... თუ მოისურვებ. მაგრამ გარწმუნებ, ეს მალე მოგბეზრდება.

– ვნახოთ. არა მგონია, მომბეზრდეს.

პერსივალი მოიღუშა.

– შენ რა, ლანს, სერიოზულად აპირებ ფირმის საქმეებში მონაწილეობას?

– ჰო. მეც მინდა ოჯახური ღვეზლის დაგემოვნება. დიახ, სწორედ ამას ვაპირებ.

პერსივალმა თავი გადააქნია.

– უნდა გითხრა, რომ ჩვენი საქმეები არც ისე კარგად მიდის. ამას მალე მიხვდები. უკეთეს შემთხვევაში, ელეინს მის წილს მივცემთ, რახან ასე დაუჟინია.

– აი, ხომ ხედავ, ელეინ, – მიმართა ლანსმა დას, – ბრძნულად მოიქეცი, როდესაც დაიჟინე. სტაცე ხელი შენს ფულს, სანამ ამის შესაძლებლობა არსებობს.

– გეყოფა, ლანს, – გაბრაზდა პერსივალი, – თორემ შენს ხუმრობას ცუდი სუნი ასდის.

– მართლა, ლანს, – ჩაერთო ჯენიფერი, – დაფიქრდი მაინც, სანამ რამეს იტყვი.

ფანჯარასთან განცალკევებით მჯდარი პატი რიგრიგობით აკვირდებოდა ყველას. თუ ლანსს პერსივალისთვის

Scanned by CamScanner

კანჭების დასუსხვა განეზრახა, ის ამას წარმატებით აკეთებდა. პერსივალის ხაზგასმულ უშფოთველობას ძირი აშკარად მოერყა. მან კვლავ ბრაზიანად იკითხა:

– სერიოზულად ამბობ, ლანს?

– ამაზე სერიოზული არასდროს ვყოფილვარ.

– გაიგე, რომ არაფერი გამოგივა. მალე ყველაფერი მოგბეზრდება.

– ნუ ღელავ. ხომ წარმოგიდგენია, როგორ გამრავალფეროვნდება ჩემი ცხოვრება? ოფისი ქალაქში, მბეჭდავი ქალები წინ და უკან დაქრიან. მდივნად აუცილებლად ქერათმიანს ავიყვანთ, როგორც მის გროსვენორს... მისი გვარი გროსვენორია, არა? შენ უკვე დაადგამდი თვალს. არა უშავს, სხვას ვიშოვი, ოღონდ მის მსგავსს. დიახ, მისტერ ლანსელოტ. არა, მისტერ ლანსელოტ. თქვენი ჩაი, მისტერ ლანსელოტ.

– მორჩი ამ სისულელეს, – მოუჭრა პერსივალმა.

– რატომ ბრაზობს ჩემი ძვირფასი ძამიკო? განა არ გაგიხარდება, საზრუნავის ნაწილს თუ მაინც მოგაშორებ?

– შენ ვერც კი წარმოგიდგენია, როგორ ჩავეფლეთ ჭაობში.

– მართალია. ჰოდა, მასხავლი, თავი როგორ დავაღწიოთ.

– ჯერ ერთი, უნდა იცოდე, რომ ბოლო ნახევარი წლის... არა, ბოლო წლის განმავლობაში მამა სრულიად შეიცვალა. ფინანსური კუთხით ისეთ სულელურ ნაბიჯებს დგამდა, ვერც კი აღგიწერ. კარგ აქციებს ყიდდა და საეჭვოს ყიდულობდა. ზოგჯერ ფულს ქარს ატანდა. ხარჯვა სიამოვნებდა.

– კაცმა რომ თქვას, – განაცხადა ლანსმა, – ოჯახმა მხოლოდ მოიგო იმით, რომ მის ჩაიში ტოქსინი აღმოჩნდა.

– საკმაოდ უხერხული ფორმულირებაა, მაგრამ, ფაქტობრივად, აბსოლუტურად მართალი ხარ. ამან გაკოტრებისგან გვიხსნა. მაგრამ განსაზღვრული დროის განმავლობაში ძალზე ფრთხილად და თავშეკავებით უნდა ვიმოქმედოთ.

– არ გეთანხმები, – თქვა ლანსმა და თავი გადააქნია,

Scanned by CamScanner

– სიფრთხილით შორს ვერ ნავალთ. უნდა გავრისკოთ, ვიმოძრაოთ, რაღაც სერიოზულს შევეჭიდოთ.

– არც მე გეთანხმები, – მიუგო პერსიმ, – სიფრთხილე და ეკონომია – აი, ჩვენი დევიზი.

– ოღონდ ჩემი არა, – სწრაფად შეაშველა ლანსმა.

– გახსოვდეს, რომ მხოლოდ უმცროსი პარტნიორი ხარ, – შეახსენა პერსივალმა.

– კარგი, კარგი. მაგრამ მეც ხომ მაქვს აზრის გამოთქმის უფლება.

აღელვებულმა პერსივალმა ოთახში გაიარ-გამოიარა.

– არა, ლანს, ასე არ გამოვა. მე შენ, ცხადია, მიყვარხარ და ასე შემდეგ...

– მართლა? – გააწყვეტინა ლანსმა, მაგრამ პერსივალმა მის ნათქვამს ყურადღება არ მიაქცია.

– ...მაგრამ, რომ არ დაგიმალო, არა მგონია, ერთად გავქაჩოთ. ძალზე განსხვავებული შეხედულებები გვაქვს.

– ვინ იცის, იქნებ ეს ჩვენი უპირატესობა აღმოჩნდეს, – თქვა ლანსმა.

– ერთადერთი გონივრული გამოსავალი, – განაგრძო პერსივალმა, – ჩვენი პარტნიორობის გაუქმებაა.

– ჩემი წილის შესყიდვა გინდა? ამას მთავაზობ?

– ძვირფასო ძამიკო, იმის გათვალისწინებით, რომ სამყაროს სრულიად განსხვავებულად აღვიქვამთ, ეს ერთადერთი გონივრული გამოსავალია.

– თუ შენ ისიც კი გიჭირს, რომ ელეინს მემკვიდრეობის მისი წილი მისცე, საინტერესოა, ჩემი აქციების შეძენას როგორ აპირებ?

– მე ნაღდი ფული არ მიგულისხმია, – თქვა პერსივალმა, – შეგვიძლია... ქონება გავიყოთ.

– შენ, რა თქმა უნდა, საუკეთესო ნაწილი შეგხვდება, მე კი ყველაზე ცუდი და საეჭვო, არა?

– მეგონა, სწორედ ასეთი მოგწონდა, – მიუგო პერსივალმა.

მოულოდნელად ლანსმა გაიღიმა და თქვა:

Scanned by CamScanner

– გარკვეულნილად, მართალი ხარ, პერსი, ძამიკო. მაგრამ შენს ახირებას ვერ ავყვები. ახლა პატზეც უნდა ვიფიქრო.

ძმებმა ერთდროულად შეხედეს ქალს. პატმა რაღაცის თქმა დააპირა და პირიც კი გააღო, მაგრამ მაშინვე დახურა. მიუხედავად იმისა, თუ რა თამაშს თამაშობდა ლანსი, ჯობდა, არ ჩარეულიყო. ლანსს აშკარად რაღაც ჩაეფიქრებინა, მაგრამ რისი მიღწევა სურდა, პატი ჯერ ვერ ხვდებოდა.

– მიდი, პერსი, ჩამოთვალე, რა გაქვს, – სიცილით თქვა ლანსმა, – „ყალბი ალმასის საბადოები", „მიუღწევადი ლალები" „ნავთობის კონცესიები", სადაც ნავთობის ნასახიც არ არის. ნუთუ მართლა ისეთი სულელი გგონივარ, როგორიც ვჩანვარ?

– ჩამოთვლილთაგან ზოგიერთი, – განაცხადა პერსივალმა, – ცხადია, ძალზე რისკიანია, მაგრამ გახსოვდეს, რომ ერთ მშვენიერ დღეს შესაძლოა, უდიდესი შემოსავალი მოიტანოს.

– რატომღაც სხვანაირად ამღერდი, – გაეცინა ლანსს, – მამაჩვენის უკანასკნელი გიჟური შენაძენის შემოთავაზებას ხომ არ აპირებ „შავი შაშვების მაღაროსა" და სხვა ნაგავთან ერთად? ჰო, მართლა, ინსპექტორმა „შავი შაშვების" შესახებ ხომ არ გკითხა?

პერსივალი მოიღუშა.

– კი, მკითხა. ვერ გამიგია, რისთვის დასჭირდა. თითქმის ვერაფერი მოვუყევი. მაშინ ჩვენ ხომ ბავშვები ვიყავით. ბუნდოვნად მახსოვს, რომ მამა იქ გაემგზავრა, შემდეგ დაბრუნდა და თქვა, რომ იმ ადგილმა იმედი გაუცრუა.

– რა იყო იქ? ოქროს საბადოები?

– მგონი. მაგრამ მამა დაბრუნდა და გადაჭრით თქვა, იქ ოქრო არ არისო. ის კი ისეთი გულუბრყვილო არ იყო, რომ რამე შეშლოდა.

– ვინ აიყოლია მამა ამ საქმეში? ვიღაც მაკენზიმ, არა?

– ჰო. ის მაკენზი იქ მოკვდა კიდეც.

– მაკენზი იქ მოკვდა, – ჩაფიქრებული სახით გაიმეორა ლანსმა, – საშინელი სცენა იყო. რაღაც მახსოვს... მისის

Scanned by CamScanner

მაკენზი, არა? აქ მოვიდა. მამას უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა. წყევლა-კრულვას უგზავნიდა. თუ არ მეშლება, ქმრის მკვლელობას აბრალებდა.

– მართლა? – თავშეკავებით წარმოთქვა პერსივალმა, – მსგავსი არაფერი მახსენდება.

– მე კი მახსოვს, – ჩაილაპარაკა ლანსმა, – თუმცა ძალიან პატარა ვიყავი, შენზე გაცილებით პატარა. იქნებ ამიტომაც დამამახსოვრდა. ეს ამბავი საშინელ დრამად აღვიქვი. სად მდებარეობდა „შავი შაშვების მაღარო"? დასავლეთ აფრიკაში?

– ჰო, მგონი, დასავლეთ აფრიკაში.

– როგორმე უნდა ვნახო, რა კონცესიაა, – თქვა ლანსმა, – როცა ოფისში ვიქნები.

– ეჭვი არ შეგეპაროს, – დაარწმუნა პერსივალმა, – მამა არ შემცდარა. რახან დაბრუნდა და თქვა, იქ ოქრო არ არისო, მაშასადამე, არც ყოფილა.

– შესაძლოა, მართალი ხარ, – დაეთანხმა ლანსი, – საბრალო მისის მაკენზი. საინტერესოა, რა დაემართა მას და მის ორ შვილს, რომლებიც მაშინ აქ მოიყვანა. ვფიქრობ, ისინი ახლა უკვე მოზრდილი ადამიანები იქნებიან.

თავი მეოცე

ინსპექტორი ნილი კერძო სანატორიუმ „ფაინვუდის" მნახველებისთვის განკუთვნილ ჰოლში იჯდა და ჭაღარათმიან, ხანში შესულ ქალს ესაუბრებოდა, რომლის მიმქრალი, ცისფერი თვალებიდან არაფრის მთქმელი მზერა გამოსჭვიოდა. უნებისყოფო ნიკაპი ჰქონდა, ზედა, წინ წამოწეული ტუჩი შიგადაშიგ უთრთოდა. მის მაკენზის მუხლებზე დიდი წიგნი ედო. იგი ინსპექტორ ნილს ელაპარაკებოდა, თუმცა თავს მაღლა თითქმის არ სწევდა. ინსპექტორი ჯერაც იმ დიალოგზე ფიქრობდა, რომელიც მასა და დოქტორ კროსბის, ამ დაწესებულების მთავარ ექიმს შორის შედგა.

Scanned by CamScanner

„იგი აქ ნებაყოფლობითაა, – განაცხადა დოქტორმა კროსბიმ, – თუმცა შეურაცხადი არ გახლავთ".

„მაშასადამე, საშიში არაა?"

„ოჰ, არა. დროის უმეტესი ნაწილის განმავლობაში ჩვენზე არანაკლებ საღად აზროვნებს. ამჟამად კარგი პერიოდი უდგას, ასე რომ, ისე ესაუბრეთ, როგორც სრულიად ნორმალურ ადამიანს".

ეს რომ გაიხსენა, ინსპექტორი ნილი პირველი ცდისთვის მოემზადა და დაიწყო:

– მადლობელი ვარ, მადამ, ჩემთან შეხვედრას რომ დასთანხმდით. მე ნილი მქვია. თქვენთან მისტერ ფორტესქიუს თაობაზე მსურდა საუბარი. იგი ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა. მისტერ ფორტესქიუ. ვიმედოვნებ, გეცნობათ ეს სახელი.

მისის მაკენზი წიგნს ჩაშტერებოდა.

– არ ვიცი, რის შესახებ ლაპარაკობთ, – თქვა მან.

– მისტერ ფორტესქიუ, მადამ. მისტერ რექს ფორტესქიუ.

– არა, – ჩაილაპარაკა მისის მაკენზიმ, – არა. ასეთს არავის ვიცნობ.

ასეთმა დასაწყისმა ინსპექტორი ნილი ოდნავ შეაცბუნა. ამას უნოდა დოქტორმა კროსბიმ სრულიად ნორმალური?

– მისის მაკენზი, ვფიქრობ, რომ ამ ადამიანს მრავალი წლის წინ იცნობდით.

– უფრო ზუსტად, ეს გუშინ იყო, – მოულოდნელად განაცხადა მისის მაკენზიმ.

– გასაგებია, – მიუგო ინსპექტორმა ნილმა თავისი ნაცადი ფორმულირებით, თუმცა საკმაოდ გაუბედავად, – ვიცი, – განაგრძო მან, – რომ წლების წინ ამ ადამიანს მის სახლში ეწვიეთ, რომელსაც „ურთხლის ქოხი" ჰქვია.

– ძალიან პრეტენზიული სახლი იყო, – თქვა მისის მაკენზიმ.

– დიახ, დიახ, ასეც შეიძლება ითქვას. როგორც ვიცი, ის კაცი თქვენს ქმარს იცნობდა. მათ მაღაროც ჰქონდათ აფრიკაში. „შავი შაშვები" ეწოდებოდა.

Scanned by CamScanner

– წიგნი უნდა წავიკითხო, – ჩაილაპარაკა მისის მაკენზიმ, – დრო არც ისე ბევრია და წიგნი უნდა წავიკითხო.

– რა თქმა უნდა, მადამ. თქვენი კარგად მესმის.

მცირე პაუზის შემდეგ ინსპექტორმა ნილმა განაგრძო:

– მისტერ მაკენზი და მისტერ ფორტესქიუ ერთად გაემგზავრნენ აფრიკაში ამ მაღაროს დასამუშავებლად.

– ეს ჩემი ქმრის მაღარო იყო, – განაცხადა მისის მაკენზიმ, – მან მიაგნო და ბოძებიც ჩაარჭო. ფული უნდა ჩაედო, ამიტომაც რექს ფორტესქიუს მიადგა. მე რომ უფრო ჭკვიანი ვყოფილიყავი და მეტი მცოდნოდა, ამ ნაბიჯის გადადგმის უფლებას არასდროს მივცემდი.

– დიახ, რასაკვირველია. მაგრამ, საბოლოოდ, ისინი აფრიკაში ერთად გაემგზავრნენ. იქ თქვენი ქმარი ციებ-ცხელებისგან გარდაიცვალა.

– წიგნი უნდა წავიკითხო, – თქვა მისის მაკენზიმ.

– როგორ ფიქრობთ, მისის მაკენზი, მისტერ ფორტესქიუმ გააბრიყვა თქვენი ქმარი ამ მაღაროსთან დაკავშირებით?

– როგორი სულელი ხართ, – თავაუწევლად მიუგო მისის მაკენზიმ.

– დიახ, დიახ, ალბათ... მაგრამ ძნელია ცნობების მოპოვება იმის შესახებ, რაც დიდი ხნის წინ მოხდა და ხავსით დაიფარა.

– ვინ გითხრათ, რომ ხავსით დაიფარა?

– გასაგებია. თქვენ არ ფიქრობთ, რომ ის დასრულდა?

– საკითხი მაშინაა გადაწყვეტილი, თუ ის სწორადაა გადაწყვეტილი. ეს კიპლინგმა[1] თქვა. ახლა კიპლინგს არავინ კითხულობს, არადა, დიდი ადამიანი იყო.

– თქვენი აზრით, ეს საკითხი უახლოეს დროში სწორად გადაწყდება?

– რექს ფორტესქიუ მოკვდა, ხომ ასეა? თქვენ თვითონ თქვით.

---

[1] *რადიარდ კიპლინგი (1865-1936 წწ.) – ინგლისელი მწერალი, პოეტი და ნოველისტი.*

Scanned by CamScanner

– იგი მონამლეს, – დააზუსტა ინსპექტორმა ნილმა.

მისის მაკენზის გაეცინა, რითაც გვარიანად შეაცბუნა ინსპექტორი.

– რა სისულელეა, – თქვა მან, – იგი ციებ-ცხელებისგან გარდაიცვალა.

– მე რექს ფორტესქიუს ვგულისხმობ.

– მეც, – მოულოდნელად ქალი მიმქრალი ცისფერი თვალებით ნილს მიაჩერდა, – აბა, გამოტყდით, – თქვა მან, – იგი თავის საწოლში მოკვდა, არა? ხომ თავის საწოლში მოკვდა?

– რექს ფორტესქიუ სენტ-ჯუდსის საავადმყოფოში გარდაიცვალა, – მიუგო ინსპექტორმა ნილმა.

– არავინ იცის, სად მოკვდა ჩემი ქმარი, – ჩაილაპარაკა მისის მაკენზიმ, – არავინ იცის, სად მოკვდა, სად დაასაფლავეს... ყველამ მხოლოდ ის იცის, რაც რექს ფორტესქიუმ თქვა. რექს ფორტესქიუ კი მატყუარაა!

– თქვენი აზრით, იგი უნამუსოდ მოიქცა?

– უნამუსოდ მოიქცა, უნამუსოდ მოიქცა, ჩიტები კი კვერცხს დებენ, ასე არაა?

– მაშასადამე, ფიქრობთ, რომ თქვენი ქმრის სიკვდილში რექს ფორტესქიუა დამნაშავე?

– დღეს საუზმეზე კვერცხი მომიტანეს, – განაცხადა მისის მაკენზიმ, – ახალდადებული. ნუთუ ეს ყველაფერი ოცდაათი წლის წინ მოხდა?

ნილმა ღრმად ამოიოხრა. ასეთი სისწრაფით ფინიშს ვერ მიაღწევდა. მაგრამ არც დანებებას აპირებდა.

– სიკვდილამდე ერთი თუ ორი თვით ადრე რექს ფორტესქიუს ვილაცამ მაგიდაზე მკვდარი შავი შაშვები დაუყარა.

– საინტერესოა, ძალიან საინტერესოა.

– როგორ ფიქრობთ, მადამ, ვის შეეძლო ამის გაკეთება?

– ფიქრისგან უკეთ არავინ ხდება. მოქმედებაა საჭირო. სწორედ ასე აღვზარდე ისინი – რათა ემოქმედათ.

– თქვენს შვილებს გულისხმობთ?

Scanned by CamScanner

ქალმა თავი დააქნია.

– დიახ. დონალდი და რუბი. როცა უმამოდ დარჩნენ, ერთი შვიდი წლის იყო, მეორე – ცხრის. მე ვუთხარი მათ. ყოველდღე ვეუბნებოდი. ყოველ საღამოს ფიცს ვადებინებდი.

ინსპექტორი ნილი წინ გადაიხარა.

– რა ფიცს ადებინებდით?

– რომ მოკლავდნენ მას, ცხადია.

– გასაგებია.

ინსპექტორმა ნილმა ეს ისე წარმოთქვა, თითქოს მისის მაკენზის სრულიად ბუნებრივი რამ ეთქვას.

– და მათ ეს გააკეთეს?

– დონალდი დიუნკერკში გაემგზავრა. იქიდან აღარ დაბრუნებულა. დეპეშა მივიღე. „მწუხარებით გატყობინებთ, რომ ბრძოლაში დაიღუპა". ოღონდ ეს ის ბრძოლა არ იყო, რომლისთვისაც ვამზადებდი.

– ძალიან ვწუხვარ, მადამ. თქვენი ქალიშვილი?

– ქალიშვილი არ მყავს, – განაცხადა მისის მაკენზიმ.

– თქვენ ხომ ახლახან ახსენეთ იგი, – უთხრა ნილმა, – თქვენი ქალიშვილი. რუბი.

– რუბი. აჰ, დიახ, რუბი, – ქალი ოდნავ გადაიხარა ინსპექტორისკენ, – იცით, რა გავუკეთე რუბის?

– არა, მადამ. რა გაუკეთეთ?

– აი, ნახეთ, – ჩაიჩურჩულა მისის მაკენზიმ.

ინსპექტორმა დაინახა, რომ ქალს მუხლებზე ბიბლია ედო, ძალიან ძველი გამოცემა. როდესაც მისის მაკენზიმ წიგნი გადაშალა, ინსპექტორმა ნილმა შეამჩნია, რომ პირველ გვერდზე რაღაც სახელები ეწერა. ეს, უდავოდ, ოჯახური ბიბლია უნდა ყოფილიყო, რომელშიც, ძველი ტრადიციის მიხედვით, ყველა ახალშობილის სახელს წერდნენ. მისის მაკენზიმ გამხდარი საჩვენებელი თითი ბოლოში მიწერილი ორი სახელისკენ გაიშვირა. „დონალდ მაკენზი" და დაბადების თარიღი, და „რუბი მაკენზი" და დაბადების თარიღი. მაგრამ რუბი მაკენზის სახელი მსხვილად გადაეხაზათ.

Scanned by CamScanner

– ხომ ხედავთ? – იკითხა მისის მაკენზიმ, – მისი სახელი ბიბლიიდან ამოვშალე. სამუდამოდ მოვკვეთე ჩემგან! ანგელოზი, რომელიც კეთილ საქმეებსა და ცოდვებს აღნუსხავს, მას იქ ვერ იპოვის.

– თქვენ მისი სახელი ბიბლიიდან ამოშალეთ? ასე რატომ მოიქეცით, მადამ?

მისის მაკენზიმ ინსპექტორს ეშმაკურად მოჭუტული თვალებით შეხედა.

– კარგად იცით, რატომაც, – თქვა მან.

– არა, არ ვიცი. მართლა არ ვიცი, მადამ.

– მას აღარ სჯეროდა. თქვენ ხომ იცით, რომ აღარ სჯეროდა.

– ახლა სად არის თქვენი ქალიშვილი, მადამ?

– უკვე გითხარით. მე ქალიშვილი არ მყავს. რუბი მაკენზი აღარ არსებობს.

– იმის თქმა გსურთ, რომ მოკვდა?

– მოკვდა? – მოულოდნელად ქალმა გადაიხარხარა, – ჯობდა, მომკვდარიყო. მისთვისვე. გაცილებით უკეთესი იქნებოდა, – მისის მაკენზიმ ამოიოხრა და მოუსვენრად აწრიალდა სავარძელში. შემდეგ, თითქოს თავაზიანად მოქცევის მანერები გაახსენდაო, დაამატა: – მაპატიეთ, ვშიშობ, თქვენთან საუბარს ველარ გავაგრძელებ. დრო გადის, მე კი წიგნის კითხვა უნდა დავასრულო.

ინსპექტორმა ნილმა კიდევ ჰკითხა რაღაც, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. მისის მაკენზიმ ხელი ისე აიქნია, როგორც აბეზარ ბუზს იშორებენ, და ბიბლიის კითხვა განაგრძო, თან ასოებს თითს აყოლებდა.

ნილი წამოდგა და გავიდა. წასვლამდე სუპერინტენდანტს გაესაუბრა.

– რომელიმე ნათესავი ხომ არ ნახულობს ხოლმე მისის მაკენზის? – ჰკითხა მან, – მაგალითად, ქალიშვილი?

– როგორც ვიცი, ჩემი წინამორბედის მუშაობისას ერთხელ ქალიშვილი ეწვია, მაგრამ პაციენტი ისე აღელდა, რომ შვილს სთხოვეს, აღარ მოსულიყო. მას შემდეგ, ყველა საკითხს ადვოკატები წყვეტენ.

Scanned by CamScanner

– ხომ არ იცით, სად არის ახლა რუბი მაკენზი?

სუპერინტენდანტმა თავი გადააქნია.

– ვერაფერს მოგახსენებთ.

– იქნებ ის მაინც იცოდეთ, გათხოვილია თუ არა.

– არც ეს ვიცი. თუ გნებავთ, იმ ადვოკატების მისამართს მოგცემთ, რომლებსაც ამ პაციენტის საქმე აბარიათ.

ინსპექტორ ნილს უკვე მოეძებნა ეს ადვოკატები, რომლებმაც განაცხადეს, – თუ მათი ნდობა შეიძლებოდა, – რომ ვერაფრით დაეხმარებოდნენ. ისინი მხოლოდ მისის მაკენზისთვის შექმნილ მიზნობრივ ფონდს მართავდნენ. განკარგულებები რამდენიმე წლის წინ გაეცათ და მას შემდეგ მის მაკენზი აღარ ენახათ.

ინსპექტორმა ნილმა რუბი მაკენზის გარეგნობის დადგენა სცადა, მაგრამ წარმატებას ვერც აქ მიაღწია. პაციენტებთან მრავალი მნახველი მოდიოდა და რამდენიმე წლის შემდეგ აღარავის ახსოვდა, ვინ ვინ იყო, ყველა მათგანი თითქოს ერთმანეთს ემსგავსებოდა. მედდების უფროსს, რომელსაც აქ მრავალი წელი გაეტარებინა, მის მაკენზი ტანდაბალ და მუქთმიან ქალად დაამახსოვრდა. ერთმა ვეტერანმა მედდამ კი უთხრა, მხნე და ქერათმიანი იყოო.

– აი, ასე, სერ, – მოახსენა ინსპექტორმა კომისრის თანაშემწეს, – იმ ძველებურ, უცნაურ საბავშვო ლექსში მოყვანილი ყველა ფაქტი ხელთ გვაქვს. არა მგონია, ეს უბრალო დამთხვევა იყოს.

ჩაფიქრებულმა კომისრის თანაშემწემ თავი დაუქნია.

– ღვეზელში ჩატანებული შავი შაშვები ერთმანეთთან აკავშირებს „შავი შაშვების მაღაროს“, მოკლულის ჯიბეში აღმოჩენილ ჭვავის მარცვლებს და ადელ ფორტესქიუს თაფლწასმულ ფუნთუშას (თუმცა ეს არცთუ დამაჯერებელია – ბოლოს და ბოლოს, ჩაისთან თაფლიან ფუნთუშას ბევრი მიირთმევს!). მესამე მკვლელობა – გოგონა ნინდით დაახრჩვეს, ცხვირზე კი სარეცხის სამაგრი გაუკეთეს. გიჟური ვერსიაა, მაგრამ ხელაღებით მაინც ვერ უარვყოფთ.

– ერთი წუთით, სერ, – თქვა ინსპექტორმა ნილმა.

Scanned by CamScanner

– რა მოხდა?

ინსპექტორ ნილს სახე მოელუშა.

– ამ ვერსიაში რაღაც არ მომწონს. სიმართლეს არ ჰგავს. რაღაც არ ემთხვევა, – მან თავი გადააქნია და ამოიოხრა, – მაგრამ, ჯერჯერობით, არ ვიცი – რა.

თავი ოცდამეერთე

I

ლანსი და პატი „ურთხლის ქოხის" გარშემო მდებარე კარგად მოვლილ მდელოებზე სეირნობდნენ.

– ვიმედოვნებ, ლანს, ძალიან არ გაგანაწყენებ, – ხმადაბლა თქვა პატმა, – თუ გეტყვი, რომ ასეთი საძაგელი ბაღი ცხოვრებაში არ მინახავს.

– არ მწყინს, – დაამშვიდა ლანსმა, – მაგრამ ნუთუ ასეთი საშინელებაა? არც კი ვიცი, რა ვთქვა. სამი მებაღე განუწყვეტლივ თავს დასტრიალებს.

– შესაძლოა, სწორედ ამის ბრალია, – მიუგო პატმა, – ხარჯი ბევრია, მაგრამ ინდივიდუალობა, გემოვნება არ იგრძნობა. არადა, ალბათ, ყველაფერს წესისამებრ აკეთებენ: საუკეთესო როდოდენდრონები მოუტანიათ, მართებულად და დროულად დაურგავთ.

– შენ რას დარგავდი, პატ, ინგლისური ბაღი რომ გქონდეს?

– ჩემს ბაღში, – თქვა პატმა, – ბალბას, დეზურასა და კენტერბერიულ ალოშას გავახარებდი – არანაირი ყვავილნარები და, მით უმეტეს, ეს საშინელი ურთხელი.

ქალმა სიძულვილითაც კი გახედა ურთხლის ღობეს.

– ასოციაციური აზროვნებაა, – დაუფიქრებლად განაცხადა ლანსმა.

– საწამლავის ჩამყრელში რაღაც ძალიან მაშინებს, – თქვა პატმა, – წარმომიდგენია კიდეც იგი: პირქუში, ღვარძლიანი, შურისმაძიებელი...

Scanned by CamScanner

– მაშ, ასე აღიქვამ? საინტერესოა! ჩემი აზრით, საწამლავის ჩამყრელი საქმიანი და ცივსისხლიანი პიროვნება უნდა იყოს.

– ჰო, ალბათ, არც უმაგისობაა, – პატი ოდნავ მოიბუზა კიდეც, – მაგრამ სამი მკვლელობა... მე მას მაინც შეშლილს ვუწოდებდი.

– დიახ, ვშიშობ, მართლა ასეა, – ყრუდ ჩაილაპარაკა ლანსმა და მოულოდნელად ხმას აუწია: – მომისმინე, პატ, წადი აქედან, ღვთის გულისთვის. ლონდონში დაბრუნდი. დევონშირს ან ტბებს ეწვიე. სტრადფორდონეივონსა და ნორფოლკშიც არის საინტერესო ადგილები. პოლიცია ხელს არ შეგიშლის – შენ ხომ ამ ამბებთან შეხება არა გაქვს. როდესაც მამა მოწამლეს, პარიზში იყავი, ადელისა და მოახლის მკვლელობისას – ლონდონში. დამიჯერე, საშინლად განვიცდი, აქ რომ ხარ.

პატი ერთხანს დუმდა, შემდეგ კი ხმადაბლა იკითხა:

– შენ იცი, ეს ვინც ჩაიდინა, ხომ ასეა?

– არა, არ ვიცი.

– მაგრამ გგონია, რომ იცი... ამიტომაც გეშინია ჩემ გამო... მინდა, რომ ყველაფერი მიამბო.

– მოსაყოლი არაფერი მაქვს. თვითონაც არაფერი ვიცი. მაგრამ ღმერთია მოწმე, როგორ მინდა, რომ აქაურობას გაეცალო.

– მე არსად წავალ, ძვირფასო, – თქვა პატმა, – აქ დავრჩები. კარგია თუ ცუდი, მაინც დავრჩები. სხვაგვარად არ შემიძლია, – მოულოდნელად მან ათრთოლებული ხმით დაამატა: – ოღონდ, სადაც მე ვარ, იქ ყოველთვის ცუდი ამბები ხდება.

– რას გულისხმობ, პატ?

– ადამიანებისთვის უბედურება მომაქვს, აი, რას ვგულისხმობ. ყველას ვაუბედურებ, ვისაც გავეკარები.

– ჩემო ძვირფასო, მომხიბლველო პატარა სულელო, ჩემთვის უბედურება არ მოგიტანია. როცა დავქორწინდით, მამაჩემმა შინ დაბრუნება და ძველი ურთიერთობის აღდგენა მთხოვა.

Scanned by CamScanner

– მერედა, რა მოხდა, როდესაც დაბრუნდი? ხომ გეუბნები, უბედურება მომაქვს-მეთქი.

– მომისმინე, ჩემო კარგო. შენ ეს მხოლოდ აიკვიატე და თავში ჩაინერგე. ცრურწმენაა და მეტი არაფერი.

– ამას არაფერი ეშველება. არიან ადამიანები, რომლებსაც უბედურება მოაქვთ. მე მათ რიცხვს მივეკუთვნები.

ლანსმა ქალს მხრებში ხელები ჩაავლო და გვარიანად შეაჯანჯღარა.

– შენ ჩემი პატი ხარ და შენთვის ქმრობის გაწევა ამქვეყნად უდიდესი ბედნიერებაა ჩემთვის. ასე რომ, შეუშვი ეს მაგ სულელ თავში, – შემდეგ იგი დაწყნარდა და მშვიდი ხმით განაგრძო: – არა, პატ, სერიოზულად გთხოვ, ფრთხილად იყავი. თუ აქ ვინმე ტვინნაღრძობი დადის, არ მინდა, რომ ტყვია დაგახალოს ან ლენცოფა გაჭამოს.

– რა თქვი? ლენცოფა მაჭამოს?

– როდესაც შენ გვერდით არ ვიქნები, ეცადე, იმ მოხუცთან... რა ჰქვია... მის მარპლთან ახლოს იყო. შენი აზრით, რატომ შესთავაზა დეიდა ეფიმ მას აქ დარჩენა?

– მხოლოდ ღმერთმა იცის, დეიდა ეფი რას და რატომ აკეთებს. ლანს, აქ დიდხანს დავყოფთ?

ლანსმა მხრები აიჩეჩა.

– რთული სათქმელია.

– ვფიქრობ, აქ არავის ვჭირდებით, – თქვა პატმა, ნამიერი ყოყმანის შემდეგ კი დაამატა: – ახლა ეს სახლი შენს ძმას ეკუთვნის, არა? სულაც არ იქნება აღფრთოვანებული ჩვენი აქ ყოფნით.

მოულოდნელად ლანსს სიცილი აუტყდა.

– ცხადია, აღფრთოვანებული არ არის, მაგრამ მოთმენა მოუწევს. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც.

– მერე რა იქნება? რას გავაკეთებთ, ლანს? აღმოსავლეთ აფრიკაში დავბრუნდებით?

– გინდა იქ დაბრუნება, პატ?

ქალმა თავი ენერგიულად დააქნია.

– მაგარია, – გაუხარდა ლანსს, – იმიტომ, რომ ეს მეც მინდა. ახლა ინგლისთან თითქმის არაფერი მაკავშირებს.

Scanned by CamScanner

პატს სახე გაუნათდა.

– შესანიშნავია. ამას წინათ კი ძალიან დავშინდი – მეგონა, მართლა გსურდა აქ დარჩენა.

ლანსს თვალები ეშმაკურად აუციმციმდა.

– ჩვენი მომავალი გეგმების შესახებ სიტყვა არავისთან ნამოგცდეს, პატ, – თქვა მან, – ძალიან მინდა, რომ ჩემს საყვარელ ძამიკოს ჭინჭრით კანჭები ავუნვა, ცოტათი მაინც.

– ოღონდ ფრთხილად იყავი, ლანს.

– ვიქნები, ვიქნები, ჩემო კარგო, უბრალოდ ვერ გამიგია, რატომ უნდა შერჩეს პერსის ყველაფერი?

II

მის მარპლი დიდ სასტუმრო ოთახში იჯდა, თავი ოდნავ გვერდზე გადაეხარა კეთილად განწყობილ კაკადუსავით და მისის პერსივალ ფორტესქიუს უსმენდა. აქაურობისთვის მის მარპლი თითქოს შეუფერებელი ჩანდა. მისი ხმელ-ხმელი ფიგურა ლამის ჩაკარგულიყო ნაირფერი ბალიშებით განწყობილი ფარჩის უზარმაზარ დივანში. იგი მხრებში არასდროს იხრებოდა – ამ მიზნით და იმისთვისაც, რომ მოშვებულ-მოდუნებულ ჯდომას არ მისჩვეოდა, პატარაობიდანვე კორსეტს ატარებინებდნენ. უცნაურ შავ კაბაში გამოწყობილი მისის პერსივალი მის გვერდით, დიდ სავარძელში მოკალათებულიყო და ენას არ აჩერებდა. „ზედგამოჭრილი საბრალო მისის ემეტია, – გაიფიქრა მის მარპლმა, – ბანკის მმართველის ცოლი". გაახსენდა, როგორ შეუარა მისის ემეტმა ყაყაჩოების დღეს[1] ვაჭრობასთან დაკავშირებით, და როცა ყველაფერზე შეთანხმდნენ, უეცრად მისის ემეტს ლაპარაკის საღერღელი აეშალა. სენტ-მერიმიდში იგი საკმაოდ რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. მისის ემეტი იმ პატივსაცემ, რჩეულ ქალბატონთა წრეს არ მიეკუთვნებოდა, რომლებიც საკმაოდ მოკრძალებულად ცხოვრობდნენ

[1] *ყაყაჩოების დღე – 11 ნოემბერი – სულის მოსახსენებელი კვირის წინა დღე, როდესაც ქუჩაში ომის ინვალიდებისთვის შემოწირულობას აგროვებენ, სანაცვლოდ კი ყაყაჩოებს არიგებენ.*

Scanned by CamScanner

ეკლესიის გარშემო მდებარე კოხტა სახლებში და ახლოს იცნობდნენ ადგილობრივ დიდკაცობასა და მათ ოჯახებს, თუმცა, თუ მკაცრად მიუდგებოდით, თვითონ მათ რიცხვში არ შედიოდნენ. მისტერ ემეტმა, ბანკის მმართველმა, ცოლად უფრო დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელი მოიყვანა, რის შედეგადაც, მისის ემეტი სრულ იზოლაციაში აღმოჩნდა, ვინაიდან საქმოსანთა მეუღლეების წრეში მას არავინ შეუშვებდა. სნობიზმის ურჩხულმა საზიზღარი თავი წამოყო და მისის ემეტი უკაცრიელ კუნძულზე გარიყა. მასში ლაპარაკის სურვილი თანდათანობით გროვდებოდა, ბოლოს კი იმდენი დაგროვდა, რომ სნორედ იმ დღეს გადმოხეთქა და კინაღამ წალეკა მის მარპლი. მას ებრალებოდა კიდეც მისის ემეტი, ისევე, როგორც ახლა თანაუგრძნობდა მისის პერსივალ ფორტესქიუს.

მისის პერსივალს უკმაყოფილების საბაბი საკმაოდ დაჰგროვებოდა და ახლა გულს იოხებდა მეტ-ნაკლებად უცხო ადამიანთან.

– ნუნუნი არ მჩვევია, – თქვა მისის პერსივალმა, – ეს არ მახასიათებს. ყოველთვის ვამბობ, რომ ადამიანი ახალ გარემოს უნდა შეეგუოს. რასაც ვერ შეცვლი, სხვა რა გზა გრჩება – უნდა შეურიგდე. არავისთვის შემიჩივლია. ან ვისთან უნდა ვინუნუნო? აქ ხომ იზოლაციაა, სრული იზოლაცია. ცხადია, ძალზე მოსახერხებელია, რომ მე და ვილს სახლში ჩვენ-ჩვენი ოთახები გვაქვს – რაც უნდა იყოს, ეკონომიაა. მაგრამ, მეორე მხრივ, გაცილებით უკეთესია, როდესაც საკუთარი თავის ბატონ-პატრონი ხარ. დარწმუნებული ვარ, დამეთანხმებით.

მის მარპლი დაეთანხმა.

– მადლობა ღმერთს, ჩვენი ახალი სახლი თითქმის მზადაა, მალე გადაბარგებასაც დავიწყებთ. მხოლოდ მობათქაშება და შეღებვა დარჩა. ისინი კი სულ წელავენ და წელავენ... ჩემი ქმარი, ცხადია, აქაც კარგად გრძნობს თავს. მაგრამ კაცები ამას სრულიად სხვაგვარად უდგებიან. ყოველთვის ვამბობდი – სრულიად სხვაგვარად-მეთქი. მეთანხმებით?

Scanned by CamScanner

– დიახ, – დაეთანხმა მის მარპლი, – მამაკაცები ამას სრულიად განსხვავებულად უდგებიან.

არც ტყუოდა. მართლა ასე ფიქრობდა. მის მარპლის აზრით, „ჯენტლმენები“ სრულიად სხვა სახეობის წარმომადგენლები იყვნენ, რომელიც რადიკალურად განსხვავდებოდა მისი სქესისგან. ისინი საუზმეზე ორ კვერცხსა და ბეკონს ითხოვდნენ, დღეში სამჯერ მსუყედ უნდა ეჭამათ და ვაი იმ ქალების ბრალი, რომლებიც სადილის წინ შეეკამათებოდნენ, ან უარესი – სიტყვას შეუბრუნებდნენ. მისის პერსივალი კი განაგრძობდა:

– უნდა გითხრათ, რომ ქმარი ყოველდღე ქალაქშია. შინ გამუდმებით დაღლილი ბრუნდება, ერთი სული აქვს, დაჯდეს და რამე წაიკითხოს. მე კი, პირიქით, მთელი დღე მარტო ვზივარ შესაფერის საზოგადოებას მოკლებული. არა, აქ მშვენიერი პირობებია. კვებაც საუცხოოა. გულწრფელად გეტყვით, ადგილობრივები არ მაკმაყოფილებს. მყვირალა ხალხია, თუმცა ბრიჯის თამაშიც უყვართ. ბრიჯს მეც ხალისით ვითამაშებდი, მაგრამ ძნელია მთელი საღამოს ასე გატარება. თანაც ყველანი მდიდრები არიან და ძალიან მაღალი ფსონები აქვთ. სასმელიც ბევრი ისმება. ერთი სიტყვით, დროს ტარება უყვართ მაგ ჯიბესქელებს. მართალია, მცირე რაოდენობით ისეთებიც შეგხვდებიან, – მე მათ ბებერ კატებს ვუწოდებ, – რომლებიც ბაღში პატარა ნიჩბებით დადიან და ხან რას გადარგავენ და ხან რას მორწყავენ ხოლმე.

მის მარპლი ცოტათი შეცბუნდა, ვინაიდან თვითონაც უყვარდა ბაღში ფუსფუსი.

– არ მინდა, მიცვალებულზე აუგი ვთქვა, – სწრაფად გადაერთო სხვა თემაზე მისის პერსი, – მაგრამ ჩემმა მამამთილმა, მისტერ ფორტესქიუმ, გვარიანი სისულელე ჩაიდინა, როდესაც მეორედ დაქორწინდა. ჩემი... აბა, დედამთილი როგორ ვუწოდო – თითქმის ტოლები ვიყავით... არ დაგიმალავთ და, კაცებზე ჭკუას კარგავდა. მერედა, როგორ... ახლა ფულის ხარჯვას არ იკითხავთ? მის გამო ჩემი მამამთილი ლამის შეიშალა – ცოლს რამდენიც უნდა

Scanned by CamScanner

დაეხარჯა, არაფერს ეუბნებოდა. პერსი კი განიცდიდა, ძალიან განიცდიდა. პერსი ხომ ხელმომჭირნე ადამიანია, ფულის უყაირათოდ ხარჯვა არ უყვარს. ამას ისიც დაემატა, რომ ბოლო დროს მისტერ ფორტესქიუ პატარა ბავშვივით იქცეოდა: ხან ტრაბახობდა, ხან ჩხუბობდა, ხან ფულს ფანტავდა და საეჭვო საქმეში აბანდებდა. მოკლედ, საშინელ დღეში ვიყავით.

მის მარპლმა გაბედა და მისის პერსივალს გააწყვეტინა:

– თქვენს მეუღლეს ალბათ, ესეც ძალიან აღიზიანებდა, არა?

– ოჰ, დიახ, რა თქმა უნდა. ბოლო წლის განმავლობაში პერსი მართლა ძალიან შეწუხებული ჩანდა, სრულიად შეიცვალა. გამოგიტყდებით და, ჩემ მიმართაც კი. ზოგჯერ, როცა ველაპარაკებოდი, ხმასაც კი არ მცემდა, – მისის პერსიმ ამოიოხრა და განაგრძო: – ახლა ელეინს არ იკითხავთ, ჩემს მულს? ისიც უცნაური ადამიანია. სულ გარე-გარე დაეხეტება. ვერ ვიტყვი, რომ უჟმურია, მაგრამ გაგიმხელთ, რომ სიმპათიას არ აღმიძრავს. ვერც ლონდონის მაღაზიებში გავლაზე დავიყოლიე, ვერც თეატრში დღის სპექტაკლზე წასვლაზე ან რამე ამგვარზე. ის კი არა, ჩაცმა საერთოდ არ აინტერესებს, – მისის პერსივალმა კვლავ ამოიოხრა და ჩაიბურტყუნა: – არა, არ გეგონოთ, რომ ვწუწუნებ.

უეცრად იგი, როგორც ჩანს, სინდისმა შეაწუხა, ამიტომ სასწრაფოდ დაამატა:

– თქვენ, ალბათ, გიკვირთ, თითქმის უცნობ ადამიანს მსგავს თემებზე რომ გესაუბრებით. მაგრამ გაუთავებელი დაძაბულობა, შოკი... ვფიქრობ, ყველაფერი შოკის ბრალია. დაგვიანებული შოკის. ისე გავწამდი, ვინმესთან დალაპარაკება მომინდა. თქვენ კი ერთი შესანიშნავი მოხუცი, მის ტრეფიუზის ჯეიმზი გამახსენეთ. მან სამოცდათხუთმეტი წლის ასაკში თეძო მოიტეხა. ოჰ, რამდენ ხანს ვუვლიდი... სწორედ მაშინ დავმეგობრდით. დამშვიდობებისას მელიის ბეწვის მოსასხამი მაჩუქა, რამაც გული ამიჩუყა.

– თქვენი მშვენივრად მესმის, – უთხრა მის მარპლმა და ეს ამჯერადაც სიმართლე იყო. მიხვდა, რომ მისის

Scanned by CamScanner

პერსივალმა ქმარს თავი მოაბეზრა, რის გამოც კაცი მას ყურადღებას აღარ აქცევდა, რომელიმე მეზობელთან დამეგობრება კი საბრალო ქალს ვერაფრით მოეხერხებინა. ლონდონის მაღაზიებში სიარული, დღის სპექტაკლები და მდიდრული სახლი დიდი ვერაფერი ბედენაა, თუ ქმრის ნათესავებთან ადამიანური ურთიერთობის აშკარა დეფიციტია.

– ვიმედოვნებ, თავხედობად არ ჩამითვლით, – თქვა მის მარპლმა მოხუცი ლედის თბილი ხმით, – მაგრამ რატომღაც მგონია, რომ განსვენებული მისტერ ფორტესქიუ არცთუ სასიამოვნო ადამიანი იყო.

– მართალს ბრძანებთ, – თქვა მისის პერსივალმა, – გულწრფელად რომ გითხრათ, ოღონდ ეს ჩვენ შორის უნდა დარჩეს, მას არცთუ სასიამოვნოს კი არა, საზიზღარ მოხუცს უფრო ვუწოდებდი. არ გამიკვირდება, – მართლა არ გამიკვირდება, – თუ ვიღაცამ ის გზიდან ჩამოიცილა.

– და თქვენ არაფერი იცით, ვის... – დაიწყო მის მარპლმა და მყისვე გაჩუმდა, – ღმერთო ჩემო, იქნებ არც უნდა გეკითხებოდეთ... არ იცით, ვის... შეეძლო ამის ჩადენა?

– ოჰ, ვფიქრობ, ეს იმ საშინელი კრამპის ჩადენილია, – მიუგო მისის პერსივალმა, – იგი არასდროს მომწონდა. ერთი შეხედვით, თითქოს უხეში არ არის, მაგრამ სინამდვილეში სწორედ რომ უხეშია. უხეშია და თავხედი.

– მაგრამ რაღაც მოტივი ხომ უნდა არსებობდეს.

– მისნაირ ადამიანს მოტივი არაფერში სჭირდება. ერთხელ – არ მახსოვს, რისთვის – მისტერ ფორტესქიუმ მას შავი დღე დააყარა. თანაც, ეჭვი მაქვს, რომ ეს კრამპი ზოგჯერ უგონოდ გაილეშება ხოლმე. მაგრამ მთავარი, ჩემი აზრით, ისაა, რომ საშინლად გაუწონასწორებელია. თუ გახსოვთ, ვიღაც ლაქია თუ მსახურთუფროსი – ახლა ვერ ვიხსენებ – თოფით ხელში სახლის გარშემო დადიოდა და ყველას ესროდა, ვისაც კი თვალს მოჰკრავდა. არ დაგიმალავთ და გულახდილად გეტყვით: თავდაპირველად მეგონა, რომ მისტერ ფორტესქიუ ადელმა მოწამლა. ახლა, ცხა-

Scanned by CamScanner

დია, მასზე ეჭვს ვერავინ მიიტანს, რადგან ისიც მოწამლეს. ვინ იცის, იქნებ კრამპს რამე დააბრალა, მას კი თავგზა აებნა და სენდვიჩს საწამლავი შეურია. გლედისი ამას შეესწრო. ამიტომ იძულებული გახდა, ისიც მოეკლა. სახლში მისი გაჩერება ძალზე საშიშია. ღმერთმანი, სიამოვნებით გავემგზავრებოდი სადმე, მაგრამ ეს საშინელი პოლიციელები აქედან არავის გაუშვებენ, – იგი წინ იმპულსურად გადაიხარა და ფუნთუშა ხელი მის მარპლს მაჯაზე დაადო, – ზოგჯერ მეჩვენება, რომ უნდა გავიქცე... რომ თუ უახლოეს დღეებში არ დასრულდება... მართლა უნდა გავიქცე აქედან...

იგი უკან გადაწვა და მის მარპლს მიაჩერდა.

– მაგრამ იქნებ ეს... არაგონივრულია?

– ჩემი აზრით, არცთუ გონივრულია. პოლიცია მალე მოგაგნებთ.

– მომაგნებს? ნუთუ მომაგნებს? გგონიათ, რომ ამდენი ჭკუა აქვთ?

– პოლიციის სათანადოდ ვერშეფასება დიდი შეცდომაა. ვფიქრობ, ინსპექტორი ნილი გამორჩეულად ჭკვიანი ადამიანია.

– ოჰ! მე კი გავიფიქრე, რა სულელია-მეთქი.

მის მარპლმა თავი გადააქნია.

– ვერაფრით მოვიცილე იმის შეგრძნება... – ჯენიფერ ფორტესქიუ შეყოყმანდა, – რომ აქ დარჩენა სახიფათოა.

– პირადად თქვენთვის?

– დიახ... დიახ... ჩემთვის...

– იმიტომ, რომ თქვენ... რაღაც იცით?

მისის პერსივალმა ღრმად შეისუნთქა.

– არა, ცხადია, არაფერი ვიცი. რა უნდა ვიცოდე? უბრალოდ... უბრალოდ, საშინლად ვნერვიულობ. ეს კრამპი...

„არა, – გაიფიქრა მის მარპლმა, როდესაც დაინახა, როგორ კუმშავდა და შლიდა ხელებს მისის ფორტესქიუ, – იგი სულაც არ ფიქრობს კრამპზე. ჯენიფერ ფორტესქიუ ძალზე შეშინებულია და ამის მიზეზი სრულიად სხვა რამ არის“.

Scanned by CamScanner

ბინდდებოდა. მის მარპლი ბიბლიოთეკის ფანჯარასთან მოკალათდა და ქსოვას შეუდგა. უეცრად თვალი მოჰკრა, რომ ტერასაზე პატ ფორტესქიუ სეირნობდა. ფანჯარა გამოაღო და დაიძახა:

– ჩემთან ამოდით, ძვირფასო. ამოდით, გთხოვთ. დარწმუნებული ვარ, რომ გარეთ სინესტეა და ცივა, თქვენ კი უპალტოოდ ხართ.

პატი დამჯერ გოგოსავით დაემორჩილა, შევიდა, ფანჯარა მიხურა და ორი ლამპა აანთო.

– დიახ, – თქვა მან, – გარეთ ყოფნა არცთუ სასიამოვნოა, – იგი დივანზე ჩამოჯდა, მის მარპლთან ახლოს, – რას ქსოვთ?

– კოფთას პატარა ბავშვისთვის. ახალშობილისთვის. ჩემი აზრით, ასეთი სამოსი ზედმეტი არასდროსაა, ახალგაზრდა დედებსაც ნაკლები საზრუნავი ექნებათ. ეს მეორე ზომაა. ყოველთვის ამ ზომას ვქსოვ. პირველი ზომა ბავშვებს სწრაფად უპატარავდებათ.

პატმა მოხდენილი ფეხები ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლს მიუშვირა.

– დღეს აქ სიმყუდროვეა, – თქვა მან, – ბუხარი, სუსტი შუქი, თქვენ საბავშვო ტანსაცმელს ქსოვთ. შინაურული გარემოა, სწორედ ისეთი, როგორიც ინგლისში უნდა იყოს.

– ინგლისში ასეცაა, – მიუგო მის მარპლმა, – „ურთხლის ქოხის“ მსგავსი სახლი არცთუ ბევრია, ძვირფასო.

– კარგია, თუ ასეა, – თქვა პატმა, – ვერ ვიჯერებ, რომ ამ სახლში ოდესღაც ბედნიერება სუფევდა. რომ აქ თუნდაც ერთი ადამიანი მაინც იყო ბედნიერი, ფულისა და სიმდიდრის მიუხედავად.

– არც მე მჯერა, – მხარი აუბა მის მარპლმა, – ვშიშობ, ბედნიერება ამ სახლს ყოველთვის გვერდს უვლიდა.

– იქნებ ადელი მაინც იყო ბედნიერი, – განაგრძო პატმა, – ჩვენ ერთმანეთს არასდროს შევხვედრივართ, ამიტომ ეს არ ვიცი, მაგრამ ჯენიფერი აშკარად იტანჯება, ელეინი

Scanned by CamScanner

კი იმ ახალგაზრდა კაცმა გააწამა, რომელსაც იგი სულ არ ადარდებს. ამას გულის სიღრმეში, ალბათ, თვითონ ელეინიც გრძნობს. ღმერთო ჩემო, როგორ მინდა აქედან გამგზავრება! – მან მის მარპლს შეხედა და მოულოდნელად გაუღიმა, – რომ იცოდეთ, ლანსმა მითხრა, რომ თქვენთან ახლოს ვიყო. მისი აზრით, ასე უფრო უსაფრთხოდ ვიქნები.

– თქვენი ქმარი სულელი სულაც არ არის, – თქვა მის მარპლმა.

– მართალს ამბობთ, სულელი არ არის. ბოლო დროს გაცილებით დასერიოზულდა. რაღაცის ეშინია, მინდა, რომ გამიმხილოს, მაგრამ არ მეუბნება. ერთი რამ კი აშკარაა: ამ სახლში ვიღაც ჭკუაზე შეიშალა. ეს კი ყოველთვის საშიშია, ვინაიდან არ იცი, ასეთ კაცს თავში რა აზრი მოუვა, რას მოიმოქმედებს.

– ჩემო საბრალო ბავშვო, – თქვა მის მარპლმა.

– არა, არა, ყველაფერი კარგადაა. მგონი, უკვე გამოვიწრთე.

– ძვირფასო, ალბათ თქვენც ბევრი უბედურება გადაგხდათ თავს, არა? – ალერსიანად ჰკითხა მის მარპლმა.

– ოჰ, ჩემს ცხოვრებაში კარგი დროც ყოფილა. ბედნიერი ბავშვობა ირლანდიაში, ცხენზე ჯდომა, ნადირობა, დიდი, ლამაზი, მზით სავსე სახლი, რომელიც კარგად ნიავდებოდა. თუ ადამიანს ბედნიერი ბავშვობა ჰქონდა, იგი მთელი ცხოვრება მასთან დარჩება, ასე არ არის? ბედნიერება მხოლოდ მაშინ გაქრა, როდესაც გავიზარდე. პირველი დარტყმა ომმა მომაყენა.

– თქვენი ქმარი სამხედრო მფრინავი იყო?

– დიახ. ქორწინებიდან ერთი თვის თავზე დონის თვითმფრინავი ჩამოაგდეს, – ქალი წინ იყურებოდა, ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლს მისჩერებოდა, – თავდაპირველად მეც სიკვდილი, მასთან წასვლა მინდოდა. მაგრამ შემდეგ, როცა დრო გავიდა... ისიც კი ვიფიქრე, იქნებ ჯობდა, ყველაფერი ასე რომ დასრულდა-მეთქი. მამაცი, თავგანწირული და მხიარული დონი თითქოს ომისთვის იყო დაბადებული, მებრძოლისთვის საჭირო ყველა თვისება ჰქონდა. რატომ-

Scanned by CamScanner

ღაც მგონია, რომ მშვიდობიან დროს საკუთარ ადგილს ვერ იპოვიდა. მას ერთგვარი... როგორ გითხრათ... ქედმაღლური დაუმორჩილებლობა ახასიათებდა. მყუდრო, ოჯახურ, ერთფეროვან ცხოვრებას ვერ გაუძლებდა. აუცილებლად რამე შარში გაეხვეოდა. იგი თითქოს საზოგადოებაში ყოფნისთვის არ იყო შექმნილი. არა, ამას ვერ გაუძლებდა.

– ჩემო კარგო, მთავარია, რომ ამას მიხვდით, – თქვა მის მარპლმა. იგი საქსოვისკენ დაიხარა. ჩხირი თვალს ამოსდო და ხმადაბლა დაიწყო თვლა: – სამი წალმა, ორი უკულმა, ერთს გამოვტოვებთ, ორი ერთად, – შემდეგ კი იკითხა: – თქვენი მეორე ქმარი, ჩემო კარგო?

– ფრედი? ფრედიმ თავი მოიკლა.

– ღმერთო ჩემო! ძალიან ვწუხვარ. როგორი ტრაგედიაა.

– ჩვენ ძალზე ბედნიერად ვცხოვრობდით, – თქვა პატმა, – ქორწინებიდან დაახლოებით ორი წლის შემდეგ მივხვდი, რომ ფრედი ყოველთვის... პატიოსნად არ იქცეოდა. შევამჩნიე, რომ რაღაც ისე არ იყო. მაგრამ ჩვენ შორის არაფერი შეცვლილა, ვინაიდან ფრედის ვუყვარდი, მეც მიყვარდა ის. ვცდილობდი, თვალი დამეხუჭა მის საქმიანობაზე. შესაძლოა, ეს სიმხდალე იყო ჩემი მხრიდან, მაგრამ მას ვერ შევცვლიდი. ადამიანის შეცვლა არავის ძალუძს.

– დიახ, – კვერი დაუკრა მის მარპლმა, – ადამიანის შეცვლა არავის ძალუძს.

– ისეთი მივიღე, როგორიც იყო, შემიყვარდა და ცოლად გავყევი. ვხვდებოდი, რომ მისი ხასიათის ზოგიერთ მხარესთან შეგუება მომიწევდა, მაგრამ თანდათანობით საქმეები სულ აეწეწა, დაიბნა და თავი მოიკლა. მისი სიკვდილის შემდეგ კენიაში გავემგზავრე მეგობრებთან საცხოვრებლად. ინგლისში დარჩენა და ძველ ნაცნობებთან შეხვედრა აღარ შემეძლო. კენიაში კი ლანსს შევხვდი, – ქალს მზერა შეეცვალა, თვალებში სითბო ჩაუდგა. კვლავაც ცეცხლს მისჩერებოდა, მის მარპლი კი მას შეჰყურებდა. ბოლოს პატმა თავი მოაბრუნა და იკითხა:

– მის მარპლ, გულახდილად მითხარით, პერსივალზე რას ფიქრობთ?

Scanned by CamScanner

– მას თითქმის არ ვიცნობ. ერთმანეთს მხოლოდ საუზმობისას ვხვდებით. ვფიქრობ, ჩემი აქ ყოფნა გულზე დიდად არ ეხატება.

მოულოდნელად პატს გაეცინა.

– ის ხომ საშინელი წუწურაქია. თითოეულ პენსს დაჰკანკალებს. ლანსი ამბობს, ყოველთვის ასეთი იყოო. მას ჯენიფერიც უჩივის. პერსივალი მის დოუვს ყველა ანგარიშს უმონმებს, ყოველი ხარჯის გამო აკრიტიკებს. მაგრამ მის დოუვი ახერხებს და ყველაფერს საკუთარი შეხედულებისამებრ აკეთებს. იგი შესანიშნავი პიროვნებაა. თქვენ ასე არ ფიქრობთ?

– დიახ, რა თქმა უნდა. იგი მისის ლატიმერს მაგონებს სენტ-მერიმიდიდან, ჩემი სოფლიდან. მისის ლატიმერი ხელმძღვანელობდა ქალთა ნებაყოფლობით სამსახურს, სკაუტი გოგონების ორგანიზაციას და, საერთოდ, ყველაფერს, რისი ხელმძღვანელობაც კი შეიძლება. მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ შევიტყვეთ, რომ... ოჰ, არა, არ მინდა ჭორაობა... მით უმეტეს, რომ სევდის მომგვრელია სხვების მოსმენა იმ ადამიანთა შესახებ, რომლებიც არასდროს გინახავს, და იმ ადგილების შესახებ, სადაც არასდროს ყოფილხარ.

– ეს თქვენი სენტ-მერიმიდი სიმპათიური სოფელია?

– რომ არ ვიცი, ჩემო კარგო, სიმპათიურ სოფელს რას ეძახით? საკმაოდ სასიამოვნო ადგილია. საკმაოდ სიმპათიური ხალხი ცხოვრობს, თუმცა უსიამოვნო ადამიანების ნაკლებობასაც არ ვუჩივით. ამ სოფელში, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვაში, ბევრი საინტერესო ხდება. ადამიანის ბუნება ხომ ყველგან ერთნაირია, ასე არ არის?

– შევამჩნიე, რომ ხშირად ნახულობთ მის რემსბოთომს, – თქვა პატმა, – მე კი მეშინია მისი.

– გეშინიათ? რატომ?

– ასე მგონია, რომ გიჟია. რელიგიურ ნიადაგზე ჭკუაზე შეიშალა. ნუთუ არ ფიქრობთ, რომ ის ნამდვილი... შეშლილია?

– შეშლილი? რა გაგებით?

Scanned by CamScanner

– ოჰ, მშვენივრად ხვდებით, რასაც ვგულისხმობ. განუწყვეტლივ მაღლა ზის, გარეთ არასდროს გამოდის, მუდამ ადამიანთა საშინელ ცოდვებზე ფიქრობს. ხომ შეიძლება, იმ აზრამდე მივიდეს, რომ ამ ცხოვრებაში მისი დანიშნულება ასეთი ადამიანების დასჯაა?

– ასე თქვენი ქმარი ფიქრობს?

– არ ვიცი, ლანსი რა აზრისაა. არაფერს მეუბნება. მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული ვარ – მას მიაჩნია, რომ ამ საქმეში შეშლილის ხელი ურევია, და რომ ეს შეშლილი ოჯახის წევრია. პერსივალი, ჩემი აზრით, სრულიად ჯანმრთელია. ჯენიფერი მოსულელო და, ნაწილობრივ, საბრალო არსებაა. ნერვიულია, მაგრამ ეს არაფერია. რაც შეეხება ელეინს... არსებობენ უცნაური, აკვიატებული აზრის მქონე, აგზნებული ქალიშვილები. ელეინს თავდავიწყებით უყვარს ის ახალგაზრდა კაცი და საკუთარ თავსაც კი არ უტყდება, რომ მისი ცოლად შერთვა მას ფულის გამო სურს.

– თქვენი აზრით, ფულის გამო სურს?

– დიახ. თქვენ ასე არ ფიქრობთ?

– ვიტყოდი, რომ ეს სრულიად შესაძლებელია, – თქვა მის მარპლმა, – როგორც ახალგაზრდა ელისმა შეირთო მერიონ ბეითსი, რკინა-კავეულით მოვაჭრე მდიდარი კაცის ქალიშვილი. უბრალო, უეშმაკო, იმ კაცის სიყვარულით გაბრუებული გოგო იყო. მიუხედავად ამისა, ყველაფერი კარგად დასრულდა. ახალგაზრდა ელისისა და ამ ჯერალდ რაიტის მსგავსი კაცები საშინელ ზნეს ამჟღავნებენ, როდესაც ღარიბ ქალზე ქორწინდებიან. საკუთარ თავს ამ ნაბიჯს ვერ პატიობენ და ჯავრს ისევ ქალზე იყრიან. მაგრამ თუ ცოლად მდიდარ ქალს მოიყვანენ, მას ოჯახურ ცხოვრებაშიც პატივს სცემენ.

– ვერ დავიჯერებ, – განაგრძო სახემოღუშულმა პატმა, – რომ ეს უცხო პირმა გააკეთა. სახლში გამეფებული ატმოსფეროც ამას მოწმობს. ყველა ერთმანეთს უთვალთვალებს. ოღონდ, რაღაც კიდევ მოხდება...

– მეტი მკვლელობა აღარ იქნება, – განაცხადა მის მარპლმა, – ყოველ შემთხვევაში, ასე მგონია.

Scanned by CamScanner

– ამაში დარწმუნებული ვერ იქნებით.

– სიმართლე თუ გნებავთ, თითქმის დარწმუნებული ვარ. მკვლელმა თავის მიზანს მიაღწია.

– მკვლელმა?

– დიახ, კაცმა ან ქალმა. ზოგადად ვთქვი.

– მერედა, რა მიზანი ჰქონდა?

მის მარპლმა თავი გადააქნია – ამაში ბოლომდე დარწმუნებული არ იყო.

თავი ოცდამესამე

I

მის სომერსი კვლავაც ჩაის ამზადებდა მბეჭდავთა ოთახში. აღმოჩნდა, რომ ფერის დასაყენებლად აუდუღარი წყალი გამოეყენებინა. დიახ, ისტორია მეორდება. მის გრიფიტმა ფინჯანი გამოართვა და გაიფიქრა: „აუცილებლად უნდა დაველაპარაკო სომერსის თაობაზე მისტერ პერსივალს. დარწმუნებული ვარ, უკეთესის მოყვანა არ გაჭირდება. თუმცა, სანამ ეს საშინელი საქმე არ დასრულდება, ასეთი წვრილმანით მისი შეწუხება არ ღირს".

როგორც აქამდეც ხშირად მომხდარა, მის გრიფიტმა მკვახედ შენიშნა:

– წყალი კვლავაც აუდუღარია, სომერს!

მის სომერსს სახე შეეფაკლა და ისევე უპასუხა, როგორც ადრე პასუხობდა ხოლმე:

– ღმერთო ჩემო, ამჯერად დარწმუნებული ვიყავი, რომ ადუღდა.

ამ თემის განვითარება ლანს ფორტესქიუს გამოჩენამ შეწყვიტა. მან ოდნავ დაბნეულად მიიხედ-მოიხედა. მის გრიფიტი წამოდგა და სწრაფად მივიდა მასთან.

– მისტერ ლანს! – შესძახა მან.

კაცი მისკენ შეტრიალდა. სახეზე ღიმილი მოეფინა.

– გამარჯობა. აჰ, ეს ხომ მის გრიფიტია.

მის გრიფიტს აღფრთოვანება დაეუფლა. უკანასკნე-

Scanned by CamScanner

ლად ისინი თერთმეტი წლის წინ შეხვდნენ ერთმანეთს, მას კი მისი სახელი არ დავიწყებოდა.

– საოცარია, რომ გახსოვვართ, – ჩაილაპარაკა შეცბუნებულმა.

ლანსმა მხიარულად, მისთვის ჩვეული მომხიბვლელობით მიუგო:

– რა თქმა უნდა, მახსოვხართ.

მბეჭდავი ქალები საგრძნობლად გამოცოცხლდნენ. მის სომერსს მყისვე გადაავიწყდა ჩაისთან დაკავშირებული პრობლემები და პირდაღებული მიაჩერდა ლანსს. მის ბელი ინტერესით შეჰყურებდა ახალმოსულს საბეჭდი მანქანის მეორე მხრიდან. მის ჩეიზმა ფრთხილად ამოიღო საპუდრე და ცხვირის გალამაზებას შეუდგა. ლანს ფორტესქიუმ ოთახს თვალი მოავლო.

– ყველაფერი ისეა, როგორც ადრე იყო, – თქვა მან.

– დიახ, მისტერ ლანს, თითქმის არაფერი შეცვლილა. თქვენ კი მზე მოგკიდებიათ, მხნედ გამოიყურებით. როგორც ჩანს, იქ, საზღვარგარეთ, საინტერესო ცხოვრება გქონდათ.

– ასეც შეიძლება ითქვას, – მიუგო ლანსმა, – ახლა კი ლონდონში შევეცდები საინტერესოდ ცხოვრებას.

– ჩვენს ოფისში ბრუნდებით?

– არც ამას გამოვრიცხავ.

– შესანიშნავია.

– იქ გვარიანად ჩამოვრჩი, – თქვა ლანსმა, – ასე რომ, მის გრიფიტ, ჩემთვის ვითარების გაცნობა მოგიწევთ.

მის გრიფიტმა კმაყოფილებით გაიღიმა.

– შესანიშნავი იქნება, თუ დაბრუნდებით, მისტერ ლანს. მართლა შესანიშნავი იქნება.

ლანსმა ქალს ახედ-დახედა.

– სასიამოვნოა ამის მოსმენა, – თქვა მან, – ძალიან სასიამოვნოა.

– ჩვენ არასდროს გვჯეროდა... არავის გვიფიქრია, რომ... – მის გრიფიტი გაჩუმდა და აილეწა. ლანსმა ხელზე ხელი მოუთათუნა.

Scanned by CamScanner

– რომ ისეთი ავკაცია, როგორც აღწერდნენ? ალბათ, ისეთი არ არის. ასეა თუ ისე, ეს წარსულია და წარსულში დარჩეს. მთავარი – მომავალია, – თქვა მან და დაამატა: – ჩემი ძმა აქ არის?

– თუ არ ვცდები, კაბინეტში უნდა იყოს.

ლანსმა თავი ოდნავ დაუკრა და გზა განაგრძო. „ტაძრის" მისაღებში მის დანახვაზე მაგიდასთან მჯდომი საშუალო ასაკის, მკაცრი შესახედაობის ქალი წამოდგა.

– მითხარით, რა გქვიათ და რა საქმეზე მობრძანდით? – ცივად, შეუვალი ხმით იკითხა მან.

ლანსმა მას ეჭვიანი მზერა მიაპყრო.

– თქვენ... მის გროსვენორი ხართ? – ჰკითხა მან. მას უკვე გაეგო, რომ მის გროსვენორი მომხიბლავი ქერათმიანი ქალი იყო. თვითონაც ენახა მისი ფოტოსურათი გაზეთებში, რომლებიც რექს ფორტესქიუს მკვლელობის გამოძიების შესახებ იუწყებოდნენ. არა, ეს იმ ქალს ნამდვილად არ ჰგავდა.

– მის გროსვენორი წინა კვირას წავიდა სამსახურიდან. მე მისის ჰარდქასლი ვარ, მისტერ პერსივალ ფორტესქიუს პირადი მდივანი.

„ჰო-ო, – გაიფიქრა ლანსმა, – აბა, პერსისგან სხვა რა იყო მოსალოდნელი? საუცხოო ქერათმიანი გაუშვა და მის ადგილას მედუზა გორგონა[1] მოიყვანა. ნეტავ რატომ? ასე უფრო უსაფრთხოა თუ... იაფი?"

– მე ლანსელოტ ფორტესქიუ გახლავართ, – გულთბილად თქვა მან, – ჩვენ ერთმანეთს ჯერ არ შევხვედრივართ.

– ოჰ, მაპატიეთ, ღვთის გულისთვის, მისტერ ლანსელოტ, – მოუბოდიშა მისის ჰარდქასლმა, – ოფისში, თუ არ ვცდები, პირველად ხართ, არა?

– პირველად, მაგრამ არა უკანასკნელად, – ღიმილით მიუგო ლანსმა.

მან ოთახი გადაჭრა და ოდესღაც მამამისის კუთვნილი კაბინეტის კარი შეაღო. მისდა გასაოცრად, მაგიდასთან,

---

[1] *მედუზა გორგონა – მითოლოგიური პერსონაჟი ურჩხული ქალის სახით, რომელსაც თმის ნაცვლად გველები აქვს.*

Scanned by CamScanner

პერსივალის ნაცვლად, ინსპექტორი ნილი იჯდა. ინსპექტორმა მზერა მოსწყვიტა ქალალდების დიდ გროვას, რომელსაც ახარისხებდა, და შემოსულს თავი დაუქნია.

– დილა მშვიდობისა, მისტერ ფორტესქიუ, საკუთარი მოვალეობების გასაცნობად მობრძანდით?

– უკვე შეიტყვეთ, რომ ფირმაში დაბრუნება გადავწყვიტე?

– თქვენმა ძმამ მითხრა.

– მართლა? ეს, ალბათ, აღფრთოვანებით გახარათ, არა?

ინსპექტორმა ნილმა ღიმილი ძლივს შეიკავა.

– აღფრთოვანება არ შემიმჩნევია, – სერიოზული სახით თქვა მან.

– საბრალო პერსი, – ჩაილაპარაკა ლანსმა.

ინსპექტორმა ნილმა მას ცნობისმოყვარეობით შეხედა.

– მართლა გსურთ სიტის საქმიან ადამიანად იქცეთ?

– გაოცებთ ეს გადაწყვეტილება, ინსპექტორო ნილ?

– ვფიქრობ, ეს თქვენს ხასიათს არ შეესაბამება, მისტერ ფორტესქიუ.

– ვითომ რატომ? მე ხომ მამაჩემის შვილი ვარ.

– და დედისაც.

ლანსმა თავი გადააქნია.

– არა, ინსპექტორო, არა მგონია, დედას დავმსგავსებოდი. მას ვიქტორიანული ეპოქისთვის დამახასიათებელ რომანტიკოსს უფრო შევადარებდი. მისი საყვარელი წიგნი ტენისონის „მეფის იდილიები" იყო, როგორც ამას ჩვენი საინტერესო ქრისტიანული სახელების მიხედვით დაასკვნიდით. სუსტი ჯანმრთელობა ჰქონდა და ვფიქრობ, ყოველთვის თავის მოგონილ, პატარა, რეალობას მოწყვეტილ სამყაროში ცხოვრობდა. მე კი ასეთი არ ვარ. ჩემში სენტიმენტალობის ნასახსაც ვერ აღმოაჩენთ, რომანტიზმიც ძალზე მცირე დოზით თუ მაქვს. ერთი სიტყვით, თავიდან ფეხებამდე რეალისტი გახლავართ.

– ზოგჯერ ადამიანებს საკუთარ თავზე მცდარი წარმოდგენა აქვთ, – თქვა ინსპექტორმა ნილმა.

Scanned by CamScanner

– დიახ, ასეც ხდება ხოლმე, – დაეთანხმა ლანსი. იგი საკარძელში ჩაჯდა და ფეხები მისთვის ჩვეული მანერით გაჭიმა. ერთხანს საკუთარ ფიქრებს ულიმოდა, შემდეგ კი მოულოდნელად განაცხადა: – ჩემს უფროს ძმაზე გამჭრიახი ყოფილხართ, ინსპექტორო.

– ასე რატომ ფიქრობთ, მისტერ ფორტესქიუ?

– მე ხომ გვარიანად შევაფუცხუნე პერსი. მან მართლა დაიჯერა, რომ ლონდონის საქმიან ცხოვრებაში ჩაბმა გადავწყვიტე. ფიქრობს, რომ მისი ღვეზლის ნაწილის დათრევას შევეცდები. შიშობს, რომ ფირმის ფულს არარეალურ პროექტებში დავხარჯავ, გიჟური გარიგებებისკენ წავაქეზებ. ამაზე წასვლა თუნდაც იმიტომ ღირს, რომ ამ საბრალოს განცდები ვიხილო. მაგრამ არა. მაინც არა. ყოველდღე ოფისში ტრიალი საჩემო საქმე არაა, ინსპექტორო. მე სუფთა ჰაერი, თავგადასავალი, მრავალფეროვნება მჭირდება. აქ უჰაერობა მომკლავს, – მან სწრაფად დაამატა: – ოლონდ ეს მხოლოდ ჩვენ შორის დარჩეს. თუ შეიძლება, პერსისთან არ გამცეთ, კარგი?

– არა მგონია, მასთან საუბრისას ამ თემამ წამოიწიოს, მისტერ ფორტესქიუ.

– ცოტათი ხომ მაინც უნდა გავაწვალო პერსი, – განაგრძო ლანსმა, – ცოტაოდენი განცდა არ აწყენს. ცოტათი ხომ მაინც უნდა გავსწორდეთ.

– უცნაურია, მისტერ ფორტესქიუ, – გაიკვირვა ნილმა, – ძველი ანგარიში გაქვთ გასასწორებელი?

ლანსმა მხრები აიჩეჩა.

– ეს ძველი ამბავია. რა საჭიროა მისი გახსენება.

– როგორც ვიცი, წარსულში რაღაც ჩეკი არსებობდა. ამას გულისხმობთ?

– ბევრი გცოდნიათ, ინსპექტორო.

– თუ არ მეშლება, საქმე სასამართლომდე არ მისულა, – თქვა ნილმა, – მამათქვენმა არ ისურვა.

– დიახ, არ ისურვა. მან მხოლოდ შორს მომისროლა.

ინსპექტორი ნილი ჩაფიქრებული სახით მისჩერებოდა ლანს ფორტესქიუს, მაგრამ მასზე კი არა, პერსივალზე

Scanned by CamScanner

ფიქრობდა. პატიოსან, შრომისმოყვარე, მომჭირნე პერსივალზე. ყოველთვის, როდესაც ამ საქმეს უღრმავდებოდა, ინსპექტორი პერსივალ ფორტესქიუსთან დაკავშირებულ გამოცანას აწყდებოდა. ამ ადამიანის თვისებები თითქოს ზედაპირზე იდო, მათ შესახებ ყველამ იცოდა. მაგრამ მის შინაგან არსში ჩახედვა არც ისე ადვილი აღმოჩნდა. გარეშე დამკვირვებელი მას უფერულ, უმნიშვნელო, მამის სურვილების უსიტყვო შემსრულებლად მიიჩნევდა. „თავდაჭერილი პერსი", როგორც ერთხელ პოლიციის კომისრის თანაშემწემ აღნიშნა. ახლა ნილი ცდილობდა, ლანსის დახმარებით გაერკვია, ვინ იყო სინამდვილეში პერსივალი. მან ნიადაგის მოსინჯვის მიზნით ჩაილაპარაკა:

– შთაბეჭდილება შემექმნა, რომ თქვენი ძმა... როგორ გითხრათ... მამათქვენი მას თავის ჭკუაზე დაარბენინებდა.

– საინტერესოა, – ლანსი თითქოს ჩააფიქრა ამგვარმა მოსაზრებამ, – საინტერესოა, თუმცა მეეჭვება, ასე ყოფილიყო. ეს მხოლოდ გარეგნული ეფექტია. გამოგიტყდებით, როდესაც წარსულს თვალს ვავლებ, გაოცებული ვრჩები – პერსი ყოველთვის აღწევდა თავისას, თუმცა ამისთვის თითქოს თითსაც არ ანძრევდა.

„ჰო, – გაიფიქრა ინსპექტორმა ნილმა, – ეს მართლა საოცარია". მან მაგიდაზე დაგროვებული ქაღალდები მოქექა, რაღაც წერილი აიღო და ლანსს მიუჩოჩა.

– მისტერ ფორტესქიუ, ეს თქვენ აგვისტოში დაწერეთ, არა?

ლანსმა ფურცელი აიღო, შეათვალიერა და უკან დააბრუნა.

– დიახ, – თქვა მან, – ზაფხულში დავწერე, როდესაც კენიაში დავბრუნდი. მაშასადამე, მამას ის შეუნახავს? სად იდო? აქ ხომ არა, კაბინეტში?

– არა, მისტერ ფორტესქიუ, მას „ურთხლის ქოხში" ნავაწყდით, მამათქვენის ქაღალდებში.

ინსპექტორმა კიდევ ერთხელ ყურადღებით გადაიკითხა წერილი. ეს მოკლე ბარათი იყო.

Scanned by CamScanner

„ძვირფასო მამა,

შენი შემოთავაზება პატთან ერთად განვიხილე და ვიღებ მას. განსაზღვრული დრო მჭირდება ჩემი აქაური საქმეების მოსანესრიგებლად. მათ ოქტომბრის ბოლოსთვის ან ნოემბრის დასაწყისისთვის დავასრულებ. ჩამოსვლის თარიღს მოგვიანებით დაგიზუსტებ. ვიმედოვნებ, ერთმანეთის მიმართ უფრო შემწყნარებლურები ვიქნებით, ვიდრე ეს წარსულში იყო. ყოველ შემთხვევაში, მე, ჩემი მხრიდან, ამას ყოველნაირად ვეცდები. მეტს ვერაფერს გეტყვი. თავს გაუფრთხილდი.

შენი ლანსი".

– სად გაგზავნეთ ეს წერილი, მისტერ ფორტესქიუ? ოფისში თუ „ურთხლის ქოხში"?

ლანსმა შუბლი შეიჭმუხნა და გახსენება სცადა.

– მიჭირს ამის თქმა. არ მახსოვს. მას შემდეგ სამი თვე გავიდა. ვფიქრობ, ალბათ, მაინც ოფისში. დიახ, ასეა, აქ გამოვგზავნე, – თქვა მან და გულწრფელი ცნობისმოყვარეობით დაამატა: – ეს რატომ მკითხეთ?

– მინდოდა, გამერკვია, – მიუგო ინსპექტორმა ნილმა, – რატომ არ დატოვა მამათქვენმა ის აქ, საკუთარ ქალაქებთან, და რატომ წაიღო „ურთხლის ქოხში". მას იქ მივაგენით, საწერ მაგიდაში. საინტერესოა, ასე რატომ მოიქცა?

ლანსს გაეცინა.

– ალბათ, იმიტომ, რომ მისთვის პერსის არ მოეკრა თვალი.

– დიახ, – დაეთანხმა ინსპექტორი ნილი, – ასე ჩანს. მაშასადამე, თქვენს ძმას მამის ქაღალდებზე ხელი მიუწვდებოდა?

– როგორ გითხრათ, – ლანსი შეყოყმანდა და ოდნავ მოიღუშა, – მთლად ასეც არ იყო. ვფიქრობ, მას ნებისმიერ დროს შეეძლო მათში ჩახედვა, თუ მოისურვებდა, მაგრამ...

– ეს არ უნდა გაეკეთებინა, არა? – დაასრულა ინსპექტორმა მისი სათქმელი.

ლანსმა გაიღიმა.

Scanned by CamScanner

– დიახ. რომ არ დაგიმალოთ, ამას ჯაშუშობა ჰქვია. მაგრამ პერსის, როგორც მახსოვს, ეს ყოველთვის ახასიათებდა.

ინსპექტორმა ნილმა თავი დააქნია. თვითონაც ასე ფიქრობდა. ჯაშუშობა სრულად შეესაბამებოდა პერსივალის იმ სახეს, რომელიც ინსპექტორ ნილის გონებაში ჩამოყალიბდა.

– აჰა, ძაღლი ახსენე და ჯოხი ხელში დაიჭირეო, – ჩაილაპარაკა ლანსმა, ვინაიდან სწორედ ამ დროს კარი გაიღო და პერსივალი შემოვიდა. იგი ინსპექტორთან დალაპარაკებას აპირებდა, მაგრამ ლანსის დანახვაზე შეჩერდა და მოიღუშა.

– გამარჯობა, – თქვა მან, – აქ ხარ? არ გაგიფრთხილებივარ, რომ მოსვლას აპირებდი.

– მუშაობის სურვილის მოზღვავება ვიგრძენი, – უთხრა ლანსმა, – ასე რომ, მზად ვარ ფირმის ინტერესებს ვემსახურო. რას მიბრძანებ?

პერსივალმა გაღიზიანებული კილოთი წარმოთქვა:

– ჯერჯერობით არაფერს. აბსოლუტურად არაფერს. ჯერ შენი საქმიანობის სფერო უნდა დავაზუსტოთ, კაბინეტი უნდა გამოგიყოთ.

– სხვათა შორის, ძმაო, – ღიმილით ჰკითხა ლანსმა, – რატომ ამჯობინე მშვენიერ გროსვენორს ცხენივით ქალი?

– გეყოფა, ლანს, – გააპროტესტა პერსივალმა.

– ეს, აშკარად, უარესობისკენ გადადგმული ნაბიჯია, – თქვა ლანსმა, – მოუთმენლად ველოდი, როდის შევხვდებოდი მომხიბლავ გროსვენორს. რატომ დაითხოვე? ფიქრობდი, რომ ძალიან ბევრი იცოდა?

– არა, რა თქმა უნდა. რა სისულელეა! – გაბრაზებით მიუგო პერსივალმა და ფერმკრთალ სახეზე სისხლი მოაწვა. იგი ინსპექტორს მიუბრუნდა, – ჩემს ძმას ყურადღებას ნუ მიაქცევთ, თავისებური იუმორი აქვს, – ცივად თქვა მან და დაამატა: – მის გროსვენორის გონებრივი შესაძლებლობები არასდროს აღმაფრთოვანებდა. მისის ჰარდქასლს კი შესანიშნავი რეკომენდაციები აქვს, საუცხოო მუშაკია და მოკრძალებული მოთხოვნილებებითაც გამოირჩევა.

Scanned by CamScanner

– ძალზე მოკრძალებული მოთხოვნილებებით, – თქვა ლანსმა და თვალები ჭერს მიაპყრო, – უნდა გითხრა, პერსი, რომ თუ თანამშრომლებზე ეკონომიის გაკეთებას აპირებ, მაგ პოლიტიკას ვერ გავიზიარებ. სხვათა შორის, ვინაიდან ამ ტრაგიკულ დღეებში თანამშრომლებმა ფირმისადმი ერთგულება გამოამჟღავნეს, იქნებ ჯობდეს, რომ უკლებლივ ყველას ხელფასი მოვუმატოთ?

– ცხადია, არა, – მოუჭრა პერსივალ ფორტესქიუმ ძმას, – ეს სრულიად უადგილო და უსარგებლოა.

ინსპექტორ ნილს არ გამოჰპარვია ლანსის თვალებში აელვარებული ეშმაკური ნაპერწკლები. განაწყენებულ პერსივალს კი არაფერი შეუმჩნევია.

– შენ ყოველთვის გქონდა უჩვეულო, ექსტრავაგანტური იდეები, – ენის ბორძიკით თქვა მან, – ამჟამად ფირმა ისეთ მდგომარეობაშია, რომ ეკონომია ჩვენი ერთადერთი იმედია.

ინსპექტორმა ნილმა დაძაბულობის მოსახსნელად ჩაახველა.

– სწორედ ამის შესახებ მინდოდა თქვენთან საუბარი, მისტერ ფორტესქიუ, – მიმართა მან პერსივალს.

– დიახ, ინსპექტორო? – პერსივალმა ყურადღება ნილზე გადატანა.

– ჩემს ზოგიერთ მოსაზრებას გაგაცნობთ, მისტერ ფორტესქიუ, – როგორც ვიცი, ბოლო დროის, შესაძლოა, მთელი წლის განმავლობაშიც ძალიან წუხდით მამათქვენის საქციელის გამო.

– კარგად არ იყო, – მტკიცედ განაცხადა პერსივალმა, – ამაში ეჭვი არ მეპარება.

– თქვენ უშედეგოდ ცდილობდით მის დარწმუნებას, რომ ექიმთან მისულიყო. მან კატეგორიულად უარყო თქვენი წინადადება?

– დიახ, კატეგორიულად.

– ხომ არ დაფიქრებულხართ, რომ მამათქვენს ის ავადმყოფობა სჭირდა, რასაც პროგრესულ პარალიზს ეძახიან? მას თან ახლავს ისეთი სიმპტომები, როგორიცაა განდიდე-

Scanned by CamScanner

ბის მანია, გალიზიანება, რასაც, ადრე თუ გვიან, უიმედო შეშლილობამდე მიჰყავს ადამიანი.

პერსივალი გაოცდა.

– ძალზე გამჭრიახი გონება გაქვთ, ინსპექტორო. გამოგიტყდებით, სწორედ ამის მეშინოდა. ამიტომაც ვთხოვდი დაჟინებით ექიმთან მისვლას.

– მისი დაყოლიება ვერ მოახერხეთ, – განაგრძო ნილმა, – ის კი ამასობაში ფირმის გაკოტრებას განაგრძობდა, არა?

– დიახ, ასე გამოდის, – დაეთანხმა პერსივალი.

– ძალზე სამწუხარო ვითარება შეიქმნა, – თქვა ინსპექტორმა.

– საშინელი. არავინ იცის, რამდენი ვინერვიულე ამის გამო.

– თუ საქმის კუთხით შევხედავთ, – მშვიდად განაგრძო ნილმა, – მამათქვენის სიკვდილი ფირმისთვის ხელსაყრელი გამოდგა.

– ვიმედოვნებ, არ ფიქრობთ, რომ მამაჩემის სიკვდილი ასე აღვიქვი, – მკვახედ წარმოთქვა პერსივალმა.

– ამჟამად თქვენს აღქმაზე კი არ ვსაუბრობ, მისტერ ფორტესქიუ, არამედ მხოლოდ საქმის ფაქტობრივ მხარეზე. რომ არა მამათქვენის გარდაცვალება, ფირმა შესაძლოა, გაკოტრებულიყო.

– დიახ, დიახ, – მოუთმენლად თქვა პერსივალმა, – თუ ამ კუთხით შევხედავთ, მართალი ხართ.

– მისტერ ფორტესქიუს სიკვდილით თქვენი ოჯახის ყველა წევრმა იხეირა, ვინაიდან მათი კეთილდღეობა მხოლოდ ფირმის მდგომარეობაზეა დამოკიდებული.

– დიახ. რომ არ დაგიმალოთ, ინსპექტორო, ვერ ვხვდები, საით მიგყავთ ეს საუბარი... – პერსივალი გაჩუმდა.

– სულაც არ მიმყავს სადმე, მისტერ პერსივალ, – თქვა ნილმა, – მხოლოდ სიცხადე შემაქვს ჩვენს ხელთ არსებულ ფაქტებში. კიდევ ერთი საკითხი. თქვენ თქვით, რომ ძმასთან ურთიერთობა მას შემდეგ აღარ გქონიათ, რაც იგი მრავალი წლის წინ ინგლისიდან გაემგზავრა.

– დიახ, ასეა, – დაადასტურა პერსივალმა.

Scanned by CamScanner

– დიახ, მაგრამ არც მთლად ასეა, მისტერ ფორტესქიუ. შარშან, როდესაც მამათქვენის ჯანმრთელობის მდგომარეობამ საგრძნობლად შეგაშფოთათ, ძმას აფრიკაში ნერილი მისწერეთ იმის შესახებ, რომ მამის საქციელის გამო ძალიან წუხდით. როგორც ჩანს, გსურდათ, დაგხმარებოდათ მამის დარწმუნებაში, რომ ექიმისთვის მიემართა ან, აუცილებლობის შემთხვევაში, მისი საქმიანობის სფეროც კი შეგეზღუდათ.

– მე... მე კარგად ვერ გავიგე... – პერსივალი აშკარად დაბნეული ჩანდა.

– მაგრამ ეს ხომ სიმართლეა, მისტერ ფორტესქიუ?

– ვფიქრობდი, რომ ასე უფრო სამართლიანი იქნებოდა. ბოლოს და ბოლოს, ლანსელოტი უმცროსი პარტნიორია.

ინსპექტორმა ნილმა ლანსს გადახედა, რომელსაც პირზე ღიმილი დასთამაშებდა.

– მიიღეთ მისი ნერილი? – იკითხა ინსპექტორმა ნილმა.

ლანს ფორტესქიუმ თავი დააქნია.

– რა უპასუხეთ?

ლანსს სახე გაებადრა.

– ვუთხარი, თავს ნუ ისულელებ და მოხუცს თავი დაანებე-მეთქი. მივნერე, რომ მოხუცმა, ალბათ, მშვენივრად იცოდა, რასაც აკეთებდა.

ინსპექტორმა ნილმა ახლა პერსივალს მიაპყრო მზერა.

– თქვენმა ძმამ სნორედ ასე გიპასუხათ?

– დიახ... შინაარსი ასეთი იყო, ფორმულირება კი – გაცილებით აგრესიული.

– ვიფიქრე, ინსპექტორს დახვენილად ჩამოყალიბებული ვერსიაც დააკმაყოფილებდა, – თქვა ლანსმა და განაგრძო: – რომ არ დაგიმალოთ, ინსპექტორო, ერთ-ერთი მიზეზი, რამაც აქ ჩამოსვლისკენ მიბიძგა, ის იყო, რომ საკუთარი თვალით მენახა, რა ხდებოდა. მამას მცირე ხნით შევხვდი. გულახდილად გეტყვით, განსაკუთრებული ვერაფერი შევამჩნიე. ოდნავ აფორიაქებული ჩანდა, მეტი არაფერი. ყოველ შემთხვევაში, მომეჩვენა, რომ საქმის გაძღოლა შეეძლო. ერთი სიტყვით, აფრიკაში დაებრუნდი, პატს

Scanned by CamScanner

მოველაპარაკე და შინ, ინგლისში დაბრუნება გადავწყვიტე, ადგილზე კი... როგორ გითხრათ... თვალს მივადევნებდი, რომ ყველას წესების დაცვით ეთამაშა.

მან სწრაფად გახედა პერსივალს.

– წინააღმდეგი ვარ, – განაცხადა პერსივალ ფორტესქიუმ, – კატეგორიულად არ ვეთანხმები იმას, რაზეც მიანიშნებ. საქმიდან მამის ჩამოცილებას არ ვაპირებდი. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ვზრუნავდი. ცხადია, მანუხებდა... – იგი გაჩუმდა.

ლანსმა ძმას აღარ დააცალა და განაგრძო:

– შენ საკუთარი ჯიბეების მდგომარეობაც გაწუხებდა, ხომ ასეა? პერსის პატარა ჯიბეების, – იგი წამოდგა და უეცრად სრულიად გარდაიქმნა, – კარგი, პერსი, საკმარისია. მსურდა, შენს ნერვებზე ცოტა მეთამაშა და თავი ისე მომეჩვენებინა, თითქოს აქ დარჩენას ვაპირებდი. არ მინდოდა, ყველაფერი ისე წასულიყო, როგორც შენ გიყვარს – წყნარად და მშვიდად. მაგრამ ეშმაკმა წამიღოს, თუ ასე მოვიქცე. ყელში ამომიხვედი. ისიც კი გულს მირევს, რომ შენთან ერთად ერთ ოთახში ვარ. მთელი ცხოვრება საზიზღარი არსება, პატარა სკუნსი იყავი. გამუდმებით ჯაშუშობდი, მისმენდი, მითვალთვალებდი, ჭორებს მივრცელებდი და წყალს ამღვრევდი. და კიდევ. მტკიცებულება არა მაქვს, მაგრამ ყოველთვის მჯეროდა: ჩეკი, რომლის გამოც ამხელა ამბავი ატყდა, რომლის გამოც აქედან მომისროლეს, შენ გააყალბე. საოცრად უხეიროდ იყო გაყალბებული, თითქოს ყვიროდა: შემომხედეთ, გაყალბებული ვარო! საკმაოდ ცუდი რეპუტაცია მქონდა და ვერაფერს დავამტკიცებდი, მაგრამ ხშირად მიკითხავს საკუთარი თავისთვის: როგორ ვერ მიხვდა მოხუცი, რომ, თუ მისი ხელმოწერის გაყალბებას გადავწყვეტდი, იმასაც მოვახერხებდი, რომ ეს გაცილებით უკეთ გამეკეთებინა.

ლანსი გაცხარდა, ხმას აუმაღლა.

– ასე რომ, პერსი, ამ სულელურ თამაშში მონაწილეობას არ ვაპირებ. გულს მირევს ეს ქვეყანა, ეს საქმიანი ლონდონი, შენნაირი ნვრილფეხა ჩინოვნიკობა, მათი ღია

Scanned by CamScanner

ფერის ზოლიანი შარვლები და შავი პიჯაკები, შემპარავი ხმები, არაფრად ღირებული, სიცრუეზე აგებული ფინანსური საქმეები. გავიყოთ ჩვენი კაპიტალი, როგორც მთავაზობდი, და მე და პატი სხვა ქვეყანაში გავემგზავრებით, იქ, სადაც თავისუფლად სუნთქვა შეიძლება, სადაც თავს ხელფეხშეკრულად არ ვიგრძნობ. ფასიანი ქაღალდების სია ისე შეადგინე, როგორც საჭიროდ მიიჩნევ. შენთვის საუკეთესო და ყველაზე საიმედო აქციები დაიტოვე, ორ, სამ ან სამნახევარპროცენტიან მოგებას რომ მოგიტანს. მე კი მამის ბოლო დროს შეძენილი მომეცი, ანუ საეჭვო, როგორც უწოდებ. შესაძლოა, უმეტესი მათგანი ფარატინა ქაღალდი აღმოჩნდეს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, საბოლოოდ, ერთი ან ორი მათგანი იმხელა მოგებას მოიტანს, რასაც შენი გარანტირებული სამპროცენტიანიდან მთელი ცხოვრების განმავლობაში ვერ მიიღებ. მამა ჭკვიანი და ეშმაკი იყო. რისკზე წასვლის არ ეშინოდა, დიდ ფსონზე თამაშობდა. ზოგჯერ უმართლებდა კიდეც და მოგება ხუთას, ექვსას, შვიდას პროცენტსაც კი აღწევდა. მჯერა მამაჩემის შორსმჭვრეტელობის და მზად ვარ, ბედი ვცადო. რაც შეგეხება შენ, სულმდაბალო ადამიანო...

ლანსი ძმისკენ დაიძრა, მაგრამ ამ უკანასკნელმა მაგიდის მეორე მხარეს, ინსპექტორ ნილის გვერდით გადაინაცვლა.

– კარგი, – თქვა ლანსმა, – თითს არ დაგაკარებ. არ გინდოდა, რომ ამ საქმეში ჩავრთულიყავი, ჰოდა, იყოს ნება შენი. ამაზე აღარ იდარდო.

იგი კარისკენ გაემართა და დაამატა:

– თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვს, „შავი შაშვების“ კონცესიაზეც თანახმა ვარ. თუ ჩვენ წინააღმდეგ მაკენზებმა გაილაშქრეს, მათ აფრიკაში გავიყოლებ.

ოთახიდან გასვლამდე ლანსი შემოტრიალდა და თქვა:

– არა მგონია, შურისძიება ამდენი წლის შემდეგ ყურადღებას იმსახურებდეს, მაგრამ ინსპექტორი ნილი მას, როგორც ჩანს, სერიოზულად მიიჩნევს. ხომ ასეა, ინსპექტორო?

Scanned by CamScanner

– სისულელეა, – თქვა პერსივალმა, – ეს შეუძლებელია!

– მას ჰკითხე, – ურჩია ლანსმა, – დაინტერესდი, რატომ ეკითხება ყველას შავი შაშვებისა და მამაჩვენის ჭვავით სავსე ჯიბის შესახებ.

ინსპექტორმა ნილმა ზედა ტუჩზე თითი მსუბუქად გადაისვა და თქვა:

– მისტერ ფორტესქიუ, ხომ გახსოვთ ზაფხულში შავ შაშვებთან დაკავშირებული ამბავი? მასზე ნამდვილად ღირს დაფიქრება.

– სისულელეა, – გაიმეორა პერსივალმა, – ამდენი წელია, მაკენზების შესახებ არაფერი ისმის.

– მიუხედავად ამისა, – თქვა ლანსმა, – მზად ვარ, დავიფიცო კიდეც, რომ ჩვენ შორის რომელიღაც მაკენზიმ შემოაღწია. მგონი, ინსპექტორიც ასე ფიქრობს.

II

ინსპექტორი ნილი ლანს ფორტესქიუს უკვე ქუჩაში გასვლის შემდეგ დაეწია.

ლანსმა მას მორიდებით გაულიმა.

– ამის გაკეთება არ მინდოდა, მაგრამ უეცრად გავცხარდი და თავი ველარ შევიკავე. თუმცა, ადრე თუ გვიან, ეს მაინც ასე დასრულდებოდა. ახლა პატს უნდა შევხვდე „სავოიში“. ერთი გზა ხომ არ გვაქვს, ინსპექტორო?

– არა, ბეიდონჰითში ვბრუნდები. მაგრამ ჯერ რაღაც უნდა გკითხოთ, მისტერ ფორტესქიუ.

– დიახ?

– როდესაც კაბინეტში შემოხვედით და მე დამინახეთ, გაოცდით. რატომ?

– ალბათ იმიტომ, რომ თქვენს დანახვას არ ველოდი. მეგონა, იქ პერსი დამხვდებოდა.

– განა არ გითხრეს, რომ ის გასული იყო?

ლანსმა მას ცნობისმოყვარეობით შეხედა.

– არა. მითხრეს, კაბინეტში არისო.

– გასაგებია. არავინ იცოდა, რომ გავიდა. კაბინეტს მხოლოდ ერთი კარი აქვს, სამაგიეროდ, პატარა მისაღებიდან

Scanned by CamScanner

კიდევ ერთი კარით დერეფანში შეიძლება გასვლა. როგორც ჩანს, თქვენმა ძმამ სწორედ იმით ისარგებლა, მაგრამ უცნაურია, რომ მისის ჰარდქასლმა არაფერი გითხრათ.

ლანსს გაეცინა.

– ალბათ, ჩაის დასალევად გავიდა.

– დიახ, დიახ... ასე იქნებოდა.

ლანსმა ინსპექტორს შეხედა და ჰკითხა:

– რამე იდეა გაქვთ?

– არა, მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელო საკითხზე ვფიქრობ, მისტერ ფორტესქიუ. სულ ეს არის...

თავი ოცდამეოთხე

I

ბეიდონჰითში მიმავალ მატარებელში მჯდომი ინსპექტორი ნილი „თაიმსში" გამოქვეყნებული კროსვორდის ამოხსნას ცდილობდა, თუმცა თითქმის არაფერი გამოსდიოდა. ფიქრებით სხვაგან იყო, შორს. ახალ ამბებსაც გონებაგაფანტული ეცნობოდა. მიწისძვრა იაპონიაში, ურანის საბადოების აღმოჩენა ტანგანიკაში, საუთჰემპტონთან გამორიყული სავაჭრო გემის მეზღვაურის გვამი, დოკერების უახლოეს მომავალში დაგეგმილი გაფიცვა, ქუჩის მძარცველების მიერ მძიმე ხელკეტებით მოკლული ადამიანები, ახალი წამალი ტუბერკულოზისგან განსაკურნავად.

ამ ნაირგვარმა ინფორმაციამ უცნაურად იმოქმედა მის ტვინზე. იგი კროსვორდს მიუბრუნდა და მყისვე გამოიცნო სამი სიტყვა. სანამ „ურთხლის ქოხს" მიაღწევდა, მის თავში გადაწყვეტილებაც მომწიფდა.

– სად არის ხანში შესული ქალბატონი? – ჰკითხა მან სერჟანტ ჰეის, – ხომ არ წასულა?

– მის მარპლი? არა, ჯერაც აქ არის. ის და ზედა სართულზე მცხოვრები მეორე ხანდაზმული ქალი განუყრელი მეგობრებივით არიან.

Scanned by CamScanner

– გასაგებია, – ნილი ცოტა ხნით გაჩუმდა და კვლავ იკითხა: – ახლა სად არის? მისი ნახვა მინდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მის მარპლი გამოჩნდა, სახე ასწითლებოდა, აჩქარებით სუნთქავდა.

– ჩემი ნახვა გინდოდათ, ინსპექტორო ნილ? ვიმედოვნებ, დიდხანს არ გალოდინეთ. სერჟანტმა ჰეიმ უცებ ვერ მომაგნო. სამზარეულოში მისის კრამპს ვემასლაათებოდი. სწორედ ახლა ვულოცავდი – რა კარგად აცხობთ, როგორი მარჯვე ხელები გაქვთ, გუშინდელი სუფლე ისეთი გემრიელი იყო, თითებს ჩაიკვნეტდით-მეთქი. ყოველთვის ვფიქრობ, რომ საკითხს თანდათანობით უნდა მივუახლოვდეთ. არ მეთანხმებით? ვხვდები, რომ ეს თქვენთვის არც ისე ადვილია. სად გაქვთ აქეთ-იქით სიარულის დრო. იძულებული ხართ, ყველა შეკითხვა ერთ ჯერზე დასვათ. ჩემნაირ მოხუცს კი დრო, რასაკვირველია, თავზე საყრელი აქვს, თანაც ჩვენგან უაზრო ლაქლაქს ელოდებიან. მაგრამ მზარეულის გულისკენ მიმავალი გზა, როგორც იტყვიან, მის საკონდიტრო ნაწარმზე გადის.

– სინამდვილეში კი მასთან გლედის მარტინზე გსურდათ საუბარი, – დააზუსტა ინსპექტორმა ნილმა.

მის მარპლმა თავი დაუქნია.

– დიახ, გლედისის შესახებ. უნდა გითხრათ, რომ მის კრამპმა ბევრი რამ მიამბო გლედისზე. ცხადია, მკვლელობასთან დაკავშირებით არა. ეს არ მიგულისხმია. მისი ბოლოდროინდელი გუნება-განწყობილებისა და მის მიერ ნათქვამი უცნაურობის შესახებ. უცნაურობაში მხოლოდ იმ თემებს ვგულისხმობ, რომლებსაც საუბრის დროს წამოჭრიდა ხოლმე.

– მერედა, ბევრი სასარგებლო რამ მოისმინეთ? – ჰკითხა ინსპექტორმა ნილმა.

– დიახ, – დაუდასტურა მის მარპლმა, – ბევრი სასარგებლო. იმასაც ვიტყოდი, რომ ბევრი საკითხი უფრო გასაგები გახდა. თქვენ?

– ჰოც და არაც, – თქვა ინსპექტორმა ნილმა.

მან დაინახა, რომ სერჟანტი ჰეი ოთახიდან გავიდა, და

Scanned by CamScanner

ეს გაუხარდა კიდეც, ვინაიდან, რბილად რომ ვთქვათ, არცთუ ჩვეულებრივ თემაზე აპირებდა საუბარს.

– ყურადღებით მომისმინეთ, მის მარპლ, – თქვა მან, – სერიოზულად უნდა დაგელაპარაკოთ.

– დიახ, ინსპექტორო ნილ?

– მე და თქვენ, გარკვეულწილად, სხვადასხვა თვალთახედვა გვაქვს, – განაცხადა ინსპექტორმა ნილმა, – არ დაგიმალავთ, მის მარპლ, რომ თქვენ შესახებ სკოტლენდიარდში მსმენია. იქ საკმაოდ ცნობილი პიროვნება ბრძანდებით.

– აბა, რა გითხრათ, – ოდნავი აღელვებით თქვა მის მარპლმა, – ზოგჯერ, უნებურად, ისეთ საქმეში გავეხვევი ხოლმე, რომელიც მე არ მეხება. დანაშაულსა და განსაკუთრებულ შემთხვევებს ვგულისხმობ.

– იქ დიდებული რეპუტაცია გაქვთ, – დაამატა ინსპექტორმა ნილმა.

– ცხადია, სერ ჰენრი ქლითერინგის წყალობით, ჩემი ძველი მეგობარია, – განმარტა მის მარპლმა.

– უკვე მოგახსენეთ, – განაგრძო ნილმა, – რომ მე და თქვენ სხვადასხვა თვალსაზრისს ვიცავთ. მოდი, პირობითად, მათ საღი აზრი და სიგიჟე ვუწოდოთ.

მის მარპლმა თავი ოდნავ გვერდზე გადახარა.

– საინტერესოა, რას გულისხმობთ, ინსპექტორო.

– საქმე ისაა, მის მარპლ, რომ შეგვიძლია მომხდარ მოვლენებს კეთილგონივრულად შევხედოთ. ეს მკვლელობა ხელს აძლევდა ადამიანთა განსაზღვრულ ჯგუფს, განსაკუთრებით კი ერთ-ერთ მათგანს. მეორე მკვლელობაც მისთვის იყო ხელსაყრელი. მესამე მკვლელობა კი მხოლოდ თავის დასაზღვევად ჩაიდინეს.

– მესამეში რომელს გულისხმობთ? – იკითხა მის მარპლმა და თავისი ცისფერი ფაიფურივით ნათელი თვალებით გამომცდელად შეხედა ინსპექტორს. ამ უკანასკნელმა თავი დაუქნია.

– დიახ, შესაძლოა, მართალი ხართ. უნდა გითხრათ, რომ როდესაც კომისრის თანაშემწე ამ მკვლელობების შესახებ

Scanned by CamScanner

მესაუბრებოდა, მის ნათქვამში რაღაც არასწორად მომეჩვენა. კერძოდ, მოვლენათა თანამიმდევრობა. ცხადია, იმ საბავშვო სიმღერაზეც ბევრი ვიფიქრე. მეფე ხაზინაშია, დედოფალი დარბაზში, მოახლე სარეცხს ჰკიდებს.

– დიახ, – თქვა მის მარპლმა, – თუ ლექსს დავუჯერებთ, გლედისი მისის ფორტესქიუს გარდაცვალების შემდეგ უნდა მოეკლათ, არა? მაგრამ ის ხომ მასზე ადრე მოკლეს?

– ვფიქრობ, ასეა, – თქვა ნილმა, – ამაში თითქმის დარწმუნებული ვარ. გვამი მხოლოდ გვიან საღამოს აღმოაჩინეს და ძნელი სათქმელია, რამდენი ხნის წინ მოკლეს მოახლე. მაგრამ, ჩემი აზრით, ეს დაახლოებით ხუთი საათისთვის მოხდა, სხვაგვარად...

– სხვაგვარად, – განაგრძო მის მარპლმა, – იგი ბიბლიოთეკაში მეორე ლანგრის შეტანასაც მოასწრებდა, არა?

– დიახ. მან ჯერ ერთი ლანგრით შეიტანა ჩაი, შემდეგ მეორე აიღო და ჰოლში გაიტანა. ამ დროს ან რაღაც დაინახა, ან გაიგონა. საკითხავია – რა. შესაძლოა, ეს დიუბუა იყო, რომელიც მისის ფორტესქიუს ოთახიდან კიბეზე ეშვებოდა. ან გვერდითი კარიდან ელენ ფორტესქიუს ახალგაზრდა კაცი, ჯერალდ რაიტი შევიდა. ვინც უნდა ყოფილიყო, მან ქალი ბაღში გაიყვანა, ლანგარი კი ჰოლში დარჩა. ამის შემდეგ, სიკვდილი მას სწრაფად ეწვია. გარეთ ციოდა, გლედისს კი თხელი კაბა ეცვა.

– მართალი ბრძანდებით, – დაეთანხმა მის მარპლი, – „მოახლე კი ბაღში სარეცხს ჰკიდებს ქარში" – ეს თავიდანვე არ გამოდიოდა. სარეცხს იგი საღამოს არ დაჰკიდებდა და, ნებისმიერ შემთხვევაში, იძულებული გახდებოდა, პალტო მოეცვა. არა, ეს ყველაფერი კამუფლაჟი იყო, ისევე, როგორც სარეცხის სამაგრი, რათა ყველაფერი ლექსის შინაარსს დამსგავსებოდა.

– დიახ, – დაეთანხმა ინსპექტორი ნილი, – სწორედ აქ იწყება აბდაუბდა. აქედან ჩვენი შეხედულებები ჯერჯეროობით ერთმანეთს აღარ ემთხვევა. არ შემიძლია... უბრალოდ, არ შემიძლია იმ საბავშვო ლექსის გადახარშვა.

Scanned by CamScanner

– მაგრამ ხომ ყველაფერი ემთხვევა, ინსპექტორო? უნდა დამეთანხმოთ, რომ ყველაფერი ემთხვევა.

– დიახ, ემთხვევა, – მძიმედ წარმოთქვა ნილმა, – მაგრამ თანამიმდევრობა დარღვეულია. ლექსის მიხედვით, მესამე მოკლული მოახლე უნდა იყოს. ჩვენთან კი მესამე – დედოფალი მოკლეს. ადელ ფორტესქიუ 17:25-სა და 17:55-ს შორის გამოასალმეს სიცოცხლეს. ამ დროისთვის, ლოგიკურად, გლედისი უკვე მკვდარი იქნებოდა.

– და ეს ყველაფერი არასწორია, არა? – იკითხა მის მარპლმა, – იმ ლექსის მიხედვით, ყველაფერი არასწორია – ეს ძალზე მნიშვნელოვანია, ხომ?

ინსპექტორმა ნილმა მხრები აიჩეჩა.

– შესაძლოა, ძალზე დავწვრილმანდით. ყველა სიკვდილი ლექსის ტექსტს შეესაბამება. მკვლელს სხვა მიზანი, ალბათ, არც ჰქონია. ამ მსჯელობით, მის მარპლ, თქვენს თვალსაზრისს ვიცავდი. ახლა კი ჩემს თვალსაზრისს დავიცავ. შავ შაშვებს, ჭვავსა და მისთანებს გვერდზე გადავდებ და მხოლოდ ფაქტებით, საღი აზრითა და იმ მოტივებით შევიარაღდები, რომელთა გამოც ფსიქიკურად ნორმალური ადამიანები მკვლელობას სჩადიან. თავდაპირველად ვნახოთ, ვის აწყობდა რექს ფორტესქიუს სიკვდილი. ეს ბევრს აძლევდა ხელს, პირველ რიგში კი, მის ვაჟს, პერსივალს. იმ დილით პერსივალი „ურთხლის ქოხში" არ ყოფილა. საწამლავის ჩაყრა ყავაში ან სხვა საჭმელში, რომელიც მამამისმა საუზმეზე მიირთვა, არ შეეძლო. ყოველ შემთხვევაში, თავიდან ასე ვფიქრობდით.

– აჰა, – მის მარპლს თვალები გაუბრწყინდა, – მაშასადამე, ყველაფერი არც საწამლავთან დაკავშირებით ყოფილა გარკვეული. უნდა გითხრათ, რომ ბევრი ვიფიქრე, თუ რით მოწამლეს იგი, რაღაც მოვიფიქრე კიდეც, მაგრამ სამხილი ან ნივთმტკიცება, ცხადია, არ არსებობს.

– ყოველივეს ისე გიამბობთ, როგორც არის, დამალვის საჭიროებას ვერ ვხედავ. ტოქსინი მარმელადის გაუხსნელ ქილაში ჩაყარეს. იგი მაგიდაზე დადგეს და მისტერ ფორტესქიუმ საუზმობისას რამდენიმე კოვზი შეჭამა. მოგვია-

Scanned by CamScanner

ნებით ეს ქილა ვიღაცამ ბუჩქებში მოისროლა, ბუფეტში კი ზუსტად ასეთივე დადგა, ოღონდ მას წინასწარ რამდენიმე კოვზი მარმელადი მოაკლო. ბუჩქებში გადაგდებულ ქილას მიაგნეს და ანალიზის შედეგებიც ხელთ მაქვს. მასში ტოქსინის კვალი აღმოჩნდა.

– აი, თურმე, როგორ მომხდარა, – ჩაილაპარაკა მის მარპლმა, – ყველაფერი მარტივად და ადვილად გაუკეთებიათ.

– „კონსოლიდეითიდ ინვესთმენტსში" საქმე ძალიან ცუდად იყო – განაგრძო ნილმა, – თუ ადელ ფორტესქიუ ქმრის მიერ ნაანდერძევ ასი ათას გირვანქა სტერლინგს წაიღებდა, ფირმა, ალბათ, გაკოტრდებოდა. მისის ფორტესქიუს ქმრის სიკვდილის შემდეგ ერთი თვე მაინც რომ ეცოცხლა, ეს ფული მისთვის აუცილებლად უნდა მიეცათ. ქალს ფირმის პრობლემები სულ არ აინტერესებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ის ერთი თვეც ვერ გაძლო. მოკვდა და მისთვის განკუთვნილი ფული მას გადაეცა, ვისაც მთელი ქონება ერგო მემკვიდრეობით. სხვა სიტყვებით, კვლავ პერსივალ ფორტესქიუს. ყველგან პერსივალ ფორტესქიუა, – ერთგვარი სინანულით განაგრძო ინსპექტორმა, – თუ დავუშვებთ კიდეც, რომ მარმელადში საწამლავის შერევა როგორღაც მოახერხა, დედინაცვლის მოწამვლას ან გლედისის დახრჩობას ვერაფრით შეძლებდა. როგორც მისი მდივანი ამბობს, ხუთ საათზე იგი ჯერაც ლონდონში, თავის სამუშაო კაბინეტში იყო, აქ კი მხოლოდ შვიდისთვის გამოჩნდა.

– ანუ ამ ყველაფრის გაკეთება ძალიან გაუჭირდებოდა, არა? – იკითხა მის მარპლმა.

– ამას, უბრალოდ, ვერ შეძლებდა, – პირქუშად მიუგო ინსპექტორმა ნილმა, – მოკლედ, პერსივალი არაფერ შუაშია, – უეცრად მას თავშეკავებამ და კეთილგონიერებამ უმტყუნა, თანამოსაუბრეც დაავიწყდა და გამწარებულმა წარმოთქვა: – სადაც უნდა წავიდე, სადაც უნდა შევუხვიო, ყველგან ერთ ადამიანს ვაწყდები. პერსივალ ფორტესქიუს! მაგრამ პერსივალ ფორტესქიუს ამის ჩადენა არ შეეძლო, – იგი ოდნავ დამშვიდდა და განაგრძო: – ოჰ, თუმცა

Scanned by CamScanner

არსებობს სხვა შესაძლებლობები, სხვა ხალხი, რომლებსაც არანაკლებ მნიშვნელოვანი მოტივი აქვთ.

– მისტერ დიუბუა, რა თქმა უნდა, – ხაზგასმით წარმოთქვა მის მარპლმა, – და ის ახალგაზრდა მისტერ რაიტი. გეთანხმებით, ინსპექტორო. როცა ხედავ, რომ ვილაცას გვარიანად შეუძლია ხელის მოთბობა, ფხიზლად ყოფნაა საჭირო. ასეთ შემთხვევაში ნდობა ცუდი დამხმარეა.

ინსპექტორს უნებლიეთ გაეღიმა.

– ყოველთვის უარესს ვარაუდობთ, არა? – იკითხა მან.

ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ეს სათნო, ერთი შეხედვით, სუსტი, ხანში შესული ქალი ამ დოქტრინას ქადაგებდა.

– ოჰ, დიახ! – მგზნებარედ შესძახა მის მარპლმა, – ყოველთვის უარესის მჯერა. და რაოდენ სამწუხაროა, რომ ხშირად მართალი ვარ.

– რახან ასეა, – თქვა ინსპექტორმა ნილმა, – მოდი, უარესი ვივარაუდოთ. ეს შესაძლოა, ჩაედინა დიუბუას, ჯერალდ რაიტს (იმ პირობით, რომ ელეინ ფორტესქიუსთან ერთად მოქმედებდა, და მარმელადში საწამლავიც ამ ქალიშვილმა მოათავსა) ან თუნდაც მისის პერსივალს – რატომაც არა? იგი ხომ დანაშაულის ადგილზე იყო. მაგრამ თუ თქვენს „აბდაუბდას" დავეყრდნობით, ჩემ მიერ ჩამოთვლილთაგან არავინ გვაწყობს. ამ ადამიანებს კავშირი არც შავ შაშვებთან აქვთ და არც ჯიბეში ჩაყრილ ჭვავის მარცვლებთან. ეს თქვენი ვერსიაა და არ გამოვრიცხავ, რომ ის სწორია. მაშინ საძიებო წრე მინიმუმამდე მცირდება, არა? უკვე რამდენიმე წელია, მისის მაკენზი ფსიქიატრიულ კლინიკაშია. იგი ვერაფრით მოახერხებდა მარმელადის ქილაში ტოქსინის ან დღის მეორე ნახევარში სასტუმრო ოთახში გამოტანილ ჩაიში ციანიდის ჩაყრას. მისი ვაჟი, დონალდი, დიუნკერკში დაიღუპა. რჩება ქალიშვილი, რუბი მაკენზი. თუ თქვენ მართალი ხართ და მკვლელობათა ჯაჭვს „შავი შაშვების მაღაროს" ძველ ამბავთან მივყავართ, მაშინ რუბი მაკენზი ამ სახლში უნდა იყოს, აქ კი მხოლოდ ერთი ადამიანია, ვისი სახელითაც იგი შესაძლოა, იმალებოდეს.

Scanned by CamScanner

– ვფიქრობ, ზედმეტად კატეგორიული ხართ, – განაცხადა მის მარპლმა.

ინსპექტორმა ნილმა მის სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია.

– მხოლოდ ერთი პიროვნება, – პირქუშად ჩაილაპარაკა ინსპექტორმა ნილმა, წამოდგა და ოთახიდან გავიდა.

II

მერი დოუვი საკუთარ პატარა, ასკეტურად მოწყობილ, მაგრამ მყუდრო სასტუმრო ოთახში იჯდა. როდესაც ინსპექტორმა ნილმა კარზე მიუკაკუნა, ხარჯთაღრიცხვის წიგნს თვალი მოსწყვიტა და მკაფიო ხმით წარმოთქვა:

– შემოდით.

ინსპექტორი შევიდა.

– დაბრძანდით, ინსპექტორო, – უთხრა მის დოუვმა და სკამზე მიუთითა, – თუ შეიძლება, ერთი წუთი დამელოდეთ. თევზით მოვაჭრის თანხაში რაღაც უზუსტობაა და უნდა გადავამოწმო.

ინსპექტორი ნილი უსიტყვოდ აკვირდებოდა, როგორ ათავსებდა ქალი ციფრებს სვეტში. „საოცრად მშვიდია და თავდაჭერილი", – გაიფიქრა მან. აინტერესებდა, – ეს ინტერესი მას თავიდანვე გაუჩნდა, – რა იმალებოდა ამ თავდაჯერებულობის მიღმა. სცადა, მსგავსება ეპოვა მასა და იმ ქალს შორის, სანატორიუმ „ფაინვუდში" რომ ესაუბრა ცოტა ხნის წინ. თმისა და სახის ფერით, შესაძლოა, წააგავდა კიდეც, მაგრამ სახით – არა. ბოლოს მერი დოუვმა თავი ასწია და თქვა:

– დიახ, ინსპექტორო? რით შემიძლია, დაგეხმაროთ?

ინსპექტორმა ნილმა მშვიდად დაიწყო:

– უნდა გითხრათ, მის დოუვ, რომ საქმე, რომელსაც ვიძიებ, რამდენიმე უცნაურობით გამოირჩევა.

– მართლა?

– ჯერ ერთი, გაუგებარია, როგორ აღმოჩნდა მისტერ ფორტესქიუს ჯიბეში ჭვავის მარცვლები.

Scanned by CamScanner

– ამან მეც გამაკვირვა, – მიუგო მერი დოუვმა, – ეს ვერაფრით ამიხსნია.

– შავი შაშვებიც ეჭვს იწვევს. გასულ ზაფხულს ვილაცამ მისტერ ფორტესქიუს საწერ მაგიდაზე ოთხი შავი შაშვი მიუგდო, შაშვები როგორღაც ღვეზელშიც აღმოჩნდა ხბოს ხორცისა და ლორის ნაცვლად. მის დოუვ, თუ არ ვცდები, ორივე ამბავი თქვენი აქ ყოფნის დროს მოხდა, არა?

– დიახ, ახლა გამახსენდა. ყველა ძალიან გააბრაზა ამ უაზრო, ბოროტმა საქციელმა, უფრო სწორად, ორმა საქციელმა.

– შესაძლოა, არც ისე უაზრომ, მის დოუვ. „შავი შაშვების მაღაროს" შესახებ თუ გსმენიათ რამე?

– არა. არასდროს.

– თქვენ ბრძანეთ, რომ მერი დოუვი გქვიათ. ეს თქვენი ნამდვილი სახელია?

მერი დოუვმა წარბები აზიდა. ინსპექტორ ნილს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მის ცისფერ თვალებში მომეტებულ დაძაბულობას ხედავდა.

– რა სასაცილო შეკითხვაა, ინსპექტორო. მიმანიშნებთ, რომ მერი დოუვი ჩემი ნამდვილი სახელი არაა?

– დიახ, – თავაზიანად დაუდასტურა ინსპექტორმა ნილმა, – მიგანიშნებთ, რომ თქვენი ნამდვილი სახელი რუბი მაკენზია.

ქალი მას მიაჩერდა. წამით თითქოს სახე გაუქვავდა და ახლა ის არც პროტესტს გამოხატავდა და არც გაოცებას. „ალბათ, გამალებით ანგარიშობს რამეს", – გაიფიქრა ინსპექტორმა ნილმა. ორიოდე წუთის შემდეგ მის დოუვმა მშვიდი, გულგრილი ხმით წარმოთქვა:

– ჩემგან რას ელოდებით?

– გთხოვთ, მიპასუხოთ. რუბი მაკენზი ხართ?

– უკვე გითხარით, რომ მერი დოუვი მქვია.

– ამის დამტკიცება თუ შეგიძლიათ, მის დოუვ?

– რა ტიპის მტკიცებულება გნებავთ? დაბადების მოწმობა?

– ეგ ან გამოდგება, ან – არა. იქნებ გაქვთ კიდეც მე-

Scanned by CamScanner

რი დოუვის დაბადების მოწმობა. შესაძლოა, მერი დოუვი თქვენი მეგობარი იყო, რომელმაც დიდი ხნის წინ მიაბარა სული უფალს.

– დიახ, ბევრი ვარიანტია, – ქალის ხმაში დაცინვამ გაიელვერა, – თქვენი ნამდვილად არ მშურს, ინსპექტორო – საკმაოდ რთული ამოცანის წინაშე დგახართ.

– გამორიცხული არაა, რომ სანატორიუმ „ფაინვუდში" ამოგიცნონ, – ივარაუდა ნილმა.

– სანატორიუმ „ფაინვუდში"? – მერი დოუვმა კვლავ აზიდა წარბები, – ეს რა სანატორიუმია? სად მდებარეობს?

– ვფიქრობ, ეს მშვენივრად იცით, მის დოუვ.

– გარწმუნებთ, პირველად მესმის.

– და კატეგორიულად უარყოფთ, რომ რუბი მაკენზი ხართ?

– არ მესმის, რაში მჭირდება რამის უარყოფა. ჩემზე კარგად მოგეხსენებათ, ინსპექტორო, რომ იმის დამტკიცება, თითქოს მე ვილაც რუბი მაკენზი ვარ, თქვენი პრობლემაა, – მის ცისფერ თვალებში აშკარად გამოჩნდა დაცინვა. დაცინვა და გამოწვევა. მერი დოუვმა ჯიქურ შეხედა თანამოსაუბრეს და მკაფიოდ წარმოთქვა:

– დიახ, ინსპექტორო, ეს თქვენი პრობლემაა. დაამტკიცეთ, თუ შეგიძლიათ, რომ რუბი მაკენზი ვარ.

თავი ოცდამეხუთე

I

– ის ბებერი ჭრელი კატა გეძებთ, – შეთქმულივით, ჩურჩულით უთხრა სერჟანტმა ჰეიმ ინსპექტორ ნილს, როდესაც ეს უკანასკნელი კიბეზე დაეშვა და ქვევით ჩავიდა.

– დალახვროს ეშმაკმა, – ჩაილაპარაკა ინსპექტორმა ნილმა.

– დიახ, სერ, – მიუგო სერჟანტმა ჰეიმ ისე, რომ სახეზე ნაკვთიც არ შესტოკებია.

Scanned by CamScanner

იგი უკვე ნასვლას აპირებდა, როდესაც ინსპექტორმა ნილმა კვლავ თავისთან მოიხმო.

– ჰეი, გადახედეთ მის დოუვის მოწოდებულ მონაცემებს – სად მუშაობდა და ასე შემდეგ. ყველაფერი გადაამოწმეთ... ჰო, მართლა, რაღაცის დაზუსტებაც მინდა. ახლავე შეუდექით საქმეს.

მან ქაღალდის ფურცელზე რამდენიმე სტრიქონი დაწერა და სერჟანტ ჰეის გადასცა, რომელმაც მკვირცხლად მიუგო:

– დაუყოვნებლივ დავიწყებ, სერ.

როდესაც ბიბლიოთეკას ჩაუარა, ინსპექტორს ლაპარაკის ხმა შემოესმა და შიგნით შეიხედა – იფიქრა, აქ ხომ არ არის მის მარპლიო. ასეც აღმოჩნდა, მაგრამ იგი გაცხოველებით ესაუბრებოდა მისის პერსივალს, თან ქსოვდა, რის გამოც ჩხირების კაკუნი ისმოდა.

– ...ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ქალი მოწოდებით უნდა იყოს მედდა, – მოესმა მას, – კეთილშობილური, ძალზე საპატიო საქმიანობაა.

ინსპექტორმა ნილმა ჩუმად მიხურა კარი. მის მარპლმა იგი აშკარად დაინახა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია.

მოხუცი წყნარი, მშვიდი ხმით განაგრძობდა:

– ერთხელ მაჯა მოვიტეხე და მომხიბლველი მედდა გამომიგზავნეს. ჩემ შემდეგ იგი მისის სპეროუს ვაჟს უვლიდა – მშვენიერ სამხედრო ოფიცერს. მათ შორის რომანი გაჩაღდა და ისინი მალე დაინიშნენ კიდეც. ოჰ, რა რომანი იყო! იქორწინეს, ორი საუცხოო შვილიც შეეძინათ და ბედნიერადაც ცხოვრობდნენ, – მის მარპლმა სენტიმენტალურად ამოიოხრა, – სხვათა შორის, ფილტვების ანთებით იწვა. ამ ავადმყოფობის დროს მოვლას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

– დიახ, დიახ, – დაეთანხმა ჯენიფერ ფორტესქიუ, – მოვლა მთავარია. რა თქმა უნდა, ჩვენს დროში ახალი წამლები სასწაულს ახდენს და ავადმყოფის გამოსაჯანმრთელებლად ხანგრძლივი ბრძოლა აღარაა საჭირო, როგორც ეს ადრე ხდებოდა.

Scanned by CamScanner

– ეჭვი არ მეპარება, ძვირფასო, რომ შესანიშნავი მედდა იყავით, – თქვა მის მარპლმა, – თქვენი რომანიც ასე დაიწყო, არა? თქვენ აქ მისტერ პერსივალ ფორტესქიუს მოსავლელად მოხვედით, ხომ ასეა?

– დიახ, – მიუგო ჯენიფერმა, – დიახ, დიახ... ყველაფერი ასე დაიწყო.

იგი უხალისოდ ლაპარაკობდა, მაგრამ მის მარპლმა ამას ყურადღება არ მიაქცია.

– გასაგებია. ცხადია, მოახლის ჭორების მოსმენა არცთუ კარგი საქციელია, მაგრამ ჩემნაირ მოხუცებს ყოველთვის აინტერესებთ ოჯახის ამბები. რას ვამბობდი? აჰა, დიახ. თქვენამდე აქ სხვა მედდა იყო, არა? შემდეგ ის გააბრუნეს... თუ რაღაც ამგვარი. როგორც ჩანს, უგულოდ ასრულებდა თავის მოვალეობას.

– არა, უსულგულობა არაფერ შუაშია, – თქვა ჯენიფერმა, – მამა თუ ვილაც ახლობელი გაუხდა ავად და მე შევცვალე.

– გასაგებია, – ჩაილაპარაკა მის მარპლმა, – თქვენ კი ერთმანეთი შეგიყვარდათ და ყველაფერი ასე დასრულდა. დიახ, მშვენიერია, მართლა მშვენიერია.

– ამაში დარწმუნებული არ ვარ, – თქვა ჯენიფერ ფორტესქიუმ, – ზოგჯერ ისე მომენატრება ხოლმე საავადმყოფოს პალატა, ისე, რომ...

– დიახ, დიახ, ყველაფერი მესმის. თქვენ ძალიან გიყვარდათ თქვენი საქმე.

– ადრე ამას ვერ ვგრძნობდი, ახლა კი, როცა გამახსენდება... უნდა გითხრათ, რომ ძალიან ერთფეროვანი ცხოვრება მაქვს... ერთ უხალისო დღეს მეორე მოსდევს, ვალი კი მუდამ თავის საქმეშია ჩაფლული.

მის მარპლმა თავი დააქნია.

– ჩვენს დროში მამაკაცებს ნებივრობისთვის არ სცალიათ, – თქვა მან, – დასვენებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, თუნდაც ფულში ცურავდნენ.

– ქალი კი – მეუღლე – მოწყენილობითა და მარტოობით იტანჯება. ხშირად მიფიქრია, ნეტავ აქ არასდროს ჩამოვ-

Scanned by CamScanner

სულიყავი-მეთქი, – ჩაილაპარაკა ჯენიფერმა, – ეჰ, გავბედავ და ვიტყვი, რომ ახია ჩემზე. ეს არ უნდა გამეკეთებინა.

– რა არ უნდა გაგეკეთებინათ, ჩემო კარგო?

– ვალს ცოლად არ უნდა გავყოლოდი. ეჰ, რა გაეწყობა... – მან ღრმად ამოიოხრა, – მოდი, ამაზე აღარ ვილაპარაკოთ.

მის მარპლმა წინააღმდეგობა აღარ გაუწია და ახალ კაბებსა და პარიზულ მოდაზე გადაერთო.

II

– გმადლობთ, რომ საუბარი არ გამაწყვეტინეთ, – უთხრა მის მარპლმა ინსპექტორ ნილს, როდესაც კაბინეტის კარზე დააკაკუნა და მისგან შესვლის ნებართვა მიიღო, – ერთი-ორი პატარა დეტალის დაზუსტება მინდოდა. მაგრამ დიალოგის ბოლომდე მიყვანა ვერ მოვახერხე, – დაამატა მან დანანებით.

– მაპატიეთ, მის მარპლ, – ინსპექტორმა ნილმა მომხიბლავად გაიღიმა, – თუ უხეშად მოგექეცით. კონსულტაციისთვის მოგიწვიეთ, თუმცა ქადაგად დავვარდი და ხმა არ ამოგაღებინეთ.

– ოჰ, არა უშავს, – სწრაფად მიუგო მის მარპლმა, – მაშინ ჯერ კიდევ არ ვიყავი მზად ყველაფრის დასამტკიცებლად. როცა რამეს ვამბობ, მის სისწორეში ოდნავაც არ უნდა მეპარებოდეს ეჭვი. ახლა კი საბოლოოდ ჩამოვყალიბდი და აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ.

– რაში, მის მარპლ?

– რა თქმა უნდა, იმაში, თუ ვინ მოკლა მისტერ ფორტესქიუ. მარმელადი მიხსენეთ თუ არა, ყველაფერი კრიალოსანივით აეწყო: ვინ გააკეთა, როგორ გააკეთა და ასე შემდეგ.

გაოცებულმა ინსპექტორმა ნილმა თვალები აახამხამა.

– მაპატიეთ, – დამნაშავესავით ჩაილაპარაკა მის მარპლმა ასეთი რეაქციის დანახვაზე, – სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ ვახერხებ საკუთარი აზრის მკაფიოდ გამოხატვას.

– მის მარპლ, ჯერ ისიც ვერ გავიგე, რაზე ვსაუბრობთ.

– რახან ასეა, აჯობებს, თავიდან დავიწყო, – თქვა მის

Scanned by CamScanner

მარპლმა, – ცხადია, თუ დრო გაქვთ. ჩემს თვალსაზრისს გაგაცნობთ. უნდა გითხრათ, რომ აქ ბევრ ადამიანს ველაპარაკე, მათ შორის მოხუცებულ მის რემსბოთომს, მისის კრამპსა და მის ქმარს. ეს კაცი, რასაკვირველია, მატყუარაა, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან, როდესაც იცი, რომ შენ წინაშე მატყუარა დგას, საბოლოოდ მაინც იგივე გამოდის. მაგრამ მე ჯერ სატელეფონო ზარებში, ნეილონის წინდებსა და მისთანებში მსურდა გარკვევა.

ინსპექტორმა ნილმა კვლავ გაოცებით აახამხამა თვალები და გაიფიქრა, ეს რა დავიდარაბაში გავეხვიე, რატომ მეგონა, რომ მის მარპლის სახით გონებაგამჭრიახი და სასარგებლო თანაშემწე მეყოლებოდაო. უნდა აღინიშნოს, რომ ინსპექტორი ნილი ყოველთვის გამოირჩეოდა მოსმენის უნარით. სწორედ ამის ხარჯზე აღწევდა იგი წარმატებას თავის საქმიანობაში. ახლაც გადაწყვიტა, რომ მის მარპლისთვის მოესმინა – აბდაუბდას კი ლაპარაკობს, მაგრამ იქნებ მართლა მიაგნო სასარგებლო ინფორმაციასო.

– გისმენთ, მის მარპლ, ბრძანეთ, – თქვა მან, – ოღონდ თავიდან დაიწყეთ, კარგი?

– რა თქმა უნდა, – დაეთანხმა მის მარპლი, – ყველაფერი გლედისიდან დაიწყო. იმას ვგულისხმობ, რომ აქ გლედისის გამო ჩამოვედი. თქვენ თავაზიანად მომეცით მისი ნივთების დათვალიერების უფლება. როდესაც ნეილონის წინდებშიც გავერკვიე და სატელეფონო ზარებშიც, სხვადასხვა დეტალი ერთმანეთს შევაჯერე და ჩემთვის ყველაფერი გაცხადდა. მისტერ ფორტესქიუსა და ტოქსინს ვგულისხმობ.

– თქვენეული ვერსია გაქვთ, თუ ვინ შეურია საწამლავი მისტერ ფორტესქიუს მარმელადს? – იკითხა ინსპექტორმა ნილმა.

– ვერსია არა მაქვს, – მიუგო მის მარპლმა, – დანამდვილებით ვიცი.

ინსპექტორმა მესამეჯერ აახამხამა თვალები.

– ეს, ცხადია, გლედისმა გააკეთა, – განაცხადა მის მარპლმა.

Scanned by CamScanner

თავი ოცდამეექვსე

ინსპექტორმა ნილმა დაჟინებით შეხედა მის მარპლს და თავი ნელა დააქნია.

– იმის თქმა გსურთ, – თქვა მან სკეპტიკურად, – რომ გლედის მარტინმა განზრახ მოკლა რექს ფორტესქიუ? მაპატიეთ, მის მარპლ, მაგრამ ამას არასდროს დავიჯერებ.

– არა, ცხადია, მისი მოკვლა არ უნდოდა, – მიუგო მის მარპლმა, – მაგრამ მან ეს მაინც ჩაიდინა! თვითონ მითხარით, რომ დაკითხვისას იგი ნერვიულობდა და წუხდა. თანაც დამნაშავესავით გამოიყურებოდა.

– მაგრამ არა მკვლელობაში დამნაშავესავით.

– ამაში, რასაკვირველია, გეთანხმებით. როგორც გითხარით, იგი არავის მოკვლას არ აპირებდა, მაგრამ ტოქსინი მარმელადში მაინც შეურია. არც იცოდა, თუ ეს საწამლავი იყო.

– მაშ, რა იყო, მისი აზრით? – კვლავაც უნდობლად იკითხა ინსპექტორმა ნილმა.

– ვფიქრობ, ტოქსინი მას ეგრეთ წოდებული „სიმართლის წამალი" ეგონა, – თქვა მის მარპლმა, – უნდა გითხრათ, ძალზე საინტერესო და ჭკუის სასწავლია ის, რასაც გოგონები გაზეთებიდან ჭრიან და სათუთად ინახავენ. გაგიკვირდებათ, მაგრამ მათი ინტერესის სფერო საუკუნეების განმავლობაში არ იცვლება. სილამაზის საიდუმლო საყვარელი ადამიანის ყურადღების მისაპყრობად, ჯადოქრობა, ავგაროზები და ათასგვარი უცნაურობა. ახლა ეს ყველაფერი ერთადაა თავმოყრილი „მეცნიერების" სათაურის ქვეშ. აღარავის სჯერა ჯადოქრების, აღარავის სჯერა, რომ რომელიღაც გრძნეული ჯადოსნურ ჯოხს აიქნევს და ბაყაყად გადააქცევს. მაგრამ თუ გაზეთში წაიკითხავთ, რომ ჯირკვლების გადანერგვით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ქსოვილების შეცვლა და ბაყაყისთვის დამახასიათებელი თავისებურებების განვითარება შეიძლება, დაიჯერებთ. გლედისმა გაზეთში „სიმართლის წამლის" შესა-

Scanned by CamScanner

ხებ წაიკითხა და ცხადია, ყველაფერი დაიჯერა, როდესაც მან უთხრა, აი, ეს არის ის წამალიო.

– ვინ უთხრა? – ვერ მიხვდა ინსპექტორი ლანსი.

– ალბერტ ევანსი, – მიუგო მის მარპლმა, – ეს, რა თქმა უნდა, ნამდვილი სახელი არ არის. მაგრამ ზაფხულში კურორტზე მათ ნამდვილად გაიცნეს ერთმანეთი. კაცმა მას თავბრუ დაახვია, თავი შეაყვარა, ვფიქრობ, უსამართლობასთან, დევნასა და მისთანებთან დაკავშირებული ამბავიც უამბო. ყოველ შემთხვევაში, აზრი ასეთი იყო: რექს ფორტესქიუმ რაღაც შესცოდა, ახლა კი უნდა მოენანიებინა და წართმეული დაებრუნებინა. დეტალები, ცხადია, არ ვიცი, ინსპექტორო ნილ, მაგრამ დედაარსში დარწმუნებული ვარ. მან გლედისი დაიყოლია, რომ აქ დაეწყო მუშაობა. ჩვენს დროში ეს არცთუ რთულია, ვინაიდან შინამოსამსახურეების აშკარა ნაკლებობაა, თანაც ისინი გამუდმებით იცვლებიან. გლედისი დასთანხმდა, შემდეგ მათ შეხვედრაზე მოილაპარაკეს. ბოლო ღია ბარათზე ხომ ასე ეწერა: „არ დაგავინყდეს ჩვენი შეხვედრის შესახებ". დანიშნულ დღეს მათ გეგმას უნდა გაემართლებინა. ევანსმა გლედისს საწამლავი მისცა და უბრძანა, მარმელადის ზედა ფენაში შეერია, რათა მისტერ ფორტესქიუს ის საუზმობისას ეჭამა. ევანსმა მას ფორტესქიუს პიჯაკის ჯიბეში ჭვავის მარცვლებიც ჩააყრევინა. არ ვიცი, ამის აუცილებლობა როგორ დაუსაბუთა, მაგრამ თავიდანვე გაგაფრთხილეთ, ინსპექტორო, გლედისი ძალიან მიმნდობი გოგონა იყო-მეთქი. რაც უნდა ეთქვა მისთვის წარმოსადეგ, მომხიბლავ კაცს, ყველაფერს დაიჯერებდა.

– განაგრძეთ, – ჩაილაპარაკა ინსპექტორმა ნილმა განცვიფრებული ხმით.

– ჩანაფიქრი, ალბათ, ასეთი იყო, – თქვა მის მარპლმა, – გლედისი მისტერ ფორტესქიუს დილით მიაღებინებდა წამალს, რომელიც ორ საათში ამოქმედდებოდა. ამ დროისთვის ალბერტი მას ოფისში მიადგებოდა, მისტერ ფორტესქიუ ყველაფერს აღიარებდა და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ.

Scanned by CamScanner

წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავარდა საბრალო გოგო, როცა შეიტყო, რომ მისტერ ფორტესქიუ მოკვდა.

– იგი ამას ჩვენ არ დაგვიმალავდა, – შეეპასუხა ინსპექტორი ნილი.

– რა გითხრათ მან დაკითხვაზე შემოსვლისთანავე? – სწრაფად ჰკითხა მის მარპლმა.

– მე ეს არ ჩამიდენიაო, – მიუგო ინსპექტორმა ნილმა.

– ხომ ხედავთ, – თქვა მის მარპლმა საზეიმო ხმით, – ნუთუ ვერ ხვდებით, რომ იგი სხვა ვერაფერს იტყოდა? გლედისს უბრალო ნივთიც რომ გასტყდომოდა, მაშინვე ამბობდა: „მე არ ჩამიდენია, მის მარპლ, არ ვიცი, ეს როგორ მოხდაო". მისნაირი საბრალო ადამიანები საკუთარ თავს ვერაფერს უხერხებენ. როდესაც რამეს დააშავებენ, საშინლად განიცდიან და თავში მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებთ – ოღონდ არ დამსაჯონო. ნუთუ გგონიათ, რომ შეშინებული ახალგაზრდა ქალიშვილი, რომელმაც ვიღაც მონამლა, თანაც წინასწარი განზრახვის გარეშე, ყველაფერს მაშინვე აღიარებდა? ეს ხომ მის ბუნებას ეწინააღმდეგებოდა.

– დიახ, – ჩაილაპარაკა ნილმა, – ალბათ, მართალი ხართ.

მან გლედისთან საუბარი გაიხსენა. ქალიშვილი ნერვიულობდა, შეშფოთებული ჩანდა, დამნაშავესავით იყურებოდა, თვალები აქეთ-იქით გაურბოდა. ერთი სიტყვით, ძალზე საეჭვოდ იქცეოდა. მაგრამ ეს ყველაფერი ზოგჯერ შესაძლოა, ბევრს ნიშნავდეს, ზოგჯერ კი – არაფერს. არა, საკუთარ თავს ვერ უსაყვედურებდა, რომ არასწორი დასკვნა გააკეთა.

– შესაძლებელია, თავდაპირველად მან ყველაფრის უარყოფა გადაწყვიტა, – განაგრძო მის მარპლმა, – შემდეგ, როგორც ჩანს, გარკვევა სცადა, თუმცა თავგზა აბნეოდა. ვფიქრობ, დაასკვნა – ალბერტმა არ იცოდა, თუ ეს ძლიერმოქმედი საწამლავი იყო, ან შეცდომით დიდი დოზა მისცა. იქნებ მისი გადარჩენა, გამართლება სურდა. დაელოდა, როდის დაუკავშირდებოდა კაცი. ისიც, ცხადია, დაუკავშირდა. ტელეფონით.

– ეს დანამდვილებით იცით? – სწრაფად ჰკითხა ნილმა.

Scanned by CamScanner

მის მარპლმა თავი გადააქნია.

– არა, ეს ჩემი ვარაუდია. ცნობილია, რომ იმ დღეს რამდენჯერმე დარეკეს. ვიღაც რეკავდა, მაგრამ, როდესაც ყურმილს კრამპი ან მისი ცოლი იღებდა, არ პასუხობდა. სხვაგვარად ვერც მოიქცეოდა. ბოლოს ყურმილი გლედისმა აიღო. მათ მოილაპარაკეს და შეხვედრაზე შეთანხმდნენ.

– გასაგებია, – თქვა ნილმა, – მიგაჩნიათ, რომ სწორედ იმ დღეს მოკლეს გლედისი.

ამჯერად მის მარპლმა თავი ენერგიულად დააქნია.

– დიახ, ამის მტკიცებულებაც არსებობს. მის კრამპი მართალია. ქალიშვილმა თავისი საუკეთესო ნეილონის წინდები და ფეხსაცმელი ჩაიცვა. აშკარად ვიღაცასთან შესახვედრად ემზადებოდა. ოღონდ ამისთვის შორს წასვლა არ სჭირდებოდა. კაცი „ურთხლის ქოხში" აპირებდა მოსვლას. ამიტომაც იყო გლედისი მთელი დღე მოუსვენრად, წამდაუწუმ აქეთ-იქით იყურებოდა, შენელებულად მოძრაობდა, საქმის გაკეთებას დროულად ვერ ასწრებდა. როდესაც ჰოლში მეორე ლანგარი გაიტანა, ევანსმა, ვფიქრობ, გვერდითი კარიდან დაუძახა. ქალმა ლანგარი დადგა და გარეთ გავიდა.

– სადაც კაცმა იგი დაახრჩო კიდეც, – დაასრულა ინსპექტორმა ნილმა.

მის მარპლმა ტუჩები მოკუმა.

– მას ამისთვის ერთ წუთზე მეტი არ დასჭირდებოდა, – თქვა მან, – ცოცხალს ვერ დატოვებდა – ვაითუ, რამე წამოეყრანტალებინა? აი, ასე მოკვდა საბრალო, გულუბრყვილო, სულელი გოგონა. შემდეგ კაცმა მას ცხვირზე სარეცხის სამაგრი გაუკეთა! – განრისხებული ხმით შესძახა მის მარპლმა, – რათა ყველაფერი ძველებურ ლექსს დამსგავსებოდა. ჭვავის მარცვლები, შავი შაშვები, ხაზინა, თაფლი და სარეცხის სამაგრი – ნისკარტით ცხვირში წვდომასთან დაკავშირებით უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა.

– და ყველაფერი იმით დასრულდება, რომ მას ბროდმურში[1] გაგზავნიან და სახრჩობელაზე ვერ ავიყვანთ, ვი-

---

[1] *ბროდმური – ფსიქიატრიული საავადმყოფო ინგლისში.*

Scanned by CamScanner

ნაიდან შეშლილად გამოაცხადებენ! – აუჩქარებლად წარმოთქვა ინსპექტორმა.

– მე კი ვფიქრობ, რომ მოახერხებთ სახრჩობელაზე მის აყვანას, – თქვა მის მარპლმა, – ის შეშლილი არ არის, ინსპექტორო, სულაც არ არის შეშლილი!

ინსპექტორმა ნილმა დაჟინებით შეხედა ქალს.

– მომისმინეთ, მის მარპლ. თქვენ საკუთარი ვერსია გამაცანით. დიახ, დიახ, მართალია, ამბობთ, დანამდვილებით ვიციო, მაგრამ ეს მხოლოდ ვერსიაა. ამტკიცებთ, რომ ყველა ეს დანაშაული იმ ადამიანმა ჩაიდინა, რომელიც საკუთარ თავს ალბერტ ევანსს უწოდებს; რომ მან გლედისი კურორტზე გაიცნო და საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენა. ამ ალბერტ ევანსს უნდოდა, შური ეძია წლების წინ „შავი შაშვების მალაროში" მომხდარ ამბავთან დაკავშირებით. მაშასადამე, თქვენი აზრით, მისის მაკენზის ვაჟი, დონ მაკენზი, დიუნკერკში არ მომკვდარა, ჯერაც ცოცხალია და ეს ყველაფერი მისი ნამოქმედარია?

ინსპექტორ ნილის გასაოცრად, მის მარპლმა თავი ენერგიულად გადააქნია.

– არა, რას ამბობთ! – შესძახა მან, – არა! მსგავსს არაფერს ვამტკიცებ. ნუთუ ვერ მიხვდით, ინსპექტორო, რომ შავი შაშვები კვალის ასარევად მან გამოიყენა, ვისაც მათ შესახებ სმენოდა? თუმცა შავი შაშვები მართლა დაუყარეს მისტერ ფორტესქიუს და ღვეზელშიც ჩატენეს... ეს, ცხადია, იმ ადამიანმა გააკეთა, ვინც იცოდა ის ამბავი და შურისძიებას აპირებდა. მაგრამ შურისძიება მხოლოდ მისტერ ფორტესქიუს დაშინებას, აფორიაქებასა და მისთვის სიმშვიდის დარღვევას ისახავდა მიზნად. არ მჯერა, ინსპექტორო, რომ ბავშვებს თავიდანვე სიძულვილი ჩაუნერგეს, რომელსაც ისინი წლების განმავლობაში თან დაატარებდნენ და შესაფერის მომენტს ეძებდნენ შურისძიებისა და რევანშისთვის. ბოლოს და ბოლოს, ბავშვებსაც აქვთ საკმარისი ჭკუა. მაგრამ თუ ვინმეს მამა გააბითურეს და სასიკვდილოდ გაწირეს, შესაძლოა, ამ ადამიანს სურვილი გაუჩნდეს, რომ მას, ვინც ეს, სავარაუდოდ, ჩაიდინა, სამა-

Scanned by CamScanner

გიერო ბოროტი ხუმრობით გადაუხადოს. ვფიქრობ, ასეც მოხდა, მკვლელმა კი ამით ისარგებლა.

– მკვლელმა, არა? – თქვა ინსპექტორმა ნილმა, – კარგი, მის მარპლ, აბა მკვლელის შესახებაც გამაცანით თქვენი მოსაზრება. ვინ არის იგი?

– არ გაგიკვირდებათ, – მიუგო მის მარპლმა, – ყოველ შემთხვევაში, ძალიან არ გაგიკვირდებათ, როგორც კი შეიტყობთ, ვინ არის იგი, – ცხადია, ჩემი აზრით, – მაშინვე დამეთანხმებით. მიხვდებით, რომ სწორედ მას შეეძლო ამ მკვლელობების ჩადენა. ის ძალზე საღად მოაზროვნე და უაღრესად ნიჭიერი ადამიანია, მაგრამ მიზნის მისაღწევად უკან არაფერზე იხევს. რასაკვირველია, მან ეს მკვლელობები ფულის, ვფიქრობ, ბევრი ფულის გამო ჩაიდინა.

– პერსივალ ფორტესქიუ? – თითქმის ვედრებით იკითხა ინსპექტორმა ნილმა, თუმცა იცოდა, რომ ცდებოდა. პერსივალ ფორტესქიუ ნამდვილად არ ჰგავდა მის მარპლის მიერ დახატულ პორტრეტს.

– ოჰ, არა, – თქვა მის მარპლმა, – პერსივალი არა. ლანსი.

თავი ოცდამეშვიდე

I

– შეუძლებელია, – თქვა ინსპექტორმა ნილმა.

იგი სკამის საზურგეზე გადაწვა და აღფრთოვანებით მიაჩერდა მის მარპლს. ქალმა სიმართლე თქვა – მას არ გაჰკვირვებია. მის მიერ ნათქვამი სიტყვა შეუძლებლობას კი არა, შესაძლებლობას უფრო ნიშნავდა. ლანს ფორტესქიუ ზედმიწევნით შეესაბამებოდა მის მარპლის მიერ აღწერილ პიროვნებას. მაგრამ ვერაფრით წარმოიდგენდა, თუ ყველა შეკითხვის პასუხი ლანსი იქნებოდა.

მის მარპლი ოდნავ წინ გადაიხარა და ისე, როგორც პატარა ბავშვს უხსნიან მიმატებისა და გამოკლების წესებს, მშვიდად და დამაჯერებლად შეუდგა საკუთარი მოსაზრების გადმოცემას.

Scanned by CamScanner

– უნდა გითხრათ, რომ იგი მუდამ ასეთი, ანუ ცუდი იყო. საშინლად ცუდი, მაგრამ ყოველთვის მიმზიდველი. განსაკუთრებით ქალებისთვის. თავი მშვენივრად უმუშავებს, რისკის გაწევისაც არ ეშინია. ყოველთვის ალალბედზე მოქმედებდა, რაშიც საკუთარი მომხიბვლელობაც უწყობდა ხელს – ადამიანები მასზე კარგს ფიქრობდნენ და არა ცუდს. ზაფხულში აქ მამის სანახავად ჩამოვიდა. ვერაფრით დავიჯერებ, რომ მამამისმა წერილი მისწერა ან თავისთან მოუხმო... ამის ნივთმტკიცება არა გაქვთ, ხომ ასეა? – იკითხა მან და გაჩუმდა.

ნილმა თავი გადააქნია.

– არა, იმის მტკიცებულება, რომ მამამ გამოიძახა, არა მაქვს. არსებობს წერილი, რომელიც ვითომდა ლანსმა მამამისს მისწერა. მაგრამ მას შეეძლო, ის მის ქაღალდებში ჩამოსვლის დღეს მოეთავსებინა.

– მარჯვე სვლაა, – თქვა მის მარპლმა და თავი დააქნია, – არ გამოვრიცხავ, რომ აქ მამასთან შესარიგებლად ჩამოფრინდა, მაგრამ მისტერ ფორტესქიუმ ეს არ მოინდომა. გაითვალისწინეთ, რომ ლანსი ცოტა ხნის წინ დაქორწინდა, მანამდე კი მწირი შემწეობით ირჩენდა თავს. ცხადია, თვითონაც შოულობდა ფულს, თუმცა, არა მგონია, ეს პატიოსანი გზით გაეკეთებინა. მას ძალიან შეუყვარდა პატი, საყვარელი, სასიამოვნო ქალიშვილი, და რესპექტაბელური, წყნარი ცხოვრებისკენ გაუწია გულმა, – მეყოფა აქეთ-იქით ხეტიალიო, – ეს კი, მისი აზრით, ბევრ ფულს ნიშნავდა. „ურთხლის ქოხში" ჩამოსვლის შემდეგ, როგორც ჩანს, შავი შაშვების შესახებ შეიტყო. შესაძლოა, მამისგან. შესაძლოა, ადელისგან. სწრაფად მოისაზრა, რომ, ვინაიდან მათ სახლში მაკენზის ქალიშვილი ცხოვრობდა, მამის მკვლელობას მას ადვილად დააბრალებდა. დიახ, დიახ, როდესაც ლანსი მიხვდა, რომ მამას სასურველ თანხას ვერ დასცინცლავდა, ცივსისხლიან არსებასავით გადაწყვიტა მისი მოკვლა. შესაძლოა, დაასკვნა, რომ მამამისი... არცთუ ჯანმრთელად იყო, და შეშფოთდა, ვაითუ, მთელი ფული გაფლანგოს და ჯიბეგაფხეკილი დავრჩეო.

Scanned by CamScanner

– მან იცოდა მამის ავადმყოფობის შესახებ, თანაც ძალიან კარგად, – შენიშნა ინსპექტორმა ნილმა.

– აჰა... თუ ასეა, ეს ბევრ რამეს ნათელს ჰფენს. აქეთ – მამის სახელი, რექსი, იქით – დაყრილი შავი შაშვები. ლანსმა საკმაოდ მახვილგონივრული სვლა მოიფიქრა – გადაწყვიტა, მკვლელობა ძველებური საბავშვო ლექსისთვის მიესადაგებინა და ამ საქმეში მაკენზების ძველი მუქარა და შურისძიებაც ჩაერთო. ასე ადელსაც მოიცილებდა თავიდან და ასი ათასი გირვანქა სტერლინგიც ოჯახში დარჩებოდა. მაგრამ მესამე პერსონაჟიც უნდა გამოეძებნა – „მოახლე კი ბაღში, სარეცხს ჰკიდებს ქარში". ალბათ, სწორედ მაშინ ჩამოაყალიბა საბოლოოდ თავისი მზაკვრული გეგმა. უდანაშაულო თანამონაწილეს სამუდამოდ დაადუმებდა და მხილების საფრთხეს თავიდან აიცილებდა. თანაც იმას მიიღებდა, რაც ასე ძლიერ უნდოდა – საუცხოო ალიბის პირველ მკვლელობასთან დაკავშირებით. დანარჩენი ადვილი იყო. სადგურიდან ხუთი საათისთვის მოვიდა, სწორედ მაშინ, როდესაც გლედისი მეორე ლანგრით ხელში ჰოლში გავიდა. გვერდით კარს მიუახლოვდა, ქალი დაინახა და დაუძახა. მის გაგუდვასა და გვამის სახლის უკან გათრევას, სადაც სარეცხის თოკები ეკიდა, რამდენიმე წუთში შეძლებდა. შემდეგ მთავარი შესასვლელიდან კარზე ზარი დარეკა, სახლში შევიდა და ოჯახის წევრებთან ერთად ჩაი დალია. ცოტა ხნით მის რემსბოთომთან ავიდა. კიბეზე ჩამოსვლისას სასტუმრო ოთახში შეიხედა. როდესაც დაინახა, რომ ადელი მარტო იჯდა და ბოლო ფინჯან ჩაის მიირთმევდა, დივანზე მიუჯდა და, სანამ ქალი ლაპარაკობდა, მოახერხა და ჩაიში ციანიდი ჩაუყარა. ეს არ უნდა გასჭირვებოდა – საწამლავი ხომ თეთრია და შაქარს ჰგავს. დავუშვათ, საშაქრისკენ ხელი გაიწვდინა, იქიდან ვითომ შაქრის ნატეხი ამოიღო და ჭიქაში ჩაუგდო. შემდეგ შუბლზე ხელი იტკიცა და თქვა: „ოჰ, ეს რა ვქენი, შემთხვევით თქვენს ჭიქაში ჩავაგდე". ქალმა უპასუხა, რომ არა უშავდა, კოვზით მოურია და დალია. აი, ასე – მარტივი და გაბედული გადაწყვეტილება მიიღო. გაბედულება კი არ აკლდა.

Scanned by CamScanner

ინსპექტორმა ნილმა აუჩქარებლად წარმოთქვა:

– გულწრფელად გეტყვით, რომ ეს შესაძლებელია... დიახ, შესაძლებელია. მაგრამ ვერ გამიგია... მართლა ვერ გამიგია, მის მარპლ, სანაცვლოდ რისი მიღების იმედი ჰქონდა. ჩვენ ხომ ვიცით – მოხუცი ფორტესქიუ რომ არ მომკვდარიყო, ფირმა, ალბათ, გაკოტრდებოდა. ნუთუ ლანსი ისეთ დიდ წილს ფლობდა, რომ მისი გულისთვის სამმაგ მკვლელობაზე უღირდა წასვლა? არა მგონია. მართლა არა მგონია.

– დიახ, გეთანხმებით, ეს არცთუ მარტივად ასახსნელია. კიდევ ერთი ამოცანაა. მომისმინეთ... – მის მარპლმა დაეჭვებით შეხედა ინსპექტორს, – მითხარით... ფინანსურ საკითხებში ცუდად ვერკვევი... მაგრამ ნუთუ „შავი შაშვების მაღარო" ასეთი უვარგისი ადგილია?

ნილი ჩაფიქრდა. მეხსიერებაში ცალკეული ფრაზები და შთაბეჭდილებები ამოუტივტივდა და ერთიან სურათად იქცა. ლანსი თანახმაა, პერსივალი ნაკლებად პერსპექტიული, თითქმის უსარგებლო აქციებისგან გაათავისუფლოს. დღეს, ლონდონში ყოფნისას, პერსივალს უთხრა, რომ, თუ თანახმა იყო, „შავი შაშვების მაღაროსაც" წაიღებდა და მასთან დაკავშირებულ შემზარავ მოგონებებსა და შურისძიების მუქარასაც. ოქროს მაღარო. უსარგებლო ოქროს მაღარო. მაგრამ იქნებ სულაც არ იყო უსარგებლო? ნილი უხალისოდ გამოუტყდა საკუთარ თავს – ალბათ, ასეც არისო. ბებერ რექს ფორტესქიუს ეს არ შეეშლებოდა. იქნებ ბოლო დროს იქ სხვა რამეს მიაგნეს? სად მდებარეობს ეს მაღარო? ლანსმა განაცხადა, დასავლეთ აფრიკაშიო. მაგრამ ვიღაცამ – მის რემსბოთომმა ხომ არა? – აღმოსავლეთი აფრიკა ახსენა. იქნებ ლანსმა აღმოსავლეთი დასავლეთით განზრახ, ინსპექტორის შეცდომაში შესაყვანად შეცვალა? მართალია, მის რემსბოთომი მოხუცი იყო და, შესაძლოა, მეხსიერებაც ღალატობდა, ვერც იმას გამორიცხავდა, რომ სიმართლეს სწორედ ის ამბობდა და არა ლანსი... აღმოსავლეთი აფრიკა. ლანსი ხომ იქიდან ჩამოვიდა. იქნებ მას ახალი მონაცემები ჰქონდა?

Scanned by CamScanner

მოულოდნელად იმ თავსატეხში, რომლის ამოხსნასაც ამაოდ ცდილობდა, ახალი ნატეხი დადგა თავის ადგილას. გაახსენდა, რა წაიკითხა „თაიმსში" მატარებლით მგზავრობისას: „ტანგანიკაში აღმოჩენილი ურანის საბადო". იქნებ ურანის საბადო ყოფილი „შავი შაშვების მაღაროს" ტერიტორიაზეც აღმოაჩინეს? მაშინ ყველა შეკითხვა ქრებოდა. აფრიკაში ყოფნისას ლანსმა ერთ-ერთმა პირველმა შეიტყო ურანის საბადოების შესახებ და მიხვდა, რომ ეს უდიდესი სიმდიდრე იყო. უზარმაზარი! ინსპექტორმა ამოიოხრა და მის მარპლს შეხედა.

– თქვენი აზრით, ამის დამტკიცებას მოვახერხებ? – ჰკითხა საყვედურის კილოთი.

მის მარპლმა თავი გამამხნევებლად დაუქნია – სწორედ ასე იქცევიან ხოლმე დეიდები, როდესაც მათი დისშვილი სერიოზული გამოცდის ჩასაბარებლად მიდის.

– თქვენ ამას დაამტკიცებთ, – თქვა მან, – ვინაიდან ჭკვიანი, ძალიან ჭკვიანი ადამიანი ხართ, ინსპექტორო ნილ. ახლა უკვე იცით, ვინ არის მკვლელი. შეაგროვეთ სამხილები, ნივთმტკიცებულებები. მაგალითად, კურორტზე იგი, შესაძლოა, ფოტოსურათის მიხედვით ამოიცნონ. საინტერესოა, როგორ ახსნის იმ ფაქტს, რომ ერთი კვირის განმავლობაში ალბერტ ევანსის სახელით ცხოვრობდა?

„დიახ, ლანს ფორტესქიუ ნიჭიერი და უსინდისო ადამიანია. მაგრამ უგუნურიც ყოფილა. ძალზე წინდაუხედავად მოიქცა. მე მას დავიჭერ!" – გაიფიქრა ინსპექტორმა ნილმა და დაეჭვებით შეხედა მის მარპლს.

– სხვათა შორის, ეს ყველაფერი ზეპირსიტყვიერებაა, – თქვა მან.

– დიახ... მაგრამ თქვენ ხომ დარწმუნებული ხართ?

– ვფიქრობ, ასეა. ბოლოს და ბოლოს, მისნაირებს ადრეც შევხვედრივარ.

მოხუცმა ლედიმ თავი დაუქნია.

– დიახ... ძალიან ჰგავს განსაზღვრული კატეგორიის ხალხს... ამიტომაც ვარ ასე დარწმუნებული.

ნილმა მას ეშმაკურად შეხედა.

Scanned by CamScanner

– ვინაიდან დამნაშავეთა სამყაროს კარგად იცნობთ.

– ოჰ, არა... რა თქმა უნდა, არა. პატის გამო... მშვენიერი ქალიშვილია... ასეთები, რატომღაც, ყოველთვის არამზადებს მისთხოვდებიან ხოლმე. ამიტომაც მიიქცია მან ჩემი ყურადღება თავიდანვე.

– გულში დარწმუნებული ვარ, – თქვა ნილმა, – მაგრამ ბევრი რამ არის ასახსნელი... მაგალითად, რუბი მაკენზისთან დაკავშირებით. მზად ვარ დავიფიცო, რომ...

მის მარპლმა გააწყვეტინა.

– სრულიად მართალი ხართ. მაგრამ სხვა ქალზე ფიქრობთ. მისის პერსის გაესაუბრეთ.

II

– მისის ფორტესქიუ, – მიმართა ინსპექტორმა ნილმა ჯენიფერს, – თქვენი ქალიშვილობის გვარს ხომ ვერ მეტყოდით?

– ოჰ! – შესძახა ჯენიფერმა. იგი აშკარად დამფრთხალი ჩანდა.

– სანერვიულო არაფერი გაქვთ, მადამ, – უთხრა ინსპექტორმა ნილმა, – თუმცა აჯობებს, სიმართლე თქვათ. ვფიქრობ, გათხოვებამდე რუბი მაკენზი გერქვათ, ასეა, არა?

– ჩემი... მე... მე... ოჰ, ღმერთო ჩემო... მერე რა, თუნდაც ასე იყოს? – თქვა მისის პერსივალ ფორტესქიუმ.

– არაფერი, – თავაზიანად მიუგო ინსპექტორმა ნილმა და განაგრძო: – რამდენიმე დღის წინ დედათქვენს ველაპარაკე სანატორიუმ „ფაინვუდში".

– ჩემზე ძალიან ბრაზობს, – ამოიოხრა ჯენიფერმა, – დიდი ხანია, მასთან აღარ ვყოფილვარ – როგორც კი თვალს მომკრავს, ლამის გაცოფდეს. საბრალო დედა, ვერ წარმოიდგენთ, როგორ ერთგულობდა მამაჩემს.

– აღზრდისას შურისძიების გრძნობას გინერგავდათ?

– დიახ, – მიუგო ჯენიფერმა, – ბიბლიაზე გვაფიცებდა, რომ ამას არასდროს დავივიწყებდით, და ერთ მშვენიერ დღეს სიცოცხლეს გამოვასალმებდით. მაგრამ როდესაც საავადმყოფოში მივედი და პრაქტიკული მუშაობა

Scanned by CamScanner

დავიწყე, მაშინვე მივხვდი, რომ ნორმალური ფსიქიკური მდგომარეობა არ ჰქონდა.

– მისის ფორტესქიუ, ნუთუ არასდროს შეუპყრიხართ შურისძიების სურვილს?

– რა თქმა უნდა, კი. თუ სამართლიანად განვსჯით, მამაჩემი რექს ფორტესქიუმ მოკლა! ცხადია, ტყვია არ დაუხლია, დანა არ დაურტყამს და ასე შემდეგ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მამა სასიკვდილოდ გაწირა. განა ეს ერთი და იგივე არაა?

– მორალური თვალსაზრისით – დიახ.

– მისთვის სამაგიეროს გადახდა მინდოდა, – თქვა ჯენიფერმა, – როდესაც ჩემი მეგობარი მისი ვაჟის მოვლას შეუდგა, ვთხოვე, რომ ჩემთვის ადგილი გაეცვალა. კონკრეტული გეგმა არ მქონია... გეფიცებით, ინსპექტორო, რექს ფორტესქიუს მოკვლა გულში არასდროს გამივლია. შესაძლოა, ქვეცნობიერად ვფიქრობდი, მის შვილს ისე მოვუვლი, სიკვდილის პირას მივიყვან-მეთქი. მაგრამ ნამდვილი მედდა ასე ვერ მოიქცევა. სხვათა შორის, ვალის გადარჩენა არც ისე ადვილი აღმოჩნდა. იგი ძალიან მომეჩვია და ხელიც მთხოვა... მაშინ გავიფიქრე, რომ ეს გაცილებით ჭკვიანური შურისძიება იქნებოდა – მისტერ ფორტესქიუს უფროს ვაჟზე დაქორწინება და იმ ფულის დაბრუნება, უსინდისო გზით რომ დასტყუა მამაჩემს. გადავწყვიტე, ასე მოვქცეულიყავი.

– გეთანხმებით, – თქვა ინსპექტორმა ნილმა, – ასე გაცილებით უკეთესია. მითხარით, – დაამატა მან, – შავი შაშვები მაგიდასა და ღვეზელში თქვენი ნამოქმედარია?

მისის პერსივალი გაწითლდა.

– დიახ, ცხადია, სისულელე ჩავიდინე... მაგრამ ერთხელ მისტერ ფორტესქიუ ატრაბახდა, როგორ აბითურებდა დოყლაპიებს, ყველაფერს სცინცლავდა და ჯიბეგაფხეკილს ტოვებდა. და ამას კანონის დაურღვევლად აკეთებდა. სწორედ მაშინ მომინდა მისი... დაშინება. დავაშინე და თანაც როგორ! საშინელ ხასიათზე დადგა, – მან აღელვე-

Scanned by CamScanner

ბით განაგრძო: – მეტი არაფერი გამიკეთებია! არ გატყუებთ, ინსპექტორო. ნუთუ... ნუთუ სერიოზულად ფიქრობთ, რომ ვინმე მოვკალი?

– არა, – ღიმილით მიუგო ინსპექტორმა ნილმა, – არ ვფიქრობ. ჰო, მართლა, – განაგრძო მან, – ამას წინათ მის დოუვს რაღაც თანხა გადაეცით?

ჯენიფერი გაშრა.

– როგორ გაიგეთ?

– ჩვენ ბევრი რამ ვიცით, – განაცხადა ინსპექტორმა ნილმა, გულში კი გაივლო: „და ბევრ რამეს ვხვდებით".

ჯენიფერმა სხაპასხუპით მიაყარა:

– ის ჩემთან მოვიდა და მითხრა: „ინსპექტორი ეჭვობს, რომ რუბი მაკენზი მე ვარ. თუ ხუთას გირვანქა სტერლინგს მომცემ, ამაში არ გადავარწმუნებ. მაგრამ თუ გაიგებს, რომ რუბი მაკენზი შენ ხარ, მისტერ ფორტესქიუსა და ადელის მკვლელობაში დაგადანაშაულებს". რა უნდა მექნა? როგორღაც მოვახერხე და ფულს თავი მოვუყარე – პერსივალს ხომ ვერაფერს ვეტყოდი. მან ახლაც არ იცის, ვინ ვარ. ამიტომ ნიშნობის ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი და ძალიან ლამაზი ყელსაბამი, მისტერ ფორტესქიუს საჩუქარი, გავყიდე.

– ნუ წუხხართ, მისის ფორტესქიუ, – თქვა ინსპექტორმა ნილმა, – ვიმედოვნებ, ფულს დაგიბრუნებთ.

III

მეორე დღეს ინსპექტორი ნილი კიდევ ერთხელ შეხვდა მის მერი დოუვს.

– მის დოუვ, – თქვა მან, – ხომ არ გსურთ, მისის პერსივალ ფორტესქიუს ის ჩეკი დაუბრუნოთ, რომელზეც მან ხუთასი გირვანქა სტერლინგი გამოგიწერათ?

თქვა და კმაყოფილება იგრძნო, როცა დაინახა, როგორ შეიცვალა მის დოუვი – მისი ხაზგასმული მედიდურობა უკვალოდ გაქრა.

– მაშასადამე, იმ სულელმა ყველაფერი გიამბოთ, – ჩაილაპარაკა მან.

Scanned by CamScanner

– დიახ. ეს შანტაჟია, მის დოუვ, საკმაოდ სერიოზული ბრალდება.

– ამას შანტაჟს არ დავარქმევდი, ინსპექტორო. ვფიქრობ, ჩემ წინააღმდეგ საქმის აღძვრა გაგიჭირდებათ. უბრალოდ, მისის პერსივალს დავეხმარე, მან კი ასე დამაფასა.

– კარგი, მის დოუვ, თუ ჩეკს გადმომცემთ, ყველაფერი ძველებურად დარჩება.

მის დოუვმა ჩეკების წიგნაკი და ავტოკალამი ამოიღო.

– ძალიან სამწუხაროა, – თქვა მან და ამოიოხრა, – ფული ძალიან მჭირდებოდა.

– როგორც ვხვდები, ახალი სამუშაო ადგილის ძებნას იწყებთ, არა?

– დიახ. ამ ადგილმა იმედი ვერ გამიმართლა. ყველაფერი ცუდად აეწყო.

ინსპექტორმა ნილმა, თანხმობის ნიშნად, თავი დაუქნია.

– დიახ, რთულ ვითარებაში აღმოჩნდით. ჩვენ ხომ ნებისმიერ ნუთს შეგვეძლო, თქვენი წარსულით დავინტერესებულიყავით, არა?

მერი დოუვმა, რომელსაც თავდაჯერებულობა დაჰბრუნებოდა, წარბები ასწია.

– გარწმუნებთ, ინსპექტორო, ჩემს წარსულში შავ ლაქებს ვერ აღმოაჩენთ.

– მართალს ბრძანებთ, – ღიმილით დაეთანხმა ინსპექტორი ნილი, – თქვენ წინააღმდეგ არაფერი გვაქვს, მის დოუვ. მხოლოდ ერთი საინტერესო დამთხვევაა: ბოლო სამი სახლი, სადაც ასე სანიმუშოდ მუშაობდით, თქვენი წასვლიდან სამი თვის შემდეგ გაიძარცვა. აღმოჩნდა, რომ ქურდებმა შესანიშნავად იცოდნენ, სად ინახებოდა წაულას ქურქები, ძვირფასეულობა და ასე შემდეგ. საინტერესო დამთხვევაა, არა?

– ინსპექტორო, დამთხვევა ხშირად ხდება ხოლმე.

– ოჰ, დიახ, – თქვა ნილმა, – ხდება ხოლმე. მაგრამ ისინი ძალზე ხშირად არ უნდა ხდებოდეს, მის დოუვ. გავბედავ და ვივარაუდებ, – დაამატა მან, – რომ მომავალში კიდევ შევხვდებით.

Scanned by CamScanner

– უზრდელობაში არ ჩამომართვათ, ინსპექტორო ნილ, – მიუგო მის დოუვმა, – მაგრამ, ვიმედოვნებ, რომ ეს აღარ მოხდება.

თავი ოცდამეერვე

I

მის მარპლმა ჩემოდანში ჩალაგებულ ტანსაცმელს ხელი გადაუსვა, შალის მოსასხამის გადმოვარდნილი ბოლოც შიგნით მოათავსა და თავი დაახურა. შემდეგ საძინებელს თვალი მოავლო. არა, არაფერი ავიწყდებოდა. კრამპი შემოვიდა და ნივთები წაიღო. მის მარპლმა გვერდით ოთახში შეიხედა მის რემსბოთომთან დასამშვიდობებლად.

– ვშიშობ, – თქვა მან, – სათანადო პატივი ვერ მოგაგეთ საუცხოო სტუმართმოყვარეობისთვის. ვიმედოვნებ, ამას ოდესმე მაპატიებთ.

– ჰა, – მიუგო მის რემსბოთომმა.

იგი, ჩვეულებისამებრ, პასიანსს შლიდა.

– შავი ვალეტი, წითელი ქალი, – ჩაიბურტყუნა მან და ალმაცერად გახედა მის მარპლს, – როგორც ჩანს, ყველაფერი გაარკვიეთ, რაც გინდოდათ, – დაამატა მან.

– დიახ.

– და პოლიციის ინსპექტორსაც, ალბათ, ყველაფერი მოუყევით, არა? რას იტყვით, მოახერხებს დამნაშავის მხილებას?

– ამაში თითქმის დარწმუნებული ვარ, – მიუგო მის მარპლმა, – შესაძლოა, უცებ ვერ შეძლოს, მაგრამ მაინც მოახერხებს.

– არაფერს გკითხავთ, – განაგრძო მის რემსბოთომმა, – გამჭრიახი ქალი ხართ. ამას მაშინვე მივხვდი, როგორც კი დაგინახეთ. არ გინყრებით იმის გამო, რაც გააკეთეთ. ბოროტება – ბოროტებაა და ის უნდა დაისაჯოს. ამ ოჯახში ცუდი მემკვიდრეობაა. მადლობა ღმერთს, ჩვენი ხაზით – არა. ჩემი და, ელვირა, სულელი იყო. მაგრამ მეტი არაფერი.

Scanned by CamScanner

შავი ვალეტი, – გაიმეორა მის რემსბოთომმა და კარტისკენ თითი გაიშვირა, – ლამაზია, ოღონდ შავი გული აქვს. სწორედ ამის მეშინოდა. ხდება ხოლმე – იცი, რომ ცოდვილია, მაგრამ მაინც გიყვარს. რაც გნებავთ, თქვით, თავაზიანობა კი ნამდვილად არ აკლია. მეც კი თავს მევლებოდა... მომატყუა დროის შესახებ, როდესაც იმ დღეს ჩემგან წავიდა. აღარ შევეკამათე, თუმცა მაშინვე ვიეჭვე, რომ რაღაც ისე არ იყო... დღემდე ვერ მომინელებია... მაგრამ ის ხომ ჩემი ელვირას შვილია – როგორ გამეცა იგი? თქვენ კი, ჯეინ მარპლ, სამართლიანი ქალი ხართ, და სამართლიანობამ უნდა იზეიმოს. მხოლოდ მისი ცოლი მეცოდება.

– მეც, – მხარი აუბა მის მარპლმა.

პატ ფორტესქიუ მას ჰოლში ელოდებოდა.

– გული მწყდება, რომ მიბრძანდებით, – თქვა მან, – ძალიან დამაკლდებით.

– წასვლის დროა, – ჩაილაპარაკა მის მარპლმა, – საქმე, რომელმაც აქ მომიყვანა, უკვე დავასრულე. ვერ ვიტყვი, რომ სასიამოვნო იყო. მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ბოროტებამ არ გაიმარჯვოს.

პატმა მას გაოცებით შეხედა.

– თქვენი არ მესმის.

– ვიცი, ჩემო კარგო. მაგრამ ოდესმე გაიგებთ. გავბედავ და რაღაცას გირჩევთ: თუ თქვენს ცხოვრებაში რაღაც ისე არ წავა, იქ დაბრუნდით, სადაც ბედნიერი ბავშვობა გაატარეთ. ირლანდიას დაუბრუნდით, ძვირფასო. თქვენს ცხენებსა და მწევრებს. ყველაფერს, რაც თქვენთვის ძვირფასია.

პატმა თავი დაუქნია.

– ზოგჯერ ვფიქრობ: რა სამწუხაროა, ფრედის სიკვდილის შემდეგ ირლანდიაში რომ არ დავბრუნდი-მეთქი. მაგრამ მაშინ, – მას ხმა შეეცვალა, დაუთბა, – ლანსს ვერ შევხვდებოდი.

მის მარპლმა ამოიოხრა.

– უნდა გითხრათ, რომ აქ დარჩენას აღარ ვაპირებთ, – თქვა პატმა, – როგორც კი ყველაფერი გაირკვევა, აღმოსავლეთ აფრიკაში გავემგზავრებით. ძალიან მიხარია.

Scanned by CamScanner

– ღმერთმა დაგლოცოთ, ჩემო კარგო, – უთხრა მის მარპლმა, – ცხოვრების გზაზე სიარულს ცოტა გამბედაობა როდი სჭირდება. ვფიქრობ, თქვენ ის გაქვთ.

მან ქალიშვილს ხელი ხელზე მოუთათუნა და სადარბაზო კარიდან გავიდა. გარეთ ტაქსი ელოდებოდა.

II

მის მარპლი შინ გვიან საღამოს მივიდა. კიტიმ, სენტ-ფეიტსის ობოლთა თავშესაფრის ბოლო აღსაზრდელმა, კარი გაუღო და გახარებულმა შესძახა:

– მის, ვახშმად ქაშაყი მოგიმზადეთ. როგორ მიხარია, რომ დაბრუნდით. სახლში სისუფთავე და წესრიგია. მე აქ გენერალური წმენდა ჩავატარე.

– შესანიშნავია, კიტი, მეც ძალიან მიხარია, რომ დავბრუნდი.

ლავგარდნის ქვეშ მის მარპლმა ექვსი აბლაბუდა დათვალა. „ოჰ, ეს ქალიშვილები, – გაიფიქრა მან, – აბა, რა უნდა თავის ანევას. თუმცა, არა უშავს. როგორც ჩანს, ცდილობდა მაინც". მან გოგონას არაფერი უთხრა.

– მის, თქვენი წერილები ჰოლშია, მაგიდაზე. ერთ-ერთი მათგანი შეცდომით დეიზიმიდში მოხვედრილა. ასე ხშირად ხდება. მსგავსი სახელწოდებებია. დეინი და დეიზი. ისეთი ოკრობოკრო ნაწერია, რომ ეს არც გამკვირვებია. ოჯახის წევრები სადღაც გამგზავრებულან, სახლი კი დაუკეტავთ. ახლა დაბრუნდნენ და წერილიც გადმოგზავნეს. ამბობენ, ვიმედოვნებთ, მნიშვნელოვანი არაფერი იყოო.

მის მარპლმა ფოსტას გადახედა. წერილი, რომელიც კიტიმ ახსენა, ზემოდან იდო. ბატიფეხურმა ნაწერმა მის მარპლს წარსულის მოგონებები გაუღვიძა... მან კონვერტი გახსნა და კითხვას შეუდგა:

„ძვირფასო მადამ!

ვიმედოვნებ, მაპატიებთ, რომ გწერთ, მაგრამ თავგზა ამებნა, გულში კი ცუდი არასდროს გამივლია. ძვირფასო

Scanned by CamScanner

მადამ, ალბათ წაიკითხავდით გაზეთებში მკვლელობის შესახებ. მაგრამ მე არაფერ შუაში ვარ, თითქმის არაფერში. განა შემიძლია, ასეთი ბოროტმოქმედება ჩავიდინო და ადამიანს სიცოცხლე მოვუსწრაფო. ეს არც მას შეუძლია, დარწმუნებული ვარ. ალბერტზე მოგახსენებთ. მაპატიეთ, რომ ასე უთავბოლოდ გწერთ, მაგრამ ჩვენ ერთმანეთი ზაფხულში გავიცანით და დაქორწინებასაც ვაპირებდით, მაგრამ ბერტს ეს არ შეუძლია, რადგან იგი მისტერ ფორტესქიუმ გააბითურა. მისტერ ფორტესქიუმ განაცხადა, რომ არაფერი იცის. მას დაუჯერეს, ბერტს კი არა, ვინაიდან ის მდიდარია, ბერტი კი ღარიბი. მაგრამ ბერტს მეგობარი ჰყავს – იგი იქ მუშაობს, სადაც ახალ წამლებს ამზადებენ. მათ სიმართლის წამალი შექმნეს. შესაძლოა, წაიკითხეთ კიდეც მის შესახებ გაზეთში. თურმე, ვინც მას დალევს, სიმართლეს ილაპარაკებს, თუნდაც ეს არ უნდოდეს. ბერტს უნდოდა, რომ 31 ოქტომბერს მისტერ ფორტესქიუს ოფისში მისულიყო თავის ადვოკატთან ერთად, მე კი მისთვის საუზმეზე წამალი უნდა შემეპარებინა. მათი მისვლის დროისთვის, იგი მოქმედებას დაიწყებდა და მისტერ ფორტესქიუ აღიარებდა, რომ ბერტი სიმართლეს ამბობდა. ეს წამალი, მადამ, მარმელადში მოვათავსე, ის კაცი კი მოკვდა. ვფიქრობ, მოსალოდნელზე ძლიერმოქმედი წამალი აღმოჩნდა, მაგრამ ბერტი არაფერ შუაშია. ახლა ეს რომ პოლიციას ვუთხრა, იფიქრებენ, რომ მან ეს განზრახ გააკეთა, თუმცა მე ხომ ვიცი, რომ ასე არაა. ოჰ, მადამ, არ ვიცი, როგორ მოვიქცე. სახლში პოლიცია დადის. ყველაფერს ათვალიერებენ, ყველას შეკითხვებს უსვამენ, მკაცრად იყურებიან. საშინელებაა. ბერტიც არ რეკავს. ოჰ, მადამ, იქნებ მოსულიყავით და დამხმარებოდით. ისინი მოგისმენენ. თქვენ ხომ ყოველთვის თბილად მექცეოდით. ცუდის გაკეთება არ მინდოდა. არც ბერტს უნდოდა. იქნებ ჩამოხვიდეთ და ამ უბედურებას გადაგვარჩინოთ.

პატივისცემით,

გლედის მარტინი.

Scanned by CamScanner

P.S. თან ვურთავ ჩემი და ბერტის ფოტოსურათს. ვიღაც ბიჭმა გადაგვიღო კურორტზე და მომცა. ბერტმა არ იცის, რომ მაქვს – არ უყვარს, როდესაც სურათს უღებენ. მაგრამ ხომ ხედავთ, მადამ, როგორი ლამაზია".

მის მარპლმა ტუჩები მოკუმა და მზერა ფოტოსურათს მიაპყრო. ქალიშვილი და ახალგაზრდა კაცი ერთმანეთს შესცქეროდნენ. გლედისი გულის ამაჩუყებელი აღფრთოვანებით იყურებოდა. გვერდით მუქთმიანი, ლამაზი, მოღიმარი ლანს ფორტესქიუ ედგა.

მის მარპლს ექოსავით ჩაესმა პათეტიკური ნერილის ბოლო სიტყვები: „ხომ ხედავთ, მადამ, როგორი ლამაზია".

მის მარპლს თვალზე ცრემლი მოადგა. მაგრამ შემდეგ წამს სიბრალული მრისხანებამ შეცვალა – მრისხანებამ გულქვა მკვლელის მიმართ.

ბოლოს სიბრალულიცა და მრისხანებაც სიამაყის ტალღამ განდევნა – ასე მეცნიერი ამაყობს, რომელმაც ყბის ძვლის ფრაგმენტითა და რამდენიმე კბილით წარმატებით აღადგინა გადაშენებული ცხოველის სახე.

Scanned by CamScanner

სარჩევი

თავი პირველი 5
თავი მეორე 10
თავი მესამე 23
თავი მეოთხე 28
თავი მეხუთე 42
თავი მეექვსე 45
თავი მეშვიდე 50
თავი მერვე 56
თავი მეცხრე 65
თავი მეათე 71
თავი მეთერთმეტე 77
თავი მეთორმეტე 87
თავი მეცამეტე 97
თავი მეთოთხმეტე 111
თავი მეთხუთმეტე 122
თავი მეთექვსმეტე 129
თავი მეჩვიდმეტე 139
თავი მეთვრამეტე 148
თავი მეცხრამეტე 155
თავი მეოცე 162
თავი ოცდამეერთე 169
თავი ოცდამეორე 178
თავი ოცდამესამე 183
თავი ოცდამეოთხე 197
თავი ოცდამეხუთე 206
თავი ოცდამეექვსე 211
თავი ოცდამეშვიდე 216
თავი ოცდამერვე 225

Scanned by CamScanner

პალიტრა L გირჩევთ

აგათა კრისტი

სიკვდილი ნილოსზე

ლინეტ რიჯუეის ბედნიერებისთვის საჭირო ყველაფერი ჰქონდა – სიმდიდრე, სილამაზე, გონიერება და დიდგვაროვანი საქმრო, მაგრამ არ ჰქონდა სიყვარული და იპოვა – საუკეთესო მეგობრის, ჯეკის შეყვარებული, საიმონ დოილი.

მაგრამ სიყვარულმა მას მხოლოდ სიკვდილი მოუტანა.

ვინ მოკლა ლინეტ დოილი – ქმარმა თუ შეყვარებულისგან მიტოვებულმა ჯეკიმ, ან იქნებ საეჭვო წარსულის მქონე რამდენიმე მგზავრთაგან რომელიმემ?

სახელგანთქმულ დეტექტივსა და მის მეგობარ პოლკოვნიკს ამ თავსატეხის ამოხსნა მოუწევთ.

აგათა კრისტი



მესამე გოგონა

ლონდონში, ნაქირავებ ბინაში, სამი გოგონა ცხოვრობს. ერთი მდივანია, მეორე მხატვარი, მესამე კი, ნორმა რესტარიკი, ორმაგი ცხოვრებით ცხოვრობს. სწორედ ის მიმართავს პუაროს დახმარებისთვის – ამ, ერთი შეხედვით, ნერვიულ, გონებადაფანტულ გოგონას ჰგონია, რომ ადამიანი მოკლა, მაგრამ არ იცის ვინ, როდის და სად...

და ასპარეზზე კვლავ პატარა ბელგიელი – სახელგანთქმული მაძებარი გამოდის. ამჯერად მეტისმეტად ჩახლართული საქმე უნდა გამოიძიოს – მოხდა თუ არა მართლაც მკვლელობა და ვინ არის ნამდვილი მკვლელი? მესამე გოგონა თუ ვილაც სხვა, რომელსაც მდიდარი მემკვიდრის თავიდან მოშორება სურს? იქნებ მკვლელი ნორას თაყვანისმცემელია, მეტსახელად „ფარშავანგი"?

Scanned by CamScanner

აგათა კრისტი

და აღარავინ დარჩა

განმარტოებულ კუნძულზე ერთმანეთთან არაფრით დაკავშირებული ათი ადამიანი მიწ-ვევით ჩადის, მაგრამ... მასპინძლები არსად ჩანან. სასტუმრო ოთახში, ლანგარზე, ფაიფურის ათი პატარა ინდიელის ფიგურა დევს, ხოლო სტუმრების საძინებლებში მხიარული საბავშ-ვო ლექსია გაკრული.

ნეტავ რას მიანიშნებენ მასპინძლები სტუმ-რებს? ან არსებობენ კი? ვინ კლავს ერთიმეო-რის მიყოლებით სტუმრებს და რატომ ქრება თითოეული მკვლელობის შემდეგ თითო ინდი-ელის ფიგურა? – ამ კითხვებზე პასუხს ზღვაში გადაგდებული წერილი გასცემს.

აგათა კრისტი

მრუდე სახლი



ერთ უცნაურ, „მრუდე“ სახლში უცნაური, მაგრამ ძალიან მდიდარი ოჯახი ცხოვრობს. ოჯახის უფროსი რესტორნებისა და სასტუმ-როების დიდი ქსელის მფლობელია და ერთ მშვენიერ დღეს... ის მკვდარი იპოვეს. სავარაუ-დოდ, მონამლეს.

ამ დიდი ოჯახის ყველა წევრს ჰქონდა სა-ფუძველი, რომ მოხუცი მოეკლა... დიდი მემკ-ვიდრეობა, ჩანს, დიდი ცდუნებაც არის...

მაგრამ მის მკვლელს თურმე მემკვიდრე-ობა სულაც არ სჭირდება, მას, უბრალოდ, დე-ტექტივები და... შურისძიება უყვარს.

Wignis EL. versia moamzada:
DiaDMa
DaTuCHaM